ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით | ფასი 1,50 ლარი | 8 აგვისტო 2014 | № 16 (224)

რეზო ესაძის ლირიკა

ნინო წიკლაურის ნოველა

საუბარი უმბერტო ეკოსთან

ზურაბ კანდელაკის რადიოპიესა

მაკა ჯოხაძე არქიმანდრიტ ადამზე

ბარათი კონსტანტინე გამსახურდიას

ემზარ კვიტაიშვილი ალექსანდრე ებანოიძეზე

იოსებ ჭუმბურიძის ბორჯომული დღიურიდან

ზიგმუნდ ფროიდი და ქართული რომანი

სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე

რაშად აბუ შავარის ნოველები

გია მურღულიას ჩანაწერები

ჩაფისა და გულის იგავი

შინაარსი

რედაქტორის გვერდი	2	**ჩაფისა და გულის იგავი** (ჯუან-ძიდან ლუიჯი პირანდელომდე)
ჩემი პატარა ქალაქი	3	**იოსებ ჭუმბურიძე საქართველო არის ესე** (ორი დღე ბორჯომის ხეობაში)
ექსპრეს-ინტერვიუ	5	**თეა ლომაძე „ყველაფერი კარგად იქნება!“** (მოამზადა ნინო ჩხიკვიშვილი)
პროზა	6	**ნინო წიკლაური სათამაშოები**
დრამატურგია	8	**ზურაბ კანდელაკი ნეტა სიკვდილის შემდეგ თუ ვნახავ სიზმრებს** (რადიოპიესა ინგმარ ბერგმანის ფილმების მოტივებზე)
პროზა	12	**ჯანეტა ქემოკლიძე ფიქრი**
პირველი შთაბეჭდილება	13	**მაია ჯალიაშვილი წამიერი აფეთქება არ გაიმეტება**
პოეზია	14	**არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე) ჩემი ბოცორია**
პირველი შთაბეჭდილება	16	**მაკა ჯოხაძე ბავშვობა — ნიჭარაში შენახული სამყარო** (არქიმანდრიტ ადამის ერთი ლექსის გამო)
პოეტის ერთი ლექსი	17	**დანიელ ფიფია ჟამი**
პოეზია	18	**რეზო ესაძე გათენებისას და სხვა ლექსები**
უცხოეთის ცხოვრებიდან	19	**ეკოს სამყარო** (ლი მარშალს ესაუბრება უმბერტო ეკო)
კულტურის ბილიკებზე	21	**ნინო ბაქანიძე ზიგმუნდ ფროიდი და გუგა ნახუცრიშვილის „მგელკაცა“**
უბის წიგნაკიდან	24	**ალექსანდრე ელერდაშვილი არ შეხვიდე სეფაში ორჯერ!** (უილიამ შექსპირის ვინაობის ცრუვერსია)
ფიქრი და განსჯა	25	**გია მურღულია ახალი ჩანაწერები**
რეპორტაჟი	30	**ელენე ამაღლობელი კიდევ ერთხელ ქართული ჰანგის მადლი** (შეხვედრა ტრიო „ბალადასა“ და ლიკა ორჯონიკიძესთან)
ლიტერატურული პორტრეტი	32	**ემზარ კვიტაიშვილი უხმობენ მშობლიური ფესვები** (ალექსანდრე ებანოიძე)
კრიტიკა	35	**შალვა ვანიშვილი თვითმკვლელობის არნახული მაგალითი** (გიორგი სოსიაშვილის ნოველა „სტუმარი უცნაური შეკვეთით“)
წუთები და წლები	38	**როსტომ ჩხეიძე დიკენსური შთაგონება — ისტორია ყმაწვილთათვის** (ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“
ეპისტოლე	45	**გაბრიელ ჯაბუშანური ბარათი კონსტანტინე გამსახურდიას**
ახალგაზრდებო, აწ კი თქვენ	46	**ნათია ბუთხუზი, თამარ ჩხიტუნიძე რა უთხრა მეფემ ველმოჭას** (გ.კ. ჩესტერტონის რომანების ქართული თარგმანი)
ფიქრები	48	**თეიმურაზ ნადარეიშვილი სულის ფოტოგრაფიები**
გამოხმაურება	55	**ელგუჯა თავბერიძე ძველებური ქუდი ახალი ფერებით** (სევარიონ ნადირაძის ლექსების ახალი რკალი)
სპორტი	56	**გივი გამრეკელი როცა მსოფლიო ჩემპიონატმა გადიგრიალა...** (ჯანო ანანიძე)
უცხოური ნოველა	57	**რაშად აბუ შავარი ორი ნოველა**
ახალი თარგმანები	59	**ერიკ ემანუელ შმიტი სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე**
ამ მთისა და იმ ბარისა	71	**ანდრეას გრიფიუსი და კლოდ მალენგრი**

ჩვენი მწერლობა

ორკვირეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62
რეკლამა: (995 93) 65 93 68
გავრცელება: (995 92) 25 94 94
ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge

www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 22 აგვისტოს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი

დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეგი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ელგუჯა თავბერიძე, ბაბუა ალუდაურის ფოტო გენტი, ბელგია

ჩაფისა და გულის იგავი

(ჯუან-ძიდან ლუიჯი პირანდელომდე)

ძი-გუნი, კონფუცის მოწაფე, ეკითხება გლეხს:

— ბოსტნის მოსარწყავად ჩაფით რატომ ეზიდები წყალს, რატომ წვალობ, სარწყავ მანქანას რატომ არ მოიხმარ?

და პასუხად:

— ჩემი მოძღვრისაგან გამიგია, რომ იგი, ვინც მანქანას იყენებს, მანქანურადაც მოქმედებს, ხოლო ვინც მანქანურად მოქმედებს, გულიც მანქანური უდგას, ხოლო მკერდში მანქანური გულით კაცი ვერ შეინარჩუნებს სიწმინდესა და პატიოსნებას, ხოლო სიწმინდისა და პატიოსნების გარეშე სულის თავისუფალი მოძრაობა ფერხდება.

შენ გლეხი ეძახე!..

რარიგ ღრმად შეუთვისებია მოძღვრის სიტყვები და თავისი ცხოვრების წესი მასზე დაუფუძნებია. დაე გაწვალდეს და ძალიანაც გაწვალდეს, სამაგიეროდ...

ეს ეპიზოდი მოთხრობილია ჯუან-ძის (IV-III საუკუნეები ქრისტეს დაბადებამდე) ტრაქტატში, ზურაბ კიკნაძე კი ნარკვევში „შენიშვნები ჰერმან ჰესეს ბროშურაზე „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“ მოიხმობს თვალსაჩინო ნიმუშად, რომ არც ისეთი უფსკრული ყოფილა აღმოსავლურ და დასავლურ მსოფლგანცდას შორის, მიუხედავად იმისა, რომ ძველჩინური კულტურა, რა სახითაც ის გამოვლინდა კონფუცის, ლაო-ძის, ჯუან-ძისა თუ სხვათა ნააზრევში, მხოლოდ გვიან გახდა ცნობილი დასავლეთის კულტურისათვის. და თუმც მის მაფორმირებელ საფუძველთაგანი სულაც არ არის, მაგრამ აღმოჩენისთანავე უდიდესი გავლენა მოახდინა დასავლურ ხელოვნებაზე ეგრეთწოდებული ჩანის (ანუ ძენის, როგორც უფრო ცნობილია იაპონიის გზით) მოძღვრების სახით. ხოლო რაკიღა ამ ფილოსოფიურ-ესთეტიკური მიმართულების ანალოგებს დასავლეთში იმ ხანიდან პოულობენ, როდესაც ჩინეთი ჯერაც ტერა ინკოგნიტას წარმოადგენდა, როგორ გინდოდა დაბეჯითებით და სიხარულით არ აღგენიშნა აღმოსავლურ და დასავლურ მსოფლგანცდათა ეს ღრმა შინაგანი სიახლოვე.

ჯუან-ძის ტრაქტატის წყალობით შემონახული ამბავი კი ძალდაუტანებლად გათქმევინებდა, როდესაც ამგვარ რასმე ამოვიკითხავთ დროითა და მანძილით დიდად დაშორებულ წიგნში, ორგვარი განცდა გვეუფლებაო:

— ერთს გამოვხატავთ ეკლესიასტეს (რომელთანაც ჯუან-ძის ბევრი რამ აქვს საერთო, ისინი თანამედროვენიც იყვნენ) ცნობილი გამოთქმით, — „რაც ყოფილა, იგივე იქნება, რაც მომხდარა, იგივე მოხდება; მზისქვეშეთში ახალი არაფერია“; მეორე მხრივ, ტექნიკური ეპოქის მკვიდრნი ძმურ სოლიდარობას ვიგრძნობთ ძველჩინელი ბრძენის მიმართ, რადგან იგივე მტკივნეული პრობლემა ჩვენც არა ნაკლებ გვაღელვებს.

ვინც მანქანას იყენებს, მანქანურადვე მოქმედებსო...

არაერთი ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური თუ მხატვრული თხზულების მოშველიება შეიძლება ამ უაღრესად მტკივნეული რეალობის დაფარული ბუნების გასაშიშვლებლად და იმ საფრთხის წარმოსაჩენად, მანქანური ცივილიზაცია რომ ატარებს საკუთარ თავში, მაგრამ ამჯერად სრულიად საკმარისია ლუიჯი პირანდელოს რომანის გახსენება — „სერაფინო გუბიოს, ოპერატორის, ჩანაწერები“, მერი ტიტვინიძემ რომ გადმოიღო ქართულად ჩვეული ხელოვნებით და... ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება დაგრჩეს, თითქოს იტალიელ ნობელიანტს ჯუან-ძის ტრაქტატის ის პასაჟი გაუშლია სიუჟეტურ ქარგაში, ანდა ძველჩინელი ფილოსოფოსისა და გლეხის გაბაასება თავისებური დასკვნაა ამ რომანისა, 1916 წელს რომ დაიწერა და სულაც არ გვიკვირს, დღეს შეთხზული რომ გვგონია — აგერ ქრისტეს დაბადებამდე IV-III საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილი ნიმუში გვეჩვენება ახალთახლად.

ვინც მანქანურად მოქმედებს, გულიც მანქანური უდგასო...

სერაფინო გუბიო სწორედ ესაა, ეს ხასიათია — მანქანურ გულჩადგმული, სულ უფრო და უფრო რომ შორდება ადამიანურ ყოფას და საკუთარი აპარატის ნაწილად გარდაიქმნება.

თავიდან ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგენდა, რომ ამ მანქანის, ამ აპარატის საზრდოდ თავის ცხოვრებას გაიმეტებდა, იმ მანქანის, რომელიც ადამიანებმა თვითონ გამოიგონეს და შექმნეს საკუთარი სიამოვნებისათვის? კი გადაასანსლინებს რკინის ურჩხულს ყოველივე ადამიანურს და დიდად კმაყოფილიცაა, რომ დუმილში იძირება, თვითანალიზით, თვითჩაღრმავებით გაჟღენთილ დუმილში კი არა, არამედ გრძნობის ნატამალიც რომ აღარ შერჩენია, ისეთში; და სრულ გულგრილობაში ამიტომაც ჰპოვებს სიცოცხლის საზრისს.

სულიერი რღვევა და... ასეთი?!.

მხატვარი კარლო ფაჩულია

არადა, თვითკმაყოფილებას ისეთი აღფრთოვანებით გამოხატავს, ამ მხატვრული მრწამსის რომანის ფინალს რომ შეჰფერის:

— მე მინდა ასე დავრჩე. ასეთია დრო და ეს ცხოვრება. ხოლო იმ აზრის თანახმად, რასაც ჩემს პროფესიას ვანიჭებ, აი, სწორედ ასეთი მარტოსული გახლავართ, მუნჯი და გულგრილი, — ოღონდ ისევ ოპერატორად დავრჩე.

მანქანური გულით კაცი ვერ შეინარჩუნებს სიწმინდესა და პატიოსნებასო...

„სერაფინო გუბიოს, ოპერატორის, ჩანაწერები“ არ არის რაღაც იშვიათი მხატვრული ძალის რომანი, თვითონ ლუიჯი პირანდელოს აქვს დაწერილი მასზე უკეთესი ეპიკური თხზულება „განსვენებული მათიას პასკალი“, რომ აღარაფერი ითქვას მის პიესებზე, საგანგებოდ რომ შეიქმნა როგორც ერთგვარი პროტესტი კინოინდუსტრიის წინააღმდეგ, თეატრს მძლავრ კონკურენტად რომ მოევლინა და ერთბაშად დააყენა საშიშროების წინაშე მისი არსებობა... და თუმც მხატვრული თვალსაზრისით ცოტა არ იყოს მოძველებულია, მისი მთავარი გმირის ბედი ისეთ სულისშემძვრელ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე, რომ მისი თარგმნაც აუცილებელი გახლდათ და პოპულარიზაციაც აუცილებელია, რათა ერთხელ კიდევ ვიგრძნოთ მთელი სიმძაფრით, რომ ფერხდება და თანაც რარიგ ფერხდება სიწმინდისა და პატიოსნების გარეშე სულის თავისუფალი მოძრაობა.

...ჩაფით რატომ ეზიდება წყალს, რატომ წვალობს, სარწყავ მანქანას რატომ არ მოიხმარსო? — ვერ აეხსნა გლეხის მოქმედება ძიგუნს და მოინდომებდა მის დარწმუნებას, რომ შრომის შემსუბუქება სჯობდა.

ასეთი მარტოსული გახლავართ, მუნჯი და გულგრილიო, — საამაყოდ დარჩებოდა სერაფინო გუბიოს, ოპერატორს, თავის აპარატს შეზრდილსა და მის განუყოფელ ნაწილად გადაქცეულს — სამარადისოდ...

იოსებ ჭუმბურიძე

საქართველო არის ესე

(ორი დღე ბორჯომის ხეობაში)

ბორჯომი. სხვისი არ ვიცი და მე ამ სიტყვის (ტოპონიმის) ხსენებაზე გია დანელიას ცნობილი ფილმი მაგონდება. უფრო კონკრეტულად კი ფრუნზიკ მკრტჩიანისა და ვახტანგ კიკაბიძის პერსონაჟთა დიალოგი:

— დილიჟანში ონკანს გახსნი და ისეთი წყალი მოდის, მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავსო, — ეტყვის სომეხი და ამასაც დასძენს: პირველ ადგილზე სან ფრანცისკოაო.

— აბა ბორჯომი?! — გაიოცებს და გააპროტესტებს ქართველი...

ბორჯომი (წყალიც და ხეობაც), რა თქმა უნდა, ჩვენი სიამაყეა, მაგრამ მოდით, ვიკითხოთ: რამდენ ქართველს უნახავს იგი და დამტკბარა მისი სილამაზით. რამდენს უხილავს ტიმოთესუბნის, ქვაბისხევისა თუ მწვანე მონასტრის გულისწამღები სიდიადე. არადა, სამივე „ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“...

მთელ ცხოვრებას ვატარებთ მსოფლიოს სახელგანთქმული მუზეუმების ხილვის ნატვრაში, სრულიად უნიკალური განძი კი „ყურის ძირში“ გვაქვს და ერთხელაც არ გვინახავს.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ვერც კი წარმოიდგენთ, რომ ასე მდიდარია. თურმე შინაურს, მარტო მღვდელს კი არა, მუზეუმსაც „შენდობა არა აქვს“.

ნურაფერს ვიტყვით რომანოვების ძვირფას ჭურჭელზე, უფრო იშვიათი ექსპონატები ვახსენოთ:

მამონტის ეშვი, რომელიც 48 კილოგრამს იწონის (მისივე კბილი — ორნახევარ კილოგრამს).

სოფელ ტბის მკვიდრს **თემურ ტაბატაძეს** იაკუტიაში უპოვნია და თან წამოუღია.

უზარმაზარი ეშვი რამდენიმე სანტიმეტრზე გამოუფულრავთ და ყანწად გამოყენება გადაუწყვეტიათ.

იყენებდნენ კიდეც. ზოგს ხელი მოსტეხა მისმა სიმძიმემ, ზოგს — ფეხი და ბოლოს მუზეუმში მიტანა გადაწყვიტეს...

...ერთ კედელს ირმის ულამაზესი რქები ამშვენებს. ეს ის რქებია, 1912 წელს ვარშავაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე ბრინჯაოს მედალი რომ მოიპოვა — სწორედ სილამაზით, სიდიდითა და სიმეტრიულობით...

ეს და კიდევ მრავალი უნიკალური ექსპონატი, **როსტომ ჩხეიძესა** და **მაკა ჯაფარიძესთან** ერთად, სულ ახლახან ვიხილე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის მიერ ორგანიზებული ორდღიანი პროექტი რომ არა, ვინ იცის, ეს ყოველივე კიდევ რამდენ ხანს იქნებოდა ჩემთვის (ჩვენთვის) უცნობი.

პროექტის ხელმძღვანელი — **მარინე გელაშვილი**.

ეს ის ცნობილი მარინე გელაშვილია, **ივანე ამირხანაშვილის** მხატვრულ-დოკუმენტური ნოველების ციკლის „თეთრი ჯვრის ხეობა“ ერთი ყველაზე კოლორიტული პერსონაჟი, ბორჯომის რაიონში (მუნიციპალიტეტში) ხელისუფლების ცვლას რომ არ მისდევს და „იგივეა მარად და მარად“, თუმცა ნიშნავენ, ათავისუფლებენ, ისევ ნიშნავენ...

მოუსვენარი, ბობოქარი, მუდამ შემართული, იდეებით აღსავსე.

ბორჯომის კულტურული ცხოვრება უიმისოდ უკვე წარმოუდგენელია.

მარინე გელაშვილი და როსტომ ჩხეიძე

ორდღიანი პროექტი ამჯერად ასე დაუგეგმავს:

დღე პირველი: ინტელექტუალური ფესტივალი „ცხრაწყარო — 2014“;

დღე მეორე: „საჯარო ლექცია მხარეთმცოდნეობის მუზეუმში“.

„ცხრაწყარო — 2014“

ბორჯომის კულტურის ცენტრი. მართლაც მშვენიერი დარბაზი, რომელიც სამასამდე მაყურებელს იტევს.

ასეთ დარბაზში, ასეთ სცენაზე საინტერესო წარმოდგენების გამართვაა შესაძლებელი. — ეს აზრი და სურვილი მაკას, როსტომსა და მე ერთდროულად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გაგვიჩნდება, რასაც მარინე გელაშვილიც უყოყმანოდ დაეთანხმება.

ამაზე შეიძლება სამომავლოდ ვიფიქროთ, დღეს კი აქ ინტელექტუალური შეჯიბრი ტარდება — ბორჯომული „რა? სად? როდის?“

ჩვენ ფინალს ვესწრებით.

ფინალისტები კი წინადღით გამოვლენილან. ხუთი გუნდი დარჩენილა: „ანდეზიტი“, „დვირი“, „საგანძური“, „კულტურის ცენტრი“, „საზოგადოებრივი დარბაზი-2“.

ჟიური სამკაციანია: კულტურის სამსახურის სპეციალისტები: **იზოლდა გუგუბერიძე, თეა ლონდარიძე** და **აკაკი ჩადუნელი.**

კითხვები ექვსკაციან ჯგუფს შეურჩევია: **იზოლდა გუგუბერიძეს, მურად ნოზაძეს, ირინა ალბორიშვილს, თემურ გრიგორიანს, ვალიდა ჯალაღანიას, რიტა ასპანიძეს.**

კითხვები საინტერესოა და საკმაოდ ძნელად გამოსაცნობიც. მაგალითად:

„რა გვარის იყო ნაპოლეონის ქართველი პირადი მცველი?“

„იმხანად ხელისუფლებამ დევნა გამოუცხადა დიმიტრი უზნაძის მსოფლიოში აღიარებულ განწყობის თეორიას და გადაწყდა ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დახურვაც. სწორედ მწერალი გამოექომაგა ამ თეორიასაც და ინსტიტუტსაც და 1955 წელს გამოაქვეყნა რომანი, რომელიც კრიტიციზმის პირველი მაცნე იყო როგორც საქართველოში, ისე მთელს საბჭოთა იმპერიაში. რომელმა მწერალმა გაბედა ეს?“

კითხვათა უმეტესობა აქტუალური და დღევანდელობასთან დაკავშირებულია:

„რომელ ნაწარმოებშია აღწერილი ზაპოროჟიელი კაზაკების ბრძოლა უკრაინის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის?“

გამარჯვებულები ასე დაჯგუფდებიან:

პირველი ადგილი — „დვირი“, მეორე ადგილი — მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გუნდი „საგანძური“.

ხოლო მესამე ადგილისათვის ბრძოლას, თანაბარი ქულებით, „ანდეზიტი“ და „დარბაზი-2“ გააგრძელებენ. საპრიზო ადგილი „ანდეზიტს“ დარჩება.

დამარცხებული კი ინტელექტუალურ თამაშში არ არსებობს.

ამიტომაც ლოგიკური იყო ის, რომ ჯილდოები ინტელექტუალური ფესტივალის ყველა მონაწილეს ერგო.

ჯილდოში კი ოთარ და როსტომ ჩხეიძეების წიგნები იგულისხმება.

წიგნისა და ცოდნის ზეიმი — ასე შეიძლება შეფასდეს ის, რაც იმ დღეს ბორჯომის კულტურის ცენტრის მშვენიერ დარბაზში ხდებოდა.

მუზეუმში

როსტომ ჩხეიძის საჯარო ლექციის თემა მისივე პიესაა — „ლეგენდა ისკანდერისა“.

ისკანდერი **ალექსანდრე ბატონიშვილია**, ის, ვისაც სინამდვილეში **ნიკოლოზ ბარათაშვილის** „მერანი“ მიეძღვნა.

შეუძლებელია ამ ლექსის ადრესატი ყოფილიყო **ილია ორბელიანი** — იმპერიის სამსახურში ჩამდგარი პიროვნება. მისადმი მიძღვნა მხოლოდ ცენზურისათვის თვალის ახვევად უნდა ვაღიაროთ.

ეს თვალსაზრისი **პავლე ინგოროყვასგან** მოდის.

აკაკი გაწერელიასაც უჭირდა „მერანთან“ ილია ორბელიანის დაკავშირება, მაგრამ ეჭვს იქით მაინც არ წასულა.

როსტომ ჩხეიძემ კი ამ საკითხს საბოლოოდ მოჰფინა ნათელი.

რაც შეეხება ალექსანდრე ბატონიშვილს, მის შესახებ პიესა **გიორგი შატბერაშვილს** უნდა შეექმნა და **სანდრო ახმეტელს** უნდა დაედგა, მაგრამ, ადვილად გასაგებ მიზეზთა გამო, ამ ჩანაფიქრს ასრულება არ ეწერა.

პიესას მრავალი ათეული წლის შემდეგ როსტომ ჩხეიძე შექმნის.

სპექტაკლი?

სპექტაკლს ვინ დადგამს?

ჩემი ღრმა რწმენით, ეს პიესა **რობერტ სტურუამ** უნდა დადგას.

ვიცი, სანდრო ახმეტელი მისთვის წმინდა სახელია. მისი აუსრულებელი ჩანაფიქრიც მან უნდა აასრულოს.

იმის წარმოდგენაც შეიძლება, სტურუას უკიდეგანო რეჟისორული ფანტაზია რა მოულოდნელ სცენურ გადაწყვეტას მოუძებნის ლეგენდას (მფრინავ რაშზე ამხედრებული ალექსანდრე ბატონიშვილი), რომელიც ახმეტელს ძლიერ ხიბლავდა.

და, ალბათ, ეს იქნება რობერტ სტურუას ყველაზე ქართული სპექტაკლი.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ლამაზ და მყუდრო დარბაზში ეს ყოველივე არნახულ ინტერესს გამოიწვევს. ის დღე იმის მაგალითად გამოდგება, თუ როგორ შეიძლება „გაცოცხლდეს“ და ახალი შინაარსით აივსოს მუზეუმი, რომელიც ბევრს მხოლოდ „ექსპონატების საცავი“ ჰგონია.

საბედნიეროდ, ასე არ ფიქრობს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი **ვიოლეტა ბალახაშვილი,** ვინც თითქმის ოცდაათი წელია, ამ თანამდებობაზე მუშაობს. მართალია, მოხსნა-დანიშვნით მარინე გელაშვილს ვერ გაეჯიბრება, თუმცა ერთხანს ხელისუფლება მასაც ადვილად შელევია და, კიდევ კარგი, მალევე მიმხვდარან, რომ მისი ადგილი სწორედ აქ იყო.

საჯარო ლექციის შემდეგ ქალბატონი ვიოლეტა იმ სხვენში აგვიყვანს, წლების განმავლობაში მტრედების სკორეთი რომ ყოფილა გამოვსებული. მას და მის თანამშრომლებს იქიდან რამდენიმე ტონა („ხუთი კამაზი“) ნაგავი გაუტანიათ და უნიკალური წიგნების საცავად უქცევიათ. ეს წიგნებიც მუზეუმის უძვირფასესი საგანძურია. რამდენიმეს დასახელებაც იკმარებს: 1882 წელს გამოცემული „საქართველოს სამოთხე“, 1884 წლით დათარიღებული „დაბადება“ (ბიბლია), 1892 წელს დასტამბული „საქართველოს გეოგრაფია“...

„რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი“...

ჟლერს ქვის ჰარმონია...

ეს — პროექტით ოფიციალურად გათვალისწინებული ორი ღონისძიება (რით შევცვალოთ ეს სიტყვა?).

მაგრამ არაოფიციალურიც რომ არანაკლებ მნიშვნელოვანია? თურმე, რამდენი რამ გველოდება.

ჯერ — განახლებული ბორჯომის პარკი. ბევრი რამ უკვე დასრულებულია, ზოგიც ახლა მთავრდება. უმეტესობა ლამაზია, ტრადიციული და ბორჯომისთვის ორგანული. ახალაგებულიც თითქოს ტრადიციას ითვალისწინებს, მაგრამ მკვეთრად არაქართული (არაქრისტიანული) „ქუდები“ მაინც გულსატკენად გამოიყურება.

ნუთუ ასე ძნელია ამისგან თავდაღწევა?

სამაგიეროდ, გულს გაგვიკეთებს სამი დიდებული ქართული ტაძრის ხილვა. ჯერ ტიმოთესუბნით აღვფრთოვანდებით, შემდეგ — მწვანე მონასტრით, ბოლოს კი ქვაბისხევის დიადი უბრალოებაც მოგვნუსხავს.

აი, აქ კი თურმე ნამდვილი სიურპრიზი გველოდება, მართლაც დაუგეგმავი ღონისძიება (ისევ ღონისძიება?!) — როსტომ ჩხეიძის იმპროვიზებული საჯარო ლექცია: **„რუსთაველის ფრესკა“.** საბედნიეროდ, ჩვენთან ერთად არიან სოფელ ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც მთის წვერზე წამომართული მონასტრის ეზოში, ფრიალო კლდის ქიმთან როსტომს წრეში მოაქცევენ და მის საინტერესო საუბარს მოისმენენ წუთის წინათ საკუთარი თვალით ნანახ ფრესკაზე, **ზვიად გამსახურდია** რუსთაველის სახებად რომ აღიარებდა.

როსტომმა ზუსტად არ იცის, ბოლომდე სჯეროდა თუ არა ზვიადს ამ ვერსიისა, მაგრამ დაე დარჩეს თუნდაც ვერსიად...

...ამ საინტერესო ლექციას მარინე გელაშვილი და ოპერატორი **კახა ბლიაძე** ვიდეოფირზე აღბეჭდავენ და სოციალურ ქსელში გაავრცელებენ.

მართლაც საინტერესო სახილველი და მოსასმენია.

ვიდეო კი არა, ნამდვილი დოკუმენტური ფილმია.

გიკვირთ?

* * *

ორი დღე — შაბათი და კვირა.

ორივე დაუვიწყარი.

ჩვენთვის — ნამდვილად.

მარინე გვარწმუნებს, ბორჯომელებისთვის — მითუმეტესო...

ეს უფრო გასახარია...

თეა ლომაძე

„ყველაფერი კარგად იქნება!“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— როცა ადამიანურთ თვისებებს კარგავ და მხოლოდ ცხოველური ინსტინქტების ამარა რჩები.

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— სამუდამოდ არა, მაგრამ დროებით, წყნარ, პატარა ევროპულ ქალაქში ვიცხოვრებდი, სადაც კარგი კლიმატი იქნებოდა.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— არ ვიცი და არა მგონია, ვინმემ ზუსტად იცოდეს. ჩვეულებრივ ბედნიერებაზე კი შეიძლება საუბარი: ის ჩემთვის აუცილებლად ჩემს შვილებთან არის დაკავშირებული.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— ბავშვობაში კაპიტან ბლადი მიყვარდა. ახლა კარგად აღარც კი მახსოვს, როგორი იყო. პეპი, ძია მეკლერი, ნაგელი.

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— სულხან-საბა, ექვთიმე თაყაიშვილი, ანა ფრანკი.

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ბრეიგელი, ვერმეერი, ვან გოგი, ელენე ახვლედიანი.

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ვივალდი, მოცარტი, მორიკონე, ყანჩელი

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

— კეთილშობილებას, რომელიც თავისთავად ბევრ რამეს მოიცავს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— კეთილშობილებას, რომელიც თავისთავად ბევრ რამეს მოიცავს.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— კეთილშობილება, რომელიც თავისთავად ბევრ რამეს მგულისხმობს.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— მეოცნებეობა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— მაშინ ხომ მე — მე აღარ ვიქნებოდი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— მიჭირს პასუხის გაცემა. შეიძლება – ემოციურობა და გულუბრყვილობა.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— უთქმელად სათქმელის გაგების უნარს.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— სიჯიუტე, სიზარმაცე, არაორგანიზებულობა, ძნელად თუ აღფრთოვანებდები... და ა.შ.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— საკუთარ თავთან, ოჯახთან და სამშობლოსთან ჰარმონიული ყოფნა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ამას ვერ დავწერ, რადგანაც ეჭვი მაქვს: რაც იწერება – სრულდება...

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— ბევრად, ბევრად, ბევრად უკეთესი.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— მწვანე, ლურჯი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მინდვრის ყვავილები მიყვარს.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— ფრინველების სიყვარულით ვერ დავიკვეხნი. თუ მაინცდამაინც... ნილსის გარეული ბატები იყოს...☺

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— ასტრიდ ლინდგრენი, რეზო ინანიშვილი, ოთარ ჭილაძე, ჰამსუნი, მარკესი, ლიოსა ...

— თქვენი საყვარელი პოეტები?

— გალაკტიონი, ტიციანი, გოგლა, ოთარ ჭილაძე ...

— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?

— მერი პოპინსი, ჯუდი ებოტი, ჯულია ლამბერტი...

— საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?

— მგონი... არ მყავს.

— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?

— ალბათ თამარ მეფე.

— საყვარელი სახელები?

— ანა, ნათია, ეკა, გიორგი, სანდრო.

— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— გაქნილობას და მლიქვნელობას.

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ჰიტლერი და მისთანანი...

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?

— ამბობენ — დიდგორიო.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

— ქალთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რეფორმები.

— ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?

— უცხო ენების სასწაულებრივად სწრაფად შესწავლის ნიჭს.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

— მხნე მოხუცი... ☺

— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?

— რთული, ნევროზული.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

— ყველა — უნებლიე სიბრიყვისა და უცოდინარობისაგან გამომდინარე.

— თქვენი დევიზი?

— თეა, ნუღარ ითხოვ ადამიანებისგან იმას, რაც მათ, როგორც ჩანს, არ (ვერ) მოეთხოვებათ!

— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?

— ყველაფერი კარგად იქნება!

ნინო წიკლაური

სათამაშოები

თავისი ღმერთი ჰყავდა მაღაზიას — ჭერზე მიმაგრებული კამერიდან მომზირალი თვალი. სხვა ღმერთებივით ისიც შორეული, მკაცრი და ყოვლისშემძლე იყო. თან განსხვავდებოდა კიდეც — ტელეფონი ჰქონდა.

თუ დაღლილი თანამშრომელი ჩამოჯდებოდა, ან კედელს მიეყრდნობოდა, ან ხელებს არასწორად დაიკავებდა, თვალი რეკავდა და შენიშვნას აძლევდა.

რეკავდა, თუ რომელიმეს ღიმილი ავიწყდებოდა.

რეკავდა, თუ ...

თავისი კანონები ჰქონდა თვალს, ვიწრო ოთახის კედლებზე გამოფენილი — „გიხარიათ — იღიმებით, ცუდად ხართ — იღიმებით, კვდებით — იღიმებით!“, „ყველა კლიენტი პოტენციური ქურდია!“ „გაურეცხავად დარჩენილი ჩვრის გამო მორიგე დაჯარიმდება ხუთი ლარით!“ „ორი კაცი უკვე ბირჟაა!..“

თავისი მეფეც ჰყავდა მაღაზიას — ვაჟიკო.

ნაკეცებიანი ბარკლები, ოცდაორი წლის წინათ ნაზად რომ ბანდნენ და უმშრალებდნენ, ბალნიან „სალად“ ჰქცეოდა ვაჟიკოს. ბალნიანი „სალა“ დაედო ზურგზეც. სახე კი ბავშვობისდროინდელი დაეტოვებინა და სარფიანად იყენებდა.

უღიმოდა ვაჟიკო დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, კლიენტებს, რადგან უკვე ესწავლა, ვისთვის უნდა გაეღიმა, და სათამაშოების მაღაზიის ადმინისტრატორიც გახდა.

მეფობდა ვაჟიკო ოთხ გოგოზე, ერთ ბიჭსა და უამრავ სათამაშოზე.

ოცდათერთმეტ დეკემბერსაც სამსახურში ნახევარი საათით ადრე მივიდნენ, დასალაგებლად — ძუნწი იყო თვალი. დამლაგებლისთვის ხელფასის მიცემა ენანებოდა!

პეპლის ფრთები მიიმაგრა მოლარემ, ნახალოვკელმა გამხდარმა გოგომ, სიგარეტს დილის ათის ნახევრიდან საღამოს ცხრამდე რომ ვერ ეწეოდა ვაჟიკოს შიშით, და დარბაზის იატაკის ხვეტას შეუდგა.

ელზამ, შეღებილ, ნაოჭებში ჩასმულ დაქანცულ თვალებს ღიმილით და შეუფერებლად გაწვრილებული ხმით რომ მალავდა, უკან ოცდათექვსმეტი წელი, ფორტეპიანოს გაკვეთილები, საბერძნეთში მოხუცებისთვის პამპერსების ცვლა, დადამბლავებული დედის მოსავლელად დაბრუნება რომ დაეტოვებინა, წინ კი სტომატოლოგთან სიარული და გასახდომი დიეტა — ბოლო გაბრძოლება გათხოვებისთვის, თუ არადა დისშვილის იმედად დაბერება რომ ელოდა, ანგელოზის ფრთები გაიკეთა, თავზე კურდღლის ბრჭყვიალა ყურები დაიდგა და მაღაზიის წინ ტროტუარი გადაგავა.

მასხარას ჭრელი, ხვეული თმა ჩამოიმხო ზაქარიამ, ქართულგვარიანი ლატვიელი მამა რომ ჰყავდა და სკოლის შემდეგ ვაჟიკოს აკადემიაში ეუფლება მორჩილების, თვალთვალის ხელოვნებას... მან კაცის სიმაღლე გაბერილი თოვლის ბაბუა გაათრია გარეთ და კართან თოკით მიაბა — არ ენდობოდა თვალი გამვლელებს, არც ქარს.

მაღალქუსლიანი ჩექმა მაგიდის ქვეშ შემალა ლალიმ, ფეხზე სწორძირიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა, ტანზე სტაფილოსფერი ფორმა, თავზე დედოფლის გვირგვინი დაიდგა, უფერული ხელები რეზინის ხელთათმანებში ჩაყო და ლაქებიანი უნიტაზის ხეხვა დაიწყო.

— ვისი “ტუფლი” ყარს?! აქედან გაიტანოს! — ცხვირგაღუნული, შავი სახე დამანჭა ნინიმ და მაგიდის ქვეშიდან გამოჩრილ ფეხსაცმლის წვერებს ზიზღით დახედა.

უწყლო, ცისფერი თვალები გაუავდა ლალის. უნიტაზს თავი მიანება, კარში ჩადგა და ცხვირის ძირში მკრთალად გახაზული პირი აამოძრავა:

— ეგენი ჩემია!

— მერე შეიტანე ტუალეტში, გავიგუდე!

— გოგო, შენ თვითონ ყარხარ, ალბათ!

— ყარხარ და უარესიც! აქ ვჭამთ და ვსვამთ! მოაშორე ეხლავე!

— ზედმეტი მოგდის!

— თვითონ მოგდის ზედმეტი! — მტვრის ტილოს დაავლო ხელი და დარბაზში გავარდა ცხვირგაღუნული.

წმენდდა და ყვებოდა. წმენდნენ და უსმენდნენ.

— აღარ მოკეტავ? — დაიძახა ჩუმად შესულმა ლალიმ.

— შენ თვითონ მოკეტე!.. ხედავთ, გუშინდელი მოთრეული რამდენს ბედავს! ჯერ მოვიდეს ვაჟიკო!

— ვაჟიკო რა შუაშია?!

— განახებ რა შუაშიცაა! არავის ვაპატიებ შეურაცხყოფას!.. ვინც უნდა იყოს!

ნაადრევად შევიდა პირველი მყიდველი. მოცეკვავე ვეფხვს ეძებდა მოხუცი ქალი.

— შეურაცხყოფა მე მოგაყენე თუ თვითონ გამლანძღე, ქალოოო?!

— ქალები შენს ცხრამთასიქითა სოფელში დარბიან!

— შენ ხო მყავხარ თბილისელი, შე ვაზისუბნელო!..

სამეფოს კარი რომ შეაღო ვაჟიკომ, დადარაჯებული ცხვირგაღუნული მორჩილის თვალებით აეტუზა და კაბინეტის კარამდე ექაქანა.

— დაუბრუნდი ადგილს!.. ლალის უთხარი, ჩემთან შემოვიდეს! — სერიოზული იყო ვაჟიკო, ძალიან სერიოზული! ხმა დაბალი ჰქონდა. ასეთი ხმის ძალასაც თავიდანვე მიხვდა.

— გეძახის! – გვერდიდან გადაუგდო ხმლებით ახუნძლულ ლალის ცხვირგაღუნულმა.

დედოფლის გვირგვინიანმა სათამაშოები დააწყო და კარზე ფრთხილად დააკაკუნა.

— შემოდი! — გაიჟღერა ხმამ...

მერე ჭრელთმიანი ზაქარია დაიბარა.

მერე ნაოჭებშეღებილი.

მერე პეპლისფრთიანი მოლარე.

მერე ისევ ცხვირგაღუნული.

და კვლავ დამნაშავე დედოფლისგვირგვინიანი.

შეხედა ვაჟიკომ. უყურა, უყურა. დრო გაჩერდა.

ბოლოს თქვა:

— ამ ამბის შემდეგ ორივე უნდა გამეშვით სამსახურიდან!.. ანუ ეს ჩვენს უფროსს რომ გაეგო, აუცილებლად გაგყრიდათ, ზოგადად!.. ყველაზე ძალიან არ მომეწონა, ჩხუბი კლიენტს რომ აყურებინეთ!.. ანუ ეხლა გპატიობთ, იმიტომ რომ პირველი შემთხვევაა. ანუ სამსახურის შემდეგ რაც გინდა უქენით ერთმანეთს, ზოგადად! აქ კი ერთმანეთს დაელაპარაკებით, დაეხმარებით, გაუღიმებთ! ანუ გაუღიმებ ყველას, რის პრობლემაც გაქვს შენ, ზოგადად! ეხლა გახვალ და მოიქცევი ისე, თითქოს არაფერი მომხდარა!.. ჰოო, კიდე, უთხარი მობილურები გათიშონ და შემომიტანონ!

— მშვიდობაა? — წასჩურჩულა კაბინეტიდან გამოსულ ლალის ნაოჭებშეღებილმა...

ისევ დაიწყო მსვლელობა ქვეშევრდომებისა. ყოველ დილით ატყვევებდა ვაჟიკო მობილურებს, სამუშაოს დასრულების შემდეგ კი ათავისუფლებდა — ესეც კანონი იყო.

სატვირთო მანქანამ მაღაზიის წინ თავისუფალი ადგილი ვერ იპოვნა და მოშორებით გაჩერდა.

ჭრელთმიანი ზაქარია და ფრთებასხმული, ბაბთიანი, გვირგვინიანი გოგოები დაეჭიდნენ დიდ და პატარა, მძიმე და მსუბუქ ყუთებს — თვალს მტვირთავისთვისაც ენანებოდა ფულის გადახდა!

ვაჟიკომ ჯინსის შარვალი ორივე ხელით აქაჩა, „სალაზე“ შეიმაგრა და დინჯად გაბრძანდა. შეიხედა ყუთებით ავსებულ მანქანაში, მძღოლისგან ჩაიბარა ფურცელი, გადახედა ნინის, დიდ ყუთს რომ მიახოხიალებდა ტროტუარზე, და დაბრუნდა მაღაზიაში. განსაკუთრებით ყოჩაღი ხდებოდა ცხვირგაღუნული, ვაჟიკო რომ უმზერდა.

დაიწყო ყუთების დაცლა, წმენდა, დახარისხება, კოდების და ფასების დაკვრა, თაროების ავსება. ირეოდნენ გოგოები. მათ მოძრაობას უცებ შეუცვალა მიმართულება ვაჟიკომ, გარშემო შემოიკრიბა და სიტყვა წარმოთქვა:

— დღეს განსაკუთრებით მობილიზირებულები ხართ! ჭამისთვის გაძლევთ ოთხ წუთს! ანუ, როგორც წესი, შეხვალთ მორიგეობით! ზოგადად, სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნილობები დღეს არ გიჩნდებათ! ანუ არ დავინახო ტუალეტში სირბილი! და კიდე, თუ შევნიშნე რომ ერთმანეთს ელაპარაკებით, ანუ კლიენტი უყურადღებოდ ბოდიალობს, დაგაჯარიმებთ!.. გარწმუნებთ, ჯარიმა იქნება ისეთი, შეიძლება ამ თვის ნამუშევარი საერთოდ ვერ აიღოთ!.. გასაგებია? გაქვთ კითხვები?

მოლეკულები დუმდნენ.

— აბა, ადგილებზე!

ჩქარობდნენ ბებიები და ბაბუები, დედები და მამები თოვლის ბაბუის მაგივრად საჩუქრების ყიდვას.

— რით შემიძლია დაგეხმაროთ? — იღიმოდა უტუჩო პირით ლალი.

— დიახ, ბატონო! ეხლავე მოგართმევთ! — ისმოდა ელზას სასაცილო ხმა.

— ეს თოჯინა მუსიკალურია. ანუ მღერის რა!.. — ულვაშიან კაცს უხსნიდა ცხვირგაღუნული.

— კონსტრუქტორი გვაქვს სხვადასხვა ასაკისთვის — ბავშვიან, საოცრად მაღალ ქუსლებზე შემდგარ, ვიწროშარვლიან გოგოს ეპრანჭებოდა ჭრელთმიანი ზაქარია.

ინება ვაჟიკომ დარბაზში გამობრძანება. ისიც ეხმარებოდა კლიენტებს არჩევანში და პრეტენზიულებს ლამაზი, გაღიმებული სახით უხმოდ აგინებდა.

წითელი ბურთი აარჩია მსუქანმა ქალმა.

— ფასს ხომ ამიცლით? თოვლის ბაბუამ უნდა მოუტანოს და არ მინდა მიხვდეს, რომ ნაყიდია! შემიფუთავთ კიდეც?..

სალაროსთან გაირკვა, რომ ვიღაცას შეცდომით დაედო ბურთზე კოდი. ის ვიღაც ზაქარია იყო. ბურთები და თოფები მას ებარა. მოსწყდა ადგილს ვაჟიკო, დარბაზი გადაკვეთა. ზაქარიას რომ ჩაუქროლა, ჩაიბურტყუნა — „ჩემთან შემოდი!“

დაძაბული გოგოები უღიმოდნენ ადამიანებს და ელოდნენ ზაქარიას გამოსვლას.

უხმოდ დატოვა მეფის კაბინეტი ჭრელთმიანმა, დარბაზში არ გაჩერდა, გარეთ, დაბმულ თოვლის ბაბუას ამოუდგა გვერდით, სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. ღერი რომ ჩაიწვა, ავტომატებიან თაროსთან დაბრუნდა.

— დაგაჯარიმა? — წასჩურჩულა ნაოჭებშეღებილმა.

— ღირსი ვიყავი!.. ვერ გავაკეთე კარგად ჩემი საქმე!

მეტი ვერაფერი იკითხა ელზამ, გული გადაუქანდა შიშისგან — მაღაზიაში მისი მეგობარი შევიდა!

— აქეთ მოდი, ვითომ რამის ყიდვა გინდა! — თვალისგან და ვაჟიკოსგან მოფარებული ადგილისკენ წაიყვანა ქალი — გოგონასთვის გინდათ საჩუქარი თუ ბიჭისთვის, ქალბატონო? —

მხატვარი ბადრი გაგნიძე

სხვებს გააგონა აღელვებულმა — მეტი ვერ მოვახერხე, ქათამი მაინც მოგივა! — ჯიბეში ოცლარიანი ჩაუკუჭა მეგობარს.

თვალები აუცრემლდა ქალს და ხველა აუტყდა. თავის შეკავებას ცდილობდა და უფრო ძლიერად ახველებდა.

— წყალი, — ანიშნა გაწითლებულმა.

— ვერ დაგალევინებ, უფლება არ მაქვს!.. გარეთ გადი, ჰაერზე კარგად გახდები!..

სალაროსთან ხმაური ატყდა.

— ეს რატომ დამიყარე? — დახლზე დაწყობილ ვარსკვლავებიან, ფერად ქაღალდებზე ანიშნა დედოფლისგვირგვინიანს ნახალოვკელმა.

— ეხლავე ავიღებ! კლიენტმა დამიძახა და...

— მერამდენედ აკეთებ?

— კარგი ხო! ნუ შეყარე ქვეყანა!

— მგონი, შენც დაჯარიმდები დღეს!

— ხალხო, რა გჭირთ? სულ დაკარგეთ ადამიანობა?

— ეს ბიზნესია, გენაცვალე! აქ ადამიანობის ადგილი არ არის!.. — ნახალოვკელის სიტყვებმა დაადუმა სათამაშოების მაღაზია.

დღის ბოლოს გაიღიმა ვაჟიკომ — ფულით აივსო სალარო! ხუმრობაც დაიწყო. ბოლო მყიდველი რომ გაისტუმრეს და კარი გადაკეტეს, აღიარა:

— სიყვარულის ხასიათზე მოვედიო!

შარვალი შეისწორა, მუსიკას აუწია, ნაოჭებშეღებილი დაიჭირა და დაატრიალა. ვალსს ცეკვავდა ვაჟიკო! ცხვირგაღუნულიც მიიკრა ღიპზე და დედოფლისგვირგვინიანიც. არც ნახალოვკელს დასწყვიტა გული...

დილით გაღვიძებულმა ბიჭმა ნაძვის ხის ქვეშ იპოვნა თოვლის ბაბუის მიტანილი საჩუქარი — ვარსკვლავებიან ქაღალდში გახვეული წითელი ბურთი! თვალებგაბრწყინებული თამაშობდა მთელი დღე. არც ჭამის დროს გაუშვია მისთვის ხელი და დაძინებაც ბურთთან ერთად მოითხოვა.

პრემიერა ზურაბ კანდელაკის რადიოპიესისა ინგმარ ბერგმანის ფილმების მოტივებზე „ნეტა სიკვდილის შემდეგ თუ ვნახავ სიზმრებს“ გაიმართა საქართველოს რადიოში 5 ივლისს.

მონაწილენი: ლევან ბერიკაშვილი, დარეჯან ხარშილაძე, ნიკოლოზ წულუკიძე, ქეთი ჩაჩუა, ვახტანგ ნოზაძე, ლამზირა ჩხეიძე, მათე კილასონია.

რეჟისორი ზურაბ კანდელაკი.

ხმის რეჟისორი ბაკო ხვიჩია.

ზურაბ კანდელაკი

ნეტა სიკვდილის შემდეგ თუ ვნახავ სიზმრებს

(რადიოპიესა ინგმარ ბერგმანის ფილმების მოტივებზე)

სიზმრისეული მუსიკა.

ალექსანდრე: ზოგიერთი სიზმარი მოგონებას ჰგავს, ზოგიერთი მოგონება კი სიზმარივითაა... სად მთავრდება სიზმარი და სად იწყება მოგონება... იქნებ სიზმარი დავიწყებული წარსულია?.. სიზმარი თუ დავიწყებული მოგონება... ან იქნებ ყველაფერი სიზმარში ნანახი სიზმარია?.. როცა მეორე დღეს რაიმე მნიშვნელოვანი საქმე მელოდება, გვიანობამდე ვერ ვიძინებ. ასე იყო ამჯერადაც. გადასაღებ ეპიზოდზე ვფიქრობდი და კიდევ დაჯილდოების ცერემონიაზე... ხელოვნების დიდმა ჟიურიმ, წარსული დამსახურებისთვის, „ბრინჯაოს ხარით“ დამაჯილდოვა და ჯილდო საზეიმო ვითარებაში უნდა გადმოეცათ. მართალია, ასეთ ჯილდოებს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი, მაგრამ ქვეცნობიერად ეტყობა მაინც ვღელავდი... მხოლოდ გამთენიისას ჩამეძინა... დამესიზმრა, რომ საკუთარი სახელი დამავიწყდა... ვერაფრით გავიხსენე... ვერაფერს ვიხსენებ... ***(შორიდან ისმის პატარა ბიჭის ნამღერი „ჩემო ციცინათელა“)*** ვერც ამ სიმღერას, არადა ძალიან ნაცნობი მელოდიაა... ნუთუ მოვკვდი? როცა საკუთარ სახელს ვერ იხსენებ, ალბათ მკვდარი ხარ... ნეტა რა მქვია, რა მქვია... ოფლი მასხამს... ვიღაცას ეტყობა შევეცოდე და მკარნახობს – ისააკ ბორგი... ისააკ ბორგი! – მე ვარ ისააკ ბორგი?.. მინდა ვთქვა, რომ ეს ტყუილია, მე ისააკ ბორგი არა ვარ, მაგრამ ვერ ვამბობ, ენა არ მემორჩილება... მერე, საოცარი სიჩუმე... სიჩუმე... მე, ისააკ ბორგივით შევყურებ უსირო საათს, აქეთ-იქით ვიყურები, ვერ გადამიწყვეტია საით წავიდე... — საყვარელი ფილმის რემეიკი, — ქირქილებს უხილავი ხმა, — ახლა მოდაშია ძველი ფილმების რემეიკები! — საით წავიდე?.. ზღვისპირა ქალაქს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა, ძეხორციელი არ ჩანს, მაგრამ რატომღაც ყველაფერი მოძრაობს: იღება და იკეტება რკინის კარი, ინთება და ქრება შუქნიშანი, სარეკლამო აბრაზე ერთმანეთს ენაცვლება სხვადასხვა რეკლამა, მანქანა დაღმართში მიგორავს და კედელს ეჯახება. გამყინავად წივის ჩართული სიგნალიზაცია... კატაფალკის მსგავს ცხენებშებმულ ეტლს დამწუხრებული ხალხი მოჰყვება... ჩემს დანახვაზე პროცესია ჩერდება, გაოცებულები შეჰყურებენ ერთმანეთს... საიდანღაც დოლ-გარმონის ხმა ისმის. ამ ხმით დაფეთებული ცხენები ადგილს მოსწყდებიან და წინ გაიჭრებიან. საცეკვაო რიტმს აყოლილი ხალხი ცეკვა-ცეკვით მისდევს კატაფალკას. კატაფალკა ბოძს ეჯახება და კუბო ძირს ეცემა... კუბოდან მოხუცი კაცი წამოდგება, მიღიმის, ალერსიანად მიქნევს თითს და იმწამსვე ყველაფერი ნაცნობ იერს იღებს. საიდანღაც ისევ მესმის სიმღერის ხმა **(„ჩემო ციცინათელა“ და წვიმა)** და მოულოდნელად მოსული წვიმა... კოკისპირული წვიმა, თქეში... ჩემი ქალაქის წვიმა... თბილი წვიმა... მოულოდნელად მოსული და მოულოდნელად შეწყვეტილი... წვეთები... წვეთები...

ახალგაზრდა ქალის ხმა: ისააკ, შენ ხარ?.. რატომ ხმას არ იღებ?.. ასე რატომ მიყურებ?

ალექსანდრე: მინდა ვუთხრა, რომ ისააკი არა ვარ, რომ ფილმის პერსონაჟი კი არა, ცოცხალი ადამიანი ვარ, ოღონდ ჩემი სახელი ვერ გამიხსენებია... ხმას ვერ ვიღებ, მხოლოდ ღიმილს ვახერხებ... ვუღიმი...

ახალგაზრდა ქალის ხმა: რატომ არ მითხარი, რომ გიყვარდი, რატომ? რისი გეშინოდა?.. იმას კი არ ეშინოდა...

ხმის ეფექტი: წვეთები... წვეთები... ქალის სიცილი...

კაცის ხმა: *(ვნებიანად)* ბესამე, ბესამე მუჩო...

ქალი აჰყვება მღერაში, შემდეგ მოულოდნელად ჩერდება.

ახალგაზრდა ქალის ხმა: ხელი გამიშვი!.. გვიყურებენ...

კაცის ხმა: აქ არავინ არის!

ახალგაზრდა ქალის ხმა: აი, ის კაცი გვიყურებს!..

კაცის ხმა: გვიყუროს სანამ არ მოწყინდება!

ახალგაზრდა ქალის ხმა: ისააკი ძალიან კეთილია, ისეთი საყვარელია, რომ...

ხმის ეფექტი: მელოდია ბერგმანის ფილმიდან „მარწყვის მდელო“

შემდეგ შუშაზე კაკუნი.

ალექსანდრე: *(დაფიქრებული ღიღინებს):* ბესამე მუჩო...

ნატალი: შენ მაშინ გვიყურებდი?

ალექსანდრე: არა, მე მხოლოდ წარმოვიდგინე...

ნატალი: წარმოიდგინე?

ალექსანდრე: ჰო, დამესიზმრა, ვითომ ისააკ ბორგი ვიყავ... 73 წლის...

კრიტიკოსი: არა, ბატონო ალექსანდრე, 73-ის ის სცენარშია, ხოლო ფილმში 78-ისაა, ვინაიდან ვიქტორ შესტრომი იმ დროს 78 წლის ბრძანდებოდა. თქვენ კი, ნატალი, გათამაშებულ სცენაში სარა იყავით, ისააკის საცოლე, ასე რომ, თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, გამოდის რომ...

ალექსანდრე: ჩჩჩუუუ! ***(აჩერებს კრიტიკოსს)*** ეს კაცი არ მასვენებს, კუდში დამყვება, ყოველ ჩემს სიტყვას აკონტროლებს, ყველაფერს იწერს, წიგნს წერს ჩემზე... არ ვიცი, იქნებ მოგზავნილიცაა... ისე ცნობილი კრიტიკოსია.

კვლავ მელოდია ბერგმანის ფილმიდან.

ნატალი: როგორ გაგახსენდი... ამდენი წელი გავიდა...

ალექსანდრე: მე შენ სულ მახსოვდი...

ნატალი: ერთხელ მაინც რატომ არ მინახულე?..

ალექსანდრე: მე არ ვიცოდი... რომ შენ...

ნატალი: რა მე?!. თქვი, თქვი, ნუ გერიდება... რა მე?!

ალექსანდრე: რომ შენ... გეფიცები, ნამდვილად არ ვიცოდი...

მხატვრები ბაქარ მარგველანი და კოტე თევდორაძე

ნატალი: რატომ იტყუები... რატომ?!. რატომ... რატომ... ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო... ჩიტი ხეზე მომკვდარიყო...

ხმის ეფექტი: ზღვა. თოლია. გასროლა.

ალექსანდრე: მე გამოვიჩინე სულმდაბლობა და ეს თოლია მოვკალი...

ნატალი: მე, თოლია ვარ... მე, თოლია ვარ...

ახალგაზრდა ქალის ხმა ნატალის ხმას ენაცვლება

ალექსანდრე: მოვა დრო და როგორც ეს თოლია მოვკალი, ისე მოვიკლავ თავს...

ახალგაზრდა ქალის ხმა: მე, თოლია ვარ... არა, არა... მე, მსახიობი ვარ... მე მივფრინავ, მივფრინავ... თოლიასავით მივფრინავ... მე თოლია ვარ!

ალექსანდრე: კარგია, კარგი!.. აბა, ხელები გაშალე, ფრთებივით დაიქნიე... არა, ასე არა! შენ უნდა გაფრინდე... აბა, ერთხელ კიდევ სცადე... არა! არა! შენ ჰაერში მონავარდე თოლია კი არა, მისი ფიტული ხარ!

ახალგაზრდა ქალის ხმა: ფიტული?

ალექსანდრე: ჰო, ფიტული... რუსულად უკეთესად ჟღერს — Чучело!!

ახალგაზრდა ქალის ხმა: *(ტირილს ძლივს იკავებს)* მე თოლია ვარ... არა... არა... მე მსახიობი ვარ... მე... მივფრინავ... *(ტირის)*

ალექსანდრე: მართლა ასე გითხარი, ფიტული ხარო?

ნატალი: უფრო მეტიც, რუსულადაც შემამკე — Чучело!!. მთელი ღამე ვტიროდი...

ალექსანდრე: სამაგიეროდ პრემიერა კარგად ითამაშე, რეცენზენტებმაც ხომ აღნიშნეს – ჩვენს თეატრს ახალი ვარსკვლავი შეემატაო.

ნატალი: ვარსკვლავი... ვარსკვლავი... მოვიდა ადამიანი და მოწყენილობის გამო... მშვენიერი სიუჟეტია პატარა მოთხრობისთვის.

ხმის ეფექტი: ყრუდ ისმის ნაბიჯების ხმა ქვაფენილზე. შორიდან ჩიტის

ჭიკჭიკი და ეკლესიის ზარის ხმა, ძალიან შორიდან კი პატარა ბავშვის

სიმღერა: „ჩემო ციცინათელა“.

დედის ხმა: იცოდე, სამი რამის დაბრუნებაა შეუძლებელი: ნათქვამი სიტყვის, განვლილი ცხოვრების და დაკარგული დროის!.. ***(დედა ღიღინებს „ჩემო ციცინათელა...“ პარალელურად პატეფონიდან გვესმის იგივე სიმღერა)*** სანამ პატეფონზე ფირფიტას არ დავდებდი,საჭმელს პირს არ აკარებდი... ერთ მშვენიერ დღეს კი პატეფონი გაქრა... ვის სჭირდება უსარგებლო ნივთიო... ეჰ, ჩემო კარგო... ნუთუ ყველაფერი სამუდამოდ გაქრა?!.. უსარგებლო ნივთიო...

ალექსანდრე: უსარგებლო ნივთი...

შორიდან კვლავ ისმის ეკლესიის ზარის ხმა.

პასტორი: ამ ცხოვრებაში სიკეთის გზა უნდა ავირჩიოთ, დედათქვენი სწორედ ამ გზას ადგას, მართალია უსინათლოა, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ყველაფერს კარგად ხედავს და გრძნობს...

ზარის ხმა ნელ-ნელა ჩაიკარგება მუსიკაში.

ალექსანდრე: *(თავისთვის)* სიკეთის გზა... ნეტა სიკვდილის შემდეგ თუ ვნახავთ სიზმრებს...

ნატალი: მე, ზღვა დამესიზმრება, ჩემი ზღვა და ჩემი ქალაქი, თეთრი ქათქათა ქალაქი და მწვანე პალმა... ვეებერთელა ევკალიპტები, ზღვაში შეჭრილი რესტორანი, თეთრი სასტუმრო და თეთრი თეატრი, ჩემი თეატრი და კიდევ გემი... და იმ გემის კაპიტანი...

ალექსანდრე: ეს ხომ შენ მოიგონე... არავითარი კაპიტანი არ არსებობდა.

ნატალი: არსებობდა, არსებობდა... მთელი ქალაქი ელოდა მისი გემის შემოსვლას...

ალექსანდრე: იცი, მე მინდოდა შენი ნახვა იქ, მაგრამ...

ნატალი: გინდოდა და არ მნახე?..

ალექსანდრე: ჰო... ის ღამე ვერ დავივიწყე... ბესამე... ბესამე მუჩო...

ნატალი: ახლა რატომ მიხმე?..

ალექსანდრე: იმიტომ რომ მჯერა შენი!

ნატალი: მართლა ასე ფიქრობ?

ალექსანდრე: და თანაც, მინდა გადავიღო ფილმი სიყვარულზე, ოცნებაზე, თეთრ გემზე, იმ გემის კაპიტანზე და მსახიობ ქალზე, რომელიც მოუთმენლად ელის იმ გემის მოსვლას... მინდა, მაგრამ არაფერი გამომდის, სულ სხვა თემები მოძვრებიან და არ მასვენებენ – უსაქმოდ დარჩენილი ჯალათი, გილიოტინა, მამლების გილიოტინა... სასაცილოა, არა, მამლების გილიოტინა... აი, შენ თუ დამეხმარები...

ნატალი: თეთრი გემი... ყველაზე დიდი, ყველაზე ლამაზი! ვერცერთ კაპიტანს, ლოცმანის გარეშე ვერ შემოჰყავდა პორტში გემი... უფრო პატარა გემებიც... ის კი მთელი სვლით შემოდიოდა, ხალხი პორტისკენ გარბოდა, საოცარი სანახაობა იყო, საოცარი!.. ყოველგვარი მანევრის გარეშე აშეშებდა გემს ნაპირთან!.. საღამოთი კი გემზე მიღებას აწყობდა, მთელ თეატრს პატიჟებდა და მე... მე... როცა ყველა მიდიოდა...

ალექსანდრე: მერე?..

ნატალი: მერე... მერე არაფერი...

ალექსანდრე: მე, ასე წარმომიდგენია... მერე ის კაპიტანი გაქრა, დაიკარგა... არა, კი არ გაქრა... გააქრეს!.. ჰო, გააქრეს!.. ბევრს შურდა მისი... ჯაშუშობა დააბრალეს...

ნატალი: ის ქალი?

ალექსანდრე: იმ ქალს ძალიან ეშინოდა, მაგრამ მაინც, ყოველ შუაღამეს, უჩუმრად გადიოდა ნავსადგურში და გასცქეროდა ჩაშავებულ ზღვას! ***(რაღაცას ეძებს)*** აბა, ეს ლაბადა მოიხურე!.. ასე, კარგია... მშვენიერი კადრია! გაქვავებული ქალი...

ნატალი: ჰო, ვიდექი და ველოდი, ველოდი, ჩემს თეთრ გემს ველოდი!.. ამაოდ ველოდი, ამაოდ! ახლაც ამაოდ!.. მაშინაც!.. ახლაც!.. მაშინაც!.. ამაოდ!..

ალექსანდრე: ჰო, ასე, მშვენიერია... აბა, კიდევ ერთხელ გაიმეორე...

ნატალი: თავი დამანებე! შენ რა, გინდა რომ მოგონებებში ჩამახრჩო?!.. მე კი, მინდა ზღვაში დავიხრჩო თავი, ჩემს ზღვაში!..

ერთმანეთში არეული სხვადასხვა საათის წიკწიკი.

ალექსანდრე: ცარიელი პავილიონი გადაღების შემდეგ. საოცარი სიჩუმე ისადგურებს იმ დროს... ეს განსაკუთრებული სიჩუმეა... მე მიყვარს ამ სიჩუმის მოსმენა. დავბორიალობ და გადაღების დეტალებს ვიხსენებ. ერთმანეთს ენაცვლება მსახიობების, ოპერატორის, ასისტენტების, გამნათებლების, გრიმიორების ხმები... პავილიონში მიმოფანტულია მომავალი გადაღებისთვის საჭირო ნივთები. ამ ნივთებს და ამ გარემოს თითქოს ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენ, რომ კამერასთან ვდგავარ, ყველაფერი სხვა ელფერს იღებს, ყველაფერი ლაგდება... მაგრამ ხანდახან პირიქითაც ხდება, ყველაფერი ირევა და უეცრად აღმოაჩენ, რომ ის, რაც წუთის წინ ეჭვსაც არ იწვევდა, მოულოდნელად უცნაურად და წარმოუდგენლად მოგეჩვენება... ამ დროს უნდა განმარტოვდე და სიჩუმეს უნდა დაუგდო ყური... ***(ნაბიჯები. ალექსანდრე პავილიონში დაბორიალობს)*** აი, ეს გილიოტინის მაკეტია, მამლების გილიოტინის... ეს თოფი კი, თუ ჩეხოვს დაუჯერებთ, ის თოფია, რომელმაც აუცილებლად უნდა გაისროლოს... დიდი ხნის წინათ თეატრში „თოლია“ დავდგი და ეს თოფი იმ სპექტაკლის რეკვიზიტია... მოვა დრო და როგორც მოვკალი ეს თოლია, ისე მოვიკლავ თავს...

შორიდან ისმის ქალის ხმა: მე თოლია ვარ... თოლია... არა, მე მსახიობი ვარ... – ეს სიტყვები რამდენჯერმე მეორდება და მერე საერთო ხმებში ითქვიფება.

მოვიდა ადამიანი და მოწყენილობის გამო... ***(წიგნის გადაფურცვლის ხმა)*** გვერდი 121, მე-11 და მე-12 სტრიქონები... თუ შენ როდესმე დაგჭირდება ჩემი სიცოცხლე, მოდი და წაიღე ის... ***(კვლავ დაბორიალობს)*** აი, ის უსარგებლო ნივთიც... პატეფონი... ბავშვობისდროინდელი... ***(პატეფონს ქოქავს და ფირფიტას დებს)*** დედა, როგორაა გერმანულად „ხვალ“?

დედის ხმა: მორგენ!.. მოდი, რძე დალიე!

ბავშვის ხმა: ახლავე...

პატეფონიდან ისმის სიმღერა.

დედის ხმა: ალექსანდრე, გაკვეთილები მოამზადე?

ბავშვის ხმა: ჰო...

დედის ხმა: დასაწერი?

ბავშვის ხმა: ხვალ დავწერ.

დედის ხმა: ხვალ, ხვალ და არა დღეს, ასე ამბობენ ზარმაცები... აბა, როგორ იქნება გერმანულად?

ბავშვის ხმა: მორგენ, მორგენ ნურ ნიჰტ ჰოიტე...

დედის ხმა: ზაგენ ალლე ფაულენ ლოიტე...

პატეფონიდან კვლავ ისმის სიმღერის ხმა.

ალექსანდრე: მორგენ, მორგენ ნურ ნიჰტ ჰოიტე, ზაგენ ალლე ფაულენ ლოიტე...

კრიტიკოსი: ***(იმეორებს)*** მორგენ, მორგენ ნურ ნიჰტ ჰოიტე, ზაგენ ალლე ფაულენ ლოიტე... ამიტომაც, ბატონო ალექსანდრე, ზარმაცად რომ არ ჩამთვალოთ, თავს უფლებას მივცემ და რამდენიმე შეკითხვას დაგისვამთ.

შორიდან ქალის ხმა: მე თოლია ვარ... თოლია...

ალექსანდრე: ***(თავისთვის)*** მოვიდა ადამიანი და მოწყენილობის გამო...

კრიტიკოსი: ბატონი ალექსანდრე, ნეტა სიკვდილის შემდეგ თუ ვნახავ სიზმრებს, ასე ჰქვია თქვენს ფილმს რომელსაც ახლა იღებთ, რაზეა ეს ფილმი?

ალექსანდრე: სიყვარულზე... ***(პაუზის შემდეგ)*** სიზმარში ნაპოვნ სიყვარულზე...

კრიტიკოსი: რა აზრისა ხართ სიკვდილზე?

ალექსანდრე: პაპაჩემი მღვდელი იყო, ერთხელ ღრმადმოხუცებულს იგივე შეკითხვა დავუსვი... მან პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და ასე მიპასუხა — ცოტა არ იყოს მეშინიაო... — წარმოიდგინეთ, მეც მეშინია...

კრიტიკოსი: ბატონო ალექსანდრე...

ალექსანდრე: მოვრჩეთ... ღამე ცუდად მეძინა და მინდა ცოტა დავისვენო და თანაც ჩემი სამადლობელი სიტყვა მოსაფიქრებელი მაქვს.

კრიტიკოსი: ერთი შეკითხვაც, თუ შეიძლება... წარმატების შესახებ რას იტყვით?

ალექსანდრე: წარმატება ათამამებს ადამიანს, ჰგონია, რომ წინ ბევრი დრო აქვს, მაგრამ მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ მრიცხველი უკვე ჩართულია.

კვლავ საათები

ალექსანდრე: მართლა დავიღალე... უცნაურია, მაგრამ მაინც ვღელავ... „ბრინჯაოს ხარი“... ბრინჯაოს ხარი კი არა, ბრინჯაოს სირაქლემა უფრო შემეფერებოდა. მთელი ცხოვრება სირაქლემასავით თავს ქვიშაში ვმალავ და მგონია, რომ ყველაფერი რიგზეა... ეტყობა ჩემი მრიცხველი უკვე ჩაირთო... „ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა... რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება...“ ტრიგორინი კი უსტვენს... მგონი სტანისლავსკი უსტვენდა, ტრიგორინს რომ თამაშობდა... ნეტა ჩვენ მაშინდელ სპექტაკლში თუ უსტვენდა... არ მახსოვს... ბრიჯი რომ ეცვა, ის მახსოვს... მოვიდა ვიღაცა და მხოლოდ მოწყენილობის გამო... მხოლოდ და მხოლოდ... ***(ფშვინავს)*** ისევ ძველ სიზმარში დავბრუნდი...

ხმის ეფექტი: წვეთები... წვეთები... ბავშვის ნამღერი „ჩემო ციცინათელა“.

ეს ხომ მე ვარ, პატარობისას... დედამ მასწავლა... დედას უყვარდა ეს სიმღერა...

მაგრამ ვინ ვარ მე? სად ვარ?.. ***(თითქოს ჰაერს ისუნთქავს)*** ყავისა და ზღვის სურნელი... განუმეორებელი სურნელი... ბამბუკებიანი ღობიდან ქალი მიყურებს... ხელს ცისკენ იშვერს... ცაში თოლია ნავარდობს...

გასროლა.

კაცის ხმა: რა არის ეს?

ალექსანდრე: მკვდარი თოლია!

კაცის ხმა: ლამაზი ფრინველია!

ახალგაზრდა ქალის ხმა: მე, თოლია ვარ, თოლია...

კაცი: *(იწერს)* Чучело...

ახალგაზრდა ქალის ხმა: რას იწერთ?

კაცი: სიუჟეტი მოვიფიქრე პატარა მოთხრობისთვის...

ალექსანდრე: დაუსტვინე, გესმის დაუსტვინე!

კაცი: *(უსტვენს)* ზღვის პირას ცხოვრობს გოგონა, ისეთივე ლამაზი, როგორიც თქვენ ხართ... უყვარს ზღვა, თოლია... თავისუფალია როგორც თოლია... მერე... მერე შემთხვევით შეხვდება ადამიანს, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ მოწყენილობის გამო გააუბედურა... თქვენ ისეთი ლამაზი ხართ...

ალექსანდრე: როგორც ეს თოლია...

ქალის ვნებიანი სიცილი... კაცი უსტვენს...

ახალგაზრდა ქალის ხმა: სახლში შევიდეთ...

ლირიკული თემა და კაკუნი შუშაზე. კარი მკვეთრად იღება.

კრიტიკოსი: მობრძანდით!

ალექსანდრე: მაპატიეთ, კარი შემეშალა.

კრიტიკოსი: არა, არ შეგშლიათ... დიდი ხანია გელოდებით.

ალექსანდრე: მე?

კრიტიკოსი: დიახ, თქვენ! თუ თქვენ გამოცდას ვერ ჩააბარებთ, ფილმის გადაღების უფლება ჩამოგერთმევათ! აი, აქ დაბრძანდით...

ალექსანდრე: მე, აბიტურიენტი ვარ?

კრიტიკოსი: შეგიძლიათ ასე ჩათვალოთ... სახელი და გვარი?

ალექსანდრე: არ მახსოვს... თქვენც ხომ იცით, რომ დამავიწყდა...

კრიტიკოსი: კარგი, ასე ჩავწეროთ, ისააკ ბორგი...

ალექსანდრე: თქვენ ხომ იცით, რომ...

კრიტიკოსი: არაფერი არ ვიცი, მე, ის ვიცი მხოლოდ, რომ თქვენ თუ პროფესორი ბორგი ხართ, მაშინ მე ალმანი ვარ.

ალექსანდრე: ალმანი?

კრიტიკოსი: ჰო, ის ალმანი, რომელიც ცოლთან ერთად გადმოსვით მანქანიდან... მაგრამ მე ამას ყურადღებას არ მივაქცევ და ვიქნები ობიექტური. აბა, დავიწყოთ... ახლა ჩვენ შევამოწმებთ თქვენი ასოციაციური აზროვნების დონეს. მრიცხველი ჩაირთო... რომეო.

ალექსანდრე: ჯულიეტა.

კრიტიკოსი: ვიოლეტა.

ალექსანდრე: ალფრედი.

კრიტიკოსი: ჯვარცმა.

ალექსანდრე: რეკვიემი.

კრიტიკოსი: ტერორი.

ალექსანდრე: ბრუტოსი.

კრიტიკოსი: სისხლი.

ალექსანდრე: ჰამლეტი...

კრიტიკოსი: აგენტი.

ალექსანდრე: გილდესტერნი და როზენკრანცი.

კრიტიკოსი: გილიოტინა.

ალექსანდრე: მარსელიოზა.

კრიტიკოსი: მოცარტი.

ალექსანდრე: მარში.

კრიტიკოსი: რა?!.

ალექსანდრე: ჰო, მარში! ***(ღიღინებს თურქულ მარშს)*** თურქული მარში... არ გაგიგიათ?

კრიტიკოსი: როგორ არა...

იმეორებს მელოდიას, შემდეგ ორივე ერთად მღერის.

კარგი, გვეყოფა... რას აკეთებენ სიბერეში მსახიობები?

ალექსანდრე: განაგრძობენ მანჭვა-გრეხას.

კრიტიკოსი: რეჟისორები?

ალექსანდრე: სიცოცხლის ბოლომდე განაგრძობენ ხალხისთვის თვალებში ნაცრის შეყრას.

კროიტიკოსი: მწერლები?

ალექსანდრე: იმავეს... ან იქნებ...

კრიტიკოსი: დრო ამოიწურა! თქვენ ვერ ჩააბარეთ გამოცდა, ორიანს გიწერთ, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ჩვენს ჰუმანურობას და აგრეთვე იმას, რომ ქველმოქმედების დღეა, კიდევ ერთ შანსს მოგცემთ... ახლა მე თქვენ სურათებს განახვებთ და თქვენ უნდა მითხრათ, ვინ ან რაა გამოსახული ამ სურათებზე. ***(კარტივით ურევს სურათებს)*** აი, ამ სურათით დავიწყოთ... რაა ეს? ***(პაუზა)*** რა ხეა?!

ალექსანდრე: ვერ ვიხსენებ...

კრიტიკოსი: ეს პალმაა, ის პალმა, რომელთანაც სამახსოვრო სურათებს იღებდნენ... აბა, ახლა ეს ვნახოთ?

ალექსანდრე: ვერაფერს ვხედავ...

კრიტიკოსი: კარგად დაუკვირდით!

ალექსანდრე დუმს, მხოლოდ გულისცემა ისმის.

ეს ის გემია, რომელიც თქვენ ფილმში უნდა გამოჩენილიყო... ეს როგორ დაგავიწყდათ?!. ***(ანახვებს სურათებს)*** ეს?.. ეს?.. არც ეს გახსოვთ?!. გასაგებია...

ალექსანდრე: ნუღა მაწვალებთ, დამიწერეთ ორიანი და თავი დამანებეთ!

კრიტიკოსი: მხოლოდ ორიანით საქმე არ დამთავრდება... თქვენ დამნაშავე ხართ!

ალექსანდრე: დამნაშავე?!

კრიტიკოსი: დიახ, დანაშავე! თქვენ დამნაშავე ხართ იმის გამო, რომ დაივიწყეთ ის, რის გადაღებაზეც ოცნებობდით ახალგაზრდობაში, და ის, რის გადაღებასაც შემდგომში აპირებდით! თქვენი გულმავიწყობა გამოწვეულია ეგოიზმით, გულცივობით და სრული გულგრილობით.

ალექსანდრე: ჰო, გულგრილობით...

კრიტიკოსი: და რაც მთავარია, დაგავიწყდათ სიყვარული.

ალექსანდრე: სიყვარული?

კრიტიკოსი: ჰო, სიყვარული... ***(კიდევ ერთ სურათს ანახვებს)*** აბა, ეს ვინაა?

ალექსანდრე: ვერ ვიხსენებ...

კრიტიკოსი: ეს ნატალია...

ალექსანდრე: ნატალი?

კრიტიკოსი: ჰო, ნატალი... თქვენ ხომ ის გიყვარდათ.

ალექსანდრე: ჰო... ეს დიდი ხნის წინათ იყო...

კრიტიკოსი: ჰო, დიდი ხნის წინათ იყო... შემდეგ კი...

ალექსანდრე: შემდეგ კი...

კრიტიკოსი: ვთქვა, რა მოხდა შემდეგ? შემდეგ...

ალექსანდრე: არა, არ გინდათ... არ თქვათ, მე გულით ავადმყოფი ვარ...

თოლიას ფრთების ფარფატი. შორიდან ქალის ხმა: მე თოლია ვარ... თოლია... — ეს სიტყვები რამდენჯერმე მეორდება და თითქოს თოლიასთან ერთად დაფრინავს ჰაერში.

კრიტიკოსი: თოფი გამომართვით, გამომართვით! ესროლეთ!

ალექსანდრე: არ შემიძლია!

კრიტიკოსი: რაღას უყურებთ, ესროლეთ!

ალექსანდრე: არ შემიძლია!.. არ შემიძლია!

კრიტიკოსი: ბატონო ალექსანდრე!

ალექსანდრე: ***(ძილში ბორგავს)*** არ შემიძლია... არ შემიძლია...

კრიტიკოსი: ბატონო ალექსანდრე, გაიღვიძეთ, დროა უკვე...

ალექსანდრე: ***(ჯერ კიდევ ბურანშია)*** მხოლოდ და მხოლოდ მოწყენილობის გამო... ***(საბოლოოდ იღვიძებს)*** ჰო, დროა!

საზეიმო მუსიკა. აპლოდისმენტები.

ალექსანდრე: ძვირფასო მეგობრებო, დიდი მადლობა, ჩემი ესოდენი დაფასებისთვის! აი, უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, რაც ვიღებ ფილმებს, ვდგამ სპექტაკლებს, ვწერ პიესებს და სცენარებს. მთელი ცხოვრება თავს ვუმტკიცებდი, რომ ჩემს საქმიანობას აზრი ჰქონდა, რომ მას სიკეთე მოჰქონდა ადამიანებისთვის, რომ ისინი, ფილმის ან სპექტაკლის ნახვის შემდეგ, წამიერად მაინც დაივიწყებდნენ თავიანთ პრობლემებს... ვეტყოდი მათ სიმართლეს და ეს დაეხმარებოდათ გაეხსენებინათ დავიწყებული ოცნებები, დაეჯერებინათ, რომ აღარავინ მოატყუებდათ, რომ კვლავ შეიგრძნობდნენ ყავისა და ზღვის საოცარ სურნელებას, რომ კვლავ გადაიღებდნენ სურათს გრიფონებიანი შადრევნის წინ მდგარ პალმასთან, და რომ... მაგრამ მე ვერ ვთქვი სიმართლე... არ ვიცი, არ მეყო გამბედაობა თუ ნიჭი... იქნებ ორივე ერთად... მე, ვერ აგიხსნით ჩემს ამჟამინდელ მდგომარეობას... ალბათ, ყველაფერი სიზმრის ბრალია... უცნაური

სიზმარი ვნახე... სიზმარმა წარსულში დამაბრუნა... სიზმრები ხომ დავიწყებული მოგონებებია, ისეთი მოგონებები, რომლის გახსენებაც არ გინდა... ხანდახან მესმის ხმები, — დაემშვიდობე ყველას, დიდი ხანია გელოდებიან იქ, ზეცაში... და თუ სიკვდილის შემდეგაც ვნახავთ სიზმრებს, იქ მაინც ვეცდები გამოვასწორო ყველა ჩემი შეცდომა.

აპლოდისმენტები.

ალექსანდრე: მეორე დღეს ფილმის ბოლო ეპიზოდი გადავიღე და მისი სიუჟეტი მთლიანად შევცვალე, მაგრამ ვერ გამიხსენებია, ნამდვილად გადავიღე თუ ესეც სიზმარში ვნახე.

მუსიკა.

ალექსანდრე: სიუჟეტი პატარა მოთხრობისთვის... ზღვის პირას ცხოვრობს გოგონა... უყვარს ზღვა... თავისუფალია როგორც თოლია... შემდეგ?.. შემდეგ?..

ნატალი *(თავისთვის):* მე, თოლია ვარ... თოლია... შემდეგ... შემდეგ შემთხვევით შეხვდება ადამიანს, რომელმაც მხოლოდ და მხოლოდ მოწყენილობის გამო გააუბედურა... ჰო, ასე იყო სპექტაკლში... და ასე მოხდა ცხოვრებაშიც...

ალექსანდრე: მე, შენ ერთ დროს მიყვარდი...

ნატალი: ის კი დამცინოდა... დასცინოდა ჩემს ოცნებას და იმდენი მოახერხა, რომ დამავიწყა ყველაფერი... მე, თოლია ვარ... არა, არა... მე მსახიობი ვარ...

ალექსანდრე: ნატალი, ძვირფასო, რამდენი ხანია ჩვენ არ გვიცეკვია... მოდი ვიცეკვოთ *(ღიღინებს ვალსის მელოდიას).*

ნატალი: სად იყავი ამდენ ხანს, სად? დიდხანს გელოდი, მერე ვიფიქრე, რომ... არ მეგონა თუ კიდევ გნახავდი... *(აჰყვება ღიღინში ალექსანდრეს. ცეკვავენ)* ზღვა... წყნარი... ბროლივით გამჭვირვალე, ფეხდაუკარებელი თოვლივით სუფთა...

ალექსანდრე: შენ ისევ ისეთი ხარ... სულ არ შეცვლილხარ.

ნატალი: მე, თოლია ვარ... გზააბნეული თოლია...

ალექსანდრე: მე, მაშინ მთელი დღე გელოდი... მთელი დღე... რატომ არ მოხვედი?

ნატალი: რატომ, რატომ... მითხარი, ხომ ისევ ვნახავ ზღვას, ჩემს ზღვას?

ალექსანდრე: ნახავ, აუცილებლად ნახავ... და თეთრი გემიც მოვა... ოცნების გემი...

ნატალი: „თუნდ ნუ ენდობი ვარსკვლავთ სინათლეს, ნურც ცის სფეროში ტრიალსა მზისა, თუნდ ნუ ენდობი მართალთ სიმართლეს, ენდე ძალს ჩემის სიყვარულისა...“

ალექსანდრე: და რჩება მხოლოდ მოგონებები...

პატეფონის სახელურის ტრიალი. სიმღერა — „ჩემო ციცინათელა“

დედის ხმა *(ექოთი, შორიდან):* ალექსანდრე, გაკვეთილები მოამზადე?

ალექსანდრე: ჰო...

დედის ხმა *(ექოთი, შორიდან):* დასაწერი?

ალექსანდრე: ხვალ დავწერ.

დედის ხმა *(ექოთი, შორიდან):* ხვალ, ხვალ და არა დღეს, ასე ამბობენ ზარმაცები... აბა, როგორ იქნება გრმანულად?

ალექსანდრე: მორგენ, მორგენ ნურ ნიჰტ ჰოიტე...

დედის ხმა *(ექოთი, შორიდან):* ზაგენ ალლე ფაულენ ლოიტე...

პატეფონიდან კვლავ ისმის სიმღერის ხმა.

ალექსანდრე: მორგენ, მორგენ ნურ ნიჰტ ჰოიტე, ზაგენ ალლე ფაულენ ლოიტე...

სიმღერა მთავრდება.

ნეტა იმ ჩვენს სპექტაკლში ტრიგორინი უსტვენდა თუ არა...

ვარ დარეჯან ქემოკლიძე. დავიბადე 1955 წლის 15 სექტემბერს, თბილისში. 1981 წელს დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1989 წლიდან (კათედრის დაარსებიდან) 2010 წლამდე ვმუშაობდი სტუ-ს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე მასწავლებლად. ბოლო წლები (1996 წლიდან) ვირიცხებოდი სტუ-ს აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის მასწავლებლად. ამჟამად ვარ ამავე უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი. მყავს შვილი – გუგა ქემოკლიძე, ინჟინერი, და შვილიშვილი სანდრო. საბუთებით ვარ დარეჯანი, მაგრამ ამ სახელით არავინ მიცნობს. დაბადებიდან მეძახიან ჯანეტას, ჯენეტს — დედის დაჟინებული „მეცადინეობით“.

ჯანეტა ქემოკლიძე

ფიქრი

— როგორ მინდა... რაღაც განსაკუთრებული მოხდეს! — ხმამაღლა თქვა ფიქრი და გარშემომყოფთა ირონიულ მზერას წააწყდა.

ჰყვებოდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს აკვირდებოდნენ. ისიც იცინოდა, ჰბაძავდა სხვებს, მაგრამ იცოდა, რომ ასე არ უნდა მოქცეულიყო. ეს ყველაფერი — ყალბი, მისთვის მიუღებელი, არ მოსწონდა, ღლიდა.

ხშირად უფიქრია: ირგვლივ არ არიან გულწრფელი, კეთილი ადამიანები, დიდი საქმეების უანგაროდ მკეთებელი ადამიანები. ყველგან საკუთარ კეთილდღეობაზე მზრუნავი კაცუნები ფუთფუთებდნენ. მათი ცხოვრების წესად თვალთმაქცობა, სიცრუე, სხვისი ბედისადმი გულგრილობა ქცეულიყო.

როცა სიყალბითა და გაუტანლობით გადაღლილმა კინაღამ დაკარგა რწმენა, გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც უანგაროდ გაუკეთა დიდი სიკეთე. ამან მიახვედრა, რომ კაცთმოყვარე ღვთისაგან არავინაა დავიწყებული.

სიკეთე, სიკეთე . . .

რამდენიმე თვე იყო, რაც მამა გარდაეცვალა. ვერაფრით ეგუებოდა მის გაქრობას. მოიხედავდა და თვალწინ დაუდგებოდა მისი ოდნავ გვერდზე გადახრილი თავი და სანდომიანად გაღიმებული სახე.

— წადი შვილო, წადი, დაიძინე, მე არ მეძინება, ვიქნები ასე, — ახსენდებოდა ავადმყოფი მამის აკანკალებული, მადლიერებით აღსავსე ხმა და გული სტკიოდა, რომ ვერაფერი უშველა მამას, მაგრამ ხვდებოდა, რომ ყველა ადამიანი მაინც მარტოა თავის ტკივილში და მისი სიცოცხლეც ერთ დღეს ტკივილით დამთავრდებოდა ალბათ.

სულ ახსოვდა ქუჩაში ნანახი მოხუცი კაცი, რომელსაც სიცივისაგან გასწითლებოდა გამჭვირვალე ცხვირის წვერი და ზედ წვეთი ეკიდა... გამხდარი, წელში მოკაკული, უზარმაზარ ფეხსაცმლიანი, ეს საყვარელი ბაბუა ჩქარ-ჩქარა მიფრატუნდებოდა ხოლმე მოსაცდელის კიდესთან და შეშფოთებული სახით გაჰყურებდა გზას, საიდანაც ტრანსპორტი უნდა გამოჩენილიყო.

მაშინ ძალიან შეწუხდა, რომ არაფრის გაკეთება შეეძლო ამ საბრალო ადამიანისთვის. მოუნდა მოხუცთან მისვლა, მისი მოფერება, მაგრამ იფიქრა, რომ თანაგრძნობას შესაძლოა უფრო დაემცირებინა ისედაც დაბეჩავებული ადამიანი.

“უილაჯოდ იცრემლებოდა დაღლილი მგზავრი, ალალ შენი, ალალ ჩემი, დომენიკო, სუ ... “

იცოდა, რომ განსხვავებული იყო. იგი არ ჰგავდა უმრავლესობას. ასეთები კი არ უყვართ; მათ არ იღებენ; მათ ცხოვრებას განკითხვის საგნად აქცევენ ხოლმე.

არეული, მოუწესრიგებელი ცხოვრება ჰქონდა. ახარებდა ადამიანთა ერთობა, უბრალო, გულწრფელი დამოკიდებულება. ცრემლი ერეოდა, სუნთქვა ეკვროდა, როცა ქართველი ვაჟკაცების ომახიანი სიმღერა ესმოდა (ასეთ წუთებში მოუნ-

დებოდა, რომ ძალიან კარგი ყოფილიყო); როცა პოეტური და დიდებული სანახაობის — ქართული ცეკვის — მომსწრე ხდებოდა, კაცის სიძლიერისა და სიმარჯვის, ქალის კდემამოსილებისა და სინარნარის დემონსტრირება რომ იყო, უხაროდა ქართველობა.

მიაჩნდა, რომ ადამიანთა ურთიერთობაში მთავარი გულწრფელობა უნდა ყოფილიყო, ამიტომ ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა, გრძნობდა. ამის გამო ბევრჯერ სტკენია გული, მაგრამ ახსენდებოდა დიდი პიროვნებები, რომლებმაც მასზე ბევრად მეტი ითმინეს და ეს აძლევდა ძალას ყოველი დღე ხელახლა დაეწყო.

საღამოობით უსაშველო სევდა იპყრობდა და ეგონა, რომ აი, ახლა, ამ წუთში მთავრდებოდა ყველაფერი, მაგრამ დგებოდა დილა და უკვირდა წასული ღამის სიმძიმე და ეცინებოდა საკუთარ უმწეობაზე.

მიუხედავად ყველაფრისა, მოსწონდა, უხაროდა, რომ ქალი იყო და მის დანახვას შესაძლოა სიხარული მოეტანა ვინმესთვის. მერამდენედ წარმოიდგენდა, თუ როგორ მბრძანებლურად შემოატრიალებდა კაცის ძლიერი ხელი, გასაგიჟებლად მოხდენილად ამოსდებდა ნიკაპში ხელს და ნელა დაიხრებოდა მისი სახისკენ.

მთელი დღის ხეტიალის შემდეგ დაღლილი ბრუნდებოდა შინ. რაღაცნაირად სიამოვნებდა ეს დაღლილობა. გაურკვეველ გუნებაზე იყო: არც უხაროდა რამე, არც სწყინდა. დრო გადიოდა ნელა, სასიამოვნოდ და იყო ისე — მშვიდად.

თანდათან შეაწუხა რაღაცამ. თავი ასწია და იქვე, ცხვირწინ, კაცის თვალებს შეეფეთა. გახარებული თუ გაკვირვებული დიდი თვალები მოურიდებლად უყურებდნენ... შეეცადა მშვიდად მდგარიყო, მაგრამ გვერდიდან განუწყვეტლივ გრძნობდა კაცის დაჟინებულ მზერას და ეს აღელვებდა.

მოენატრა კიდევ დაენახა სიხარულით გადიდებული თვალები და მოიხედა. დიდხანს ვერ მოაშორა მზერა მამაკაცური პირდაპირობით ანთებულ სახეს. გაეღიმა... იმასაც.

თვალში მოხვდა დიდი, მეტყველი ხელები, რომელთა შეუხებლადაც იგრძნობოდა მათი დამმორჩილებელი, დამდნობი ძალა.

იდგნენ. თითქოს სითბოს ასხივებდა კაცის სხეული. ტკბილად ტეხდა ზურგის მხარე და როცა "იმან" ღრმად ამოისუნთქა... რაღაც ძალიან სასიამოვნო, ცხელი და მომთენთავი ტალღა დაეტაკა მის გაფაციცებულ ყნოსვას და აუთრთოლდა ტუჩები.

ზურგშექცევით იდგა და აღელვებდა კაცის მორჩილი დგომა და ხმამაღალი სუნთქვა.

კაცმა სიგარეტს მოუკიდა. ეწეოდა და ალბათ ვერც ამჩნევდა თუ როგორ ახვევდა ქალს სიგარეტის კვამლში.

წარმოიდგინა პირველი ფრაზები, შეხება... და უცებ ყველაფერი ჩვეულებრივი და უბრალო გახდა. არა, ასე არ უნდოდა. ღამაზი ოცნება ერჩია! ოცნებაში ხომ ყველაფერი შენი სცენარით ხდება, ისე, როგორც შენ გინდა, როგორც გეოცნებება...

ყოყმანობდა, გაცლა დააპირა... (ლუკაც ხომ გაეცლებოდა ხოლმე იმ "გადასარევ" სიხარულსა თუ ბედნიერებას, წამიერად რომ ეზიარებოდა).

ეს ვაჟკაცური აღნაგობის მამრი რაღაცნაირი უმწეო მორჩილებით ელოდა, არ თამამობდა, არ ჩქარობდა. ალბათ ისიც ყოყმანობდა, რაღაცა ძალიან კარგის გაფუჭებისა ეშინოდა. აშკარა ქართული გარეგნობით გამორჩეულს, ალბათ მოჭარბებული გრძნობებიც "ერჩოდა", მაგრამ თავს იკავებდა. რაინდობა ხომ ქართველთა წესი იყო ოდითგანვე. ქართველებმა ხომ განსაკუთრებულად იცოდნენ ქალის სიყვარული, მისადმი ლტოლვის გამოხატვა, რაც ქალს კიდევ უფრო საოცნებოს და სათაყვანებელს ხდიდა.

ვიდრე წავიდოდა, მაინც მოიხედა... უკან აღარავინ იდგა (იქნებ მოეჩვენა ყველაფერი?!). რაღაც ჩასწყდა შიგნით. გზა განაგრძო, ჩაფიქრდა, თანდათან გახალისდა: თვითონაც ხომ ასე აპირებდა? ხომ ასე უნდოდა? კაცი მიხვდა, ისე გააკეთა, როგორც უკეთესი იყო. ახლა კარგ მოგონებად ექნება. ეჭვიც არ შეჰპარვია, რომ "იმან" თავისი მოწონება ასე გამოხატა. მთელი არსებით გრძნობდა, რომ კაცი მასთან იყო, მოჰყვებოდა, მაგრამ ასე გადაწყვიტა (აი, როგორია ქართველი ვაჟკაცი: თავშეკავებული, დინჯი, პატიოსანი, ძლიერი...)!..

სწორედ ამიტომ მოსწონდა, ქალი რომ იყო. იგი ხომ სიხარულად, დარდად, საჭიროებად მოავლინეს; უიმისოდ ხომ უფერული იყო ყველაფერი კარგი!

დღეს განსაკუთრებული რამ მოხდა!

წამიერი აფეთქება არ გაიმეტება

„ყველა ადამიანი მაინც მარტოა" — ეს ეგზისტენციური ტკივილი გამსჭვალავს **ჯანეტა ქემოკლიძის** ამ ჩანაწერს **„ფიქრი"**, რომელიც დღიურის ერთ ფურცელს ჰგავს. განსაკუთრებული არაფერია, დღეები მიდიან და თან მიაქვთ მწუხარება და სიხარული, ყოველივე შემოდგომის ფოთლებივით ფერმკრთალდება და იკარგება დროის უცვლელ, მონოტონურსა და გულგრილ მდინარებაში. თუმცა ამ ერთფეროვნებაში გაკრთებიან წუთები, რომლებიც დარდისგან, სიყალბისა და ათასგვარი წვრილმანი საფიქრალისგან განაცრისფერებულ დღეს გააფერადებენ და მოულოდნელად ქუჩაში გაელვებასავით შეხვედრას დასამახსოვრებელ, სულისშემძვრელ ამბად გადააქცევენ. მერე ეს ამბავი შეიძლება მინიატურადაც იქცეს თავისი ჩუმი სევდითა და სიცოცხლის ხიბლის შეგრძნებით.

ფიქრი მინიატურად იქცა და შეიკრა დასაწყისი და ბოლო ფრაზებით. „როგორ მინდა, რაღაც განსაკუთრებული მოხდეს" — ეს სურვილი მკითხველსაც გადაედება და აჩენს მოლოდინს, თხრობას იმ აუცილებელი ენერგიით მუხტავს, რომელმაც მკითხველი მთხრობელის განცდათა თანაზიარად უნდა აქციოს. მართლაც, საკმარისია მიიხედ-მოიხედო, კარგად დააკვირდე, შეჩვეულ გარემოს უცხოს თვალით მიმოავლო მზერა და ყველაფერი შეიცვლება — ცხოვრება იქცევა თეატრად, რომლის რეჟისორიც, მსახიობიცა და მაყურებელიც თვითონვე აღმოჩნდები. გამახვილებული ყურთასმენა სხვათა გულებში გამოგზაურებს და დაიძლევა მტანჯველი მარტოობის განცდა, შენც ამ უსასრულო და ფერადი თამაშის მონაწილედ იქცევი, რომლისთვისაც ერთნაირად მნიშვნელოვანია გამარჯვებაცა და დამარცხებაც, სიყვარულიცა და სიძულვილიც, გულწრფელობაცა და მოჩვენებითობაც — სხვანაირად ცხოვრებას გამოაკლდებოდა ის დრამატიზმი, რომელიც შავისა და თეთრის კონტრასტისა თუ შეჯახებისას იქმნება. ეს წამიერი აფეთქება, გულების გამთლიანება, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, ბადებს ღვთიურის შეგრძნებას, ამიტომაცაა, რომ ქალმა უცნაური სიხარული იგრძნო, როდესაც უცხო კაცის დაჟინებულ, თბილ მზერას წააწყდა. რა მოხდებოდა, თუ ამ სივრცეში დაკიდებულ მზერას მოჰყვებოდა რეალური გაცნობა? მთხრობელს არ ემეტება ეს წამიერი აფეთქება გაანელოს და დაამიწოს, ამიტომაც არ განირა ოცნება განხორციელებისთვის. სწორედ ამიტომაც იქცა ერთი ჩვეულებრივი დღე განსაკუთრებულად.

მაია ჯალიაშვილი



არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ჩემი ბოცორია

წვიმაში
(ჩვენს ქალაქში ხომ ნიადაგ წვიმს!)
ჩემი ბავშვობის ქუჩაში
(რომელზედაც ყველას ვერ ვაძლევ გავლის უფლებას)
ჩქარი ნაბიჯით მიმავალს
(რადგან გაგვირბოდი ყველას, ყველაფერს,
სოფელს, გზებს, მეზობლებს...)
გაგიხსენებ, შველივით დამფრთხალს
(საიდან უნდა გვცოდნოდა უგუნურთ,
რომ მონადირეები სულ ფხიზლობენ,
შენისთანებზე ნადირობის სეზონი კი
მთელი წელიწადი გახსნილია),
რკინიგზელის გრძელ, კაპიუშონიან,
ჩალისფერ-მომწვანო ლაბადაში,
ზურგჩანთით, კეპიანი ქუდით.
ბავშვებს გვაშინებდნენ შენი სახელით,
ამიტომაც არც თუ ისე გაბედულად,
ღობე-ყორეს ამოფარებულნი,
თვალს და საჩვენებელ თითს გაყოლებთ
გულის ბაგუნით
და შენი სახელის დამარცვლა-გადაჩურჩულებით:
„ბოცო-რია,
ბო-ცო-რი-ა“...

ვინ და რა იყავი, ჩემო ბოცორია,
ან სადაური და რანაირი,
და რამდენჯერ იყავი (ან იქნებ ხარ?!),
ან სად ხარ, როგორ,
და როდემდის თუ როდინდელი,
ვისი სასო და რისი მაქნისი...
რამდენჯერ მოგიკითხე, გაგიხსენე,
ვის აღარ შევჩივლე,
თვალები დავხუჭე და დაგემუქრე,
სანამ არ დამენახვები, არ გავახელ-მეთქი,
და მაინც რომ არ გამოჩნდი,
დაგისიზმრე!
მერე ისევ მოგისაკლისებდა
ჩემი სიბალღე-სიყრმის სინაცრისფრე,
მომენატრებოდი,
როგორც წამოლანდება კეთილი ანგელოზის,
უსხეულოსი,
ჭრიჭინობელას ფრთებივით გამჭვირვალის,
როცა ვბარგდებოდი, ამასობაში ათჯერ მაინც,
ჩემი ქუჩიდან სხვა კონტინენტებზე,
ხოლო ასის ნახევარჯერ –
მარტის ყრმობიდან სულ სხვა ასაკებში!
გულდაწყვეტილი იმასაც ვიტყვი ახლა ხმამაღლა,
რომ ვერ მიმხვდარვარ,
საიდან, რატომ ან რანაირად გამოჩნდი ჩვენდა ბედად
მწირი ქუჩაში,
ხოლო ჩვენი ბავშვობების ეზოებში
ერთხელაც არ შემოაბიჯე
(მხოლოდ ლოცვა-დალოცვით მოგვწვდი;
მაგრამ ამას ხომ მხოლოდ ახლა ვგრძნობ,
ცაო, რა გვიან!),
არ მომეფერე ხელის გადასმით,
არ შემომხედე გატანჯულს ასთმით,
არ მანუგეშე ორი სიტყვით –
გამაცოცხლებდა, მაგალითად, წარმოთქმული
შენ მიერ
„ღმერთი“, „არსებობს“,
ან
„იესო“, „გლოცავს“,
ან
„პატარავ“, „გამაგრდი“,
ან
„ისევ“, „მოვალ“!
ნუთუ, არც ერთხელ არ შეტოკდი ამდენი ბავშვის
და იმათ შორის ჩემს დანახვაზე
(ჩემს გულს კი ახსოვს, როგორ შეტოკდი!)?!
კარგა ხანია, ვიცი, რატომ შველივით იყავი ფრთხილი –
გრძნობდი თურმე ყოველ ჩახმახს შეყენებულს,
დაუნდობელ მონადირეთა.
ეს რაგვარ ტყეში დაწყებულა ჩვენი ამბავი...

„იცი, ვინ მოუკლავთო?
გახსოვსო, ბოცორია?!“ –
მითხრეს ბათუმში ჩასულს დილით
და დამტოვეს აგრერიგად გაოგნებული
ამ სიცხადით კი არა, სიზმრით...
რამდენი წელი და რამდენი დრო და ხანი,
რამდენი ღამე და რამდენი ზამთარი ვერა,
ვერ მიმეგნო მისთვის, მის კვალისთვისაც,
ისიც ვერ მითხრეს, სად მეძებნა,
ცოცხალი იყო ან თუ მკვდარი ის როდინდელი,
და მკვლელმა კიდევ,
იმ იღბალ- და ფიქრსისხლიანმა,
როგორ მიაგნო?
ვით იპოვა ის ბედისწერამ?

მწუხარებამ და მონატრებამ
ერთად უცებ ბალღად მაქციეს:
გისოსებივით ღობის უკან ვდგავარ ისევ,
რაღაც ძალა ფეხებს მიბორკავს
(როგორც ხდება ბავშვის სიზმარში),
რომ გამოვვარდე ძველ ქუჩაში,
არ მივაქციო ყურადღება
იქ გამვლელებს და გამომვლელებს,
მივვარდე საწყალ ბოცორიას – „ჩემს მაწანწალას“!
ქუჩა სავსეა
(ხალხი, როგორც ყოველთვის, მოცალეობს უპირატესად),

და ვერავინ კი ვერ ხედავს, რომ
ბოცორია წაიქცა და იცლება სისხლად.
რა, რა მოხდა?
ნუთუ ესროლეს?
იქნებ დანა გაუყარეს?
— ბოცორია!
არ მოკვდე, გესმის?!
ასე პატარას ნუ მიმატოვებ,
თორემ მეტი ვინ ილოცებს,
ვინ ილოცებს, მითხარი, ჩემთვის?
რამდენი წელი უნდა გავიდეს
(ოცდაათი მაინც, ხომ იცი?!),
რომ გავიგო ღმერთი, მისკენ სავალ გზას დავადგე!
მერე რა მიჭირს?!
ბოცორია იღიმება და, არ მოვკვდებიო, მპირდება!
მჯერა
(თანაც მე სულელს მართლა მგონია, ასე რომ თქვა,
არასოდეს აღარ მოკვდება!)...

და ახლა, აგერ, ამდენი წლის მერე, ქალაქში,
მეუბნებიან,
მოუკლავთო ბოცორია...
მონასტრის ჭიშკარს მიღწეული,
ველარ ვბედავ, გისაყვედურო,
ვზლუქუნებ კია

შეიბრალა ჩვენი ქალაქი
და ილოცა,
არ ყოფილიყო მისი მკვლელი ამ მიწა-წყლის, ჰო, აქაური,
ამ პროვინციულად მყუდრო,
ნესტიან
და თბილ ქალაქში დაბადებული;
გადამთიელი ჩამოეხეტა
ჩვენი ქალაქის ყველა ქუჩის, წვიმის, აკვნის
და პალმის ხის მცველ ანგელოზის,
ხორცშესხმულის, გასამეტებლად!
ესეც გვამშვიდებს.

* * *

მოდის, მოდისო, ხმა დაირხა.
აღარ ვიცი, რამდენი წლის ვარ.
ამ წვიმაში, ზურგებს უკან, გაწუწული
ველოდები, როგორც მაშინ,
როგორც ყოველთვის.
მოულოდნელად ხელს ჩამკიდებს და მივყავარ.
გადვივლით ქუჩებს,
ეზოებს და სახლებს ჩავუვლით,
გავუყვებით სოუქსოსკენ,
ავინაცვლებთ ზევით თანდათან,
აღმართ-აღმართ,
საფლავ-საფლავ,
გრანიტ-გრანიტ,
სახელ-სახელ,
ტკივილ-ტკივილ
და საყდარსაც მივადგებით,
ძველ, პაწია, ცისფრად ღებილ,
ფერად-ფერად ხატებით და
ხელოვნური ყვავილებით გაჯერებულ,
სინესტის და სიძველის და საკმევლის ამბრ-სურნელებით
გაჯირჯვებულ ხის ერთ ტაძარს.
ბღუჯა-ბღუჯა სანთლებს ვანთებთ.
„რა მილეთის ხალხია დღეს, – მიკვირს, –

მხატვარი ნოდარ ბადურაშვილი

სოუქსობა-დღე თუ დადგა უკვე?!“
„არა, შვილო! ოღონდ ცოცხლებს,
დაინახონ ყველაფერი რომ არ ძალუძთ,
შენც ხომ იცი“, – მითხრა მერე,
ქვემოთ ერთად რომ დავბრუნდით
და საყდარში მივაშტერდით ფრესკებს, კედლებს –
მცველებს
ჩვენი სამშობლოს და ხალხის,
ამ ცის,
ამ წყლის
და
ამ მიწის...

ასე ვიარე ბოცორიასთან ერთად მთელი დღე...
გულში ვეფერე მასაც, ქალაქსაც.
იმ საშინელი მკვლელობის ცივ ტკივილ-სირცხვილს ხომ
ჯერჯერობით მერმისი ფარავს,
და სანამ ქვიშა საათებში
ან ისრები მოწიკწიკე ციფერბლატებზე
არ მიაღწევენ ნიშნულ წუთებს,
ან ვიდრე არ ჩაადნება დრო მომავალს
შარშანდელი თოვლივით ხელში,
ამ ნანახი სიზმრით ვსუნთქავ...
ხოლო როცა თოვლი დნება,
ამდენი წლის იმედით და მოლოდინით თეთრი
თოვლი,
გადაიხსნება თეატრონის ძველძველი ფარდა,
და შეგვაძრწუნებს
ქალაქის დილის
საწვიმარი ღრუბლებისფერ სამოსელზე
დამჩნეული
სისხლის წვეთები!

* * *

ზღვასთან და მერხთან განშორების მკაცრ წელიწადს
შუაღამეს გადამწვარი ეკლესიის ცეცხლის ენები
გვეალმურებით!
შემოგვენთებით
უბოცორიოდ დარჩენილი ზღვის ქალაქის მისტერიების
ცა და სცენები.

2013
ივლისი-აგვისტო-სექტემბერი

მაკა ჯოხაძე

ბავშვობა — ნიჟარაში შენახული სამყარო

(არქიმანდრიტ ადამის ერთი ლექსის გამო)

დღევანდელი ლექსი გაჩეხილ ტყეს ჰგავს, უჟანგბადობით სულშეხუთულს. რითმა, რიტმი, მოტივი, ტროპი, მეტაფორა... სადღაც უღრანებში გაფრინდნენ, როგორც თბილ ქვეყნებში ჩიტები. თვით ინტონაციასაც ვერ დაიჭერ, ვინ ვინაა, ვერ გამოიცნობ, ვის ხმას ისმენ, რომელი ავტორია...

მხოლოდ ინტელექტის მონოტონური ჩაქუჩებით დაბეჩავებული ინსტინქტების მოსულიერება. ინსტინქტიც — თვითგადარჩენის ეს მდაბიური საფეხურიც — თითქოს მოეშვა და სამუდამოდ მოდუნდა.

სამშობლოს, მეგობრობის, სიყვარულის... აღარც ჰორიზონტზე ჩამავალი მზის გამოსათხოვარი სხივი ჭიატობს სადმე.

ნოტიო, ცრემლით დანამული, სადა, ძუნწი და უსამკაულოა ტერენტი გრანელის ლექსი, სწორედ ამის გამო დღემდე ყველაზე სასურველ პოეტად რჩება ხმაურით შეშლილი ახალგაზრდებისათვის.

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

სიმშვიდეს რახანია სამოთხე ჰქვია და იდუმალებითაა სავსე. ლექსს რომ იდუმალება უნდა ახლდეს, ეს ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა. ლექსი ან უნდა ასხივებდეს, ან თვითონ ყვინთავდეს საიდუმლოს ველში და უჩვეულო ხილვები პოეზიის პაროლებივით ამოჰქონდეს.

„ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“... მკითხველს კი საიდუმლოს ამოხსნის მწვავე სურვილი კლავდეს: ნეტა რა ეწერა იმ პერგამენტზე, რომლის წაკითხვაც მხოლოდ გალაკტიონს შეეძლო?!

დღევანდელი პოეზია ისეთივე ძალაგამოცლილი და იდუმალებაახდილია (ზოგის ხელში ნამუსახდილიც), როგორც ნებისმიერი გამჭვირვალე ბოროტება სამყაროში. არსებობს იშვიათი ტექნიკით, ერთგვარი პროფესიონალიზმით შესრულებული, ერთი შეხედვით გემოვნებიანი, საინტერესო ლექსები, რომლებიც კითხვის პროცესში სულაც არ აჩენენ მოწყენილობის განცდას. მაგრამ დახურავ თუ არა წიგნს, რაღაც უცნაური სიცარიელე დაისადგურებს შენში, რომელიც იმ განწილებებს ჰგავს, ბავშვობაში საპნის ცისარტყელისფერ ბუშტებს ჰაერში რომ უშვებდი და ჩნდებოდა ილუზია — სფეროში ჩასმული შენც მსუბუქად ირწეოდი, სივრცეში ხანგრძლივ მოგზაურობას იწყებდი. მართალია, ბუშტები წამდაუწუმ სკდებოდნენ, მაგრამ სულის შებერვით ჯიუტად განაგრძობდი ამ სასურველი შეგრძნებების აღდგენასა თუ გაღვივებას. პატარას, რა თქმა უნდა, ჯერ არ შეეძლო მათი ლამაზი ფარფატი, როგორც თეთრი პეპლების ერთდღიანი ნათება, ცხოვრების მეტაფორად ექცია, მაგრამ ქვეცნობიერად ბავშვის სიჯიუტე სიცოცხლის ხანმოკლე დღესასწაულის გახანგრძლივებას ცდილობდა.

ნამდვილი ლექსი რაღაც ძალიან მნიშვნელოვანს უნდა ტოვებდეს მკითხველში. არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) მთელი შემოქმედება ეკლადქცეული ამ მნიშვნელოვანი ღირებულებების გოლგოთის გზით მატარებელია. მისთვის ყოველი მართალი შემოქმედი ამ გზას გადის, დასაბამიდან ამ გზას იმეორებს, რადგან შემოქმედება, მაღალი გაგებით, ჭეშმარიტების დაცვა, დამოწმება და მისთვის მხატვრული ხორცშესხმაა („ეკლები“). როგორც ჰეგელი იტყოდა, ნამდვილმა ხელოვნებამ ღვთის წინაშე უნდა ჰპოვოს თავისი გამართლება.

ამ არაორდინარული ადამიანის, დიდებული მეცნიერის, ექიმის, ფილოსოფოსის, სასულიერო მოღვაწისა და პოეტის ცხოვრების წესი და შემოქმედება ერთი მთლიანობაა, სიტყვისა და საქმის განუყოფლობაა. ამიტომაც ეჭვმიუტანლად უჯერებ:

არ გავრბოდი-გავურბოდი თოვლისა და წვიმის სისველეს,
არც მელნისას, არც ცრემლებისას, არც სისხლისას...
მათკენ ვილტვოდი — მიზიდავდნენ
.....
უნდა მეწერა, ისევ მეწერა, ვეწამებოდი.
არცერთი სიტყვა არ ჭაჭანებდა ჩემი გონების
გალაქტიკაში“.
(„ძაღლი და პოეტი“)

მელნის, ცრემლისა და სისხლისაკენ ასეთ ლტოლვას („მე სისხლით ვწერდი, მხოლოდ სისხლით და არა მელნით“ — გალაკტიონი) დიდი სისავსე აჩენს, რომელიც გამუდმებით სინათლის ჩქერად გადმოღვრას ცდილობს, რათა ნათელი მოეფინოს ყოველივე დაფარულს ცისქვეშეთში.

საკუთარი სახლის, საკუთარი ეზო-კარის, ბავშვობისა და გარდასული ჟამის გავლით მამა ადამის შემოქმედებაში გადაშლილია დღევანდელი სამყაროს ბიოეთიკური, ფსიქოლოგიური, მორალური თუ ეკოლოგიური სურათი. მკურნალის, პოეტისა და წინასწარმეტყველის რენდგენული ხედვა და ექიმის მძიმე დიაგნოზი. ყოველივეს კი მაშველი რგოლივით ევლინება სარწმუნოებაში მტკიცედ მდგარი არქიმანდრიტის სულიერი ძლევამოსილება და ძალისხმევა, ურწმუნობით დაზაფრულ, დაბნეულ ადამიანებს ადამიანად ყოფნის მთელი სიმწვავე და ხიბლი აუხსნას, განაცდევინოს.

მამა ადამს აქვს ერთი ვედრებასავით ლექსი „დამაბრუნეთ, ბავშვობაში დამაბრუნეთ“ — ამ ლექსით შეიძლება მთლიანად გავხსნათ კაცის ბუნება. გარდასული უკან აღარ ბრუნდება, მაგრამ მისი ისეთი მწველი მონატრება და ნოსტალგიაა ამ ლექსში, რომ უზენაესი თითქმის ხელშეუხებლად, უბიწოდ და დაუყვედრებლად უბრუნებს შემოქმედებაში ყველაფერს, რაც ნახა და გადაიტანა. მამა ადამის პოეტური ტალანტი რწყავს ბავშვობისდროინდელ მინდვრებს, ქუჩებს, სახლებს, სახურავებს, ფანჯრებს, ეზოებს, ხეებს, ცხოველებს, ფრინველებს, ადამიანთა სახეებს, გახუნებულ ტერასებს ისევე უბრუნდება ფერი, როგორც ნიჟარებს („ოთხი ნიჟარა“), როგორც სანაპიროს და კენჭებს, ტალღის მოვარდნისას წყალში ამოვლებულებს, რომელთა დიდი ნაწილიც ზღვის სიღრმეში მიჰყვება სტიქიის ნება-სურვილს, დარჩენილები და ფერზემოსულები ცდილობენ საკუთარი ფერადოვნებით მოგვხიბლონ. რადგან მათთვისაც წყალი არა მხოლოდ სანუკვარი, არამედ საკრალური წყალობაცაა, მათი მაცოცხლებელია, მათთვისაც ფერისა და ფორმის მიმცემია, მათი მკვრივი შეუვალობისათვის ნონის და ფასის მიმნიჭებელი.

რისი დაბრუნება გინდა? რა გსურს ყველაზე მეტად? რა იყო შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? აი, ამის და კიდევ უამრავი კითხვის საპასუხოდ იხსნება არქიმანდრიტ ადამის პირველქმნილი, თანდაყოლილი შეგრძნებების გაუხუნარი სამყარო. უკვე ზრდასრული, საერო თუ რელიგიური ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით აღსავსე მისი მძლავრი ინტელექტის სათავე პირველწყარო ბავშვობისეული შეგრძნებებია, ამიტომაც ამ დაშიფრული, პოეტური ხატების შემხედვარეს ბუნებრივად გამოგაქვს დასკვნა, რომ არა მხოლოდ მოძღვრის, სასულიერო პირის, არქიმანდრიტის, არამედ არც პატარა ვახტანგის ბავშვობა ყოფილა ჩვეულებრივი. უფრო ზუსტად, სევდითა და სიხარულით გაჯერებული მისი ბავშვობაც არ იყო მოზარდის ცხოვრება. რომ მისი ყმაწვილური განცდის ხარისხი იმთავითვე ღრმა და შემაშფოთებლად არაასაკისეულიც კი იყო.

ამიტომ, ასე მგონია, მისი მფარველი ანგელოზის საზრუნავი და საფიქრალიც გაცილებით მეტი იყო, რადგან იმთავითვე საოცრად გაფაქიზებული ემოციისა და მდიდარი ფანტაზიის მქონე ბავშვის დაცვა ევალებოდა, რათა ხიფათებგამოღწეულსა და დაკაცებულს მომავალში სწორედ ამ ხაფანგებისა და ხიფათებისაგან ეხსნა ათასობით ცოდვილი სული. აღმოჩნდა, რომ ეს იყო და არის არა მხოლოდ როგორც სასულიერო პირის (მოღვაწის), არამედ, როგორც სიტყვის შემოქმედის, პოეტ ვახტანგ ახალაძის მისიაც. ასე ზოგადდება წინამდებარე ვრცელ ლექსსა თუ მიკროპოემაში ბოცორიას იდუმალი სახე. ყველა ჩვენგანს წვიმიანი თუ მზიანი ბავშვობის ფერდობებზე მიმავალი ჩვენ-ჩვენი ბოცორია გვახსოვს, რომლითაც გვაფრთხობდნენ, გვაშინებდნენ გულუბრყვილო, მზრუნველი ახლობლები და ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ ეს „გუდიანი კაცები“ მამა ადამივით ჩვენც ასე მოგვენატრებოდნენ:

როგორც წამოლანდება კეთილი ანგელოზის,
უსხეულოსი,
ჭრიჭინობელას ფრთებივით გამჭვირვალის,
როცა ვბარგდებოდი ამასობაში ათჯერ მაინც,
ჩემი ქუჩებიდან სხვა კონტინენტებზე,
ხოლო ასის ნახევარჯერ —
მარტის ყრმობიდან სულ სხვა ასაკებში!..

(„წვიმაში“)

ბოცორია, ჩემი ბოცორია, როგორც ღვთისაკენ მიდრეკილ გზაზე ჩვილი სულების „სტალკერი“ და გზამკვლევი. ბოცორია — მგზავრი კეთილი, დასაბამიდან გააფთრებით რომ ნადირობდნენ მასზე ავი სულები, ხშირად კლავდნენ კიდეც შარაგზებზე, შუკებსა და შუა ქუჩებში, მაგრამ მაინც ფენიქსივით წამომართულები ჩვენი ბავშვობის მღვიმეებში განაგრძობდნენ სიცოცხლეს ეს უცნაური ფეხშიშველა კაცები, მარადიული „მაწანწალები“, მწირები, მგზავრები, ქრისტესთვის შეშლილი სალოსები.

ბოცორია! არ მოკვდე, გესმის?!
ასე პატარას ნუ მიმატოვებ,
თორემ მეტი ვინ ილოცებს,
ვინ ილოცებს, მითხარი, ჩემთვის?

ეს ვედრება ქარიშხლით გამორიყულ ნიჟარასავით აგდია ბავშვობის მცხუნვარე ქვიშაზე და ვარდისფერ წიაღში სისხლიან საიდუმლოს ინახავს.

პოემა „წვიმაში“ არაჩვეულებრივი საბუთი და დასტურია იმისა, თუ როგორი ვნებებითა და განცდებით სავსე სრულყოფილი სულიერი ცხოვრებით ცოცხლობენ ჩვენი პატარები, მათ იდუმალ სამყაროზე კი უფროსებს ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გაგვაჩნია...

ამ ერთი ლექსის პუბლიკაციით — თითქმის 100 წლის წინათ რომ დაიწერა მეგრულად და ჩვენს დღეებში თარგმნა სალიტერატურო ქართულით ჩინებულმა პოეტმა ბათუ დანელიამ — წარმოგიდგენთ მეტად ტრაგიკული ბედის მწერალს დანიელ ფიფიას, ვინც ცრუ ბრალდებით, გაუსამართლებლად დახვრიტეს ბოლშევიკებმა 1924 წლის სექტემბერში, სრულიად ახალგაზრდა, ოცდარვა წლისა...

ეს ლექსი მისი პირველი და ერთადერთი წიგნიდანაა.

„ბორჯი“ სოლიდური და მომზიდველი გამოცემაა, მადლიერ შთამომავალთა გულმოდგინებით რომ აღმოჩნდა სამზეოზე („ივერიონი“, შემდგენელ-რედაქტორი — თამაზ ფიფია) და აერთიანებს დანიელ ფიფიას ლიტერატურულ მემკვიდრეობას: შთამბეჭდავ ლექსებსა და პოემას, საინტერესო თარგმანებს, საყურადღებო პროზაულ ნიმუშებს ანუ ყოველივეს, რაც მისი უერთგულესი დის, ნინუცა ფიფიას თავგამოდებით გამოღწეულა „წითელი ჯოჯოხეთიდან“. გამოღწეულა მრავალგზის ჩხრეკის შედეგად დამცრობილი, მიწაში ნამარხი, სხვენისა და სარდაფის კუნჭულებში ნამალავი...

ლექსები გამოქვეყნებულია ისე, როგორაც დაუწერია ავტორს — მეგრულად და ქართულად, და, ცხადია, არანაირ სეპარატიზმს არ გულისხმობს და, შესაბამისად, შორსაა ფობიისაგან, ცრუპატრიოტთა მიერ დროდადრო რომ ღვივდება ხოლმე.

დანიელ ფიფიას შეუდგენია აგრეთვე მეგრულ-ქართული ლექსიკონი, რათა მშობლიური ენის წიაღიდან უძველესი მარგალიტები შემოენახა შთამომავლობისათვის. ეს ნაშრომი წიგნებადაა გამოცემული „ინტელექტისა“ და „არტანუჯის“ მიერ 1999 და 2008 წლებში.

ასე რომ, დანიელ ფიფიას ღვაწლისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის წარმოჩენა დაწყებულია და, ცხადია, ჩვენი ჟურნალიც ძალისხმევას არ დაიშურებს ღირსეული მამულიშვილის მეორე სიცოცხლისათვის.

დანიელ ფიფია

ჟამი

ჟამო, შენია ძველიც, ახალიც,
შენ გაბარია ყოვლი სრულებით.
რა არ გაცვითე, ვინ არ დაღალე,
სად არ დატოვე ნაფეხურები!

სულ ერთნაირად სწრაფი ესოდენ —
სულ ერთნაირად ჰქრი და ირევი...
მხოლოდ შენ იცი, ვინ სად შესცოდა,
და ვის სად რა აქვს ნაჯახირევი.

გულში ფიქრადაც არვის გაუვლის —
მისი ხსოვნაც კი ყველას განელტვის:
მხოლოდ შენ გახსოვს ის სასწაული —
მზისგან მოწყვეტა ჩვენი პლანეტის.

შენ ჭვრეტდი მიწის, ბედისწერიან,
პირველ ტრიალს და დაცლას სისხლისგან...
პირველ ღამისთვის შენ გიცქერია
პირველი დილის თენებისთვისაც.

ჟამო, შენ პატივს არვის არა სცემ,
მაგრამ არც შენებრს ვცნობთ ავკარგიანს:
შენს სიმართლესთან, ამ ქვეყანაზე,
მადლი არავის არ დაკარგვია.

ადამიანი ძმას ცუდს უკეთებს —
ქვას დაუშენს და კეტს უთავაზებს.
აქებს, ადიდებს ავს და უკეთურს,
დევნის სიკეთეს და სილამაზეს.

ყველას ჰგონია, თვითონ აკეთებს
სხვაზე კარგსა და ნათლით შეფუთვნილს,
ჟამს აქვს თავისი გადასახედი
და გვაძლევს იმას, რაიც გვეკუთვნის.



ალმაცერია „გუშინ“
და არშემდგარი დღეს
არ ვიცი
რა იქნება ხვალ?
დაიფშვნება ქვა
და იქნება რაღაც, სულ სხვა
რაც არ ლპება
და არ იწვის.
ალბათ ესმის ეს
წისქვილს
რომელიც გამალებით ფქვავს
ოღონდაც, სხვა არაფერი თქვას,
ოღონდაც სხვა არაფერი თქვას
და ის, რაც მან იცის.

რეზო ესაძე

ფიქრი

ხან იმალება ფიქრი,
დამალულ ფიქრით დავალ
ხშირად ქარივით მიჰქრის
აწყდება ზეცის თავანს...

ხან მივაბოტებ ზანტად
ფეხის გადადგმა მიჭირს,
ხან გზა გზის ფიქრებს მატანს
ხან ბეჭზე მაზის იჭვით

ვწევარ, მღვიძავს თუ მძინავს
ვიცი, მიმელის თრთოლვით,
ჩემი ვალია მისი
პატრონობა და მოვლა

ბევრი რამაა ქვეყნად,
სამშობლო არის ერთი
და რაც არ უნდა ერქვას
ისაა ჩემი ღმერთი

ვლოცულობ, პირჯვარს ვიწერ
ღმერთო რა კარგი არის
მიხმობს მე ზარი ისევ
ისევ ნანაობს ქარი

ზარი მეძახის კვლავაც
ვდგავარ პირისპირ, მარტო,
ვდგავარ და არსად წავალ
და ნუღარ მკითხავთ, რატომ.

მშრალი ღელე და ზარი

როგორ მინდოდა მოსულიყავი
ამ ოთახისთვის დაგევლო ხელი
და გესროლა ფანჯრიდან გარეთ,..

გარემო იყო მომართული როგორც ისარი...

არ იყო მწვანე — ბალახი ყარდა,
თვალიდან, სველი სიმწარის გარდა
ცრემლი არ ჩანდა.

ფაფარაშლილი მღვდელი იდგა მონასტრის კართან, —
ხმას არ იღებდა
არ იწმენდდა სისხლიან თვალებს...
იდგა ჟამი მეორედ მოსვლის,
ცას თავზე ნისლი წაეფარა, დრო იყო ლოცვის, ყველაფერი
რაც აქ იყო, ირხეოდა ტოტიდან ტოტზე
აჰა, ეს წყალიც მოვიტანე და დავდგი

თუნგით, თუკი გრძნობა მაინც დარჩა ოდნავ ცინცხალი,
ჯერ წინ წყალია, მერე ღელე
რომელიც იწვდის ჩემსკენ ხელებს
და მეძახის შვილო, მიშველე...

მხმობს ეკლესია
ცრემლგამშრალი კიდია ზარი!

* * *

(და) ნელა სველდება ფარდა,
(და) ოდის კედელი სველია წვიმით...
ო, მანდ ვინ არის?
ვინ გამიხსენა წვიმიან დილით?
...
ვწევარ,
საბანს ვიკეცავ და ვხუჭავ თვალებს,..
ისევ იალებს და ხეებს ზანტად
მუქი ღრუბელი თავს დასტრიალებს...

ადრეძორწილი

ორსული სული ითხოვს სინატიფეს
მიუთითებს გაშალონ ფარჩა
და გზნებით მომზირალი
დროზე ადრე დაამწიფებს ყმაწვილურ გარჯას
რაც თითქოს არ ჩანს, თუმც სულს უმანკოს ედება ალი
სად ქალია უპირველეს მეტი ხელმწიფე

კვლავაც

კვლავაც შენზე ფიქრი ძალმიძს
შორით იკარგება შარა
დავალ როგორც კოჭლი ძაღლი,
როგორც კაცი არა, არა

აღარ ვიცი რა მჭირს, რა მჭირს
ცრემლებს ვიწმენდ წარა-მარა,
ღმერთო, ღმერთო შენ დასაჯე
ვინც სიცოცხლე ჩამიმწარა...

მაინც ის ხარ რაც იყავი,
თითქოს შორს ხარ, მენატრები
და დამჩხავის თავზე ყვავი
ვკვტები, ვკვტები, არ მოვკვტები

დარდი გამდევს როგორც ბარდი
შარასა და ეზო ჭალას
არ მთავრდება ნყენა-დარდი
მარწუხივით მწინკნის, მძალავს...

დაგინახავ, ბილიკ-ბილიკ
გამექცევი, მოგდევ უკან
ჩემო ტკბილო გულანშარო
ბავშვობის სარბენო შუკავ!

სადაც არხევს ქარი შროშანს
და ღიმილი მოსავს ბაგეს
სადაც სალოცავი მოჩანს
ღმერთო, ლოცვას ნუ მოაკლებ!

გაყრა

როგორ მოვტყუვდი. არ გიცნობდი, ვინ იყავ ერთ დროს,
გადამილეწე, დამინგრიე სახლი და ერდო...
აღარც ბოსტანი, აღარც ზვარე, აღარც ვენახი
არაკაცობის უფრო მეტის არ ვარ მე მნახი...
ახია ჩემზე მოგელოდი, გთვლიდი მზეთამზეთ
გთხზავდი მე როდი, თითონ ჟღერდი სხვათა ენაზე.
გამოგონილო ბუტაფორავ და ჩრდილო მეხის,
ჯერ არნახულო ავკაცობავ და ქარო ნეხვის
შენ, იმთავითვე მიეყიდე ეშმას და მზაკვარს
გადააფურთხე წინაპარის სალოცავ აკვანს
აწ სახვალიო მოგონებებს თავს დანა უდევს
დანაკუწებას რომ უქადი ღვთით ნაგებ ბუდეს...
გათავდა, მრუდეს აღარ კმარობ უძღებო ზრახვავ
აღარ მობრუნდე, არ გაბედო
ვიდრე არ წახვალ!

გათენებისას

(და) როს წვიმა მოდის,
(და) ოდეს ნელა სველდება ფარდა
(და), ოდის კედელი სველია წვიმით

ო, მანდ ვინ არის?
ვინ გამიხსენა წვიმიან დილით?
ვინ არის მანდა?!

დილით, დილით — ამ წვიმის გარდა
ვინ აიტუზა ოთახის კართან,
როცა გალუმპულა სივრცე და კვლავ წვიმს?!.

ვწევარ,
საბანს ვიკეცავ და ვხუჭავ თვალებს,
ისევ იალებს და ხეებს ზანტად
მუქი ღრუბელი თავს დასტრიალებს...

ეკოს სამყარო

(ლი მარშალს ესაუბრება უმბერტო ეკო)

— **არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ მულტიმედიური „არკადიის“ იდეა კიბერნეტიკული საზოგადოების დემოკრატიზაციას ემსახურება.**

— გარკვეული ეჭვები მიჩნდება, რომ „1984“ წლისაკენ მივექანებით, სადაც ჯორჯ ორუელის „პროლეტართა“ ადგილს პასიური ტელედამოკიდებული მასები დაიჭერენ, რომელთაც ახალი ტექნოლოგიებისა არც ცოდნა ექნებათ და არც მასთან წვდომა. ამათ ზემოთ ადგილს კი წვრილბურჟუაზიული ბიუროკრატები დაიჭერენ. დაბოლოს პირამიდას ამ თამაშის წარმმართველნი დაასრულებენ — ნომენკლატურა, ამ სიტყვის ყველაზე საბჭოური გაგებით. ეს უკვე აღარ იქნება „კლასი“ მარქსისტული აზრით; აქ შეიძლება აღმოჩნდნენ ხულიგანი ჰაკერებიც და თანამდებობის პირნიც. მათ ერთი რამ გააერთიანებთ: ცოდნა, რომელიც ზეგავლენას უზრუნველყოფს. ამდენად, ჩვენი ამოცანაა მასებისგან „ნომენკლატურის“ შექმნა. ნათელია, რომ მაღალტექნოლოგიური მოწყობილებანი, ბიბლიოთეკათაშორისი ბაზები, უახლესი აპარატურა ფართო მასებისთვის მიუწვდომელია, მითუმეტეს, მათი განახლება საკმაოდ ხშირად ხდება. მოდი მივცეთ ხალხს საშუალება უფასოდ ან სატელეფონო კავშირის ფასად ისარგებლოს ინფორმაციით.

— **იქნებ ყველაფერი ბაზარს მივანდოთ? ვგულისხმობ ფასების მოწესრიგებას კონკურენციით.**

— ამას ასე უნდა შეხედოთ; როცა ბენცმა ავტომობილი გამოიგონა, არც უფიქრია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბაზარს „ფორდი“ წალეკავდა, რაც 40 წელიწადში მოხდა კიდეც. როგორ გინდათ აიძულოთ ადამიანები ისარგებლონ იმით, რაზეც ხელი არ მიუწვდებათ? პასუხი ერთია: მიეცით საშუალება დროებით გამოიყენონ ეს სიკეთე და დაარქვით მას „ტაქსი“. სწორედ ამ სიახლემ მისცა საშუალება მასებს ესარგებლათ ახალი ტექნოლოგიებით და აიძულა მწარმოებლები გაეფართოებინათ თავიანთი ბაზარი. იტალიაში ინტერნეტის ბაზარი ჯერ კიდევ ძალზე მწირია; მას დაახლოებით 300 ათასი მომხმარებელი ჰყავს, თუ ამას დავამატებთ საჯარო ტერმინალებსაც, შევძლებთ ვითარება „ფორდისას“ შევადაროთ.

— **ნუთუ მართლა გჯერათ, რომ მოსამსახურეები და დიასახლისები მულტიმედიურ „არკადიაში“ ჩაერთვებიან?**

— არაერთბაშად რა თქმა უნდა. როდესაც გუტენბერგმა საბეჭდი დაზგა გამოიგონა, ხალხს ერთიანად არ შეუკვეთავს მისთვის ბიბლია. თუმცა სულ რაღაც 100 წელში ისინი სწორედ ამ სახით კითხულობდნენ წმინდა წერილს. ლუთერიც გაიხსენეთ; საყოველთაო უწიგნურობის მიუხედავად ახალი აღთქმის მისეულმა თარგმანმა XVI საუკუნის გერმანიის ყველა ფენამდე მიაღწია. ჩვენც ინტერნეტის „ლუთერი“ გვჭირდება.

— **როგორია „მულტიმედიური არკადია“, რით განსხვავდება ჩვეულებრივი ინტერნეტ-კაფესაგან?**

— იცით, იტალიურ დაწესებულებებში მიღებებზე დროის დაკარგვა ძალზედ მომაბეზრებელია. ესეც არ იყოს: შანსი გვეძლევა ხმელთაშუაზღვის კულტურის უპირატესობაც წარმოვაჩინოთ. ანგლოსაქსური ინტერნეტ კაფე, ანგლოსაქსური-სავე ბარის პრინციპით ფუნქციონირებს, სადაც მიდიან, რათა მარტოობა განიქარვონ, თავისნაირთა კომპანიაში. მაგალითად, ნიუ-იორკში შეგიძლიათ მიესალმოთ გვერდით მაგიდასთან მჯდომს: „ჰაი, კარგი ამინდია, არა?“ და ისევ საკუთარ ფიქრებში ჩაიძიროთ. „მულტიმედიური არკადიის“ მოდელად კი იტალიური პიცერია გამოდგება. მაგალითად, აქ იქნება უზარმაზარი ეკრანი, რომელზეც ოპერატორები საყოველთაოდ საინტერესო საიტებს გამოიტანენ. მგონი უაზრობაა, რომ 80 მილიონი მომხმარებელი ერთი და იმავეთია დაკავებული, როცა ინტერნეტში მოჩვენებებს „ესაუბრება“. „არკადიის“ ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, გამოიყვანოს ხალხი თავისი სოროებიდან და ერთმანეთს შეახვედროს — რატომაც არა!

— **ხომ არ დაარღვევს ეს კოლექტიურობა პრინციპს: ერთი კომპიუტერი — ერთი მომხმარებელი?**

— მეც მომხმარებელი ვარ და 8 კომპიუტერი მაქვს. ასე რომ, გამონაკლისიც აშკარაა. ლეონარდოს ეპოქაში წესად იყო: ერთი „მომხმარებელი“ — ერთი ნახატი. იგივე ეხება

გრამოფონსაც. დღეს კი შეუზღუდავად ვათვალიერებთ სურათებს და ვუსმენთ მუსიკას.

— და მაინც, ამერიკელთა უმრავლესობისათვის ინტერნეტი ცივილიზაციის ახალ საფეხურზე გადასვლის საშუალებაა. ევროპელები კი კომპიუტერში უფრო საოჯახო ნივთს ხედავენ, როგორიც სარეცხი მანქანა ან წვერის საპარსია. ორ კონტინენტს შორის თითქოს ხიდია ჩატეხილი. თქვენი აზრით, საითაა სიმართლე — ბეისბოლის მოთამაშე ამერიკელებისკენ თუ ევროპელებისკენ, რომლებიც ინტერნეტს ირონიით უყურებენ?

— ტელევიზიაც ასე არ იყო? რომელმაც ამერიკაში ჩვენზე რამდენიმე წლით ადრე მიაღწია კრიტიკულ ზღვარს. აქ კი ეს მოგვიანებით მოხდა. მაგრამ, აი რა არის საინტერესო: ამერიკული კულტურის, კინოს და ტელევიზიის ტრიუმფი — დისნეის ფენომენი, რომელიც ასე აღიზიანებთ ფრანგებს, ინტერნეტის შემთხვევაში ვერ განმეორდება. სულ რამდენიმე წლის წინათ, არაინგლისურენოვანი საიტები თითზე ჩამოსათვლელი იყო. ახლა კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწყდები ნორვეგიულ, პოლონურ თუ ლიტვურ საიტებსაც კი. და ეს საინტერესოა: რა თქმა უნდა, ამერიკელი როცა ასეთ რამეს გადააწყდება, შესაბამისი ენის შესწავლას არ დაიწყებს მაგრამ დაფიქრდება სხვა კულტურათა არსებობის თაობაზე. ეს ინტერნეტის ანტიმონოპოლისტური ხასიათის ერთ-ერთი პარადოქსია. აკონტროლო ტექნოლოგიები — არ ნიშნავს აკონტროლო ინფორმაციის ნაკადი. რაც შეეხება „ჩატეხილ ხიდს“, არა მგონია ასეთი პრობლემა არსებობდეს. თუმცა ამერიკაში მაინც არსებობს იმედგაცრუება მედიის მიმართ. პრობლემა ინფორმაციის ნეგატიურობაშია.

— 1996 წლის აპრილის წინასაარჩევნო პერიოდში თქვენ აშკარად უჭერდით მხარს იტალიის კოალიციური მთავრობის მემარცხენე ძალებს. შემდეგ კი უარი განაცხადეთ შემოთავაზებულ კულტურის მინისტრის პოსტზე, რატომ?

— როცა საქმე კულტურის მინისტრობას ეხება, გასარკვევია, რა იგულისხმება სიტყვაში „კულტურა“. თუ აქ წარსულის ესთეტიკა მოიაზრება, როგორიცაა ნახატები, ისტორიული შენობები, ძველი ხელნაწერები — ეს ჩემთვის მისაღებია. მაგრამ ამით ჩვენთან მემკვიდრეობის სამინისტროა დაკავებული. რჩება „კულტურა“ შემოქმედებითი გაგებით. მეეჭვება შევძლო ვუხელმძღვანელო უწყებას, რომელიც შემოქმედებით პროცესთა სუბსიდირებითაა დაკავებული. შემოქმედება, მხოლოდ ანარქიული, კაპიტალისტური, დარვინისტული შეიძლება არსებობდეს.

— 1967 წელს თქვენ გამოაქვეყნეთ გახმაურებული ესეი — „სემიოლოგიურ პარტიზანულ ბრძოლაში“, სადაც ამტკიცებდით, „ბრძოლის ველი“ ტელესტუდია კი არა, ტელემაყურებლის სავარძელიაო. ანუ გვთავაზობდით აუდიტორიის კრიტიკული „იარაღით“ აღჭურვას, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციის ზემოქმედების პოლიტიკური ძალა განეიტრალდებოდა. რომელ „იარაღს“ გულისხმობდით, გუსტავ ფლობერის კითხვისას რომ გვეხმარება?

— საქმე ელემენტარულ ჩვევებს ეხება. მისი წყალობით, წიგნის მაღაზიაში შესვლისას, მომენტალურად შემიძლია გავარჩიო რა სად დევს. წიგნის ყდაზე ერთი თვალის შევლებითაც, უკვე ვიცი, რას წარმოადგენს. თუ მასზე ჰარვარდის ნიშანია გამოსახული, ესე იგი ეს იაფფასიანი რომანი არ იქნება. აი, ინტერნეტში შესვლისას კი მსგავს ჩვევებს ვერ ვფლობ.

— როგორც მაღაზიაში, რომელშიც ყველაფერი იატაკზეა მიმოფანტული?

— ზუსტად! და სწორედ ამ დროს ჩნდება პრობლემა: მაუსით ვაწვები ინტერნეტ მისამართს, რომლის დაბოლოებაცაა indiana.edu და მგონია, რომ საქმე ინდიანის უნივერსიტეტთან მაქვს, მაგრამ არაფერი მსგავსი! და ასე „თვალდახუჭულს“ მიწევს მოძრაობა. ამისათვისაა საჭირო სემიოლოგიური ჩვევები, რათა პასტორალური პოეზია, სატირული პაროდიისაგან გავარჩიოთ, ან სერიოზული ფილოსოფიური აზრები უაზრო ბოდვაში არ ავურიოთ. იმ დღეს ნაცისტურ საიტებს ვათვალიერებდი. თუ საძიებო სისტემის ლოგიკას ვენდობით, ყველაზე ფაშისტური საიტები ისინია, რომლებზეც უფრო ხშირადაა გამოყენებული სიტყვა „ნაციზმი“. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ ეს სიტყვა ყველაზე ხშირად ანტიფაშისტურ საიტებზე იყო ნახსენები. ასეთ ლაბირინთებში ორიენტირებისას ექსპერიმენტებსა და შეცდომებზე სწავლობ, ან უფრო გამოცდილ მომხმარებელს ეკითხები რჩევას. ყველაზე ეფექტური კი იმ სტაჟიან საზოგადოებასთან კონტაქტია, ვისაც ამის პრაქტიკა აქვს. ეს შეიძლება პირველკურსელი სტუდენტის მდგომარეობას შევადაროთ, როცა მეორეკურსელს თავში არ მოუვა, რომ მას რომელიმე პროფესორის უცნაურობა გაანდოს. უნივერსიტეტის ბუფეტში, ერთ მაგიდასთან კი ამას სიამოვნებით გააკეთებს.

— განიცადა თუ არა მოდერნიზმმა კომპრომეტაცია? — მოდერნისტულმა რომანმა მაინც. შეიძლება თუ არა აქ ინტერნეტთან რაიმე სახით ანალოგია? ჯეიმზ ჯოისი რომ ინტერნეტ-მომხმარებელი ყოფილიყო, იქნებ „ფინეგანის ქელეხის“ მაგიერ „ქარწაღებულნი“ დაეწერა.

— არა, ვგონებ უფრო პირიქით. მარგარეტ მიჩელს რომ ესარგებლა ინტერნეტით, „ფინეგანის ქელეხს“ დაწერდა. ჯოისი, ალბათ მუდმივად „ინტერნეტში“ იმყოფებოდა და არც არასოდეს დაუტოვებია იქაურობა.

— განა ჰიპერტექსტის ეპოქაში წერის მეთოდი არ შეიცვალა? მაიკლ ჯონსის იდეას არ ეთანხმებით, რომ „მწერლობა“ თითქოს ჯაზისმაგვარ იმპროვიზაციად გადაიქცა?

— მთლად ასეც არაა. არ დაგავიწყდეთ, რომ ერთი დიდი ტექნოლოგიური გადატრიალება აქამდეც მოხდა — იმაში, თუ როგორ გადმოაქვს მწერალს თავისი ნააზრევი ქაღალდზე. ტექსტის წაკითხვის შემდეგ თუ შეძლებთ გაარჩიოთ, როგორ იყო ის დაწერილი — ხელით თუ საბეჭდ მანქანაზე?

— ო’კ. ვთქვათ, წერის მეთოდი უმნიშვნელოდ აისახება შედეგზე, მაგრამ რას იტყვით მაიკ ჰაიმსის იდეაზე, რომ წერის პროცესი ცვლის ჩვენს აზრს უკვე დაწერილზე. გვიადვილებს და გვიბიძგებს — ეკრანზე და არა გონებაში — ტექსტით მანიპულირებისაკენ?

— ამაზე ბევრი დამიწერია: თუ როგორ მოქმედებს ლათინურ სინტაქსზე კლავიატურაზე მუშაობა, ან საწერი კალმისა და კომპიუტერის მიმართ ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებაზე, ანდა კომპიუტერულ „ფილოლოგიაზე“.

— ანუ როგორ მოიქცევით, თქვენი ახალი რომანის წერას კომპიუტერზე რომ შეუდგეთ?

— აქ ციტატით გიპასუხებთ საკუთარი ესეიდან „როგორ დავწეროთ რომანი“:

„ასობით რომანს დავასკანერებდი, იმავე რაოდენობის სამეცნიერო ნაშრომსაც, ბიბლიას, ყურანს, სატელეფონო ცნობარებს (ეს სახელთა ნამდვილი საგანძურია), სულ დაახლოებით ას, ასოც ათას გვერდს. შემდეგ რომელიმე კომპიუტერული პროგრამით ყველაფერს ერთმანეთში ავურევდი და შიგ რაიმე ცვლილებებს შევიტანდი. მაგალითად, ყველა „ა“ ასოს ამოვაგდებდი. ამგვარად, ლიპოგრამასაც მივიღებდი. შემდეგ ამ „აჯაფსანდალს“ ამოვბეჭდავდი, რამდენჯერმე ყურადღებით წავიკითხავდი და განსაკუთრებულ ადგილებს გავხაზავდი. ბოლოს ამ ყველაფერს უახლოეს სანაგვეზე წავიღებდი და, იმის შემხედვარე, თუ როგორ იწვის ეს „შედევრი“, შორიახლოს ჩამოვჯდებოდი და საწერკალამ და ფურცელ მომარჯვებული იმდენს ვიფიქრებდი, ვიდრე თავში ისეთი ფრაზა არ მომივიდოდა, რომლის გადატანაც მართლა ღირს ქაღალდზე. მაგალითად: „მთვარე უდარდელად დაჰყურებს მოჩურჩულე ხეებს“. პირველ ჯერზე რა თქმა უნდა აქედან „ჰაიკუ“ არ გამოვიდოდა, მაგრამ მთავარი ალბათ მაინც პირველი ნაბიჯია!“

— მარშალ მაკლინს რაღას ერჩოდით, როცა ტერმინი „გლობალური დასახლება“ დაუწუნეთ? წერდით, რომ იდეას მარტოხელა ადამიანები ქმნიან. მიგაჩნიათ, რომ მისი ფილოსოფია დაუმსახურებლადაა დაფასებული?

— მაკლინი ფილოსოფოსი არაა, ის ყოველთვის სოციოლოგი გახლდათ და ცოცხალი რომ ყოფილიყო, ალბათ ისეთ

წიგნებს დაწერდა, რომელიც მისსავე 30-40 წლის წინანდელ შეხედულებებს შეეწინააღმდეგებოდა. რაც უნდა იყოს, მისი წინასწარმეტყველება ნაწილობრივ მაინც გამართლდა. „გუტენბერგის ერის დასასრული“ კი საერთოდ არც გამართლებულა, თუ არ ჩავთვლით ფრაზას, რომ: „ინფორმაციის გადამცემი თვითონაა „ინფორმაცია“, რომელიც ტელევიზიას უფრო მიესადაგება, ვიდრე ინტერნეტს. შესაძლოა თავიდან, როცა „რაიმე სისულელესა“ და „თომა აქვინელს“ ერთდროულად ეძებ, მართლაც ასეა, მაგრამ როცა ინტერნეტს სერიოზულად იყენებ, ყველაფერი ისე არ „ლაგდება“, როგორც ტელევიზიის შემთხვევაში. აქ არსებითი განსხვავებაა „ჩამოტვირთვასა“ და „ნიუსების“ ყურებას შორის. საბოლოოდ ყველაფერი ყურადღებამდე დადის: შეუძლებელია გონებაგაფანტულმა ინტერნეტით ისარგებლო, ტელევიზიის ან რადიოსაგან განსხვავებით. ინტერნეტში საიტიდან საიტზე გადახტომა შეიძლება, რაც ტელევიზიის შემთხვევაში არ ღირს.

— თქვენს დასკვნით სიტყვაში სიმპოზიუმზე, რომელიც წიგნის მომავალს მიეძღვნა, აღნიშნეთ რომ „გუტენბერგის ერის დასასრული“, რომელიც მაკლინმა გაახმიანა, ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ გამოძახილია, სადაც ფროლო ამბობს: „ის მას მოკლავს“ — ანუ წიგნი მოკლავს ეკლესიას, ანბანი კი — ხატს. ნუთუ ეს უკვე მოხდა?

— ეკლესიამ თავისი ზოგიერთი ფუნქცია ტელევიზიის სასარგებლოდ დაკარგა, თუმცა ახალიც შეიძინა. ათასჯერ მაინც დამიწერია, რომ ფოტოგრაფიამ ფერწერის ფუნქციებიც შეითავსა: კერძოდ, აღბეჭდოს ადამიანის სახე. მაგრამ ამით მხატვრობა არ მოუკლავს. მხოლოდ რუტინისაგან გაათავისუფლა: ნებისმიერ მხატვარს შეუძლია დახატოს პორტრეტი, თუკი მოისურვებს.

— იქნებ ეს ჩვენი ბუნებრივი რეაქციაა ყოველი ახალი ტექნოლოგიის გამოჩენაზე...

— ამ მავნე ჩვევას კაცობრიობა ალბათ ვერასოდეს გადალახავს, როგორც სამყაროს აღსასრულის და სხვა სამყაროში გადასახლების რწმენას. ეტყობა, ეს ისტორიის ორგანიზების აუცილებლობაა.

— ჰო, მაგრამ დროის დიფერენციაციამ ხომ შეიძლება კოლექტიურ ცნობიერებაზე იმოქმედოს. თქვენ ხომ „სამყაროს აღსასრულის“ სპეციალისტი ხართ, რომელიც X საუკუნეში გააქტიურდა. იქნებ ჩვენც იმავე დღეში ვართ, ოღონდ ციფრული ტექნოლოგიების წყალობით?

— წლები და საუკუნეები პირობითი ცნებებია. აუცილებელი არაა ამის მისახვედრად მედიავისტი იყო. მიუხედავად ამისა, აღმავლობისა და დაცემის პერიოდები მაინც არსებობს. XIX საუკუნის ბოლოს ავსტრო-უნგრეთის იმპერიას „წყალი შეუდგა“. რამაც თითქოსდა მისი დაცემა განაპირობა1918 წელს. სინამდვილეში ის იმიტომ დაიშალა, რომ იმპერატორმა თავისი ავტორიტეტი დაკარგა. მასობრივი წარმოდგენებისა და ობიექტური მიზეზების გარჩევა უნდა შეგვეძლოს.

— თქვენი დროის შეგრძნება როგორიღაა? დროში მოგზაურობა რომ შეგეძლით, წარსულს აირჩევდით თუ მომავალს და რა მანძილზე გადაადგილდებოდით?

— და თქვენი, სერ? ამ კითხვისათვის უკეთეს ადრესატს თუ იპოვიდით? ხუმრობა იქით იყოს და წარსულში უკვე ვიმოგზაურე — იმედია ჩემი რომანები წაგიკითხავთ. რაც შეეხება მომავალს — ნუთუ ახლა, ამ ინტერვიუს არ კითხულობთ?

თარგმნა
მამუკა მაღულარიამ

ნინო ბაქანიძე

ზიგმუნდ ფროიდი და გუგა ნახუცრიშვილის „მგელკაცა“

რომანი „მგელკაცა“ ახალგაზრდა მწერალ გუგა ნახუცრიშვილს 1934 წლის დამლევს დაუმთავრებია და ჟურნალ „მნათობის“ პროზის განყოფილების გამგესთან, ცნობილ მწერალ ლეო ქიაჩელთან დიდი მოწიწებით მიუტანია. როგორც ბატონი გუგა იხსენებდა, ორი კვირის შემდეგ ლეო ქიაჩელი მას დიდი პატივისცემითა და ერთგვარი გაკვირვებითაც კი შეჰგებებია: „ყმაწვილო, თქვენ რომ ეს რომანი პარიზში დაგეწერათ და გამოგეცათ, ერთ წელიწადში მსოფლიო აღიარებას მოიპოვებდით და ბანკშიც მილიონზე მეტი ფრანკი გექნებოდათო“.

საბოლოოდ „მგელკაცა“ 1939 წელს გამოქვეყნდა და ავტორს დიდი აღიარებაც მოუტანა. თუმცა გუგა ნახუცრიშვილი დღესდღეობით უფრო ცნობილია როგორც ქართული კლასიკური დრამატურგიის ბრწყინვალე წარმომადგენელი („ჭინჭრაქა“, „შაითან ხიხო“, „ფიროსმანი“, „კომბლე“ და სხვ.); რომანი „მგელკაცა“ კი დროთა მანძილზე თითქოს დავიწყებას მიეცა. როგორც ემზარ კვიტაიშვილი აღნიშნავს, „მწერლის ადრეულ ნაწარმოებებს დღევანდელი გადასახედიდან ისეთი აქტუალობა აღარ აქვს შერჩენილი, მაგრამ ამ წიგნებში ძალუმად იგრძნობოდა მთხრობელის ნიჭი, სიკეთის დამკვიდრების დაუცხრომელი სურვილი“. თამაზ ჭილაძის აზრით კი „რომანი „მგელკაცა“ ქართული დეტექტიური ჟანრის არა მხოლოდ კლასიკური ნიმუშია, არამედ ფუძის ჩამყრელიც“. თუმცა ეს რომანი არა მხოლოდ დეტექტივისათვის ნიშანდობლივი სიუჟეტური ხაზის დინამიკით, პერსონაჟთა ხასიათების სიმძაფრით ან თუნდაც ძარღვიანი ქართული სალიტერატურო ენითაა გამორჩეული, არამედ იმითაც, რომ რომანის ქვეტექსტებში, პერსონაჟთა ურთიერთმიმართებებსა თუ სიმბოლურ სახეებში აშკარად იკითხება ფროიდის ფსიქოანალიზის ზეგავლენა, რის გამოც მართებულად მიგვაჩნია, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ამ ნაწარმოებს და ფსიქოანალიტიკურ ჭრილში ვცადოთ მისი ინტერპრეტაცია.

ცხადია, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ცნობილი საზოგადო მოღვაწის, დრამატურგისა და გერმანული ლიტერატურის მთარგმნელის დავით ნახუცრიშვილის ვაჟი, გუგა ნახუცრიშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ნიცშეს, ფროიდისა და გერმანულენოვანი კულტურის სხვა დიდ მოღვაწეთა ნააზრევს. თუმცა ისიც ცხადია, რომ მწერალს იმჟამად უხდებოდა მოღვაწეობა, როცა ამ სახელთა ხსენებაც კი, უბრალოდ, აკრძალული იყო. სწორედ ამიტომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია, კიდევ ერთხელ გავაანალიზოთ რომანის ტექსტის შიდა შრეები, რაც უხვ მასალას იძლევა ფსიქოანალიტიკური ინტერპრეტაციისათვის.

ამგვარი შედარებისათვის ნიშანდობლივია ისიც, რომ ფროიდი თავის წერილებში არაერთხელ უსვამს ხაზს ავადმყოფთა მონათხრობის მისეული აღწერის ლიტერატურულ ხასიათს: „ავადმყოფობის ისტორიები, რომლებსაც მე ვწერ, ნოველებივით იკითხება და ისინი, ასე ვთქვათ, მოკლებულია მეცნიერებისათვის დამახასიათებელ სერიოზულ ფორმას“ („ნარკვევები

ისტერიის შესახებ“). საინტერესოა, რომ ზოგი მკვლევარი ფროიდის უკანასკნელ სქელტანიან ნაშრომს „კაცი-მოსე და მონოთეისტური რელიგია“ ისტორიულ რომანს უწოდებს, ხოლო ნაშრომის პირველი თავი „მოსე ეგვიპტელი“ მიჩნეულია „ოჯახური რომანის“ დამოუკიდებელ, ტიპურ ნიმუშად.

ფროიდის ერთ-ერთი ასეთი ტიპიური „ნოველა“ გახლავთ „მგელკაცა“ („Wolfsmann“), რომელიც ეფუძნება მისი რუსი პაციენტის, ვინმე სერგეი პანკრატიევის მონათხრობს. როგორც ჩანს, ფროიდი იმდენად იყო დაინტერესებული პანკრატიევ-მგელკაცას სინდრომით, რომ ამ თემას ორ ნაშრომში შეეხო: „ზღაპრული სიუჟეტები სიზმრებში“ და „სიზმარი და სცენის პირველსახე“ („ინფანტილური ნევროზის ისტორიიდან, IV თავი). სერგეი პანკრატიევი ფროიდთან მკურნალობდა 1910-14 წლებში. იგი გახლდათ „მგლის ფობიით“ შეპყრობილი ადამიანი. როგორც ფროიდი გვამცნობს „სამი თუ ოთხი-ხუთი წლის“ სერგეის შობის ღამეს დასიზმრებია, როგორ გაიღო უეცრად მისი ოთახის ფანჯარა და გამოჩნდა ხე, რომლის ტოტებზეც „ექვსი ან შვიდი თეთრი მგელი დაყუნცულიყო“. ისინი მდუმარედ შეჰყურებდნენ შეძრწუნებულ ბავშვს.

ფროიდის აზრით, პაციენტის ბავშვობისდროინდელი მოგონებებიდან გამომდინარე, მგლის სახება უმთავრესად მამისადმი უსაზღვრო შიშს უკავშირდება. შვილთან თამაშის დროს მამა თურმე ხშირად ირგებდა „მგლის როლს“ და ვითომ ხუმრობით: „ახლავე შეგახრამუნებ!“ თავზარს სცემდა პატარა სერგეის. ამას ისიც ემატებოდა, რომ მამას ბავშვი ხანდახან მიჰყავდა თავიანთ მამულში ცხვრის ფარის დასახედად, რომელსაც იმ დროს ჭირი შეეყარა და თითქმის მთელი პირუტყვი გაწყვიტა. ეს იყო სერგეის პირველი შეხვედრა სიკვდილთან. ამიტომაც, ფროიდის აზრით, პაციენტის სიზმრებში თეთრი მგლები ცხვარსა და მათ სიკვდილთან ასოცირდება. მეტიც, როგორც ჩანს, პანკრატიევთან საუბრებმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თვითონ ფროიდზე, რომ დიდი ხნის შემდეგ ნაშრომში „კულტურით უკმაყოფილება“ იგი მოსწრებულად იმოწმებს ჰაინრიხ ჰაინეს სიტყვებს: „მე მშვიდობიანი ადამიანი ვარ. ჩემი სურვილია, მქონდეს მოკრძალებული ქოხი ჩალის სახურავით... ზღურბლთან რამდენიმე ლამაზი ხე და თუ მაღალ ღმერთს... მოესურვება, ამ ხეებზე ექვსი-შვიდი ჩამოხრჩობილი ჩემი მტერიც“ („ფიქრები და აზრები“). ამით ფროიდი გამოხატავდა საკუთარ აგრესიას ოპონენტების მიმართ. ამავე დროს, მისი იქვე გამოთქმული ვარაუდი, რომ „ავხორცი ვნებები... უფრო ძლიერია, ვიდრე გონივრული ინტერესები — რადგანაც საზოგადოებრივი ინტერესები მათ ვერ შეაკავებს“, და რომ „დამანგრეველი იმპულსი გაიმარჯვებს გამაერთიანებელ, კულტურის შემქმნელ და დამცველ იმპულსებზე“, დადასტურდა კიდეც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში განვითარებული სისხლიანი მოვლენებით.

სწორედ ამგვარი, ზღვარგადასული ვნებები ამოძრავებთ გუგა ნახუცრიშვილის რომანის პერსონაჟებსაც. საკმარისია დავასახელოთ კოლა ხესიაშვილი, მისი ვაჟი გაიოზი, ლადო კუპრაშვილი. მეორე მხრივ — უნიათო გური, „პატარა კაცი“ ცაცა, არჩილი და სხვანი, რომელთა ყოველი კომპრომისული მცდელობა ბობოქარ დროებასთან ასევე მარცხით მთავრდება. საინტერესოა, რომ ნაწარმოებში გამონაკლისს წარმოადგენს სწორედ „მგელა“-ს სახელით ცნობილი ფირალი. იგი საბოლოოდ ახერხებს ბოლშევიკური მთავრობის შემორიგებას. სამაგიეროდ, „მგელკაცად“ ბოლომდე რჩება გაიოზი. რომანის ფინალში მის შინაგან ბუნებას ერთბაშად ეხდება ფარდა, რამდენადაც მიცვალებულის სახეც კი „ბადეში გაბმულ მრისხანედ დაღრენილი მხეცის სახეს უფრო მოგაგონებდათ“.

რომანში მოთხრობილია ღვინის ვაჭრის, კოლა ხესიაშვილის ოჯახის ისტორია. მოქმედების დრო — 1925 წელი. „ხალხის მტრებთან“ ბრძოლის ეს სისხლიანი და სასტიკი ხანა რომანში ყოველგვარი სტილიზაციის გარეშეა წარმოდგენილი. ხოლო ამ სისხლიან ფონზე შესაშური ოსტატობითაა გადმოცემული „პატარა ადამიანების“ ტრაგედია, ისევე როგორც ნიცშეანური ზეკაცის იდეებით შეპყრობილ ცალკეულ ინდივიდთა დაუოკებელი სწრაფვა ძალმომრეობის გზით თვითდამკვიდრებისათვის.

ამასთან რომანში ნაჩვენები, თუ როგორ ღუპავს ადამიანს (და ასევე მის გარშემომყოფთა) ვიწრო, ინდივიდუალისტური მისწრაფებანი. ზემოთქმულის ტიპური მაგალითია კოლა ხესიაშვილი, მდიდარი ვაჭარი, რომელიც თავისი სიხარბითა და სასასტიკით თრგუნავს საკუთარ ცოლ-შვილს. მხოლოდ რომანის ფინალში, როცა ბოლომდე გაკოტრებულ და მაინც გაკერპებულ კოლას უკანასკნელ ღვინის საწყობშიც კოოპერატივი დახვდება გახსნილი, სიცოცხლეში პირველად წასკდება ცრემლები. კოლა ხესიაშვილი დასტირის თავის გაკოტრებას და არა თუნდაც შვილების დაღუპვას (გაიოზს რუსეთში კლავენ, ხოლო გური ჭკუიდან იშლება). აზრადაც არ მოსდის, რომ ვაჟების დაღუპვაში თვითონაა დამნაშავე. ოჯახურ ტრაგედიას ვერც კოლას მეუღლე ნინო აკავებს, სათნო, განათლებული, მაგრამ ბოლომდე ქმრის მორჩილი ქალი. პირიქით, „ოჯახური სიმშვიდის“ დაცვა მას შვილების დაკარგვის ფასად უჯდება, განსაკუთრებით გურის აღზრდაში დაშვებული უნებლიე შეცდომების გამო.

კოლა ხესიაშვილის ოჯახურ სქემაში, ოჯახის წევრთა ურთიერთმიმართებაში აშკარად იკითხება ფროიდისტული „ოიდიპოსის კომპლექსის“ კონტურები. რომანში ეს სქემა მრავალწახნაგაა. ფროიდისავე განმარტებითაც, მართებულია ვილაპარაკოთ „ოიდიპოსის კომპლექსის“ ორსახოვნებაზე. მის „დადებით და უარყოფით ვარიანტებზე“ (ნაშრომი „მე და ზე-მე (იდეალური — „მე“). პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით ფროიდი წერს: „მამისადმი „ამბივალენტური განწყობა“ და მხოლოდ ნაზი, ობიექტური ლტოლვა დედისადმი ვაჟში აყალიბებს მარტივ, დადებით ოიდიპოსურ კომპლექსს“. ამ ვარიანტის ტიპური განსახიერებაა გური, კოლა ხესიაშვილის უმცროსი ვაჟი: „რამდენადაც ბავშვებს მამისა ეშინოდათ, იმდენად უყვარდათ დედა და მასთან ყოფნა... მეტადრე გურის უყვარდა ეს საღამოები, დედას აღარ შორდებოდა, მთელი სხეულით ეკვროდა და შიგადაშიგ ხელებს უკოცნიდა ზღაპრულ ოცნებებში გართულ, მოლაპარაკე ნინოს“.

„ოიდიპოსის კომპლექსის“ მეორე, უფრო აქტიური, აგრესიული სახესხვაობა განპირობებულია ასევე ნაზი დამოკიდებულებით დედისადმი, მაგრამ გამძაფრებული, აშკარად მტრული დაპირისპირებით მამისადმი. აქ უკვე წინა პლანზეა არა პიროვნული „მე“, არამედ — „ზე-მე“. იმავე ნაშრომში ფროიდი წერს: „ზე-მე“-ს მიმართება „მე“-სთან ვერ შემოიფარგლება მოთხოვნით: „შენ უნდა იყო ისეთივე, როგორც მამა“, პირიქით, ის გამოხატავს აკრძალვას: „შენ არ გაქვს უფლება, იყო მამის მსგავსი“... შესაბამისი ქმედებანი მის ცალსახა უფლებას წარმოადგენს“. ამ შემთხვევაში „ზე-მე“ ცდილობს, შეავიწროოს პიროვნული „მე“, დათრგუნოს იგი, რაც მამის მიმართ პიროვნების გაათკეცებულ წინააღმდეგობასა და აგრესიას იწვევს. შესაბამისად, „ზე-მე“ ყოველთვის ვერ გარდაიქმნება იდეალურ „მე“-დ. „მე“-ს კონფლიქტი „ზე-მე“-სთან ყოველთვის არ მთავრდება სულისა და გონის გამთლიანებით“.

ფროიდის მიერ აღწერილ ყველა ამ საფეხურს ზედმიწევნითი სიზუსტით გადის გურის უფროსი ძმა გაიოზი, მივყვეთ ტექსტს:

ა) მამის შიში: „...გაიოზს ბავშვობიდანვე ეშინოდა მამის, — ყველაზე მეტი გაიოზს ხვდებოდა, როგორც ყველაზე ურჩსა და თავნებას, ყველაზე ნაკლები კი დედის კალთას ამოფარებულ გურის“.

ბ) „შენ უნდა იყო ისეთივე როგორც მამა“: „როდესაც გაიოზი წამოიზარდა, იმდენად შეეჩვია მამასთან მუშაობას, რომ იგი საკმაოდ იცნობდა მამის საქმეთა ვითარებას და ზოგიერთი სამუშაოს უკვე დამოუკიდებლად ასრულებდა“.

გ) „მე“-ს კონფლიქტი „ზე-მე“-სთან: „ბოთლის გატეხვის შემდეგ გაიოზმა არხეინად გადააბიჯა სკამს და მამას მიუახლოვდა ოდნავ დამცინავი ღიმილით. მიუახლოვდა და უცებ ისეთი სილა გაჰკრა ყბაში, რომ ძლიერ ჭახანთან ერთად სისხლი თქრიალით წამოვიდა გახეთქილი ლოყიდან. — როგორ მიბედავ, ძაღლის ლეკვო!.. — წამოიწია... კოლამ, მაგრამ გაი-

ოზმა იმავე დამცინავი ღიმილით ისე მაგრად დაჰკრა მუშტი მკერდზე, რომ კოლა ისევ სკამზე დაეცა... და იატაკზე გადავარდა გულაღმა“.

აქვე აღვნიშნოთ, რომ მშობლებისა და შვილების ურთიერთმიმართების საკითხი ფროიდის მოძღვრების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. მისი სიმძაფრე და აქტუალობა განპირობებულია არა მხოლოდ პაციენტებზე დაკვირვებისა და მათი მონათხრობით, არამედ თვით ფროიდის ბიოგრაფიითაც. როგორც ცნობილია, ფროიდს სიცოცხლის ბოლომდე ტანჯავდა „ორი დედისა“ და „ორი მამის“ კომპლექსი. მამის, კალამონ იაკობ ფროიდისათვის, ზიგმუნდის დედა ამალია ნათანსონი მესამე ცოლი იყო და ქმარზე ოცი წლით უმცროსი გახლდათ. ამალია იაკობის უფროს ვაჟზე (პირველი ქორწინებიდან) ახალგაზრდა იყო, ხოლო მეორე ნახევარ-ძმა ფილიპზე — ოდნავ უმცროსი. პატარა ზიგმუნდი იმთავითვე აცნობიერებდა, რომ მის ახალგაზრდა, ლამაზ დედას ემანუილი ან ფილიპი უფრო შეეფერებოდნენ, ვიდრე მისი ბიოლოგიური მამა. ნაშრომში „ყოველდღიურობის ფსიქოპათოლოგია“ ფროიდი წერს, რომ მას, სამიოდე წლის ბავშვს, თავისი დის, ანას დაბადების დროს ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს იაკობმა კი არა, არამედ ფილიპმა „მოათავსა“ ანა დედის სხეულში. პატარა ზიგმუნდს გადია ზრდიდა, რომელმაც ბავშვს დედა ჩაუნაცვლა. ფროიდს ბოლომდე ამბივალენტური მიმართება ჰქონდა მშობლებთან. ცნობილია, რომ იგი დედის დაკრძალვას არც დასწრებია და „სამაგიერო იმით გადაუხადა“, რომ „შემცვლელად“ თავისი ქალიშვილი ანა გააგზავნა. რაც შეეხება მამას, ფროიდის მიხედვით, იგი ტიპური ოჯახის პატრიარქი იყო და ხშირად თავისი კატეგორიული ტონითა თუ მუქარით თრგუნავდა ბავშვს. ცნობილია, რომ იგი შვილს კასტრაციითაც ემუქრებოდა.

„ორი მამის“ სინდრომს ვხვდებით „მგელკაცაშიც“. მამა-შვილს შორის პირველი ბზარი სწორედ მაშინ ჩნდება, როცა გაიოზი კოლას მდგმურს, მოხუცს, ღარიბ მასწავლებელს ივანე კობარაშვილს უახლოვდება. სწორედ ივანე კობარაშვილი გაუღვივებს ახალგაზრდას თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინს, სამშობლოს სიყვარულის განცდას, წიგნის კითხვისა და ცოდნის გაღრმავების სურვილს. ბიოლოგიურ მამასთან სხვაობა კოლასა და ივანეს გარეგნულ დახასიათებაშიც კი აისახება: „კოლას ხშირი წარბები „მეფისტოფელურ იერს“ სძენდნენ მის სახეს. წარბებქვეშიდან კი მსხვილი შავი თვალები გამოიყურებოდნენ იჭვიანი და მოუსვენარი სერიოზულობით“... რაც შეეხება ივანეს: „...ამის შემდეგ ძლიერ შეუყვარდა გაიოზს მასთან ჩასვლა, შეუყვარდა მისი პატარა, წიგნებით გამოტენილი... ოთახი... მოხუცის მშვიდი, სანთლისფერი სახე დ სათვალეებიდან გამომყურე, ნაოჭებშემოყრილი, მოჭუტული კეთილი თვალები“. ივანე გაიოზს დაჟინებით ჩააგონებს, რომ ვაჭრობას თავი ანებოს და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე აკეთოს — ჩაუყაროს საფუძველი ქართულ მრეწველობას, „თორემ რუსეთისა და სომხეთის მრეწველობა ცხოვრებიდან გაგვაძევებს, საქართველო დაიღუპება, ჩვენს საუნჯეს კი სხვა დაეპატრონება საბოლოოდ“.

საინტერესოა, რომ რომანში კიდევ ერთი მამა-შვილის მოქიშპე წყვილს ვხვდებით. ესენია — ლევანი და მისი ხეიბარი ვაჟი დათა, რომელიც მთელი არსებით ეწინააღმდეგება მამის „ეგოიზმს“, გაუხანგრძლივოს შვილს ყოვლად უსარგებლო სიცოცხლე. გურისთან საუბარში იგი ასე გამოხატავს საკუთარ გულისტკივილს: „მერე, რომ მამაა... მამა რომ არის, სწორედ იმიტომ უნდა ენატრა ჩემი სიკვდილი. შეგნება რომ ჰქონოდა, მხოლოდ თავის გრძნობაზე არ ააშენებდა ჩემს ბედ-იღბალს... რისთვის ცდილობდა ჩემს გადარჩენას, — აშკარაა, თავისთვის... კარგი, მაგრამ მე?.. ჩემი მომავალი — გლახის მომავალია. ამას კი მე არასოდეს არ დავუშვებ. მე ვიპოვე თავისუფლების მოპოვების საშუალება. დამოუკიდებლად სიცოცხლის და სიკვდილის საშუალება...“

დაპირისპირებული მამა-შვილის მოტივს ვხვდებით გუგა ნახუცრიშვილის ადრეულ რომანშიც „სილვა ვასილევი“. აქაც საბრალო, ფიზიკურად სუსტი, თუმცა სულიერად ნატიფი და ცოდნის წყურვილით ანთებული სილვა მამის დამთრგუნველი ფსიქოლოგიური ზემოქმედების გამო იღუპება.

აღსანიშნავია, რომ რომანში „მგელკაცა“ გვხვდება არამარტო მამებისა და შვილების, არამედ ანტაგონისტი ძმების მოტივიც. თუმცა აქ საქმე გვაქვს არა მტრულ შეპირისპირებასთან, არამედ ერთი მიზნისაკენ მიმართული გზის ორ ნაირსახეობასთან. ფროიდის მოსაზრებაც რომ მოვიშველიოთ, ობიექტურ რეალობასთან შეჯახების დროს „საქმე შეიძლება მივიდეს „მე“-ს დანაწევრებამდე, ვინაიდან ცალკეული მსგავსი სულები წინააღმდეგობათა გამო ერთმანეთს სცილდებიან“... ე.წ. „მრავალპლანიანი პიროვნების“ გამოცანა სწორედ ის გახლავთ, რომ ცალკეული მსგავსებანი მონაცვლეობით ეუფლებიან ცნობიერებას“.

კოლა ხესიაშვილის ვაჟები გაიოზი და გური განათლებული, სამშობლოს სიყვარულით და უკეთესი მომავლის სურვილით განმსჭვალული

გუგა ნახუცრიშვილი

ახალგაზრდები არიან, მაგრამ გაიოზში სჭარბობს ფიზიკური ძალა, ბრძოლის ჟინი, რასაც იგი თანდათან დაუნდობლობისა და კაცთმოძულეობისაკენ მიჰყავს: „გახსოვდეს, რომ ადამიანი მგელკაცაა... მე მებრძოლი ვარ და დოყლაპიასავით ვერავის ჩავუვარდები ხელში“. გური კი პოეტია, სულიერების განსახიერება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომანში არ ხერხდება იდეალური პერსონაჟის გამოძერწვა, სულისა და სხეულის გამთლიანება. გუგა ნახუცრიშვილის ყველა პერსონაჟი ამ შინაგანი დახლეჩილობის მსხვერპლია: „გური მეოცნებე ბავშვი იყო. გაიოზი თუ ლომის ბოკვერსა ჰგავდა, გური შვლის ნუკრივით ნაზი და წერწეტა იყო... ფიზიკური თვისებების გარდა ძმები სულიერადაც განირჩეოდნენ...“ სწორედ ამ განსხვავების მძაფრი შეგრძნება ამოათქმევინებს გურის სასოწარკვეთით: „რა უცნაური ხარ, გაიოზ... გიყურებ და არა მჯერა, რომ მე და შენ ძმები ვართ. ნეტავ მეც შენისთანა ვყოფილიყავი...“ ფროიდული „იდენტიფიკაციის კომპლექსი“, ანუ როდესაც სუსტი, უნებისყოფო ადამიანი საკუთარ თავს აიგივებს მასზე ძლიერ ან რომელიმე გამოჩენილ ადამიანთან, კიდევ უფრო მძაფრად იკვეთება გურის სხვა მონოლოგში: „ნეტავ ერთი წუთით მაინც შეიძლებოდეს, რომ მე მე კი აღარ ვიყო, არამედ სხვა... ო, როგორი სიამოვნებით მივაფურთხებდი ჩემს საკუთარ სულსა და რაოდენი სიძულვილით გავთელავდი ფეხით“.

ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ გური სულიერ სიახლოვეს გრძნობს ხეიბარ დათასთან. თუმცა ბედის ირონიით, საბოლოოდ დათა სიკვდილში ჰპოვებს ნანატრ თავისუფლებას, გური კი სულიერად დაავადებული განაგრძობს არსებობას. გურის „სულიერ მეგობრად“ შეიძლება მოვიხსენიოთ სილვა ვასილევიც. ორივე ფიზიკურად სუსტი და სულიერად მდიდარი ადამიანია, ორივე კითხულობს გოეთეს „ვერტერს“

(გურის სამუშაო მაგიდაზე გოეთეს სურათიც უდევს) და ორივე ითრგუნება დესპოტი მამის ხელში.

გუგა ნახუცრიშვილის რომანში კიდევ ბევრი საინტერესო და სახასიათო პერსონაჟია, მაგრამ მათგან განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ კოლა ხესიაშვილის მსახური ცაცა, როგორც ტიპური ნიმუში ფროიდის არასრულფასოვნების და იდენტიფიკაციის კომპლექსისა. ეს პერსონაჟი წარმოადგენს „ოიდიპოსის კომპლექსის“ ცალკეული ნიშნების კრებით სახესაც.

დავიწყოთ იმით, რომ ცაცა ღარიბი გლეხის შვილია. მას სინამდვილეში სტეპკო ჰქვია. ბავშვობიდანვე სუსტი და გონჯი „მეტად არასაამური სანახავი იყო, მაგრამ თუ ახლოს დაუკვირდებოდით, თვალებში რაღაც სითბოსა და გონიერებას ამოიკითხავდით, მიხრა-მოხრაშიც რაღაც სინაზეს და ქალურობას შეამჩნევდით“. სწორედ ამიტომ სოფლის ბიჭებმა მას მეტსახელად „კუკნება“ და „ქალალო“ შეარქვეს, თუმცა საბოლოოდ სახელი ცაცა შემორჩა. თუ მისი ძმები და ტოლ-ბიჭები ბანაობითა და კოჭაობით ერთობოდნენ, ცაცა „მეზობელ გოგოებთან კუკნობანას თამაშობდა“. იგი საკუთარი ხელით კერავდა და უვლიდა თოჯინებს. „ძალიან უყვარდა ცაცას აგრეთვე ოჯახში ტრიალი, დედის დახმარება — განსაკუთრებით კი თავიანთი ძველი ღარიბული ქოხის დაგვა, დალაგება“. მეტიც, დედის გარდაცვალების შემდეგ ცაცამ „იმწამსვე დედის ადგილი დაიჭირა და მთელ დღეს მზარეულობდა, რეცხავდა, ასუფთავებდა და აკერებდა“. თუმცა ცაცას შინაგანი ევოლუცია ამ საფეხურზე არ ჩერდება. მას თანდათან ეუფლება „კაცად ქცევის“ სურვილი. ფროიდის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს „ოიდიპოსის კომპლექსის“ რღვევას, რისთვისაც აუცილებელია ინდივიდის გათავისუფლება დედისადმი ობიექტური მიჯაჭვულობისაგან... ყმაწვილს მამაკაცური ხასიათი შესაძლოა განუმტკიცდეს „ოიდიპოსის კომპლექსის“ გაქრობის შედეგად“ („ცაცას... მოქანცული სხეული კი კვლავ ენერგიითა და „კაცად ქცევის“ მოზღვავებული სურვილით აევსო“). მაგრამ ვიდრე ცაცა ამ საფეხურს მიაღწევდეს, მან ჯერ „არასრულფასოვნების კომპლექსი“ უნდა გადალახოს. სოფლის კალოზე მოისმენს რა შემთხვევით ქალაქიდან დაბრუნებული ორი სტუდენტის საუბარს, ცაცას გული გაუნათდება და იმ წამიდან მიზნად დაისახავს ქალაქში გადასვლასა და წერა-კითხვის შესწავლას. ამავე დროს კარგად ესმის, რომ თუნდაც ამ ყმაწვილებთან შედარებით იგი არაფერს წარმოადგენს: „ცაცა ხომ მათი ფეხის მტვერია, მიწაზე მხოხავი მწერი, რომელიც არწივად ვერასდროს გახდება“. მიზნის მისაღწევად არაფერს თაკილობს, ყოველთვის სიტუაციის შესაბამისად მოქმედებს. ხან კოლას ერთგულია, ხან მის მოსისხლე მტრად ქცეული შვილის, გაიოზისა, რომელსაც გამდიდრების მიზნით რუსეთში მიჰყვება, გაკოტრების შემდეგ კი კვლავ კოლას უბრუნდება. არ თაკილობს ტყუილს, ჯაშუშობას, ორპირობას. დაუფიქრებლად სწირავს გაიოზსაც, მგელასაც და, როგორც მოსალოდნელია, ბოლოს თავისივე ორპირობას ეწირება — მგელას ხელით იღუპება.

ასეთია რომან „მგელკაცაში“ „პატარა ადამიანების“ ტრაგედია, რომლებიც, კვლავ ფროიდს რომ მივმართოთ, ვერ ახერხებენ პიროვნული „მე“-ს „ზე-მე“-დ („იდეალურ „მე“-დ) გარდაქმნას. ისინი გამუდმებით მერყეობენ ამ ორ პოლუსს შორის, ცხოველურ (მგლურ) ინსტინქტებსა და მაღალზნეობრივ იდეალებს შორის. ვერცერთი ვერ ახერხებს სანუკვარ მიზანთან მიახლოებას. დიახ, პიროვნული გამთლიანება და თავისუფლებისკენ სწრაფვა გუგა ნახუცრიშვილის რომანის პერსონაჟების, „პატარა ადამიანების“ ტრაგედიაა, ის მიუღწეველი მიჯნაა, რომელიც ცაცას მაგალითზე ასე ოსტატურად გამოხატა მწერალმა: „აი, თურმე რად იტაცებდა ცაცას საღამოობით შორეული ცის ტატნობი და დინჯად აყუდებულ ლურჯ მთებზე ჩამოწოლილი ბინდი. თურმე იქით, შორს, უკეთესი, ბრწყინვალე ცხოვრების მისაღწეველი გზებია და ის გზები გამძაფრებით უხმობენ ცაცას თავისკენ...“

გამარჯობა, ჩემო როსტომ! დიდი მადლობა ჩემი წიგნების ასეთი კარგი დახასიათებისთვის საპატრიარქოს არხის „ერთსულოვნება“ დილის გადაცემაში „განთიადი“. მე დღეს ერთი თვით მივდივარ და ამიტომ ვერ შევძელი მოსვლა შენთან და მადლობის თქმა. აგვისტოში, თუ თბილისში იქნები, აუცილებლად განახავ; მინდა გაჩვენო მეხუთე წიგნი — ჯალალ ედ-დინ, რუმი. რომელიც თითქმის დამთავრებულია — იმავე სერიაში — მთარგმნელის ბიბლიოთეკა, ისეთივე დიზაინით და აღნაგობით (სხვადასხვა ენებზე, ლექსიკონით); ასევე პეტრარკას სონეტებს ვამზადებ, ეს მეექვსე წიგნი იქნება — თამაზ ბაძაღუას, ჯემალ აჯიაშვილის, ჩემი და გიორგი ხულორდავას თარმანებით. მაქვს კიდევ იდეა ამავე სერიისთვის — 100 საუკეთესო თარგმანი... ლირიკა. აგვისტოს პირველიდან თბილისში ვიქნები, თუ გამაგებინებ, როდის შეიძლება შენი ნახვა, აუცილებლად მოვალ.

შექსპირთან დაკავშირებით ჩვენ საერთო აზრი გვქონია (ინესა მერაბიშვილისგან განსხვავებით) და მინდა ეს წერილი გაგაცნო, რომელიც აღარ შევიტანე წიგნში, არადა, მინდოდა ცოტა იუმორის და სიხალისისთვის...

როდესაც ამ წიგნის შედგენა-დაკაბადონება ბოლომდე მივიყვანე (...სონეტების თარგმნა კი 2007 წელს დავასრულე, რვა წელი ვთარგმნიდი და ხუთი წელი ველოდი წიგნად დაკაბადონების "მუზის" მოსვლას... გაურკვეველი სიზარმაცის გამო) და რაიმე წინასიტყვაობის დაწერის აუცილებლობაც ვიგრძენი, რაც ყველაზე არასასურველი ქმედებაა წიგნის შექმნის მთელ პროცესში, ერთი ლექცია მოვისმინე, მერე შესაბამის ლიტერატურას გავეცანი და აღმოვაჩინე, რომ ვიდრე მე ვზარმაცობდი და ფეხს ვითრევდი, შექსპიროლოგია ახალ "სიმაღლეზე" ასულა... დავჯექი და ერთი წერილი დავწერე სოციალური ქსელებისთვის და მივხვდი, რომ ეს წერილი წინასიტყვაობადაც ივარგებდა.... გთავაზობთ სრული სახით:

არ შეხვიდე სეფაში ორჯერ!

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ვარსკვლავებთან მოთამაშე მეცნიერებმა შექსპირს, მის პიროვნებას, ბიოგრაფიას, შემოქმედებას ერთი წრე რომ შემოარტყეს (დაიტირეს, გამოიგლოვეს, სეფაშიც შევიდნენ....) ანუ ყველაფერი რომ გამოიკვლიეს, რაც შესაძლებელი იყო, აღმოჩნდა, რომ შექსპიროლოგია დადგა კრახის წინაშე, რადგან ახალს ვეღარაფერს ამბობდა და დღეს-ხვალ არაპრესტიჟული სფერო გახდებოდა ლიტერატურის გარშემო მოწრიალე ათასი ჯურის ავანტიურისტისთვის, ანუ გაკოტრდებოდა ის უზარმაზარი ლიტერატურული ბიზნესი, რასაც დიდი ინგლისელი დრამატურგის და პოეტის შემოქმედება ასაზრდოებდა, და ჰა! — სასწაული! რამდენიმე ბრიტანელმა და ამერიკელმა მკვლევარმა შემოაგდო ასეთი (როგორც ახლა იტყვიან — შოკისმომგვრელი!... სენსაციური!... სკანდალური!... და მეცნიერთა არსებობის გასამართლებელი) ჰიპოთეზა: შექსპირი, როგორც ცოცხალი არსება და პიროვნება, საერთოდ არ არსებობდა; ეს არის ვირტუალური ავტორი, რომელიც ორმა სხვა პიროვნებამ შეთხზა.

ვინ იყვნენ ეს პიროვნებები? — ფრენსის ბეკონი და მისი ძიძიშვილი, ენტონი ბეკონი. თავისი ეპოქის უდიდესი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი ყოფილა (არც მეტი, არც ნაკლები!) ინგლისის ძლევამოსილი დედოფლის ელისაბედის ვაჟი, რომელიც მას დაუმალავს და დაბადების შემდეგ ბეკონების ოჯახში გაუძიძავებია... ელისაბედი, რომელიც ტიუდორების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო და ოცნებობდა ელემენტარულ ქალურ ბედნიერებაზე, შვილზე, ოჯახზე და ა.შ. (რის გამოც შეიძულა და სიკვდილით დასაჯა მარიამ სტიუარტი, რადგან შურდა მისი, როგორც ქალის, ბედნიერებისა), უცებ საკუთარ შვილზე, ტიუდორების დინასტიის გაგრძელების ერთადერთ იმედზე, ამბობს უარს (...რომელიც მავანი რობერტ დადლისაგან შეეძინა თურმე და, გაუგებარია — რატომ, მას ერთ-ერთ სატრფიალო სეანსში უთხრა, რომ იგი არასოდეს გათხოვდება, რადგან მისი

ერთადერთი და საოცნები საქმრო არის... თავად ინგლისი (?!). ჰოდა, მან შვილი გააძიძავა... ბეკონების ოჯახში იზრდებოდა კიდევ ერთი ვაჟი, ნამდვილი შვილი თავისი მშობლებისა — ენტონი; ინგლისის ტახტის დამალული მემკვიდრე მასთან ერთად ცხოვრობდა და იღებდა განათლებას... დედოფალმა თურმე იზრუნა როგორც საკუთარ შვილზე, ასევე ბეკონების ნამდვილ ვაჟზე, მისცა ბრწყინვალე სწავლა-განათლების მიღების საშუალება და... შედეგად კი ეს ორი კაცი გახდნენ ფილოსოფოსებიც, პოეტებიც, დრამატურგებიც და მთელი შემოქმედება, რასაც უილიამ შექსპირს მიაწერენ, შექმნეს ამ ძუძუმტეებმა — ფრენსისმა და ენტონიმ — ასეთი განრიგით: ფრენსისი მხოლოდ პიესებს წერდა, ენტონის კი ეკუთვნის ყველა (154) სონეტი, რაც დღეს ჩვენთვის ცნობილია უილიამ შექსპირის სახელით... ესე იგი შექსპირი საერთოდ არ არსებულა, არც დრამატურგის, არც პოეტის, არც "გლობუსის" თეატრის მსახიობის და არც სტრატფორდში დაბადებული ადამიანის სახით...

* * *

ერთი სიტყვით, ვარსკვლავ-მეცნიერებმა შეთხზეს ახალი მითი და მეორედ მოიწადინეს „სეფაში" შესვლა....

ცხადია, ეს ყველაფერი სრული აბსურდია და შექსპირი თავისი სიდიადით ამასაც გაუძლებს... ჩვენ კი ამ წიგნით შევეცადეთ მომავალი ეპოქების მთარგმნელთათვის გაგვეადვილებინა შრომაც და საკუთარი თარგმანებიც წარმოგვეჩინა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რვა წელი ელოდა დაბეჭდვას და მზის სინათლეზე გამოსვლას.

ალექსანდრე ელერდაშვილი

გია მურღულია

ახალი ჩანაწერები

აზროვნების სტერეოტიპი

ადამიანებს ერთი საკმაოდ გავრცელებული სენი სჭირთ — რასაც კითხულობენ ან მოისმენენ, ზოგჯერ არასწორად ესმით ხოლმე. ასეთ დროს, მაგალითად, მოთხრობილ ამბავს ყველა ერთნაირად აღიქვამს, მაგრამ რა მიზნით არის მოთხრობილი ეს ამბავი და რისთვის შეთხზეს თუ გაიხსენეს, ბევრისთვის მიუწვდომელ ჭეშმარიტებად რჩება.

ამ სენის ფესვები ადრეულ ბავშვობაშია საძიებელი — ოჯახსა თუ სკოლაში კარგად რომ არ ირჯებიან საიმისოდ, რომ პატარაობიდანვე დაფიქრებული კითხვა და კონტექსტის ამოცნობა ასწავლონ. ძალიან სევდისმომგვრელია, როდესაც ადამიანი რაღაცას კითხულობს და ვერაფერს ხედავს იმის გარდა, რაც ზედაპირზე დევს.

ერთ საყოველთაო მაგალითს მოვიტან. სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის ცნობილი იგავი „იხვი და მყვარი" — სკოლიდან ალბათ ყველას გვახსოვს:

ერთს მთაში ერთი მომცრო, წვიმის მდგარი გუბე დარჩომილიყო. მივიდა ერთი იხვი, ჩაჯდა და იყოფებოდა. ერთი მყვარი დაეძმობილა იხვსა და ერთად იყვნენ და, რაც გაეწყობოდა, შეექცეოდიან. რა მზე გაცხარდა და ზაფხულმან სიცხე მოუმატა, წყალმან კლება შექმნა. იხვმან უთხრა მყვარს: მოდი, ადგილი ვიცვალოთო! მყვარმან უთხრა: შენ აქა-იქ თრევას ჩვეულხარ,მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო! იხვი გაფრინდა, სადაც დიდი წყალი იყო, იქმივიდა. მყვარმან სამკვიდრო არ გაუშვა. ცოტას ხანს უკან იხვმან თქვა: წავალ, ჩემს ძმობილს ვნახავ,რასა იქმსო? მოვიდა, ნახა, გუბე გამხმარიყო, მყვარი მომკვდარიყო. უთხრა: ძმობილო, მაგისთანას სამკვიდროს სიყვარულს ჩემეულად სიარული სჯობნებიაო.

რა წერია აქ, რისი თქმა სურს სულხან-საბას? ადრე ასე ასწავლიდნენ და ხშირად ახლაც ამასვე ამბობენ, რომ ამ იგავის მთავარი სათქმელი სამშობლოს ერთგულებაა — რა გასაჭირი თუ საშიშროებაც უნდა ახლდეს მშობელი ქვეყნის წინაშე ვალდებულების შესრულებას, ღირსეულმა ადამიანმა უკან არ უნდა დაიხიოს და არასდროს მიატოვოს თავისი ქვეყანა პირადი კეთილდღეობისათვის. მყვარი „კარგია", ხოლო იხვი — „ცუდი". პირველი სამშობლოს მუდმივად ერთგულ ადამიანს განასახიერებს, ხოლო მეორე — მხოლოდ საკუთარ თავზე მზრუნველს.

ახლა ვიკითხოთ — ნამდვილად ასეა? სულხან-საბა მყვარის იდეალიზებასა და იხვის განქიქებას ცდილობს? თუ მართლაც ეს აქვს მიზნად, რატომღა მთავრდება ეს იგავი ერთ-ერთი პერსონაჟის ასეთი შეგონებით?

რადგან რუქა აგრე ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა, თქვენ კი ნუ აჰყვებით, კარგი ქმენით და მაგას იმ მყვარსავით დაემართებაო.

საქმე ის არის, რომ პატრიოტობა და სამშობლოს ერთგულება აქ არაფერ შუაშია — ეს იგავი სულ სხვა თემასა და აზრს ეხება. კერძოდ, რას? სანამ ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ერთ მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება.

მყვარი კვდება. რისთვის კვდება ის, რა აზრი ან გამართლება აქვს მის დაღუპვას? რას შეეწირა ის? პასუხი სავსებით ცხადი და ნათელია — პრაქტიკულად არაფერს. თავის „სამკვიდროსთან" მას არ აკავშირებდა არანაირი კეთილი იდეა, არავითარი ღირებულება, ფიქრი ან საქმე. მისი „ერთგულება" "არაფრის" ერთგულებაა, მხოლოდ ნულოვანი წარმოსახვის შედეგია, რასაც პრაქტიკულად არარსებული აზრი შეუძენია. სამშობლო არ შეიძლება სტერეოტიპი იყოს — ის მეტისმეტად ცოცხალი განცდაა საიმისოდ, რომ მისი მნიშვნელობა ასე დავავიწროოთ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, აბა, რაღას ეხება იგავი, რას გამოხატავს ეს პატარა ტექსტი? სულხან-საბა ორბელიანი აზროვნების ორ ტიპსა და კულტურაზე გვესაუბრება! ის გვასწავლის, რომ ადამიანის ცხოვრება ახალ-ახალ გამოწვევათა და ვითარებათა მთელი წყებაა და ნამდვილი პიროვნების ვალი და პასუხისმგებლობაა, ამ გამოწვევებს სათანადო რაციონალურობით უპასუხოს. არსებობს აზროვნების ორი გავრცელებული ტიპი. ერთისთვის ის არის დამახასიათებელი, რომ სიახლის შიში თუ რიდი არ აქვს, კრიტიკულად აფასებს თავის წარსულ გამოცდილებას და ცხოვრების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის ადეკვატურ გზებს ეძებს — როგორც წესი, პოულობს კიდეც. მეორეს კი ამგვარი რამ სრულიად არ ძალუძს აზროვნების გახევებისა და გაქვავებულობის გამო. როგორც ანტონ ჩეხოვის ერთი უცნაური ლოგიკის მქონე პერსონაჟი ამბობს: „ეს არ შეიძლება მოხდეს, იმიტომ რომ ეს არასდროს არ შეიძლება მოხდეს!"

ასეთი აზროვნების წესი მოვლენის, ფაქტისა თუ ადამიანის ზედაპირული შეფასებით კმაყოფილდება — არ შეუძლია და სურვილიც არ აქვს, სიღრმეს ჩახედოს, ნამდვილი არსი დაინახოს და შეაფასოს. მისი ხვედრი, როგორც ნახსენები იგავი გვაუწყებს, ფორმალური „იდეისთვის" (იდეებშიც არსებობენ „გააზნაურებუ-

ლი მდაბიოები“) სიკვდილია. მართალია, ეს ფორმალური იდეა (პრიმიტიული აღქმის გამო) ზოგჯერ „კეთილშობილურ სამოსში“ გვევლინება და, ერთი შეხედვით, კარგ ემოციებსაც აღძრავს, მაგრამ გონიერი ადამიანისთვის არაფრობა ყოველთვის არაფრობაა.

„სიბრძნე სიცრუისა“ (როგორც ამ იგავის მთლიანი კონტექსტი) მთელ ჩვენს ამ მსჯელობას კიდევ უფრო მაღალ რეგისტრში აიტანს და ხსენებულ ფორმალურ იდეას ბოროტებასთან აკავშირებს. როდესაც აკვიატებული ფიქრი თუ განწყობა „ავის საქმის ქმნაზე დამკვიდრებულა“, ის განწირულია დასამარცხებლად და გასაქრობად, რადგან მხოლოდ სიკეთეს აქვს არსი და მხოლოდ ის არის მარადიული — დანარჩენი ყველაფერი განქარვებადია.

სულხან-საბა ნათლად გვაგრძნობინებს, რომ იხვი „კარგია“, მყვარი კი — „ცუდი“. პირველი სიკეთესა და აზროვნების სიცოცხლეს გამოხატავს, მეორე კი — ბოროტებასა და აზროვნების სიხისტესა თუ გახევებულობას. მყვარის „პატრიოტობა“ არაადეკვატურად აღმქმელთა მოგონილია.

დაბოლოს: ზოგჯერ ისე ხდება, რომ არასწორ ფიქრსა თუ მოქმედებას კეთილშობილი სიტყვებით წარმოგვიდგენენ — მყვარიც ხომ პათეტიკითა და ნიშნისმიგებით ამბობს: „მე სამკვიდროს ვერ დავუტევებო!“. ასეთმა მიდგომამ არ უნდა დაგვაბნიოს — როდესაც სიტყვები რეალურ ვითარებას არ ასახავს და ვერც გამოხატავს, შინაარსისგან დაცლილია და საქმეს დაშორებული, მათ თავი არ უნდა მოვატყუებინოთ — უსულო სხეული ადამიანი აღარ არის, მხოლოდ გვამია.

არანი

ცხოვრება ჰქვია იმას, რაც მოხდა — და რაც არ მოხდა, იმასაც ცხოვრება ჰქვია. რაც ფიქრში, განზრახვაში, სურვილში, წარმოსახვაში ერთხელ მაინც გამოჩნდა თუ გაიელვა, არანაკლებ „მოხდა“, ვიდრე ის, რაც მართლა მოხდა. ზოგი მოვლენა რეალურად არსებობს, ზოგი კი მხოლოდ წარმოსახვაში — ან იქაც არა. მათ შეიძლება „არანი“ ვუწოდოთ, იმიტომ რომ არასდროს „ყოფილან“, მაგრამ ვისთვისაც ეს „არანი“ მნიშვნელოვანნი ან ძვირფასნი არიან, ვერასდროს იტყვიან, რომ მათ ისინი ცხოვრების მთელი „ციმციმით“ არ განუცდიათ.

სწორედ ამიტომ ჩვენი ცხოვრების არსებას თანაბრად ქმნის სრული სისავსე და სრული სიცარიელე. ის, რაც მოხდა, არაფრით აღემატება იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ძველებს უთქვამთ, რომ ხელოვნება, დიდწილად, სწორედ ის არის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო — ეს ხომ პირდაპირი აღიარებაა იმისა, რომ ცნობიერების სიცოცხლე არაფრით ნაკლები არ არის „ჩვეულებრივ“ სიცოცხლეზე. ის, რაც არ ჩანს, იმის ფარდია, რაც ჩანს — ზოგჯერ აღემატება კიდეც მას და არავინ იცის, რომელია ამ ორთაგან უფრო „ნამდვილი“.

პოეზიის სულს „არანი“ განსაზღვრავენ, ხოლო მის საზრისს — უფრო მეტად.

ისტორიის სულსაც „არანი“ წარმოაჩენენ ყველაზე მეტად, მის საზრისს კი — საკმარისზე თვალსაჩინოდ.

ადამიანის ღირსებისთვისაც „არანი“ თითქმის გადამწყვეტია — კაცი მხოლოდ ის კი არ არის, რასაც აკეთებს — რასაც არ გააკეთებს არასდროს, ის უფრო მეტად არის.

ჯერ კიდევ ჩინელებმა იცოდნენ მრავალი საუკუნის წინ, რომ ნებისმიერ სისავსეს აღემატება დიადი სიცარიელე.

ყველაზე მეტად სწორედ ის არსებობს, რაც არ არსებობს. ყოველი ადამიანის სიცოცხლე ფორმაა, რომელიც შესაძლოა, რეალურად არსებულთან ერთად, ერთდროულად რამდენიმე სხვა შინაარსითაც ივსებოდეს. ვინ იცის, რამდენჯერ გვიფიქრია, რომ რაც არ მომხდარა, მაგრამ შესაძლებელია ან (მითუმეტეს) გვინდოდა მომხდარიყო, მეტად „არსებობს“ ჩვენში, ვიდრე ის, რასაც შემდეგ ბიოგრაფიას ან ადამიანის „ისტორიას“ ვუწოდებთ.

რთულია ამის აღქმა? არც ისე — ამას ხომ ნებისმიერი ჩვენგანი სულით გრძნობს და გონების შეწუხება მაინცდამაინც საჭირო არ არის.

ადამიანის ცხოვრების ყოველ ცნობიერ წამს მსჭვალავენ არანი — ჩვენი არდაბადებული ისტორიები, რომლებიც ხანდახან გვანცვიფრებენ არარსებულის ძალმოსილებითა და მშვენიერებით.

დემოკრატია და სულიერი არისტოკრატიზმი

უინსტონ ჩერჩილის კვალობაზე, დემოკრატიას ვაფასებ, მაგრამ ძალიანაც არ მომწონს — თითქოს არის მასში მშვენიერების გარდაუვალი „შეუხედაობა“ ან პირიქით — „შეუხედაობის“ გარდაუვალი მშვენიერება. დემოკრატია საკმარისად ნაკლულია საიმისოდ — ეს ვერ დავინახოთ, მეორე მხრივ კი, ტრაგიკულია იმაზე ფიქრი, რომ ეს ნაკლოვანებები შესაძლოა ვერასდროს გამოვასწოროთ.

ამას წინათ ზურაბ კიკნაძის ერთ ახალ წიგნს ვკითხულობდი („სიტყვითა და საქმითა“), სადაც 259-ე გვერდზე წერია:

„იბსენი წერდა: „დემოკრატიის სასიცოცხლო ამოცანა საკუთარი თავის გაარისტოკრატებაა“. როდემდის უნდა გაიძახოდეს ადამიანი: უფლება, უფლება, უფლება! ბავშვებსაც ითრევენ ამ ძახილში, ასწავლიან, რომ მათაც მოითხოვონ უფლებები. არისტოკრატობა კი იმაშია, რომ დასჯერდე მოვალეობას — ეს უნდა იყოს შენი უფლება. არის რაღაც პლებეური უფლებათა მუდმივ მოთხოვნაში. დემოკრატია ქმნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელსაც ლენინმა (შესაძლოა, სხვა ვინმემ) „პროლეტარიატის დიქტატურა“ უწოდა. მართლაც, უთვალავი უფლებით შეჭურვილი დემოსი დემოკრატიის სახელით დიქტატურაზე უარს არ იტყვის. სხვა შორსმჭვრეტელი მოაზროვნე ამას „მასების ამბოხს“ დაარქმევს. ერთი მხრივ, ამბოხებული დემოსი, მეორე მხრივ, დამთრგუნველი სახელმწიფო ლევიათანის სახით — ორივენი პიროვნებას, უკეთეს შემთხვევაში, ეჭვის თვალით უყურებენ“.

ერთი შეხედვით, უცნაური მსჯელობაა — განა დემოკრატია პიროვნების დაცვის ყველაზე დიდი გარანტია არ არის დღემდე არსებულთა შორის?! მმართველობის სხვა რომელ სისტემაში გრძნობს ადამიანი თავს უკეთესად? ეს, მართლაც, ასეა, მაგრამ...

„დემოკრატია“ ხალხის მმართველობაა. „ხალხი“ რა არის? მარტივად თუ ვიტყვით, ბევრი ადამიანი ერთად. თუმცა ერთი რამ სრულიად უდავოა — ეს „ბევრი“ სრულიადაც არ არის ცალკეულ პირთა არითმეტიკული ჯამი. ისინი ამ ერთობაში და ერთობით ახალ განზომილებას ქმნიან, რომელიც სრულიადაც არ არის ყოველი მათგანის ცხოვრებათა, ფიქრთა, მისწრაფებათა, ღირებულებათა და თვითგამოხატვათა მექანიკური ერთობა.

დემოკრატია ფიქრის გამორჩეულობის კი არა ფიქრის მსგავსების კულტურაა, რაც მისი ხასიათის „პლებეურობას“ ქმნის. პლებეურობის უმთავრესი გამოხატულება ის არის, ყოველთვის რომ ითხოვ და არაფერს გასცემ — შენი სურვილები და მოქმედებები საკუთარ თავში არ უნდა დააპატიმრო. სხეულს რომ სულის არა მხოლოდ საზღვრად, არამედ ციხედ აქცევ — ეს არის პლებეის მიზანიცა და ხვედრიც. სულის არისტოკრატობა ბევრად სცილდება დემოკრატიის საზღვრებს. არისტოკრატიზმი მხოლოდ გამორჩეული სიმაღლის (ფიქრის, ზნეობის, მეტყველების, ქცევის) უფლებას სცნობს, მაშინ როდესაც დემოკრატიისთვის არსებობს ყველას თანაბარი უფლება.

დემოკრატიულ წყობაში ბრძენსა და სულელს, ზნეობრივ კაცსა და უზნეოს ერთნაირი უფლებები აქვთ და საზოგადოება სრულიადაც არ არის დაცული — დემოკრატიული პროცესის გზით სულელური, მეტიც — დანაშაულებრივი გზა აირჩიოს. ის, ვინც მხოლოდ ე.წ. „ხალხის სიბრძნეს“ ენდობა, ძლიერ რისკავს, რომ ცუდი შედეგი მიიღოს. განა ადოლფ ჰიტლერი არჩევნების გზით არ მოვიდა ხელისუფლებაში? — თანაც დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და გერმანელი ხალხი (რომელსაც უჭკუ-

ობას ნამდვილად ვერ დასწამებ) კარგა ხანს აღმერთებდა მას. ან სად იყო „ხალხის სიბრძნე“, როდესაც საბჭოთა იმპერია მილიონობოთ ადამიანს, როგორც მონებს, ისე ექცეოდა? — რატომ ტიროდნენ გაწამებული ადამიანები ასე გულწრფელად საკონცენტრაციო ბანაკებში, როდესაც ამ ბანაკების მთავარი „შემოქმედი“ სტალინი გარდაიცვალა (არაფერს ცვლის, რომ ის, ამ მხრივ, ლენინისა და ტროცკის მოწაფე იყო)?

საბოლოო ანგარიშით „ხალხის მმართველობაც“ ადამიანთა, კონკრეტულ პირთა მმართველობამდე „დაიყვანება“. უბრალოდ, ამ კონკრეტულ პირებს თუ დემოკრატიულ საზოგადოებებში შერჩევის ისეთი სისტემით გამოავლენენ, რომელშიც ყველა, სათანადო უფლების მქონე, ადამიანი მონაწილეობს, სხვა შემთხვევებში მათ ხელისუფლება ან მემკვიდრეობით გადაეცემათ ანაც ძალით მიაქვთ.

რა თქმა უნდა, არის სხვა განსხვავებებიც. მაგალითად, დემოკრატიას გამოარჩევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპი — ერთი ადამიანის ხელში რომ არ მოხვდეს ყველა ბერკეტი. კარგია ეს თუ ცუდი? რა თქმა უნდა, კარგია, თუ სრულად გამოიხატება და რეალიზდება, მაგრამ ჩვენ გვაქვს უამრავი მაგალითი, როდესაც არჩევნებში გამარჯვებული პარტიის ლიდერი ისეთივე აბსოლუტურ ძალაუფლებას ფლობს, როგორსაც რომელიმე მეფე ან ტირანი. ასე რომ, დემოკრატია სრულიადაც არ არის ხელისუფლების „გააბსოლუტებისგან“ დაცვის სრული გარანტია.

ერთიც ვახსენოთ: დემოკრატია შედარებით „ნელია“, რადგან თავისი ბუნებით ხელისუფლების სხვადასხვა შტოთა შეთანხმებას ითხოვს, ამას კი ყოველთვის მეტი დრო სჭირდება, ვიდრე, მაგალითად, მეფის გადაწყვეტილების აღსრულებას — ითქვა და შესრულდა!

რაც აქ ძალიან მოკლედ და სქემატურად ითქვა, ნიშნავს თუ არა იმას, რომ დემოკრატია არ ვარგა? ცხადია — არა. ამჟამად მას ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ შესაძლოა განვითარებისა და სრულყოფის, ნაკლოვანებათაგან გათავისუფლების შესაძლებლობა ჰქონდეს — გაუმჯობესების ერთგვარი რეზერვი, რაც მის ბუნებას „გააარისტოკრატებს“.

იბსენს თუ დავუჯერებთ, ეს პროცესი, უწინარესად, უფლებებისა და მოვალეობების დაბალანსებას გულისხმობს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დემოკრატიამ ისეთი კანონები და მათი აღსრულების ისეთი მექანიზმები უნდა შექმნას, რომ მთავარ უფლებად მოვალეობა წარმოჩინდეს.

არის თუ არა ეს ილუზია ან უტოპია?

ჩვენი „გადასახედიდან“, ალბათ, არის, რადგან ასეთი ხედვა უკეთეს მმართველობის სისტემას კი არა, უკეთეს ადამიანს გულისხმობს. ადამიანის „გაუმჯობესების“ ტენდენცია კი მაინცდამაინც არ ჩანს. ახლა ადამიანი ისეთია, რომ მმართველობის ნებისმიერ სისტემას დაამჩნევს თავისი ნაკლოვანებების დაღს. იქნებ ამიტომაც არის, რომ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მუდმივად ცდილობენ განათლებისა და აღზრდის სისტემების რეფორმირებას, თუმცა ჯერ-ჯერობით დიდად წარმატებულს ვერც ერთ ასეთ მცდელობას ვერ დავარქმევთ. ბევრი ფიქრისა და ფულის დახარჯვის მიუხედავად, შედეგი პრაქტიკულად არ ჩანს. ცივილიზაცია ვითარდება, მაგრამ ადამიანი უკეთესი არ ხდება (ამაზე ჯერ კიდევ ფრანგი განმანათლებლები „ოხრავდნენ“ — მაგალითად, ჟან-ჟაკ რუსო).

კეთილი — ვთქვათ, ამჟამად დემოკრატიული მმართველობის სისტემის „გაარისტოკრატება“ ილუზიას ან უტოპიას მივაკუთვნეთ იმის გამო, რომ ვერ „ვაუმჯობესებთ“ ადამიანს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ასეთი რამ პრინციპულად შეუძლებელია?

არა — არ ნიშნავს!

ის, რაც შეუძლებელია აღზრდის თანამედროვე სისტემისთვის, არ არის გამორიცხული შესაძლებელი გახდეს მომავალში. არასდროს თქვა — „არასოდეს“! თუკი კაცობრიობა მოახერხებს განვითარების ისეთი ვექტორის მოძებნას, რომელსაც გაყოლილი ადამიანისთვის ცხადი გახდება, რომ კეთილშობილება და სათნოება თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის ყველაზე მომგებიანი გზაა, მაშინ ილუზია და უტოპია შესაძლოა რეალობად გადაიქცეს.

სამართლიანი და ბედნიერი საზოგადოებისთვის მთავარი ორი რამ არის: ადამიანი და მმართველობის სისტემა. პირველი შინაარსია, მეორე — თვითორგანიზებისა და თვითგამოხატვის ფორმა.

ადამიანი შეიძლება იყოს კეთილშობილი.

შეიძლება თუ არა „კეთილშობილი“ იყოს სისტემა?

შეიძლება — თუ მასში კეთილშობილი ადამიანი მოქმედებს.

სხვა შემთხვევაში ის, თუნდაც „დემოკრატია“ ერქვას, მხოლოდ უსიცოცხლო სქემაა, რომელსაც ისევე „ეკარგება სახე“, როგორც ნებისმიერ სხვას.

იბსენმა თქვა ის, რაც თქვა.

მე ვეთანხმები იბსენს.

თქვენ?

მფლობელნი ამის ჟამისანი

სამსახურში ჩემი ოთახის კედელზე გამორჩეულად ჭკვიან და ცნობილ ადამიანთა სხარტი მომხიბვლ ელ ობით გამოთქმული აზრებია გამოკრული — ფერად ფურცლებზე. თითო ამ ფურცელ ზე ფიქრისა და განცდის მთელი სამყაროა. ხანდახან გავხედავ ხოლმე — არა მხოლოდ მოცალეობის ჟამს — და იმ აზრით ვივსები, რომ ცხოვრების ამგვარი „ნაფლეთები“ სულის ტანსაცმელია, რომელიც ადამიანთა სიგიჟის დიდ სიცივეში გათბობს.

სად არიან ახლა ისინი — ამ აზრებს რომ გამოთქვამდნენ? არც ერთი აღარ არის ცოცხალი — ყველა უკეთეს სამყაროში გადაბარგდა. მხოლოდ ადამიანთა მეხსიერებას, წიგნებსა და ჩემს კედელზე ფერად ფურცლებს შემორჩნენ. ზოგი წითელია, სხვები — ლურჯი, ყვითელი ან მწვანე. რატომაც არა, ასეც შეიძლება ითქვას: „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“. ფიქრი კედელზე, რომელიც, ამ შენობასთან ერთად, ჩვენს სულებშიც არის.

ჰო... მართალია... ისინი აღარ არიან.

რა უცნაურად გამოიყურება ეს ორი სიტყვა მათთან მიმართებაში — „აღარ არიან“. როგორ შეიძლ ება, რომ ისინი არ იყვნენ (მაინცდამაინც ახლა რატომ შემომეფეთა ედუარდ ერიოს ერთი ფრაზა კედლიდან: „ჭკვიანი კაცი იმით გამოირჩევა, რომ შეიძლება რაღაც არ ესმოდეს“)? აბა, რას და რატომ ვუყურებ მე კედელზე? განა ფიქრი სხეულზე ნაკლებად არსებობს? და განა ფიქრი ინდივიდუალობას კარგავს როდისმე?

ეს ფურცლები ახლა კითხვის ნიშნებს უფრო დაემსგავსა, მაგრამ რატომ მამშვიდებს ყოველთვის მათზე გამოსახული პასუხების ჭეშმარიტების სინატიფე და ძალმოსილება? ისინი არსებობენ ყველაზე მეტად და ამიტომ. ისინი არასდროს კვდებიან, რადგან არ ბერდებიან. მათ სხეული არ აქვთ, მაგრამ მათზე დგას მატერიის მთელი სიმძიმე. ისინი მარადიული იდეები არიან.

ამასთან ერთად, ისინი უმთავრეს ღირებულებებს ქმნიან და განასახიერებენ. რომელია ორი არსებულიდან უფრო ძვირფასი? ამ კითხვას მეორეც უნდა მოვაყოლოთ — ვისთვის? დიახ, რაც ერთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მეორე კაცისთვის შესაძლოა უბრალოდ კვამლი იყოს, რომელიც ერთ წუთში განქარდება. ღირსეული კაცისთვის (იმისთვის, ვინც კეთილ სიტყვას, კეთილ ფიქრსა და კეთილ საქმეს ერთმანეთს არ აშორებს) არსებულთაგან „უფრო ძვირფასი“ ის არის, რომელიც ადამიანს კი არ განაცალკევებს ღმერთისა და სამყაროსგან, არამედ ერთ მთლიანობად წარმოადგენს, რასაც სიყვარული ქმნის და აცოცხლებს.

რა არის ამის საწინააღმდეგო მოვლენა და ვინ განასახიერებს მას?

ასეთ „განმასახიერებლებს“ ვაჟა-ფშაველა ასე მიმართავს: „არ იცით, დასჩნდით რისადა, ანდა რისთვისა ჰკვდებითა!“ ისინი არ იცნობენ და არც სცნობენ სიყვარულით დაბადებულ და ნაცოცხლებ მთლიანობას. მათთვის მთავარი „მწვერვალზე ყოფნაა“, გინდაც ეს „უმოყვასო მწვერვალი“ იყოს და მათ გარდა იქ არავინ იმყოფებოდეს. მათთვის ძალაუფლება ცვლის სიყვარულს.

ეს როგორი „ალტერნატივაა“? —

არც არანაირი, — თუმცა მომხიბვლელ სიამოვნებას ბადებს და ბევრს აცდუნებს. მათი „კეთილდღეობა“ (ხშირად — უბრჭყალებოდაც) აღემატება მათსავე სიყვარულის უნარსა და განცდას. მერე რა, რომ მარადისობით მცირე დროს ყიდულობენ (ეშმაკის ოდინდელი კომერციული იდეაა!) — სამაგიეროდ, ამ დროს ვნებაატანილის ძალმომრეობითა და სიშმაგით ეუფლებიან.

„მფლობელნი ამის ჟამისანი“! — ეს იოანე საბანისძის სიტყვებია და ასე არაბებს მოიხსენიებს, ჩვენი ქვეყნის მაშინდელ დამპყრობლებს. მისი რწმენა ასეთი იყო (ამგვარი ფიქრი, რა თქმა უნდა, მანამდეც იყო და შემდეგაც): ბოროტება შესაძლოა რომელიმე დროს დაეუფლოს, მაგრამ ის უძლურია მარადისობის წინაშე. დროის „გაუპატიურება“ შეიძლება, მარადისობისა — ვერა. მათ თვალსა და გულში, რომლებიც მხოლოდ მცირე დროს ხედავენ და აღიქვამენ, ამ დროზე მოძალადენი დიდების შარავანდედით იმოსებიან და „დიადი შურის“ სამიზნეებად იქცევიან. ეს ყალბი და წარმავალი „დიდებაა“. ამას ადასტურებს ადამიანთა მთელი ისტორია, მაგრამ ახალი თაობები მუდმივად იხლართებიან „ძველ ბადეში“ — ახლაც ძალიან მომხიბვლელად გამოიყურება დროის დაუფლება.

ვუყურებ ტელევიზორს, ვეცნობი პრესას, უბრალოდ ვუმზერ ცხოვრებას და ნათლად ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ღირებულებების მსახურნი კი არა, დროზე მოძალადენი არიან. ახლაც ცხოვრობენ „მფლობელნი ამის ჟამისანი“ — გარემოებათა გამო მიტაცებული ძალაუფლებით, კეთილ დღეობითა და ყალბი დიდებით რომ ყელყელაობენ. დათრგუნული დრო მათ ტაშს უკრავს, მარადისობას კი ეცინება — ბევრი ასეთის უღიმღამო და სევდიანი ფინალი უნახავს და ამიტომ. ამ, თავისთავად ტრაგიკული, ადამიანების ფრაზებიც არსებობს — ნამდვილი რეალობის სულ ბოლო წამს მაინც მიხვედრილთა გამონათქვამები (გახსოვთ? – „შენ მე დამამარცხე, ნაზარეველო!“), მაგრამ ეს ფრაზები თითქმის არ ჩანან ოთახებისა და სულის კედლებზე.

მათთვის ფერადი ფურცლები ენანებათ.

მშვენიერების წინასწარმეტყველება

ის, რაც უნდა თქვა, თითქმის ყოველთვის აღემატება იმას, როგორც შესაძლოა თქვა. პირიქითაც ხდება, მაგრამ ძალიან იშვიათად. უკეთესია, თუ სისავსით ორივე ერთმანეთს ეჯიბრება და აჭარბებს, მაგრამ ხშირად ამაზე ლაპარაკიც არ ღირს, იმდენად მიუწვდომელია.

თარგმანში ეს ყველაფერი კიდევ უფრო რთულდება. „თავსა ახლად ვერვინ იშობს“ ერთი ენიდან მეორეზე „გადაღებასაც“ ეხება. კონგენიალურობა რამდენადაც დიდებულია, იმდენადვე ძნელად მისაღწევია.

რამ გამახსენა ეს ყველაფერი?

რამ და — შექსპირის სონეტებმა — ფიქრისა და ფორმის გამორჩეულმა კეთილშობილებამ და სილამაზემ. ახლა, 2014 წლის 17 თებერვლის დილის ათის ნახევარზე, სანამ ჩემს სკოლა „ლოგოსში“ პირველი გაკვეთილია, ერთ პატარა ოთახში ვზივარ და ამ სონეტებს — ვინ იცის, მერამდენედ — ვკითხულობ (შესანიშნავი თარგმანია — რეზო თაბუკაშვილის).

ბავშვებისთვის სათქმელად დავუბრუნდი ახლა და, ამ მხრივ, ხელახლა წასაკითხია — რასაც ადრე ჩემში „გაუხსნელად“ დავიგემოვნებდი და მაინც ვიგრძნობდი, მათთვის ასეთად ვერ დავტოვებ. მათ არ უყვართ სხვისი ნაგრძნობი ბუნდოვანებები — თუ რამეს ეუბნები, კითხვებისთვის მზად უნდა იყო. სანამ პირველ „არ ვიცის“ გაპატიებენ, ბევრ კითხვას უნდა გასცე პასუხი.

ამ წიგნში (შექსპირი, სონეტები, „ბაკმი“, 2009) 235-გვერდზე 106-ე სონეტია დაბეჭდილი:

მემატიანე როცა მითხრობს წარსულ ოცნებას,
როცა გარდასულ სილამაზეს ვხედავ ზმანებით,
როცა ვკითხულობ, როგორ აქეს წინათ მგოსნებმა
რაინდები და ლამაზმანი ბანოვანები,
მაშინ ვრწმუნდები, წინაპარი შენ დაგეძებდა,
შენ გგულისხმობდა, როცა აქო ლალის ბაგენი,
შენი დიდების ძალა მხოლოდ იმათ შესწევდათ,
ისინი იყვნენ მაგ მშვენების მოქანდაკენი.
მათი წინასწარმეტყველება ქვეყნად განთქმულა,
შენმა ხოტბამაც წინ აღუსწრო შენს დაბადებას.
საგალობელი შენი ღირსი მაინც არ თქმულა,
რადგან ბუნდოვნად ჩანდა შორით შენი ხატება.
ჩვენ ბედი გვერგო, ღვთაებაო, ვიცით, ვინა ხარ,
მაგრამ სტრიქონი, შენი ღირსი, ვერ მოგვინახავს.

შეიძლება მშვენიერების წინასწარმეტყველება? შეიძლება „წინარე დრო“ გაპოხილი იყოს მისი წინათგრძნობითა და გამოხატვის მრავალფეროვანი სურვილით? შეიძლება ხოტბამ წინ გაუსწროს დაბადებას?

როცა გინდა, ქალის სიყვარული გამოხატო, მაშინ შეიძლება, რადგან ეს „სურათი“ მხოლოდ შეუძლებლის მოთვინიერებით იბადება და ამგვარი ლიტერატურული ჯადოქრობაც კი არასაკმარისია — მშვენიერების არსება რომც „იცოდე“.

ვიღაც იკითხავს, ეგებ აქ შექსპირი მართლა ღვთაებას გულისხმობდეს და არა ქალსო?

რატომაც არა, — მაგრამ მას აუცილებლად შეახსენებენ, რომ ქალის სახეში უფლის შეგრძნება და დანახვა ისევე ძველი რამ არის, როგორც სიყვარული.

მარადისობა არა მხოლოდ უსასრულო მომავალია, არამედ — უსასრულო წარსულიც. საბოლოო ანგარიშით, დრო მთლიანია და არავითარი „წარსული“, „აწმყო“ ან „მომავალი“ პოეზიაში მცხოვრები კაცისთვის არ არსებობს.

ის, რაც მარადისობისაა, ზოგჯერ დაუბადებლად არსებობს ჩვენში, მაგრამ ყველა დაბადებულზე რეალური და ძვირფასია. შესაძლოა სიტყვებით ვერ გამოხატო („მაგრამ სტრიქონი, შენი ღირსი, ვერ მოგვინახავს“), თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს? — უთქმელი ლექსი ყველა დანარჩენს აღემატება.

პოეტური სიტყვის მაგია

ოდნავი უტრირებით თუ ვიტყვით, პოეზიას სამი რამ ქმნის: სიტყვის მრავალმნიშვნელობა, სიტყვათა შორის წარმოქმნილი აზრობრივ-ემოციური ველები და ფიქრ-განწყობათა ურთიერთმიმართება.

ჯერ ერთ რომელიმე სიტყვაზე დავფიქრდეთ. მოდით, ეს იყოს „სევდა“. როგორც პოლ ვალერიმ თქვა, „სევდა უსახოა“, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. ერთი მხრივ, ეს სიტყვა, მართლაც, ნისლივითაა — კონკრეტულ საგნობრივი გამოხატულება არ „ისინჯება“ და სულს ისე ედება, როგორც განწყობა, მაგრამ, მეორე მხრივ, მას არაერთი აზრობრივი მნიშვნელობა აქვს. როდესაც სევდას ახსენებენ, ბევრ რამეს გულისხმობენ — ნაღველს, წუხილს, ნათელ დარდს, ფაქტის, მოვლენის ან ადამიანის მიმართ განწყობას... ასე რომ, ერთი სიტყვა მრავალსახოვანია და ბევრ სიცოცხლეს მოიცავს. სხვადასხვა გარემოსა და აზრობრივ სიტუაციაში სიტყვა განსხვავებულად „ციმციმებს“ ადამიანის ფიქრისა თუ წარმოსახვისთვის.

ახლა ერთი იდუმალი ოპერაციაც ჩავატაროთ — სიტყვას სხვა სიტყვა შევუწყვილოთ. ასე თუ გავაკეთებთ, ჩვენ მიერ შერჩეული სიტყვა „სევდის“ მნიშვნელობანი პირველთან შედარებით გაცილებით მეტ „გამომსახველობით ხატებას“ შეიძენს და გამოამჟღავნებს. მაგალითისთვის, „სევდას“ რამდენიმე განსაზღვრება შევუწყვილოთ. თუ გავიფიქრებთ, ვიტყვით ან დავწერთ: „ნათელი სევდა“ — ეს ერთი იქნება, მაგრამ თუ ასე ვიტყვით: „უეცარი სევდა“ — სულ სხვა განწყობასა და განზომილებას მივიღებთ. შესაძლოა ეს ჩამონათვალი უსასრულოდ გავაგრძელოთ: „მეგობრის სევდა“, „განშორების სევდა“, „მტკივნეული სევდა“, „მორცხვი სევდა“, „ბოროტი სევდა“, „ფიქრიანი სევდა“, „ამაყი სევდა“, „მხიარული სევდა“, „ქვის სევდა“, „სევდათა სევდა“... ეს მთელი „ბირთვული რეაქციაა“, რომელსაც ადამიანური წარმოსახვის საზღვარი არ აქვს, თუმცა ამ უზარმაზარ სიმრავლესაც დაბადების თავისი კანონზომიერება და ლოგიკაც აქვს — თქვენ ვერაფრით ვერავის მოაწონებთ, მაგალითად, ასეთ სიტყვაშეხამებებს: „საცივის სევდა“ ან „განტოლების სევდა“ (მავანი იტყვის, არც ესენია სრულიად გამორიცხული კონკრეტული სიტუაციისთვისო და შესაძლოა მართალიც იყოს, მაგრამ მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ყველაფერს თავისი დრამატული ალბათობა აქვს).

საზღვარი არ აქვს „იდუმალ ოპერაციებსაც“ — მოდით, ორ სიტყვას მესამეც დავამატოთ. ეს უკვე ბირთვული რეაქცია კი არა, ნამდვილი აფეთქებაა — სამი სიტყვის არაერთი მნიშვნელობის ერთმანეთში გადახლართვა კონკრეტულ კონტექსტში წარმოსახვათა ისეთ კალეიდოსკოპს ქმნის, რომლის თუნდაც მიახლოებითი და ზოგადი გაცნობიერება ძალიან ათვალსაჩინოებს ძველ ჭეშმარიტებას: არ არსებობს ტექსტი, რომლის „ცალფა წაკითხვა“, ერთმნიშვნელოვნად გააზრება შეიძლებოდეს. რაც უფრო განათლებულია ადამიანი, რამდენადაც მეტ „საწყის მნიშვნელობებსა“ და სიტყვათა მიმართებებს შეუძლია ჩასწვდეს (ან თუნდაც ადამიანის სხვადასხვა განწყობის პირობაზე), მით მეტია ფიქრის მრავალსახეობის ალბათობა.

ხოლო როდესაც სიტყვები წინადადებებად გარდაისახებიან, ცალკეულ ფიქრთა თუ განწყობათა „თვითგამოხატვა“ თუ „მიმართებები“ განზომილებათა უსაზღვრო გამას ქმნიან.

ეს ყველაფერი იმიტომ გავიხსენე, რომ მკითხველს შევთავაზო მეჩვიდმეტე საუკუნის გამორჩეული იაპონელი პოეტის (და — სამურაის) მაცუო ბაშოს ერთი ლექსის ჩემეული ანალიზი. ეს ანალიზი, ისევე როგორც ყველაფერი ადამიანური, ძალიან სუბიექტური იქნება და არავინ იცის, ვინმეს ახლა ან როდისმე ობიექტურად მოეჩვენება თუ არა, თუმცა ამას არც ჩემთვის და არც სხვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — სახელის დარქმევა ისედაც არაფერს ასცდება.

აი, ეს მშვენიერი ლექსიც:

„ამ ლექსს საშენოს, გამოსათხოვარს, აგრე ვიფიქრე, გადავაწერ-მეთქი მარაოს. ხელში ჩამეფშვნა“.

(ზაალ ჩხეიძის თარგმანი წიგნიდან „ნიოს ტბისაკენ“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2013)

ხანდახან იკითხავენ ხოლმე: კი მაგრამ, რა არის ასეთი ამ უმცირეს პოეტურ ფორმებში (ჰაიკუ — სამსტრიქონიანი ლექსი; ტანკა — ხუთსტრიქონიანი ლექსი; რობაი — ოთხსტრიქონიანი ლექსი), ადამიანის ინტერესი, ფიქრი და გრძნობა რომ გააღვიძოს? განა შეიძლება ასეთ მცირე პოეტურ სივრცეში რაიმე ღირებულისა და მასშტაბურის შექმნა?

ეს რიტორიკული კითხვებია — თუკი სიტყვათა დამოუკიდებელ მნიშვნელობათა მრავალსახეობასა და ამ სიტყვების ურთიერთმიმართებებს, ანდაც ფიქრ-განცდათა მიმართებებს გავითვალისწინებთ, ღირებულებაცა და მასშტაბიც (გინდაც — პოეტური „სიღრმე“) მეტისმეტად თვალსაჩინო იქნება.

ლექსის შეფასებისას დასაწყისშივე უნდა ვთქვა, რომ ამგვარ მინიატურებში „პარაზიტი“, სხვათა კმაყოფაზე მყოფი, სიტყვები პრაქტიკულად არ არსებობს — ყველა სიტყვას „გადამწყვეტი მნიშვნელობა“ აქვს (ეს განსაკუთრებით ადვილი შესაგრძნობი იქნება ორიგინალის კითხვისას — მასში ხომ ცალკეულ სიტყვებს, ისევე როგორც ლექსს მთლიანად, არა მხოლოდ აზრობრივი, არამედ მუსიკალური გამოხატულებაც აქვს — მუსიკალური ხატი აქ აზრობრივი ხატის განუყოფელი თვისებაა). ჰაიკუში პოეტი ვერსად „დაისვენებს“ — ამ შემთხვევაში პაუზა „პოეტური სიკვდილის“ ტოლფასია.

გავყვეთ ამ დაუსვენებელ სიტყვებს:

„ამ ლექსს“ — პირველივე სიტყვას პოეტური სურნელი შემოაქვს — განწყობაცა და კითხვებიც. ლექსის ხსენება დასაწყისშივე კარს უხსნის ინტიმურ დამოკიდებულებას პოეზიასთან, რომელიც ორი ადამიანის სიყვარულს გულისხმობს. ამას პირდაპირ მიუთითებს მომდევნო სიტყვა „საშენოს“ — მე ეს ლექსი შენით და შენთვის დავწერე. ამ ერთი სიტყვით („საშენოს“) უამრავი ფიქრის ხატი წარმოგვიდგება: შეყვარებული ადამიანების მომღიმარი სახეები, პირველი მოხიბვლა, სიყვარულის ახსნა, ბედნიერების განცდა დუმილით, ათასი უსაგნო დიალოგი, რომლის თითოეული სიტყვაც ერთი სიცოცხლის ტოლფასია. ერთი ადამიანი შეყვარებულისთვის ლექსს წერს — რა უნდა იყოს ამაზე ამაღლებული და იდუმალი, როგორ შეიძლება კაცმა უფრო მეტად გამოხატოს სიყვარული, ვიდრე მაშინ, როდესაც ქალისთვის ლექსით ახალ სამყაროს ქმნის და სიყვარულით შემოქმედს ემსგავსება?! ამ სამყაროში ყველაფერი მათთვისაა — სიტყვაც, აზრიც, მძიმეც და წერტილიც. ყველაფერს მხოლოდ მათთვის ნაცნობი შეგრძნებები, ფიქრები, განწყობები და სურათები წარმოსახავენ.

მომდევნო სიტყვაც („გამოსათხოვარს“), ვარიაციულად, ათას ფიქრს აშლის — ეს ორი ადამიანის დაშორებაა, მაგრამ ამის მიზეზი არ არის უსიყვარულობა — წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ლექსი არ დაიბადებოდა. რა დიდი და ნაზი სევდა ჩანს ამ ერთ სიტყვაში (ცხადია, არა მხოლოდ მასში, არამედ — კონტექსტურად). როგორ აძლიერებს და ამშვენიერებს ეს სიტყვა პირველ სამს („ამ ლექსს საშენოს“), სევდის რა სიმაღლეს სძენს! სიყვარულის ღვთაებრივი მუსიკა ისმის გამოთხოვების მელანქოლიაში და უდიდეს ნაღველს წინარე (და — დაუსრულებელი!) სიხარულის ნათელი აფენია.

ამას მოსდევს „აგრე ვიფიქრე“ — ეს არის ადამიანის პიროვნული არჩევანი, რაც, მიზნიდან გამომდინარე, სულ ცოტა, ორ რამეს ნიშნავს: საუკეთესოსკენ სწრაფვას და დაეჭვებასაც. ქვეტექსტი ასეთია: მე მინდოდა შენთვის ყველაზე მშვენიერი ფორმით გამომეხატა ჩემი სიყვარული, მაგრამ არ ვიცი, რამდენად სრულად ან მართებულად გავაკეთე ეს.

შემდეგ სრულიად მოულოდნელი სიტყვები: „გადავაწერ-მეთქი მარაოს“. რას უნდა ნიშნავდეს ეს? ის, რომ მარაო გემოვნებიანი პრაგმატულობის აღმოსავლური კულტურის ნაწილია, აქ თავისთავად გვახსენდება. ის სიფრიფანა, ჰაეროვანი და ნაზია, ამასთან — ფერადოვანი მშვენიერების დიდებული განსახიერებაც არის. მარაოს მხოლოდ ცივი ჰაერი კი არ მოაქვს მისი მფლობელისთვის, არამედ ეს ჰაერი სილამაზის მნიშვნელობითა და არომატითაც არის სავსე . მასზე გადაწერილი ლექსი საოცნებო იდუმალებისა და მშვიდი კეთილგანწყობის სიკეთით სუნთქავს — მისი სიტყვები თითქოს სამყაროს ყველა ძალისა და ყველა მშვენების გამომხატველნი არიან. მართლაც, რა შესანიშნავი შეხვედრაა ორი ღვთაებრივი სიმსუბუქის — ლექსისა და მარაოსი.

და ფინალი: „ხელში ჩამეფშვნა“!

მარაოს სიზმრისეული მშვენიერებაც კი ფერმკრთალდება და მარცხდება სიყვარულის განშორების პოეტურ მისტერიასთან. ან შესაძლოა ასეთი ფიქრიც დაიბადოს: ერთი მშვენიერება ვერ ეგუება მეორეს დასრულებას და თვითშეწირვით ცდილობს მისი სანატრელი სიცოცხლის გახანგრძლივებას — სილამაზე კვდება სილამაზისთვის.

მაცუო ბაშო სამურაი იყო — სიკვდილის ოსტატი. თუკი ის ხმალსაც ისევე კარგად ხმარობდა, როგორც სიტყვას, ვეჭვობ, ვინმეს დაემარცხებინა.

ელენე ამაღლობელი

კიდევ ერთხელ ქართული ჰანგის მადლი

(შეხვედრა ტრიო „ბალადასა“ და ლიკა ორჯონიკიძესთან)

ლიკა ორჯონიკიძე და მისი მოსწავლეები ელისაბედ ჩხეიძე და ნინი კოჩუაშვილი

განსხვავებული შეხვედრა აღმოჩნდება.

არა, „ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურულ სალონს მუსიკალური შეხვედრებიც ახსოვს, რადგან მისი სივრცე მოიცავს ყველაფერს, რაც კულტურის სფეროში მოიაზრება და ამიტომაც, ცხადია, მხოლოდ ლიტერატურული შეხვედრებით არ შემოიფარგლება, მაგრამ ეს შეხვედრა მაინც განსხვავებული აღმოჩნდება.

იქნებ ამიტომაც თქვა **იოსებ ჭუმბურიძემ**:

— აქ ნამდვილი ქართული სიმღერა გაისმის;

ჩვენს ერთ-ერთ უძვირფასეს განძზე — ქართულ ჰანგზე ვსაუბრობთ;

ვუსმენთ ორ პატარა მომღერალს და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ანგელოზები გვიგალობენ;

დარბაზში გვიზის ქართული საგანძურის დიდი მოამაგე, ბატონი **გომარ სიხარულიძე** და თავის შთაბეჭდილებას გვიზიარებს.

კიდევ რა სჭირდება ერთ კარგ შეხვედრას?

* * *

შეხვედრას იქნებ მეტი არც არაფერი.

აი, ქართული ჰანგის შენარჩუნებასა და მოფრთხილებას კი ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდება და **როსტომ ჩხეიძე** შეხვედრის დაწყებამდე სტუმრებს რომ წარადგენს სალონში შეკრებილთა წინაშე, სწორედ ამ საკითხს გამოარჩევს:

— როგორი მიზანმიმართული ბრძოლაც უნდა იყოს გამოცხადებული ეროვნული ტრადიციების, თვითმყოფადობის, ქართულ კულტურისა და მისი განუყოფელი ნაწილის, ქართული ჰანგის წინააღმდეგ, უნდა შევძლოთ გავუფრთხილდეთ მასაც და იმ ადამიანებსაც, რომელთა წყალობითაც ამ ყველაფერმა ჩვენამდე მოაღწიაო.

შეხვედრის სტუმარი, **ლიკა ორჯონიკიძე,** ქალაქური და ფოლკლორული სიმღერების ტრიო „ბალადასთან“ ერთად — რომლის ერთ-ერთი წევრიც ავადმყოფობის გამო მეგობრებმა: **ნოდარ მეტრეველმა** (ანსამბლი „შვიდკაცა“) და **ლაშა კერვალიძემ** („თეატრალური კვარტეტი“) ჩაანაცვლეს — სწორედ ის ადამიანები არიან, ქართული სიმღერის სამსახურში ყოფნა რომ დაუსახავთ მიზნად, მისი ტრფიალიცა და მოამაგეობაც და თავის წილ ღვაწლსაც სდებენ ამ საქმეს.

ლიკა ორჯონიკიძეს — მუსიკოსსა და პიანისტს, არაერთი კონკურსის ლაურეატსა და ვოკალის პედაგოგს საზოგადოება ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებითაც იცნობს, უფრო სწორად, მათი მუსიკალური გაფორმებით. აი, თუნდაც: „ბრემენელი მუსიკოსები“, „ზღაპარი მუსიკის შესახებ“, „ტელეფონი“, „ოქროსფერთმიანი ქალი“... თუმცა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში მისი პედაგოგიური ღვაწლი შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანიც იყოს, რადგან ქართულ ჰანგს, რომელიც შეხვედრაზე არაერთხელ მოიხსენიეს უძვირფასეს ეროვნულ საგანძურად, მომავალ თაობებს აზიარებს.

თავისი წილი ამაგი კი ტრიო „ბალადას“ წევრებზეც აქვს, მათი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებასა და, საერთოდ, მუსიკოსებად შედგომაზე.

პროფესიით რეჟისორის **ბაჩო მაღლაკელიძის**, მხატვრის **ლევან ქუთათელაძისა** და მუსიკოსის **გიორგი ბაბუხადიას** ტრიო ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა კომპოზიტორის შემოქმედებით საღამოებზე და მსმენელმაც გამოჩენისთანავე შეიყვარა, რაც „ჩვენი მწერლობის“ სალონში გამართულმა შეხვედრამაც დაადასტურა.

აი, „გალობით“ კი ამ შეხვედრაზე ქალბატონი ლიკას პატარა მოსწავლეები **ელისაბედ ჩხეიძე** და **ნინი კოჩუაშვილი** „გალობდნენ“, ტრიოსა და მის მეგობრებთან ერთად ასრულებდნენ რევაზ ლაღიძის, გოგი ცაბაძის, ბიძინა კვერნაძის, გომარ სიხარულიძის, თემო ნაცვლიშვილის, ნუნუ დუღაშვილისა და კახა ცაბაძის მუსიკასა და ანა კალანდაძის, ზაურ ბოლქვაძის, პეტრე გრუზინსკის, დოდო გვიშიანისა და ირაკლი ებრალიძის ლექსებზე შექმნილ სიმღერებს, არაერთხელ დაგემოვნებულს ქართველი მსმენელისგან, მაგრამ ახლებური მუხტითა თუ მადლითა თუ ხიბლით გაჟღერებულს ამ შეკრებაზე.

კიდევ რა უნდოდა ერთ ასეთ კარგ შეხვედრასო?

* * *

რა და... საუბარიც ქართულ სიმღერაზე.

და თუ დარბაზში ამ ყველაფრის დიდი მოამაგეც გეჯდა და სულაც ის ისაუბრებდა და შეაფასებდა შეხვედრას, ხომ სულ სხვა ფასი და მნიშვნელობა ექნებოდა.

და კიდეც იტყოდა **გომარ სიხარულიძე**:

ჯერ გოგონებზე:

იმ სუფთა, ალალ ხმებზე, ემოციების გარეშე რომ ვერ ისმენდა ბატონი გომარი;

ყველა იმ მადლზე ქართული ჰანგისა, სწორედაც რომ უმიკროფონოდ უნდა ჩამოგვირისტდეს და მერე ამ ყველაფერმა ისე გაიჟღეროს, ეს ორი სიტყვა აღმოგხდეთ გულიდან:

„თქვენ გენაცვალეთ!“

მერე ტრიოზეც:

იმ ქალაქიდან წამოსულზე, ქართული სიმღერისა და პოეზიის მექად რომ მიიჩნევს... არა მხოლოდ თვითონ.

აკი შეაშველებს კიდეც ბატონი როსტომი, — პროზისაცო, — და ისიც რომ დაუდასტურებს:

— ქუთაისიც და, საერთოდ, ის მხარეც კიდევ ერთი რამის მექაც არისო, — იტყვის.

72 წლის ვარ უკვე.

17 წლისა ჩამოვედი თბილისში და ის 17 წელი ხომ გადაყლაპა იმდენმა (ჰმმმ...) წელმა, და მაინც სხვა სიახლოვე მაქვს იმ მხარესთან.

დასავლეთისკენ რომ მივდივარ, ღვინო ნაკლებად მეკიდება ხოლმე;

რაც უნდა ბევრი დავლიო, მეორე დღეს ცუდად არ ვხდები;

და თუ უფრო იქითაც წავედი...

გურიაშიც თუ მოვხვდი...

გურიაში რა და როგორ ათრობს, აღარ დაუსრულებია ბატონ გომარს, რადგან მერე ქართული ჰანგით თრობაზეც ისაუბრა და ისიც აღნიშნა, რომ შეუძლებელია ამ ლაზათიან მელოდიებზე არ იზრდებოდეს მომავალი თაობა.

ამ თვალსაზრისით კი ლიკა ორჯონიკიძის ღვაწლიც გამოარჩია და ერთი ასეთი საგულისხმო რამაც თქვა შეკრებაზე:

— ბევრი კარგი ხმის მქონე ბავშვი ვიცი, ძალიან მალე რომ იკარგებიან ხოლმე.

მშობლებიც დაუდევრად ხარჯავენ მათ და მათი აღმზრდელებიც არ ფლობენ საკმარის ცოდნას, რომ სახმო სიმებს ამ ასაკში განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება.

ქალბატონ ლიკას კი დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმისათვის, რომ თავის მოსწავლეთა ხმის „ჰიგიენას“ ასე უფრთხილდება და ქართულ მუსიკას უზრდის მომღერლებს, რომელთა ხმაც დიაფრაგმიდან მოდის, სწორი სუნთქვით ჟღერს და ამიტომაცაა ასეთი ბუნებრივი.

* * *

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჯანსუღ კახიძის ცენტრში არჩილ კერესელიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი ჩატარდა.

საიუბილეო საღამოზე კინოფილმების მუსიკაც გაჟღერებულა და ამონარიდებიც წაუკითხავთ ქართულ კინომუსიკაზე გამოქვეყნებული გამოხმაურებებიდან, მათ შორის, ერთი უცხოელი ექსპერტისაც, რომელიც „სხვისი შვილების“ შესახებ წერდა:

— ჰოლივუდში ბევრი შესანიშნავი კინო შეიქმნა, მაგრამ არცერთს არ ღირსებია ისეთი მუსიკა, როგორიც ამ ქართულ ფილმს აქვსო.

ამ საიუბილეო საღამოსაც და უცხოურ გამოხმაურებებსაც შეხვედრაზე **მაკა ჯოხაძე** გაიხსენებს და იტყვის, რომ ჩვენს ეროვნულ კინემატოგრაფიაში ნეორეალიზმის შემოსვლის შემდეგ ქართულ ფილმს თითქოს სულ სხვა სუნთქვა გაეხსნა, სხვანაირი გულწრფელობა და მასშტაბები შეიძინა და ერთიერთმანეთზე უკეთესი ნამუშევრები შეიქმნა, მუსიკალური გაფორმებითაც გამორჩეული.

ნოდარ მეტრეველი, ბაჩო მაღლაკელიძე, ლაშა კერვალიძე, ლევან ქუთათელაძე

— ამაღლებული განცდა ჰქონდა იუბილეზე შეკრებილ დარბაზს ამ ყველაფრის გახსენებისას — უწინარესად ღირსების განცდა, რადგან ის წლები სწორედ ღირსებას შეეხო, შეეხო ნიჭიერებასა და სიწმინდეს... რათა დავშლილიყავით, გავმქრალიყავით და აღარ გვეარსება, როგორც ერს — და სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა ახლაც, ამ ბავშვების მოსმენისას.

ისინი თვითნაბადი ტალანტები არიან, დაბადებულნი იმ ქვეყანაში, სადაც აღარც ნიჭიერება გვიკვირს და აღარც ამ ნიჭის თვითმყოფადობა — ნინისთან ეს ბგერები თითქოს რაღაცნაირად გაშვებულია და თვითონ ადევნებს თვალს, ელისაბედთან კი ისეთი მოწიწება იგრძნობა ბგერისადმი, შინაარსისადმი, სემანტიკისადმი... თითქოს ერთხელ ცხოვრებანანახი და სცენაზე გაზრდილ-დაბრძენებული მომღერალი იდგეს ჩვენ წინო...

ესეც ის მაღალი სულისკვეთება, უილიამ შექსპირს მხოლოდ მაღალ ტაძარში რომ ეგულებოდა და ალბათ არცერთ კარგ შეხვედრას არ აწყენდა. აი, **ნიკოლოზ სანებლიძე** კი „ჩვენი მწერლობის“ ლიტერატურული სალონის ციკლთა გამორჩეულ მახასიათებლადაც მიიჩნევს.

— აქ რომ მოვდივარ, ყოველთვის მაქვს ხოლმე ეს განცდა — მწერლობის, ლიტერატურის, ერთმანეთისადმი პატივისცემითა და სიყვარულით გამთბარი, უღრმესი შინაგანი კავშირებით განმტკიცებული... ასე რომ აკლია ჩვენს ყოველდღიურ ყოფას.

— ამიტომაცაა ეს შეხვედრები ასეთი საგულისხმო, — ამას **ნოდარ მგალობლიშვილი** იტყვის, — საგულისხმოც, ბუნებრივიცა და ორგანულიც, რითაც ფასდება არა მხოლოდ ხელოვნება და კულტურა, საერთოდ, ადამიანი და ადამიანური ურთიერთობებიცო.

ასეთი ხმაც და სიმღერაც სულის, აზრის, ჩვენი შინაგანი სამყაროს, საერთოდაც, ჩვენი წარსულისა და ტრადიციების სიღრმისეული განცდაა, საოცარი ძალაც რომ ახლავს და რაღაცნაირი სევდაც.

ამ ორი გოგონას — ნინი კოჩუაშვილისა და ელისაბედ ჩხეიძის — სახით კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა დიდი მომავალი აქვს ქართულ ჰანგსაც, მუსიკალურ კულტურასაც და საერთოდ, ამ ქვეყანასაცო, — იტყვის და ამ თვალსაზრისითაც გამოკვეთს მნიშვნელობას ასეთი საღამოებისა.

კიდევ... კიდევ რა სჭირდება ერთ ასეთ კარგ შეხვედრას?

რა და... აპლოდისმენტები, რომლებიც არც ამ შეკრებას დაკლებია — მადლიერების ნიშნადაც და პატარა შემსრულებელთა გასამხნევებლადაც — და ესეც ისეთი მნიშვნელოვანია, რომ აგერ, სულაც ჯუზეპე ვერდი ამბობდა, აუცილებლად უნდა ჩაიწეროს საკონცერტო გამოსვლათა პარტიტურაშიო.

ფოტოები
თამარ ყალიჩავასი

ემზარ კვიტაიშვილი

უხმობენ მშობლიური ფესვები

სიამოვნებით და გაუნელებელი სინანულითაც ვიგონებ გასული საუკუნის 70-80-იან წლებს, როდესაც ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში, ზაფხულობით, თავს ვიყრიდით სხვადასხვა რესპუბლიკიდან ჩასული მწერლები და ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. ქართველებს ლიტფონდის აშენებულ მრავალსართულიან შენობაში, ტრადიციულად, მეხუთე სართული გვეკავა და ერთ შეთანხმებულ ოჯახად ვცხოვრობდით, ჭირსა და ლხინს ვიყოფდით.

ბევრ ვინმეს შევხვედრივართ აგვისტოს იმ ცხელ, ზღვის პირად გატარებულ დღეებში და ლიტერატურაზე, პოეზიაზე საათობით გვილაპარაკია. გივი გეგეჭკორი და მე ხშირად ვებაასებოდით იუნა მორიცს, ბელა ახმადულინას, ალექსანდრ კუშნერს, სხვებსა და სხვებს. განსაკუთრებული გრძნობა გვაკავშირებდა მოსკოვიდან ჩამოსულ ქართველ მწერლებთან, რომელთა შორის უპირველესი იყო ალექსანდრე ებანოიძე. ვიცოდით, რაოდენ საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა იგი, როცა თავდაუზოგავად იღვწოდა, რათა ქართველ მწერალთა საუკეთესო ქმნილებები ფართო ასპარეზზე გაეტანა. საერთოდაც, სხვადასხვა ეროვნების ნიჭიერ მწერალთა ჟურნალში ღირსეულად წარმოჩენა ალექსანდრე ებანოიძისთვის, როგორც „დრუჟბა ნაროდოვის“ რედაქტორისათვის, ხელისუფლებისგან ნაკარნახევი პროპაგანდისტული ლოზუნგი არ გახლდათ, შინაგანი მოთხოვნილება იყო და ამ კეთილშობილურ მისიას ათეული წლების მანძილზე უმწიკვლოდ ასრულებს.

ძნელია მის დამსახურებათა სრულად ჩამოთვლა. მარტო იმის გახსენებაც იკმარებს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რაოდენ დიდი რეზონანსი ჰქონდა მის მიერ თარგმნილ მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭატირაძეს“, რუს მკითხველს „აფიორების დიდოსტატის“, ოსტაპ ბენდერის ავანტიურისტული თავგადასავლები რომ გაახსენა. გამოჩენილმა რუსმა ლიტერატორებმა, მწერლებმა ასევე მხურვალედ მოიწონეს მისგანვე თარგმნილი ოთარ ჭილაძის ერთ-ერთი საუკეთესო რომანი „გოდორი“, რომლის სიღრმისეულმა პლასტებმა ბევრ რამეზე უნდა დაგვაფიქროს.

სათქმელს რა გამოლევს. მრავალი რამ, სამწუხაროდ, წარსულის მოგონებად იქცა და მძიმედ დაანცა ჩვენს ყოფას, ყოველდღიურობას. ალექსანდრე ებანოიძემ, რუსეთში მცხოვრებ რამდენიმე სახელოვან თანამემამულესთან და პატიოსან რუს მწერლებთან, ხელოვნების მოღვაწეებთან ერთად უმწვავესად განიცადა პროვოკაციულად დაგეგმილი აფხაზეთის ტრაგედია.

როცა ცეცხლში გახვეული, თითქმის დაუცველი სოხუმი ბარბაროსულად იბომბებოდა, ინგრეოდა და უმწეო მოსახლეობა იჟლიტებოდა, სულგაყიდულმა არძინბამ ცინიკურად განაცხადა — ჩვენთვის ქალაქი ბევრს არაფერს ნიშნავს, ტერიტორია გვაინტერესებსო. საკითხავია, იმ გაუგონარი საშინელების მერე, რაც 1993 წლის სექტემბერში მოხდა, ვინ დარჩა მოგებული? კარგად დაიხსომონ — საქართველოს ძველისძველი, ისტორიული მხარე — აფხაზეთი, დედასამშობლოდან ასე ხელოვნურად მოგლეჯილი და გაუცხოებული, ბედნიერი ვერასოდეს იქნება და თავის სახეს, თვითმყოფობას ვერაფრით შეინარჩუნებს. ამის ყველა ნიშანი უკვე აშკარად გამოკვეთილია.

განცალკევებულად მინდა ვთქვა — შავ ზღვაზე დასასვენებლად ჩამოსულ ალექსანდრე ებანოიძეს თან ახლდა ერთი ყმაწვილი, მისი ნამდვილი ალიკვალი. ძალზე სასიამოვნოა, რომ ის პატარა ბიჭუნა, იგორი, ალექსანდრე ებანოიძის ჭკვიანი და მორცხვი ვაჟი, ვისაც ჩვენ ბიჭვინთის დასასვენებელ სახლში ვხედავდით, ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესო გერმანისტია. დიდად გავიხარე, როცა შევიძინე მოსკოვში გამოცემული (2007) მის მიერ შედგენილი, თარგმნილი და კომენტირებული „ფრიდრიხ ნიცშეს წერილები“. იგორ ებანოიძეს კოლოსალური შრომა გაუწევია, როცა ნიცშეს 3 000 წერილიდან 337 ისე შეურჩევია, რომ მთლიანად წარმოგვიდგინა ტრაგიკული ბედის გენიალური გერმანელი მოაზროვნის მთელი ცხოვრების გზა, თვალწინ გადაგვიშალა, ცხადი გახადა მისი ურთულესი, წინააღმდეგობრივი სულიერი ბიოგრაფია. ეს თვით ფილოსოფოსის სამშობლოში არ გაუკეთებიათ ნიცშეს მემკვიდრეობის სახელგანთქმულ მცოდნეებს. წერილების წინამდებარე კრებულმაც უეჭველი გახადა — კაცთმოძულე ფაშისტურ იდეოლოგიასთან ფრიდრიხ ნიცშეს ნაარზრევის დაკავშირება ყოვლად გაუმართლებელია. სამ ნაწილად გაყოფილი მეტად მნიშვნელოვანი წიგნი, რომელსაც უძღვის მთარგმნელის ღრმა, დიდი ცოდნის შედეგად დაწერილი წინასიტყვაობა, საფუძვლიანად მაქვს წაკითხული, ბევრ რამეში გამომადგა და ვაპირებ, ჩემი აზრი ამ საუცხოო ნაშრომზე საგანგებოდ გამოვთქვა.

სრულებით არ იყო გასაკვირი და მოულოდნელი, რომ ალექსანდრე ებანოიძის პირველივე რომანს („იმერული ქორწილი“) შესაშური წარმატება ხვდა წილად და მცირე ხანში მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა, ბევრის საყვარელი საკითხავი გახდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, რომანის თვალსაჩინო მხატვრულმა ღირსებებმა, ძალდაუტანებელმა სიახლემ განაპირობა.

გადაჭარბებული არც იმის თქმა იქნება, რომ „მერანში“ გამოქვეყნებისთანავე (1984) ეს რომანი ქართული ლიტერატურის კუთვნილება გახდა. ხაზგასმულად უნდა აღინიშნოს — ქართული თარგმანი ეკუთვნის უაღრესად დახვეწილ ლიტერატორს, გამოჩენილი ქართველი პოეტის გიორგი ქუჩიშვილის ქალიშვილს, სიკეთითა და სისპეტაკით, მოქალაქეობრივი შეუპოვრობით გამორჩეულ ციალა ჩხეიძეს (იგი ამასთანავე გახლდათ თავისი სახელოვანი ძმისწულის, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო რეჟისორის თემურ ჩხეიძის აღმზრდელი მამიდა). მე და ჩემს მეგობრებს დიდი ხნის წინათ ბედნიერება გვქონდა, მის გვერდით გვემუშავა ჟურნალ „ცისკარში“ და არაერთხელ დავრწმუნებულვართ, რა ღრმად იყო იგი ჩახედული ქართული ენის წიაღში და როგორ შეუმცდარად გრძნობდა რუსული ენის სიმდიდრესაც.

ეს იშვიათი თვისებები მთელი სიძლიერით გამოავლინა მან „იმერული ქორწილის“ თარგმნისას და ამიტომაცაა, ავტორი დღემდე გულმხურვალედ რომ ემადლიერება განსვენებულს. თარგმანში ზომიერად, მისაბაძი ოსტატობით არის გამოყენებული იმერიზმები, რაც ბუნებრივად აისახა პერსონაჟთა მეტყველებაზე, სხარტ, მოქნილ დიალოგებში, რასაც, ბევრიც რომ მოენდომებინა, მიზეზთა გამო, ვერასგზით ვერ შესძლებდა ალექსანდრე ებანოიძე. შეიძლება ვინმეს პარადოქსად, მკრეხელობად მოეჩვენოს, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა — რომანის ციალა ჩხეიძისეული ვერსია უფრო შეეხამა და მოერგო იმერული სოფლის ყოფას, იქაურ მცხოვრებთა ენაკვიმატობას, დაუშრეტელ მახვილსიტყვაობას, თვით პეიზაჟსაც, ვიდრე დედანი, და გვიჩნდება ფრიად მაცდუნებელი ილუზია, რომ რომანი ქართულადაა დაწერილი, ასეთი შთაბეჭდილების მოხდენა კი მხოლოდ ჭეშმარიტ ნიჭიერებას ძალუძს.

მრავლისმცოდნე, დიდად განათლებულ ალექსანდრე ებანოიძეს მარჯვედ, ოსტატურად აქვს მოფიქრებული რომანის კომპოზიცია. მოკლე წინათქმაში განზრახ მშრალად, ოქმის ენით ნათქვამია (ეს კონტრასტის უძველესი ხერხია), რომ ზამთრის პირზე, იმერეთის ერთი სოფლის საბჭოში რეგისტრირებულ იქნა ქორწინება ნინო ბესარიონის ასულ ნიორაძესა და ვლადიმერ ლევანის ძე ინაშვილს შორის, და იქვე ვიგებთ, რომ ეს, ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბავი, სულაც არ არის ჩვეულებრივი, რაშიც რომანის მთელი მდინარება გვარწმუნებს. მთხრობელი და მთა-

ვარი გმირი თვითონ ახალგაზრდა მოქანდაკე ლადო ინაშვილია, რაც მის საკმაოდ დახლართულ თავგადასავალს უშუალობის იერს ანიჭებს. ყმაწვილი თოთხმეტ წლამდე სოფლად იზრდებოდა, იჩენდა მოქანდაკეობისადმი მიდრეკილებას, ხისგან ნაირნაირ ფიგურებს ჩორკნიდა. მას ყურადღება მიაქცია სამხატვრო აკადემიიდან ჩამოსულმა სანდომიანი გარეგნობის ქალმა, ვიკამ და მისი რჩევით ლადო თბილისში წაიყვანეს, აკადემიის სტუდენტიც გახდა. ვიკა იქაც ხელს უწყობდა, ბიბლიოთეკიდან საჭირო წიგნებს ატანდა. მოგვიანებით გამოფენებშიც აღებინებდა მონაწილეობას და მათ შორის რომანული კავშირიც გაიბა (ლადო მის ცოლად შერთვასაც აპირებდა, მაგრამ ორნაქმარევმა, ჭკვიანმა ქალმა წინდახედულად უარი თქვა შეუფერებელ წინადადებაზე). რომანში ეს ხაზი ძალზე დამაჯერებლად არის ნაჩვენები.

რამდენიმე წელიწადში ლადოს ზედიზედ დაატყდება უბედურება. დაეღუპა მთამსვლელი მამა, მოუკვდა საყვარელი ბაბუა, გაუთხოვდა დაქვრივებული დედა, ხოლო სოფელში მარტოდ დარჩენილმა, მისმა მოამაგე თებრონე ბებიამ გულისდამთუთქველი წერილი გამოუგზავნა აკადემიადამთავრებულს, ცუდად ვარ, ცოცხალს ჩამომისწარიო.

ლადო ინაშვილს ორთაჭალის მხარეს, ავტობაზასთან, იაფად ჰქონდა ნაქირავები პატარა ოთახი რაჭველი, ქალების მოყვარული კეთილი კაცის, ბუხუტისგან, რომელიც ავტობაზაში მანქანების მრეცხავად მუშაობდა. მისი სახე, როგორც მრავალ სხვათა, რომანში მკვეთრი ფერებით, დასამახსოვრებელად არის წარმოჩენილი. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ლადოს გულისხმიერი მასწავლებელი, დიდი სახელის მქონე მოქანდაკე, პროფესორი გამრეკელი. იგი ყოველნაირად ეხმარება და თანაუგრძნობს ხელმოკლე ყმაწვილს; საფლავის ძეგლთა შემკვეთი ხუთიოდე მუშტარიც უშოვნა (უნებურად გაგახსენდება ელდარ შენგელაიას გახმაურებული ფილმის გმირი), რაიონიდან ჩამოსულები, მაგრამ ამან და რამდენიმე წვრილმანმა სამუშაომ მის გაჭირვებას ვერ უშველა.

ბებიას სასოწარკვეთილმა წერილმა ლადო ააფორიაქა, საგონებელში ჩააგდო, სამგზავრო ფული იშოვნა და ოთხი წლის უნახავ მარტოხელა მოხუცებულს ჩააკითხა. უსაზღვრო სიყვარულითა და ღრმა განცდით არის დახატული ფუტკრების გაბმულ ზუზუნში გახვეული, ოთხ ვეებერთელა ცაცხვს შორის მოქცეული ოდა-სახლი, უზარმაზარ, ბანგით სავსე სკასთან რომ არის შედარებული, ხოლო ნიადაგ მოფუსფუსე ბებია „შავკაბიან ფუტკრად“ ესახება (ზუსტი, ტევადი და იშვიათი სილამაზის მეტაფორაა).

ალექსანდრე ებანოიძე სოფლად მცხოვრებ ადამიანთა მდიდარ, ფერხორციან გალერეას ქმნის, თვითეული მათგანი გამახსოვრდება. ეს როდია სისხლისგან დაცლილი უსიცოცხლო სქემები, ყოველ პერსონაჟს საკუთარი მეტყველება, შეხედულება და გარეგნობა აქვს. ამათ შორის, თავის მხრივ, გამოირჩევა „წითელი სიმონი“, არტელის პირველი თავმჯდომარე სიმონ თორაძე, მაღალი, ზონზროხა, წითელთმიანი კაცი, ვისი სახეც თითქოს სხვადასხვა ფერის უთვალავი წერტილისგან შესდგებოდა და პუანტილისტი მხატვრის ნამუშევარს წააგავდა. კომუნისტთა შორისაც იყვნენ უპატიოსნესი, საქვეყნო საქმისთვის თავდადებული ადამიანები და სიმონ თორაძეც ასეთი გახლავთ. იგი ლადოს დაღუპული მამის ბავშვობის მეგობარი იყო და სოფლად ჩასული ახალგაზრდა მოქანდაკე გულთბილად მიიღო. პირველი შეკვეთაც მანვე მისცა. ლადოს თავდაპირველად უნდოდა სოფლის მოედანზე დასადგმელად შრომის გმირი (თვითონ სიმონი) გამოეძერწა, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მისი განზრახვა მთლიანად შეცვალა.

ერთ დღეს სასეირნოდ გამოსულმა ლადომ, მაყვლის ბუჩქებით დაფარულ მინდორში თვალი მოჰკრა მშვენიერ ქალიშვილს, მწიფე მაყვალს რომ კრეფდა, და დანახვისთანავე მოიხიბლა; იგი აღმოჩნდა მეზობლის გოგონა ნინო (ნინუცა) ნიორაძე, ვისაც ბავშვობაში მან ხისგან გამოთლილი სათამაშო აჩუქა. უკვე დაქალებულ ნინოს მასზე უფროსმა ლადომ საუბარი გაუბა, თანდათან დაუახლოვდა და გადაწყვიტა მენატურედ აეყვანა, მისი ალეგორიული ფიგურა („მორბენალი ქალიშვილი“) გაეკეთებინა.

ალექსანდრე ებანოიძე

დავით კაკაბაძის გენიალური ფერწერული ტილოს („იმერეთი — დედაჩემი“) ანალოგიით, ლადო ინაშვილს თავის ქანდაკებისათვის მეორე სახელიც აქვს შერჩეული: „იმერეთი — ჩემი სიყვარული“, და ერთგან კიდეც ბოდიშობს უჭკნობი შედევრის შემქმნელი ავტორის წინაშე, თავმდაბლობას იჩენს.

საერთოდაც, ალექსანდრე ებანოიძე, რომანის თემიდან გამომდინარე, ხელოვნების (მხატვრობა, ქანდაკება), ლიტერატურის, მწერლური ოსტატობის დიდ ცოდნას ავლენს, რითაც თხრობას ესოდენ სასურველი ესეისტური იერი ეძლევა.

თავისი სანუკვარი ჩანაფიქრი რომ განახორციელოს, ლადო ინაშვილს შესაფერისი პირობები სჭირდება და იგი შეუდგება ბოსელის სახელოსნოდ გადაკეთებას, რაშიც უანგაროდ ეხმარება მოხუცებული მარტოხელა კაცი, ნამღვდელარი, ღვინოს მიძალებული, გოლიათური აღნაგობის კასიანე, ვისაც დურგლობა ეხერხება და ერთობლივი ძალით ამთავრებენ ამ სამუშაოს.

ახლა მთავარია, მასთან ყოველდღიურად იაროს ნინუცამ, როგორც მენატურემ, ამას კი მამამისის, გულმოდგინე მშრომელის, შეძლებული და უცნაური, ავანტიურისტული წარსულის პიროვნების, ბესარიონ ნიორაძის თანხმობა სჭირდება. ეს ეპიზოდები რომანში საკვანძოა და მეტი ადგილი ეთმობა. ბესოს ახალგაზრდობაში სმა უყვარდა, ცხენის ქურდობასაც არ თაკილობდა, სიმღერასა და ცეკვაშიც განაფული იყო და ოცდახუთი წლისამ ძველი არისტოკრატიული გვარის შთამომავალს ტიტიკო ჩიჩუას მოსტაცა საცოლე, მეგრელი თავადის ედიშერ ფაღავას ერთადერთი ქალიშვილი, ულამაზესი ელენე. ამ დროისათვის, ყველაზე უმცროსი ნინუცას გარდა, ნიორაძეების ოჯახში ოთხი ვაჟკაცია, სხვადასხვა ხასიათისა და შესაძლებლობებისა. ყველა მათგანს, ხელშესახებად დახატულს, თავთავიანთ გარემოში ვხედავთ, რაც მწერლის მახვილ თვალზე, ადამიანებზე დაკვირვების განსაკუთრებულ უნარზე მეტყველებს.

ათასგვარ ხვანჯებში გამოჯაგულმა, ეშმაკმა და მარიფათიანმა ბესო ნიორაძემ უმალ იგრძნო, რომ სოფლად ლადოზე უკეთეს სასიძოს ძნელად იშოვიდა და თადარიგი დაიჭირა; ყმაწვილის მისვლის დღეს, ხმაურის გარეშე მიიპატიჟა ნათესავები და მეგობრები (შესაფერისი სამზადისი წინასწარ ჰქონდა) და ლადო ინაშვილი, მისდა მოულოდნელად, ნიშნობის მდიდრულ სუფრაზე აღმოჩნდა. სათნო და პოეტური ბუნების ნინუცა ამ ჩანაფიქრში არავითარ მოწადინებას არ იჩენდა, ყველაფრის ავან-ჩავანი მამამისი იყო.

ორი თვე დადიოდა ნინუცა სახელოსნოდ გადაკეთებულ ბოსელში. ბებია თებრონე ყოველნაირად ხელს უწყობდა ობოლ შვილიშვილს. საქმე წინ მიდიოდა, ქანდაკებას კარგი პირი უჩანდა. ქალ-ვაჟს შორის საჩოთირო არაფერი მომხდარა, მაგრამ ერთ დღეს უმნიშვნელო რამეზე წაკინკლავდნენ, ერთმანეთს დაემდურნენ. ლადომ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ

ცოლის შერთვას აღარ აპირებდა. აგორდა შეურაცხმყოფელი ჭორები, რასაც ბესარიონ ნიორაძის გათამამებული ოჯახი ვერაფრით შეურიგდებოდა. ფიცხი და თავმოყვარე თებრონე ბებია, ცხადია, შვილიშვილს მიემხრო. ერთგვარ სიამოვნებასაც გვრიდა თავისი ნაშიერის სიამაყე, ქედუხრელობა.

აქ თავი იჩინა რომანისტის, როგორც ინტრიგების ჩახლართვის არაჩვეულებრივმა ოსტატობამ. მწერალი ხშირად გადის ბეწვის ხიდზე და ალაგ-ალაგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ სიუჟეტის ასეთი დაძაბვა ოდნავ გადამეტებულია.

მთავარი გმირის გაუმართლებელ, ნაკლებად მოტივირებულ საქციელად გვეჩვენება, როცა იგი, გაშმაგებული, იქეთ-აქეთ აწყდება, ტოვებს სოფელს და თბილისში ბრუნდება. გამოფენაზე გატანილი მისი ნამუშევარი („აკრობატები“) სამას მანეთად შეუძენია კეთილისმყოფელ მოძღვარს, პროფესორ გამრეკელს, და მოწაფეს საყვედურობს, რომ ჩალის ფასად არ უნდა გაეყიდა ასეთი ნატიფი ქმნილება.

ზამთარი მომდგარა კარს. ქალაქის თავზე აზიდული მთა თოვლის ფანტელებს გადაუთეთრებია. რომანის ფინალში მინორული, ნაღვლიანი განწყობილებაა დასადგურებული, მაგრამ ეს მოწყენა დროებითია. ოცნებით ლადო მშობლიურ სოფელში, „მზით გამთბარ ბოსელში“ იმყოფება და ეს მინიშნება ყველაფერს ნათელს ფენს. თანაც მანამდე სიმონ თორაძისაგან დამაიმედებელ წერილს იღებს, რომ ხელოსნებმა თაბაშირზე მუშაობა დაამთავრეს და მის ქანდაკებას უერთგულესი ადამიანი, კასიანე დარაჯობს. „წითელი სიმონი“ ნაახალწლევს კუთვნილი ფულის გადარიცხვასაც ჰპირდება.

რომანის წინათქმიდან ისიც გვახსოვს, რომ ნინო ნიორაძისა და ლადო ინაშვილის ქორწინება იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში სწორედ ზამთრის პირზე გაფორმდა. ამ წიგნის დაკვირვებით წამკითხველი შეუძლებელია დარწმუნებული არ იყოს, რომ მათნაირი უბიწო და თავდავიწყებამდე შეყვარებული წყვილის შეუღლებას წინ ვეღარაფერი დაუდგება. ერთი რამ კია მწარედ დასანანი — ბოლო ათეული წლების მანძილზე გადატანილ უბედურებათა გამო — დღევანდელ საქართველოში ასეთ, სიცოცხლის ფერებით გადანათებულ, აჟრიამულებულ სოფელსა და ყველა სიკეთით შემკულ ახალგაზრდებს იშვიათად თუ ნახავთ.

ზედმეტი არ იქნება, მოვიტანოთ რამდენიმე ადგილი, სადაც ერთდროულად, თვალნათლივ ჩანს ამ მშვენიერი რომანისა და მისი უნაკლოდ მთარგმნელის გაუხუნარი ნიჭი, სამაგალითო პროფესიონალიზმი, ძნელად მისაღწევი ოსტატობა:

„მივძვრებოდი ფერდობზე, რომელსაც სამ ზოლად ერტყმოდა კარგად გამომშრალი ტყე. გვიმრა ფეხებს მისერავდა, ხშირი კვრინჩხი მიკაწრავდა ბეჭებსა და ზურგს, და მხოლოდ წაბლის ხეები იყო, მზით რომ ტკბებოდნენ და არ ენაღვლებოდათ, ვის უძღვნიდნენ თავიანთ ჩრდილს. მზით ჩამთბარ ტყეში სქელი და ჩახუთული ჰაერი იდგა. განსაკუთრებით ძლიერი სუნი ასდიოდა ყვითელი იელის ბუჩქებს: მზის სიმხურვალეს გამოეტყუებინა მისი ტკბილი წებოვანი სუნი და ძლევამოსილად მოეფინა ირგვლივ“.

„იმერული შემოდგომის ღამე ჩამოწვა. უვარსკვლავო, გრილი ღამე, მაჭრის, კომშისა და დრუნჩგადმობრუნებული ლეღვის სუნით გაჟღენთილი. ეს ღამე მიხმობდა, სხვადასხვა ხმით მიხმობდა...“

„ნისლი დაიფლითა და მთებს შეუყვა. კვლავ თვალწინ გადამეშალა განსაცვიფრებელი სილამაზის ხეობა, დაცვარული და დანისლული ჭრელ-ჭრელი ხეებით. ზურმუხტისფერი მდინარე თხიერი მალაქიტივით მოედინებოდა ცისფერ კლდეებს შორის. ვეებერთელა რიყის ქვები მობანავე ბეჰემოტებს ჰგავდნენ“.

„ტყე შეთხელდა, მოტიტვლებული ადგილ-კორდები მოხშირდა, სულ უფრო და უფრო იხსნება ცა... ქარი მიაქანებს ცას აღმოსავლეთისკენ, ხოლო ბუმბულივით მსუბუქი, ლაჟვარდისფერი, მცურავი ცის ქვეშ იმერეთია გადაშლილი. საღამო ჯერ შორსაა და მთებს შემოდგომის მქრქალი დღე ანათებს. ერთი შეხედვით ტყეები თითქოს ჯერ კიდევ მწვანეა, მაგრამ მათ წიაღში ცვლილება უკვე ჩასახულა. ეს ცვლილება წყნარ, ნათელ შემოდგომას კი არ გვპირდება — იგი იმის მაუწყებელია, რომ ხეები და ბალახი შეუპოვრად და უიმედოდ შეებრძოლებიან სიბერესა და ჭკნობას“.

ეს სოფელი იყო იმერეთის მთაგორიანი, ხასხასა ტყეებით დაჩრდილული, თვალის საამოდ გაშენებული სოფელი. ახლა თბილისის ძველ უბანსაც შევხედოთ, ლაღად გაშლილი, ტილოზე გადატანილს რომ ჰგავს:

„აი ძველი ქალაქიც. მარცხნიდან აბანოების გოგირდის სუნი მოდის. მარჯვნივ მტკვარს ზემოდან დაჰკიდებია ჭრელ-ჭრელი აივნები. მთიდან ეშვება ციხე-სიმაგრის ნანგრევები, თავისი ფერით შემოდგომის ფერთა გამას რომ ერწყმის. მეტეხის ფრიალოზე ქვის ფილებს აგებენ.

ქალაქი მთებსა და კლდეებზეა გაშენებული. იგი ხან აღმა მიყვება ხრამებსა და კბოდეებს, და მაშინ ჰგავს ვეება სახლს, მინაშენების, აივნების, ტალანებისა და კიბეებისგან რომ ამოზრდილა; ხან ქვემოთკენ მიექანება და აჩენს წიბოვან, ჟანგისფერ-მოწითალო სახურავებს. სახურავებს შორის ხეობებად ჩაწოლილა ქუჩები. ჭადრებზე ბეღურები სხედან. ისეთი გნიასი გააქვთ, ხმას თუ არ აუწიე, მოსაუბრეს ვერას გააგონებ. თითქოს ასობით ტაფაზე სტვენით, შიშითა და ტკაცანით ქონი იწვოდეს. ხეობები თუხთუხებენ და გუგუნებენ“.

ალექსანდრე ებანოიძე სიხარულს ვერ მალავს, რომ დაწერიდან თითქმის ნახევარი საუკუნის მერე მისი საყვარელი პირმშო — „იმერული ქორწილი“ — კვლავ გამოსცეს თბილისში, მაგრამ ამასთანავე იმაზედაც წუხს, რომ მაშინდელ განწყობილებას, ამაღლებულსა და პოეტურს, ვეღარასოდეს დაიბრუნებს.

დასასრულ ამასაც ვიტყვი — შეუნელებელი ინტერესით იკითხება ალექსანდრე ებანოიძის მოზრდილი ინტერვიუ, რომელიც მისთვის ცნობილ ხელოვნებათმცოდნესა და პუბლიცისტს, ქალბატონ ინა ბეზირგანოვას ჩამოურთმევია. მწყობრად აგებული კითხვა-პასუხებიდან ბევრ რამეს ვიგებთ ალექსანდრე ებანოიძის გამორჩეულ თვისებებზე, მის მწერლურ მიდრეკილებებზე, პირუთვნელად გამოთქმულ მოქალაქეობრივ პოზიციაზე, რის გაცხადებასაც მრავალნი ერიდებიან.

კარგად ჩანს, როგორ შეძრწუნებულა ალექსანდრე ებანოიძე, როდესაც თავისი თვალით უნახავს — ვერაგულად მოტაცებულ ქართულ მიწაზე, მოსკოველი მფარველებისგან შეგულიანებული ოსი სეპარატისტები არარსებული საზღვრის დასაკანონებლად ეკლიან მავთულხლართებს ავლებდნენ და ჩვენ ეს უნდა მოგვეთმინა. როგორც ზემოთ ვთქვით, ასეთივე დამოკიდებულება აქვს მას აფხაზეთის ტრაგედიასთან, საქართველოს მოუშუშებელ იარასთან. იგი მუდამ მძაფრ პროტესტს გამოთქვამდა, როცა მოდერნიზებული იმპერია საქართველოს მიმართ ყოვლად გაუმართლებელ აგრესიას ახორციელებდა.

სიამაყის გარეშე არ შემიძლია იმის წაკითხვა, რომ ჩვენმა დაუვიწყარმა გურამ ასათიანმა, ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის დროს, ხმა აიმაღლა ძალმომრეობის წინააღმდეგ და დაგმო სხვათა მიწა-წყალზე ტანკებით შეჭრა, ოკუპაცია.

ნიშანდობლივი და გასახარელია, რომ მწერლის შინაგან ბუნებაზე, რაობაზე ფიქრისას, ალექსანდრე ებანოიძეს მოაქვს ოთარ ჩხეიძის „ამომწურავად ზუსტი ფორმულა“, სხარტი გამონათქვამი: „შემოქმედება — აუხსნელი იძულებაა“.

აქ უმთავრესად ის იგულისხმება, რომ ჭეშმარიტი მწერლობა მსხვერპლად შეწირვას მოითხოვს მისგან, ვინაც კალამს მოჰკიდა ხელი, იგი ბედისწერაა.

სხვათა შორის, ოთარ ჩხეიძე ალექსანდრე ებანოიძის ნათლია გახლდათ და იმ ღირსშესანიშნავ დღეს უფროსი კოლეგისთვის გაღიმებულს უთქვამს — ჩემი მირონცხება ასე იმიტომაც დაგვიანდა, რომ მაინცდამაინც თქვენ უნდა მოგენათლეთო.

სავსებით მართალია ალექსანდრე ებანოიძე იმაზე მსჯელობისას თუ რაოდენი ზიანი მიაყენა საბაზრო ეკონომიკამ კულტურასა და მეცნიერებას. ნამდვილი ლიტერატურა შე-

ვიწროებული, გარიყული აღმოჩნდა, კატასტროფულად დაეცა მკითხველის გემოვნება.

რესპონდენტი საფუძვლიან შეშფოთებას გამოთქვამს, რომ მისი რედაქტორობით გამომავალმა ჟურნალმა („დრუჟბა ნაროდოვ"), რომელსაც ამდენი კეთილი, სასარგებლო საქმე აქვს გაკეთებული, შესაძლებელია დაარსებიდან 75-ე წლისთავზე გამოცემა შეწყვიტოს.

იუბილარი, ალექსანდრე ებანოიძე წუხს, რომ თავის სამშობლოში ტურისტივით უწევს ჩამოსვლა და სინანულით იგონებს ყაისინ ყულიევის სიტყვებს, როცა გამოჩენილი ბალყარელი პოეტი ოცდაათი წლის წინათ ურჩევდა, მამა-პაპათა კერას დაბრუნებოდა. ეს გულწრფელი სინანული იმის აშკარა ნიშანია თუ რა მძაფრად უხმობენ მას მშობლიური ფესვები.

შალვა ვანიშვილი

თვითმკვლელობის არნახული მაგალითი

სიმხდალე არის განდეგილობა,
და მონასტერი საფლავ-სამარე,
როგორ გიყვარდეს აბა სიკვდილი
როცა სიცოცხლე ვერ შეიყვარე.
იროდიონ ევდოშვილი

ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი გონიერი არსების პრობლემა, კაცობრიობის მარადიული კითხვაა. მის მორფოლოგიურ, სულიერ და ფუნქციურ, აგრეთვე ფსიქოლოგიურ სფეროს არაერთი ფილოსოფოსი, მწერალი თუ მკვლევარი შეეხო. თუმცა ამ საკითხზე საბოლოო ზუსტი პასუხი დღემდე მაინც არავის გაუცია. ასე რომ, ადამიანის სულიერი სამყაროს — კეთილისა და ბოროტის გაცნობიერება კვლავ მოურჩენელ „ღია ჭრილობად" რჩება.

გამოჩენილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა მრავალ წიგნთა შორის გამოსცა უკანასკნელი ნაშრომი „ანთროპოლოგია პრაგმატული თვალსაზრისით", სადაც შესწავლილი და გაანალიზებულია ადამიანის წარმომავლობისა და ჩამოყალიბების სხვადასხვა საფეხურები, მისი სულიერი განვითარების პროცესები, ტანჯვები, ტკივილები. ადამიანის ერთი ნაწილი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს. მათ შორის ფილოსოფოსები, მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, პრაქტიკოსები.

ილია ჭავჭავაძემ მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ წერილებში მთელი სისრულით წარმოსახა ადამიანის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სამშობლოსათვის თავგანწირვის ფურცლებია გადაშლილი პოემაში „დიმიტრი თავდადებული". ღრმა ფილოსოფიური აზრია გატარებული „განდეგილში", სადაც დაგმობილია ქვეყნისაგან ადამიანის განდგომა. ილიას აზრით, ადამიანის უპირველესი მოვალეობაა „ამა სოფლისათვის ზრუნვა".

ასეთივე დიდ ჭეშმარიტებას გადმოგვცემენ ნიკოლოზ ბარათაშვილი და ვაჟა-ფშაველა. ადამიანებმა, რომელთაც უკვდავი სახელი დატოვეს პლანეტის ისტო-რიაში, გარდაქმნეს ცხოვრება უკეთესობისაკენ, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრეს.

ათენის არეოპაგმა ფილოსოფოს სოკრატეს ყალბი, შეთითხნული ბრალდებებით სიკვდილი მიუსაჯა. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე კიდევ ოცდაათი დღე იყო დარჩენილი — ვიდრე დელოსიდან მლოცველები დაბრუნდებოდნენ, სიკვდილის განაჩენის აღსრულება აკრძალული იყო, — ეს დრო სოკრატეს მეგობრებმა მოანდომეს მისი გაქცევისათვის მზადებას. ყველაფერი მოაწყეს ამისათვის, მაგრამ სოკრატემ გაქცევაზე მტკიცე უარი განაცხადა და მეგობრებით გარშემორტყმულმა სულის უკვდავებაზე საუბარში დაცალა საწამლავიანი სასმისი.

ფილოსოფოსმა ლუციუს სენეკამ, დაინახა რა მისი გაზრდილი იმპერატორი ნერონი არღვევდა ყოველგვარ ადამიანურ ნორმებს, ვენები გადაიჭრა.

დიდმა ბერძენმა ორატორმა დემოსთენემ, პოლიტიკურ ბრძოლებში დამარცხებულმა, ეკლესიაში შესვლისას ძლიერმოქმედი საწამლავი მიიღო.

კატონმა თავი მოიკლა უტიკაში, რა დარწმუნდა, რომ კეისართან ბრძოლა ამაო იყო. იგი მოემზადა თვითმკვლელობისათვის, თავის პარტიის დანარჩენ წევრებს გადამალვა აცალა და უკანასკნელი ღამე სიცოცხლისა პლატონის კითხვაში გაატარა.

ეგვიპტის დედოფალმა — დიდად განათლებულმა კლეოპატრამ მსახურებს უბრძანა: „ჩამაცვით ჩემი ტანსაცმელი, გვირგვინით მომრთეთ, უკვდავებისკენ მივისწრაფი" — და გლეხის მიერ მიყვანილი გველის ძლიერმოქმედი შხამიანის კბენით აღესრულა.

მარკუს ბრუტუსმა — კეისრის მკვლელობის ორგანიზატორმა — ფილიპის ახლოს განაცხადა: „ეს მანუგეშებს, მეგობრებო, ჩემს სიცოცხლეში ჩემთვის არავის არასდროს არ უღალატნია... კეისარო, ეხლა დამშვიდდი! მე შენი მოკვლა ბევრად უფროა მეძნელებოდა..." და თავის ხმალზე აეგო.

„სიცოცხლის სიყვარულის" ავტორმა ჯეკ ლონდონმა გარეგნობით მომხიბვლელმა და სულით მამაცმა, სრულიად ახალგაზრდამ, თვითმკვლელობისათვის გადაჭარბებული დოზით ნარკოტიკები აირჩია და ისე გაემგზავრა „მთვარის ხეობაში", რომლის სილამაზეს შედევრების სერია მიუძღვნა.

რატომ მოიკლეს თავი რიო-დეჟანეიროში ცოლ-ქმარმა ცვაიგებმა „უცნობი ქალის წერილების" და სხვა 50 ტომის ავტორი შტეფანი ხომ მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მწერალი გახლდათ.

მცირე მოცულობის მოთხრობა „მოხუცი და ზღვა" ნობელის პრემიით აღინიშნა. კომიტეტის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: მიენიჭოს ნობელის პრემია ერნესტ ჰემინგუეის „თხრობის დიდოსტატობისათვის, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოჩნდა მოთხრობაში „მოხუცი და ზღვა". და იმ გავლენისათვის, რაც მან მოახდინა თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაზე ახალი სტილის აღმოჩენით და დამკვიდრებით". ყველაზე ძვირფას სტრიქონად ამ მოთხრობაში (არაერთხელ რომ იქნა გადაღებული კინოფილმად და დადგმული რადიოსპექტაკლად) მიჩნეულ უნდა იქნას მოხუცი მეთევზის სანტიაგოს სიტყვები, თავის თავს რომ ეუბნება შუა ზღვაში: „იმედი არ დაკარგო, ბებერო, იმედი! იმედის დაკარგვა მგონი ცოდვაც არის". ასეთი იდეების პატრონი, მგზნებარე მონადირე, ესპანეთის სამოქალაქო ომის გმირი, დიქტატურის წინააღმდეგ მებრძოლი, კილიმანჯაროს თოვლიანი მთების დამლაშქრავი („მერი! ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ დედამიწაზე — კილიმანჯაროს მწვერვალზე შიშველი ვცეკვავ — გაჰყვიროდა ზემოდან დაბლა მიტოვებულ ცოლს") თავს იკლავს 61 წლისა. გული ატკინა კონსტანტინე გამსახურდიას ამ შემზარავმა ცნობამ, ოკეანის გაღმიდან მოვარდნილმა: ჩვენ ძველ მონადირეებს ასეთი სამარცხვინო საქმე არ გვჩვევიაო.

შარლ ბოდლერმა და ედგარ ალან პომ ალკოჰოლით, ოპიუმითა და სხვა ძლიერი ნარკოტიკებით განზრახ მოისპეს სიცოცხლე.

ბორის პასტერნაკი ვლადიმირ მაიაკოვსკის XX საუკუნის გენიოსად მიიჩნევდა. „მე აღვიქვამ მას, როგორც დოსტოევსკის გაგრძელებას. მისი ადრეული ლექსები შეიძლება დაეწერათ დოსტოევსკის უმრწემეს გმირებს, იმ ტიპის მეამბოხეებს, როგორებიც არიან იპოლიტი, რასკოლნიკოვი და „ყმაწვილის“ გმირი. ყოველივე საუკეთესო, რაც მაიაკოვსკის უთქვამს, ნათქვამია სამარადისოდ, პირუთვნელად და შეურიგებლად. მეტიც, უთქვამს კი არა, პირდაპირ მიუხლია საზოგადოებისათვის, ქალაქისათვის, სივრცისათვის“. ამ ბაღდადელმა პოეტმა, თავის თავს ქართველს რომ უწოდებდა, ღმერთს არ დაანება თვისი სიკვდილი: „ერთი წამიც და გაემგზავრა მაღლა ზეცაში ღრუბლებისაკენ“.

კონსტანტინე გამსახურდია 1963 წელს წერდა: „საქართველო მუდამ იამაყებს სამი დიდი გენიოსის სახელით. ესენი გახლავთ: რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკტიონ ტაბიძე“. „ლურჯა ცხენების“ ავტორმა ყველა ქართველს და მრავალ არაქართველს ატკინა გული, როცა ღმერთებთან გაამგზავრა თავისი ბობოქარი, ბრძოლებით და ტკივილებით დაქანცული სული („გულო ჩემო მღელვარე, სულო ჩემო მყივარო, ერთი დღეც არ მქონია მშვიდი, უსატკივარო“).

იცნობდნენ რა ცხოვრების დაუსრულებელი ვერაგობიდან მომდინარე ტრაგიკულ ეპიზოდებს, დიდმა მწერლებმა ღრმა მწუხარების საბურველში გაახვიეს თვითმკვლელობის ის შემზარავი ფაქტები, რომლებმაც მთელი მსოფლიო დააფიქრა, შავებით შემოსა. თვითმკვლელობით დაამთავრეს სიცოცხლე ვერონაში კაპულეტების მშვენიერმა ასულმა ჯულიეტამ და მონტეგების ოჯახში არისტოკრატიულად აღზრდილმა რომეომ. ამ ორ უმანკო, სპეტაკ ახალგაზრდას ისე უყვარდათ ერთმანეთი, იმ გატაცებული სიყვარულით, რომელიც მხოლოდ იტალიის მწვავე მზის შეუბრალებელ სხივებქვეშ წარმოიშობა. შედეგი კი ასეთია: „შმაგ გატაცებას მუდამ მოსდევს მძვინვარე ბოლო და იფერფლება, როგორც დენთი ცეცხლთან ამბორით“. ამ ამბავს შექსპიროლოგები სამართლიანად უწოდებენ სიყვარულის ტრაგედიას:

თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე კუნძულ კვიპროსზე, მინისა და მარმარილოს სასახლეში, თურქეთის ფლოტზე გამარჯვებულმა ვენეციელმა მავრმა. ამ სისხლიანი ტრაგედიით შექსპირმა დაგვარწმუნა, გვასწავლა თუ რა ძლიერია დაუნდობელი, ბოროტი კაცის ენა, გრძნობები და სურვილები ღირსეულ, მიამიტ ადამიანთა წინააღმდეგ. ასეთი ვერაგნი, სისხლიანი და კაცთმოძულენი არიან რიჩარდ მესამე (გლოსტერი), იაგო, კლავდიუსი, ჯულიეტას ბიძაშვილი — ტიბალტი, მაკბეტი, მისი მეუღლე ლედი მაკბეტი და სხვა („მოსისხლე ხარ და სისხლიანი ბოლოც გექნება ვით ავკაცობით ცოცხლობდი შენ, ისეც მოკვდები“).

ბოროტებამ რომ იარსებოს, სიკეთედ უნდა მოიკატუნოს თავი. უკვე ამგვარი თვალთმაქცობით არის ის უზნეო... შეიძლება ითქვას, რომ ბოროტება ყოველთვის შეპყრობილია კნინობითი კომპლექსით. ვერ ბედავს იყოს გულახდილი. ნიცშეს ტიპის ინტელიგენტები ბოროტების მთავარ გასაჭირად სწორედ ამ კნინობითობასა და თვალთმაქცობის უნარს მიიჩნევდნენ. მათ ეგონათ, ბოროტება ამქვეყნად თავისი ნამდვილი სახით რომ მოვიდეს, მაშინ ზნეობრივი გახდებაო. ეს შეუძლებელია: თვით ფაშიზმიც კი თავის ყველაზე შავბნელ ბოროტმოქმედებას, რასიზმს, ასაბუთებდა რაღაც განმარტებებით გერმანელი ხალხის კეთილდღეობის შესახებ.

...ჯანმრთელობისათვის იმაზე სასარგებლო არაფერია, ვიდრე პირდაპირობა, გულახდილობა, გულწრფელობა, სუფთა სინდისი. მე რომ ექიმი ვიყო, დავწერდი ნაშრომს ძვალ-რბილში გამჯდარი ორპირობისა და თაღლითობის საშინელ საფრთხეზე ფიზიკური ჯანმრთელობისათვის. ეს სენი ალკოჰოლიზმზე უფრო საშინელი მგონია.

თვითმკვლელობათა საკითხის შესწავლის დროს მწერალი, ყველა დარგის მკვლევარი და მკითხველი გონებრივ ურთიერთობას ფსიქოლოგიასთან ამყარებს. ფსიქოლოგებს ფსიქოლოგიის შესწავლის საგნად სული მიაჩნდათ და ბუნებრივია, რომ მეცნიერებას სულისათვის სულის მეცნიერება (ფსიქოლოგია) უწოდეს. ცნობილი ფილოსოფოსი ჰეფდინგი ასე იწყებს თავის ცნობილ თხზულებას: „ფსიქოლოგია მოძღვრებაა სულის შესახებ — აი უმოკლესი განმარტება, რომელიც შესაძლოა აქ განზრახული გამოკვლევის საგანს მიეცეს“.

იმ დროის შეხედულების თანახმად, სიცოცხლე და სულიერი განუყრელი ცნებებია: სული სიცოცხლის პრინციპად იყო მიჩნეული. დეკარტემ, რომელმაც ბრძანა „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ — რადიკალურად განსხვავებული აზრი წამოაყენა: მან სიცოცხლეს და სულიერ პროცესებს შორის პრინციპული კავშირის არსებობა უარყო და, მაშასადამე, ფსიქოლოგიას საკვლევ საგნად მხოლოდ ფსიქიკური მიუჩინა.

მაგრამ სულიერი ცხოვრების შინაარსით ძალუმი სინამდვილე შორს სცილდება ფსიქოლოგიის საზღვრებს. სენეკას, მარკუს ავრელიუსის, ნეტარი ავგუსტინეს, მაკიაველის, მონტენის, პასკალის, შექსპირის, რუსთაველის, გოეთეს მიერ გამოთქმულ ფიქრებში სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ იმდენი ღრმა გაგება მოიპოვება ადამიანისა, რომ ვერავითარი ახსნითი ფსიქოლოგია ვერ შეედრება:

სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ის, რომ ყველაზე უფრო გავრცელებულ რელიგიურ მოძღვრებაში, — ქრისტიანობაში — სიკვდილის საკითხს ცენტრალური პოზიცია უკავია. ადამიანის სულს, მუდამ მშფოთვარეს და დაუცხრომელს, განსაკუთრებული გრძნობა ეუფლება, როდესაც პირისპირ დაუდგება ყოფნა-არყოფნის საკითხს. ყოველ განცდაში, მარტივი იქნება თუ რთული, ადამიანის სული განუყრელად ჩასჭიდებია ამ საკითხის თითოეულ გამონასკვს და სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი სულიერი ცხოვრება ერთბაშად ყოფნა-არყოფნის ელფერშია მოვლენილი.

ჰამლეტის ცნობილი მონოლოგი „ყოფნა-არყოფნა“ სიკვდილ-სიცოცხლის დაუსრულებელ, გადაუჭრელ პრობლემას ეხება. ის არსებითად წარმოადგენს ფილოსოფიური მსჯელობის თემას თვითმკვლელობის შესახებ. შექსპირმა გადააგდო ჩვენი ცხოვრების ბოროტებისა და შეცდომილების მორევში სევდიანი მოაზროვნე, რომელიც იდგა თავის დროის ცოდნის შესაფერის სიმაღლეზე, გვიამბო ყველა მის ეჭვსა და რყევაზე, გადაგვიშალა მისი მწუხარება და სევდა მსოფლიოს შესახებ, აზრის ეს ტანჯვანი ანათესავებს ჰამლეტს ჩვენს დროსთან და ანიჭებენ მას მსოფლიო, საკაცობრიო მნიშვნელობას.

ამ საკითხს ღრმა ფილოსოფიური გააზრებით განიხილავს თავის ნაშრომებში ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი და მწერალი დიმიტრი უზნაძე. მისი აზრით, „რელიგია, მარადიულობისაკენ მისწრაფება სიკვდილმა წარმოშვა. ამიტომაცაა, რომ ყოფნა-არყოფნის პრობლემა განსაკუთრებული ძლიერებით არის ჩაქარგული რელიგიური მსოფლმხედველობის ყოველ ნაქსოვში. ქრისტიანობა სწორედ ისეთი რელიგიაა, რომელმაც მარტოდმარტო შეძლო სიკვდილის დაძლევა და მის ნანგრევებზე უკვდავი არსებობის კოშკის აღმართვა. მან სააქაოს დროულ ცხოვრებას საიქიო დაუპირისპირა, ხოლო ეს საიქიო აბსოლუტური არსებობისა და უკვდავების კვარცხლბეკზე აამაღლა.

სააქაო ცხოვრება გახრწნითა და სიკვდილით იმიტომ თავდება, რომ იგი მსახურებაა სხეულისა, სხეული კი თავისთავად მკვდარი და პასიურია. სიცოცხლის პრინციპი სულია და ამიტომ ის, როგორც ჯერ კიდევ პლატონმა თქვა, უკვდავია.

სიკვდილ-სიცოცხლისა და ყოფნა-არყოფნის მარადიულ პრობლემას ეძღვნება ცნობილი მწერლის და საზოგადო მოღვაწის გიორგი სოსიაშვილის ნოველა „სტუმარი უცნაური შეკვეთით“ („ჩვენი უნივერსიტეტი“, №12) პროზაიკოსმა თვითმკვლე-

ლობის გაუგონარი, კაცთაგან ფიქრმიუწვდომელი ფორმა აღმოაჩინა და განხორციელების რთული პროცესით საგონებელში, მწარე ფიქრების ზღვაში ჩააგდო მკითხველი. შემზარავია მისი სტრიქონები და ფინალი. ნოველა, რომელიც თავზარდამცემ ჭეშმარიტებაზე მოგვითხრობს, იმსახურებს იმ შეფასებას, როგორი შეფასებაც მისცა დანიელმა კრიტიკოსმა და შექსპიროლოგმა გეორგ ბრანდესმა „რიჩარდ მესამის“ პირველ მოქმედებას. „ბრანდესის აზრით, შექსპირის დანაშაულობა უფრო მასში მდგომარეობს, რომ მან არ მოგვამზადა ჩვენ ამ სცენისათვის. ანა პირველად გამოდის მაყურებლის წინაშე სწორედ აქ და ჩვენ არ ვიცით, ვისთან აქვს რიჩარდს საქმე, გამარჯვება უკანასკნელისა მოწმობს ამ გმირის სულიერ სიმძლავრეს იმდენადვე, რამდენადაც შექსპირის ზიზღი მოჩანს პასიური ქალის ტიპისადმი, რომელიც თავის გონებას უმორჩილებს ბრმა გრძნობას“ (პ.ს. კოგანი „ნარკვევები დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიიდან“, ტომი I) ანალოგიურ მდგომარეობაში ჩაგვაყენა ავტორმა, — შექმნა რა მძიმე სურათი ნოველის პირველივე სტრიქონებიდან (ასე ადრინდელ ნოველებშია, კერძოდ, „ტყვეებში“). ქონდაქარი, რომელსაც შვილების სარჩენად ოჯახის შემოსავლის წყაროდ უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობის ხელობა აურჩევია, ზნედაცემული კაცია — სინდისგარეცხილი, თუმც ხანდახან სიმართლეც წამოსცდება ხოლმე:

„მე ღმერთი არ მწამს“, — და აქედან გამომდინარე არც ცოდვები ადარდებს — შთამომავლობაზე გადასული. აქ ჩანს ავტორის განსწავლულობა, დიდი ცოდნა ცხოვრების მიმართ. მან იცის, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც მოვლენილნი არიან მხოლოდ ბოროტების ჩასადენად. იცის, რომ ბოროტ კაცს ღიმილი არ გაუჭირდება. „თითქოს ქვეყანა იყოს ბაღი გაუმარგლავი, რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლა, ცუდი ბალახი“ (შექსპირი).

ადამ მიცკევიჩი წერდა: „...თავსატეხებში გვახვევს ბუნება მარად და მარად, თავის უცნაურ საიდუმლოს არ გვიმხელს, არა“. მწერალი ბუნების მსგავსად მრავალფეროვანია, ოკეანე ვერ ამოწურს მის მდიდარ სულს. და ავტორმა საგონებელში ჩაგვაგდო. რამ მიიყვანა მწერალი თვითმკვლელობამდე ან როგორ მოიფიქრა თვითმკვლელობის ასეთი ფორმა, რომლის მსგავსი არ არის აღწერილი ლიტერატურაში?!

ჩვენ ვიცით, რატომ დაიხრჩო თავი ოფელიამ — პოლონიუსის ასულმა, ვიცით, რამ მიიყვანა თვითმკვლელობამდე ვერტერი, რომლის აღსასრულმაც შეძრა გერმანელი (საერთოდ, ევროპელი) ახალგაზრდობის სული. მაგრამ ვერ გავიგეთ, რატომ გასწირა საკუთარი თავი მწერალმა და ისიც ამნაირი წარმოუდგენელი ფორმით. თუმც იგი მკვლელთან საუბარში მსოფლიო სევდით სავსე გულიდან ამოუშვებს მწუხარებით დატვირთულ სიტყვებს: „დავიღალე, აღარ შემიძლია, ისეთ ამბებში ვარ გახვეული, სახლიდან გამოსვლა არ მინდა. არავის დანახვა, არავისთან საუბარი. ეს იცი რას ნიშნავს?“

ამ სიტყვების შინაარსს და სიღრმეს სტუმარი ვერ გაიგებდა, რადგან იგი საზოგადოების ფსკერზე დალექილი ადამიანია, ჯოჯოხეთის ყლორტებზე ამოზრდილი სატანა. მას „ბევრი ადამიანი ელოდება... გზის გაწმენდას რომ ითხოვენ“. ბევრგან ცრუობს სტუმარი, თვალთმაქცობს როცა ამბობს „მიამიტი, ალაგულა მკვლელი ვარ“. მკვლელი ყოველთვის ვერაგია... ღვთის პირისაგან შეჩვენებული. „სალიტერატურო ელიტის“ წარმომადგენლის გადაწყვეტილება ურყევია: ის უნდა მოკვდეს და მოკვდეს უცნაური ფორმით — ცხოვრებისა და ლიტერატურისათვის უცნობი წესებით.

მწერალი, გამსჭვალული ცხოვრების ფარული დედაძარღვის შემეცნების ლტოლვით, დიდი პრობლემების გადაჭრას ლოგიკურ ფორმებში აყალიბებს. და ხელოვანი ამ კარდინალური ამოცანის განცდას დამაფიქრებელი ნაწარმოების სურათოვან სახეებში ასახიერებს. ამიტომ ნამდვილი ფილოსოფიური აზროვნების მწერალი არის ის, ვინც „დაავადებულია“ ცხოვრების ფარული ამოცანის ახსნის ლტოლვით, და ნამდვილი ხელოვანია ის, ვინც იმავე იდუმალებით არის ტანჯული. როდესაც რომელიმე მწერლის შემოქმედებას ვაფასებთ, უწინარეს ჩვენს წინაშე უნდა წამოიჭრას, თუ რამდენად ძლიერია ამ მწერალში განცდა მსოფლიოს ფარული

დიმიტრი ერისთავი
ილუსტრაცია გიორგი სოსიაშვილის
ნოველისა „სტუმარი უცნაური შეკვეთით“

იდუმალებისა. დიდიხანია ასეთი ღრმა ტკივილებით აღსავსე ნოველა არ წამიკითხავს. ავტორმა მრავალ რთულ კითხვას, საკაცობრიო მნიშვნელობის საკითხს გასცა პასუხი, მტკივნეულ კითხვებს, ავტორი გვაიძულებს, გვირჩევს, გვმოძღვრავს, უფრო მეტი ყურადღებით მოვეპყროთ ადამიანების სულიერ სატკივარს, ხშირად სიტყვას უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას.

2012 წლის 18 აგვისტოს რადიოსადგურმა „ამერიკის ხმამ“ ასევე თავზარდამცემი ცნობა გადმოსცა. პენტაგონის სარდლობა იუწყებოდა, რომ აშშ-ის ჯარებში ივლისის თვეში სუიციდის 34 შემთხვევა მოხდა. გაზრდილია თვითმკვლელობების შემთხვევებიო. ეს სრული ტრაგედიაა. ყველას, და განსაკუთრებით ახალგაზრდებს, უნდა შთავაგონოთ, რომ სუიციდი დანაშაულია ღმერთისა და ხალხის წინაშე. უნდა მოვაგონოთ რობერტ ბერნსის სიტყვები: „რას მიქვია მწუხარებით თავდახრილი კაცი, ეს ცხოვრება ბრძოლაა და ბრძოლა გვმართებს მკაცრი. ან რა მოსაგონარია ოღროჩოღრო გზები, როცა აღმართს აათავებ და მაღლობზე დგები, მოჩანჩალებს ბრუციანი და ბეხრეკი ბედი, ფეხზე რომ დგას, ეგეც კარგი, რა მოვთხოვო მეტი? დარდი მოაქვს, სიხარული, სიამე თუ სენი ვეუბნები: კეთილ იყოს მობრძანება შენი“.

ჩვენი ნოველის პროტოგონისტმა კი ჩაიქნია ხელი ცხოვრებაზე და მაკბეტივით სიკვდილის წინ ამქვეყნიური ამაოების განცდა გამოხატა.

„სიცოცხლე მხოლოდ ჩრდილი ყოფილა მოარული: ტაკიმასხარა, რომელიც ვიდრე დრო აქვს, ადის მაღალ სცენაზე და იჭიმება, იგრიხება მთლად გაქრობამდე, სულელის ენით მოთხრობილი ამბავი არის, თუმც უმნიშვნელო, მაგრამ სავსე აურზაურით“.

...თვით ნოველის ავტორი კი წარმატებით შემოვიდა ქართულ მწერლობაში.

როსტომ ჩხეიძე

დიკენსური შთაგონება — ისტორია ყმაწვილთათვის

ბიოგრაფიული რომანიდან „საგა ვახტანგური (ვახტანგ ჭელიძის ცხოვრების ქრონიკა)“

დიდხანს დაჰყო ვახტანგ ჭელიძემ თარგმანის ტყვეობაში, ძალიან დიდხანსო, — ოთარ ჩხეიძე რომ აღნიშნავს, შეუძლებელია ერთბაშად ყური არ მოგჭრას ამ სიტყვათშეთანხმებამ: თარგმანის ტყვეობა.

თარგმანი — ყველა ყველა და — ტყვეობა ვითომ რატომ უნდა ყოფილიყო ან ვახტანგ ჭელიძეს რა სჭირდა საიმისო, ნებაყოფლობითი ტყვეობისათვის რომ გაეწირა თავი?!.

ენების შესწავლას აკი იმიტომ შებმოდნენ, რომ ბევრი რამ რჩებოდათ წასაკითხი.

თარგმანს თუ შეებმოდნენ, ესეც შესწავლას სჭირდებოდა — სიღრმეში შესვლას გიადვილებდა, თანაც სტილის გამოსამუშავებლად საუკეთესო გზა გახლდათ.

მაგრამ მერე ეს ხერხი თუ საშუალება დიდი განსწავლულობის შესაძენად სულაც პროფესიად რომ გადაექცეოდა ვახტანგ ჭელიძეს?

დაე პროფესიაც ყოფილიყო, რატომაც არა, მაგრამ ის განზრახვები როგორღაც გვერდით რჩებოდა. ეგონა ყველაფერს აუვიდოდა — თარგმანსაც ერთგულად მიჰყვებოდა და ერთი მხრივ, თუ ბიოგრაფიულ რომანთა ციკლს დაალაგებდა, მეორე მხრივ, საქართველოს საყმაწვილო ისტორიასაც შექმნიდა — სამ ტომად. თამამადაც მოხვევდა ხელს დიდებულ ავტორებსაც და ამ ჩანაფიქრთაც, მაგრამ...

მკითხველი განცვიფრებულიყო, ამდენი თარგმანი რომ დაეზვავებინა, განსხვავებული სტილისანი, ყველასთვის რომ შეენარჩუნებინა მხატვრული თავისებურებანი და ქართული სამყაროს სრულუფლებიან მონაწილეებადაც ექცია, და აგერ ისეთი შინაგანი რიტმისათვის მიეგნო ერნესტ ჰემინგუეის გადმოღებისას, ისეთი ენობრივი მანერა გამოემუშავებინა, ამხელა ზეგავლენა მოეხდინა ქართველ პროზაიკოსთა — განსაკუთრებით ახალგაზრდების — სტილურ ძიებებზე.

თუმც მის მეგობართა უახლოეს წრეს ჩინებულად მოეხსენებოდა ვახტანგ ჭელიძის უჩვეულო ტალანტიც და შესაძლებლობანიც, თარგმანი მისთვის, წესითა და კანონით, შემოქმედების მარტოდენ ერთი მხარე რომ უნდა ყოფილიყო, მეორე მხარეს კი უკვე აღარ უნდა დაეგვიანა, თორემ როდისღა ბიოგრაფიული რომანები და ის სამტომიანი საყმაწვილო ისტორია საქართველოსი?!.

თორემ აგერ მაგალითი გერონტი ქიქოძისა.

რაოდენ აღტაცებულნიც უნდა ვიყოთ მისი მთარგმნელობითი ღვაწლითა და ლიტერატურული და პოლიტიკური ესეებით, როგორც უნდა მოგვწონდეს მისი ბიოგრაფიული რომანი ერეკლე მეორეზე თუ ავტობიოგრაფიული რომანი, მისი ტალანტი და შესაძლებლობანი გაცილებით დიდი და მრავლისმომცველი გახლდათ და, გარდა ამ თავისთავად ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობისა, მოწოდებულიყო ფილოსოფიურ მოაზროვნედ, ფილოსოფიური სისტემის შემქმნელადაც... მაგრამ დრამატული რეალობა არ დაანებებდა თავისი მთავარი წიგნისა თუ წიგნების დაწერას.

და ვაითუ ვახტანგ ჭელიძესაც დაუწერელი დარჩენოდა თავისი მთავარი წიგნი თუ წიგნები?

არა კმაროდა სულის მოთქმა „ივანე მაჩაბლის ცხოვრებით“.

და მეგობრები გრძნობდნენ მის სულ უფრო და უფრო მეტ გაღიზიანებას, წუხილსა და ფორიაქს, ქართლის ცხოვრების ქრონიკების შექმნა ლამის აუხდენელ ოცნებად რომ გადაქცეოდა.

ვერა და ვერ დაეწყო.

არადა, მერე კი ჩაეფლობოდა მისებური თავდაუზოგაობით, სულაც ყელამდე რომ ჩაეფლობოდა.

ყელამდე ჩაფლვა ოთარ ჩხეიძისეული შედარებაა, მიხეილ ჯავახიშვილს რომ დასესხებოდა. იმას გიორგი ლეონიძის პოეტური თავისებურების შესაფასებლად გამოეყენებინა და ამ სხარტ და ტევად ფორმულაში მოექცია ამ ლირიკისაგან მოგვრილი ღრმა შთაბეჭდილება; ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულიო, — მოგვიანებით ოთარ ჩხეიძეც რომ გამოიყენებდა და ამ ფორმულაზე ააგებდა „ყივჩაღის პაემანის“ შემოქმედისადმი მიმართულ საჯარო სიტყვას, ამ განზომილებიდან ყველაზე უკეთ შეიცნობოდა მისი პიროვნული და შემოქმედებითი ბუნება, და ვახტანგ ჭელიძესაც რომ სჩვეოდა საქმეში ყელამდე ჩაფლვა, ბარემ პირდაპირაც თქმულიყო მისი ეს დაუმცხრალობა — სწორედ ამ ფორმულით.

ყელამდე ჩაფლვას ესწრაფოდა საქართველოს ისტორიაში.

ოღონდ ესეცაა, ოთარ ჩხეიძე ამ სიტყვას რომ მოიშველიებდა თავისებურ მეტაფორად, გარეგნული სურათი სხვა წარმოუდგებოდა:

ბუკინისტურ მაღაზიაში ლერწმის მაღალი, მორყეული კიბე ამოვიდოდა გონების თვალწინ, და კიბეზე ეკვილიბრისტივით გადალაჯული ვახტანგ ჭელიძე, გამხდარი და აწონილი, ლაშა-გიორგის მემატიანის ჯავახიშვილისეული გამოცემით ხელში, ლამის რომ გადმოვარდეს თუ გადმოხტეს ისევ ეკვილიბრისტივითაო.

ჯერაც შემორჩენილიყო მაშინდელ თბილისში კარგი ბუკინისტური მაღაზიები, საუკეთესო, უბრწყინვალესი, თვალით უნახავი უცხოური გამოცემები რომ იყიდებოდა. მძიმე წლებს მოეტანა ეს გარდუვალობაც, რომ გამოტანილიყო და გადმოფარჩავებულიყო ყველაფერი ძვირფასი თუ საოჯახო, საგვარეულო რელიკვიები. ეს ორნიც ხშირად შედიოდნენ და... მზერითა და ხელით თუღა ეფერებოდნენ, შეძენა რომ არ შეეძლოთ, მაგრამ ზოგი რამ მაინც არ დაითმობოდა, თუნდ უსადილოდაც რომ დარჩენილიყვნენ... და ლაშა-გიორგის მემატიანეც არ დაითმობოდა, თუკი ქართლის ცხოვრების ქრონიკების შექმნა განგეზრახა.

აქამდე კარგა ხნის მოთავებულიც უნდა ყოფილიყო, თუმც მოთავება კი არა, დაწყებას აღარ დაადგებოდა საშველი.

და ვახტანგ ჭელიძის გამძაფრებული წუხილი და ფორიაქი თარგმანის ტყვეობადაც რომ განცდილიყო, რაღა გასაკვირია!..

ოცნება არაერთი გაქრობოდა ხელთაგან, მაგარმ უამისოდ უკვე აღარ გაეძლებოდა.

ამიტომაც უნდა გაქცეოდა უამრავ სათარგმნს:

— ასევე რო მდგარიყო, ასევე მოსწოლოდა, ითხოვდა ხარკსა, ძალღონესა, დროსა, ყველაფერსა, ყოველივესა, რაცთუ გააჩნდა, რამეთუ ისიც, ის დიდი საქმეც, მთარგმნელობას რო უწოდებენ, ერის ცხოვრების ნაწილია, სულდგმის ნაწილია, არსებობის ნაწილია...

გაქცეოდაო და... კიდეც გაექცეოდა.

ტყვეობაო და... კიდეც გაგლეჯდა იმ თოკებს, ამდენხანს რითაც შებოჭილიყო.

და გახედავდა ჩარლზ დიკენსის აჩრდილს: შთამაგონებელი შენ აღმოჩნდი და შეწევნითაც შენ უნდა შემეწიოო. ეს ისე, იდუმალად, თორემ აღარ იწყებოდა მხატვრული ქმნილებანი მუზებისა თუ უფლისადმი მიმართვით, და მითუფრო ადამიანისადმი მიმართვით არ დაიწყებოდა.

პირდაპირ ასევე აპირებდა დაერქმია, დიკენსის წიგნის მსგავსად: „საქართველოს ისტორია ბავშვებისათვის“, მაგრამ მერე შეცვლას ამჯობინებდა და ოთარ ჩხეიძესაც გაუმხელდა: ვგრძნობ, რომ მთლად პოპულარულად მოთხრობის ჩარჩოებში ვერ ჩავეტევი, ჩემი შეხედულებების გამოთქმაც მომიწევს, ცალკეული მოვლენების ანალიტიკური განსჯა და შეფასება და ისევ მირჩევნია „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ დავარქვა, უფრო ნაკლებად შემზღუდავს, თავდაპირველ ჩანაფიქრსაც შევინარჩუნებ და ისტორიასაც უფრო თავისუფლად გამოვყვებიო.

კვლევა სად წაგივა და შენი მოსაზრებების გამოთქმა, სულ დიკენსს ახსენებდი და ბარემ მის გზას მიჰყევი, არ იქნება ეს ჩარჩოებში მოქცევა, თორემ კვლევა-ძიებამ ისეთი გატაცება იცის, ვაითუ ძალიან გაგიგრძელდეს და მრავალტომეული ბავშვებისათვის საკითხავი ვეღარ იქნება, მითუმეტეს, ანალიტიკური პასაჟებითაც თუ გადაიტვირთებაო, — თავის შეშფოთებას გაუზიარებდა მეგობარი, თუმც იცოდა, რომ შენიშვნა და დაუთანხმებლობა იმას ძალიან წყინდა. ოთარ ჩხეიძეს კი უთმენდა, თუ მაინცდამაინც არ ეთანხმებოდა, დუმილს მაინც ამჯობინებდა, მაგრამ შესაძლოა ახლა გაღიზიანებულიყო... თუმც რაღაც ხიფათს წინასწარვე რომ უგრძნობდა გული ოთარ ჩხეიძეს, არ შეეძლო გულახდილად არ გაენდო ეს თავისი ეჭვი.

გადატვირთვით რატომ გადავტვირთავო, — შორს დაიჭერდა ვახტანგ ჭელიძე, მაგრამ აუხსნიდა, რომ ამდენი ფუფუნების დრო და საშუალებაც არა ჰქონდა, ორი თხზულება შეექმნა ქართველი ერის თავგადასავალზე — ერთი პირწმინდად საყმაწვილო და მეორე კი ერთგვარად ანალიტიკური. ბარემ გაერთიანებულიყო, მითუმეტეს, საკუთარი სტილური ხელოვნებისა ეიმედებოდა, მსჯელობასაც ისე რომ ააგებდა, ახალგაზრდებს გატაცებით წაეკითხათ და ვერ ეგრძნოთ ვერავითარი დაბრკოლება თხრობის მდინარებაში.

მეგობარი შეახსენებდა ლადო ასათიანის უბის წიგნაკის ჩანაწერს: საქართველოს ისტორია ბავშვებისთვის ზღაპარივით მოსასმენი უნდა იყოსო.

— ეს ხომ თქვენი საუბრის ანარეკლია, ჰოი, როდინდელი საუბრის... თქვენი შეთანხმების დასკვნა, რომ ასეთი ისტორია აუცილებლად ზღაპარივით უნდა მოედინებოდეს, ზღაპარი კი ძალიან გაგრძელებული ვერ იქნება... შენი სტილისტობა რომ ვიცი, ის გადახვევები თუ ჩანართებიც მარჯვედ შეუზავდება თხრობის ზღაპრულ მანერას, მაგრამ ბევრი ასეთი გადახვევა უკვე სხვა ყაიდის წიგნამდე მიგიყვანს... თუმც ესეც არაფერი, იყოს, როგორც გადაგიწყვეტია, მაგრამ ეცადე ერთ წიგნში ჩაეტიო.

— ერთი წიგნი ყოვლად წარმოუდგენელია.

— ადრე ხომ ასე ამბობდი.

— რაც უფრო ღრმად შევდივარ მასალებში, ვატყობ, რომ ერთი წიგნი არაფრით არ მეყოფა.

— მასალები არ დამთავრდება, აგერ რამდენი უცხოური წყარო ქვეყნდება და კიდევ გამოქვეყნდება და ჩვენი წარმოდგენა ძალიან ივსება საქართველოს ისტორიაზე. ყველაფერს ვეღარ გაწვდები, არადა, თავიდანვე თუ არ გამოერიდე ბევრ რამეს, მერე ძალიან დაგენანება თვითეული დეტალის გამოტოვება, ისე ჩაეფლობი, შესაძლოა მთელი ცხოვრება უკვე ამ ნაშრომს მიუძღვნა... კარგი იქნება, რასაც დაწერ, მაგრამ ის კი აღარ, რაც ჩვენი ახალგაზრდობისას განგეზრახა. ერთი, ერთადერთი წიგნი უნდა იმყოფინო როგორმე.

— სამი მაინც.

— ერთი, თორემ ეგ სამი ვაითუ ოთხად და ხუთადაც გადაგექცეს. ხომ ხედავ, კოწიას რა დაემართა „დავით აღმაშენებელში“, ვერ შეელია ჯვაროსნული ბრძოლების მასალებს და გაჭიმა და გაჭიმა... თავისთავად კარგად იკითხება და მშვენიერი ჯვაროსნული ქრონიკებია, მაგრამ თხრობა კი ძალიან გაუგრძელდა და „დავით აღმაშენებელს“ ოთხი ვეება ტომი მოანდომა... ვეღარ დაამთავრა და ვეღარ, თუმც ბოლომდე მაინც მიიყვანა... სად „დიდოსტატის მარჯვენა“ და სად ეს!..

— კოწია რას გამახსენე, — დაიფშხალებოდა ვახტანგი, — ან ის „დიდოსტატის მარჯვენაც“ რა არის, გაბუქულია და ეგაა...

— კარგი, კოწიას თავი დავანებოთ, დიკენსმა ხომ ჩაატია ერთ წიგნში ინგლისის ისტორია.

— დიკენსია!.. ჩაატია!..

— დიკენსურად უნდა დაიწეროს, სხვაგვარად არ გამოვა... იაკობ გოგებაშვილი ხომ ჩატევდა ერთ წიგნში, ის რამდენიმე ისტორიული ეპიზოდი გაბმული თხრობის ნაწილებად რომ ჩაელაგებინა და საქართველოს საყმაწვილო ისტორია ჩანაფიქრიდან რეალობად ექცია.

— ექნებოდა კი ეს განზრახვა?

— უეჭველად. იმ ისტორიულ ამბებს ეტყობა, რომ თანდათანობით სულ უფრო შეავსებდა.

— იაკობი... იაკობია!.. ჩაატევდა!..

— ერეკლე ხომ ჩაატევდა, ასეთი სურვილი რომ გასჩენოდა?

— ერეკლეც ჩაატევდა... რელიგიის ისტორიასაც ჩაატევდა ერთ წიგნში.

— როგორ ზღაპარივით ჰყვება, არა, კრიშნაიზმსა და ბუდიზმზე? — ასევე გაჰყვებოდა ბოლომდე, იმ ფორმასა და ინტონაციას ხელიდან აღარ გაუშვებდა.

— ეგ ფორმა და ინტონაცია მინდოდა სწორედ „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“ გამომეყენებინა... და მგონი... მგონი კიდეც მივაღწიე... წაგაკითხებ, რაც დავწერე და, აბა, ნახე!..

ზღაპარს ასე უშუალოდ არ ახსენებდა არც პირველი წიგნის ბოლოთქმაში და არც იმ საგანგებოდ დაწერილ სტატიაში, ორ გარემოებას რომ დაუზუსტებდა მკითხველს — თხზულების სახელწოდებასა და შესავალი ნაწილის სულისკვეთებას. ამბობს „პოპულარულს“, „მხატვრულს“, „ხატოვანს“, ფრთხილობს, ზღაპრის ფორმა ვაითუ არასწორად გაიგოს მკითხველმაო. დაე თვითონ იცოდეს, რა გზას მიჰყვება, და ოდესმე კიდეც გააცხადებს და წინამორბედებსაც დაასახელებს ამ ფორმის არჩევისას — იაკობ გოგებაშვილსაც და ერეკლე ტატიშვილსაც.

ოთარ ჩხეიძე მოუწონებდა საჭაშნიკოდ გადაცემულ ფურცლებს და არაოფიციალურ რედაქტორობასაც ითავებდა, არაოფიციალურს, რადგან ავტორი წინასწარვე გრძნობდა, რა ამბავსაც ატეხდნენ დიპლომიან-ხარისხიანი ისტორიკოსები ამ თხზულების გამოჩენისთანავე: ეს ჩვენ უნდა დაგვეწერა და არაისტორიკოსმა როგორ გაბედა ხელი მოეკიდაო!..

და ასეთ დროს ოთარ ჩხეიძის რედაქტორობა კიდევ დამატებით „არგუმენტს“ მიაწვდიდათ გულისწყრომისა და აღშფოთების გამოსახატავად. ამიტომაც ასე გადაწყდებოდა, რომ რედაქტორებად მოწვეულიყვნენ გიორგი მელიქიშვილი და თენგიზ პაპუაშვილი — აღიარებული ისტორიკოსები, რომელთა სახელებსაც თითქოს ხელი რომ უნდა შეეშალა იმ არაჯანსაღი აჟიოტაჟისათვის, რაც მაინც ატყდებოდა და არა და აღარ ჩაცხრებოდა, ეგაა, ხან უფრო წამოიწევდა და ხანაც შედარებით მინავლდებოდა, მაგრამ ისე იგნიასებდნენ ისტორიკოსები: ჩვენი დასაწერი ამან რატომ დაწერაო, — თითქოს ისტორიკოსის დიპლომი და სამეცნიერო ხარისხი გადამწყვეტი იყოს და სრული მონოპოლიის უფლებასაც განიჭებდეს.

ჩარლზ დიკენსს არა ჰქონია ისტორიკოსის დიპლომი.

არც იაკობ გოგებაშვილს.

არ დაგიდევდნენ — იმათ არ შეედავებოდნენ, მაგრამ აქ კი წონასწორობას დაჰკარგავდნენ და შეეცდებოდნენ პირველი ტომის გამოცემისთანავე აღეკვეთათ ეს წამოწყება.

როგორი შესაგუებელია, რომ თვითონ ვერ მოიფიქრეს ასეთი თხზულების შექმნა.

ლევან სანიკიძე იმით გამოირჩეოდა ამ გუნდში, რომ მარტო დაძრახვასა და ირონიას არ იკმარებდა „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ შემოქმედის მიმართ, ორივე ხელით ჩაეჭიდებოდა ამ იდეას — საქართველოს ისტორიის მოთხრობას ყმაწვილთათვის უძველესი ჟამიდან ბოლო დრომდე — და თვითონაც სასწრაფოდ ჩაუჯდებოდა მის შედგენას — და თუმც ერთ წიგნში ვერც იგი ჩატევდა დიდძალ მასალას და ოთხ ვეება ტომად გადაეჭიმებოდა, მიყვანით მაინც მიიყვანდა ბოლომდე და პოპულარობასაც მოიხვეჭდა „უქარქაშო ხმლებით“.

და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, პრესაში იქნებოდა თუ საჯარო გამოსვლებისას, დაბეჯითებით არ აღენიშნა, რომ საქართველოს ისტორია მხოლოდ სპეციალისტების დასაწერი გახლდათ და გარეშე პირი ამ საქმეში არ უნდა ჩარეულიყო.

ვახტანგ ჭელიძე

ისტორიკოსი!.. სპეციალისტი!.. სპეციალისტი!.. ისტორიკოსი!.. — საზოგადოებრივი აზრის ზომბირებისათვის გამიზნულიყო ეს „მოთხოვნა“ და ეშხში შესული ისტორიკოსები ვეღარ ითვალისწინებდნენ გემოვნებიანი მკითხველის მოსალოდნელ გაკვირვებას: თვითეული თქვენგანი და აგერ თუნდ ბატონი ლევანი გარკვეული ეპოქის სპეციალისტია, გარკვეული თემატიკის მცოდნედ ითვლება და არა მთელი დროჟამული განზომილებისა. და თუ სპეციალისტის გარდა არავის აქვს უფლება მოგვითხროს ჩვენი ბედკრული ქვეყნის ისტორია, მაშ „უქარქაშო ხმლებიც“ რა უფლებით უნდა დაწერილიყო — ანტიკური ხანის სპეციალისტი რატომ უნდა ჩაერიოს შემდგომი საუკუნეების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების განსჯა-გააზრებაში?!.

იქნებ კიდეც ვარაუდობდნენ ასეთ შემოპასუხებას, მაგრამ თავიანთი სარეკელა უნდა ერაკუნებინათ და როგორმე ჩამოეცილებინათ მკითხველის ინტერესი იმ თხზულებისაგან, რომელიც სტილურადაც და მსოფლხედვითაც სამაგალითოა, თუ როგორ უნდა გაიაზრებოდეს და იწერებოდეს ერის ისტორია, გარეგნულად ყოველგვარ ეფექტს მოკლებული, მაგრამ შინაგანად ღრმა ექსპრესიით აღვსილი და მიმზიდველი, ერთიანად რომ გშთანთქავს და იმ გარდასულ ამბავთა მონაწილედაც გაქცევს.

ეს იშვიათი უნარია, მხოლოდ გარედან კი არ შეგახედოს ისტორიულ ამბებსა და პერსონაჟებს, არამედ მის წიაღში შეგიძღვეს და ისეთი შთაბეჭდილება დაგიტოვოს, თითქოს რომანი წაგეკითხოს — მეცნიერული და მწერლური ნაზავი გონებისა და სტილისა ასეთ დროს ყველაზე უკეთ მჟღავნდება და ცოდნის გამდიდრებასთან ერთად განგაცდევინებს შენი ერის თავგადასავალს, მის სულში ჩაგახედებს, ისტორიის ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ საზრისს შეგაგრძნობინებს, თორემ სოციალური კუთხით კვლევა და რკვევა ისტორიისა დიდად ვერ გასცილდება საბჭოურ-მარქსისტულ თვალთახედვას, სინამდვილე განზე რომ რჩება და ხან მექანიკურად და ხან სულაც ტენდენციურად ფაქტების გროვა არაფერს გამცნობს გულისა და სულის შემძვრელს.

ეს მადლი ვახტანგ ჭელიძის ნიჭისა „ქართლის ცხოვრების ქრონიკებში“ მთელი ძალმოსილებით იჩენდა თავს და აკაკი ბაქრაძე თავის რეცენზიაში „მატიანის კვალდაკვალ“ ამ გარემოებას ამ სახით აღნიშნავდა: ვახტანგ ჭელიძის წიგნის ერთ-ერთი უპირველესი ღირსება ისაა, რომ ავტორი არ ერიდება ბელეტრისტულ წიაღსვლებს და ამით თხრობას საზიამოვნო საკითხავს ხდისო. მშრალი მეცნიერულობის მოყვარულები გამოუჩნდებოდნენ ამ მოსაზრებას ოპონენტებად? კრიტიკოსი წინასწარვე დაიზღვევდა თავს და ამგვარ მოთხოვნას შეაგებებდა არისტოტელეს დარიგებას: მხატვრული წარმოსახვა ისტორიისა უფრო მეცნიერულია და ჭეშმარიტი, ვიდრე ზუსტი ისტორიული აღწერილობა. პოეტური ხელოვნება აღწევს მთლად მოვლენის არსში, მაშინ, როდესაც ზუსტი ანგარიში გვაწვდის მარტოდენ დაწვრილებით ნუსხასო.

თავისებურად ეხმიანებოდა არისტოტელეს ამ შეგონებას გალაკტიონ ტაბიძე: წარსული არავის ესმის პოეტის გარდაო, — და ერეკლე ტატიშვილიც აკი პოეტური სანყისის აღმოჩენასა და გამკვეთრებას ესწრაფოდა თავის მოწაფეებში, რათა უამისოდ ვერც ჭეშმარიტი მკვლევარები იქნებოდნენ, ვერც ჭეშმარიტი პედაგოგები, ვერც ჭეშმარიტი მთარგმნელები (ცხადია, არამარტო პოეტური თხზულებების, არამედ ბელეტრისტიკისაც!) და ვერც ჭეშმარიტი მოქალაქენი. და თუ ვახტანგ ჭელიძე მოძღვარის ამ რჩევას მიჰყვებოდა აქამდეც და პოეტურ ბუნებას ამჟღავნებდა არამარტო შექსპირისა და მილტონის, არამედ დანიელ დეფოს, ჩარლზ დიკენსის, ჯონ გოლზუორთის, ერნესტ ჰემინგუეის, ჯონ სტაინბეკის, ჯერომ სელინჯერისა თუ სხვა თარგმანებშიც, და ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიული ქარგაც ამ სულისკვეთებით ამოეზარდა, და ახლა კიდევ უფრო დასჭირებოდა პოეტური განცდის გადმოშლა ახალგაზრდობის ასაყოლიებლად და სავსებით ეთანხმებოდა გალაკტიონს, ეგაა თავის გულნაკლულობასაც ვერა ფარავდა: წარსული მართლაც არავის ესმის პოეტის გარდა, მაგრამ მე თუ მომიხერხდება პოეტური წვდომაო.

აკაკი ბაქრაძე კი თავის მხრივ ძალიან იწონებდა, ავტორი რომ არ ერიდებოდა ვარაუდების, ჰიპოთეზების გამოთქმას: ასეთი ყაიდის წიგნს მეცნიერულად შემზადებული ჰიპოთეზები დიახაც მატებს შნოსა და ლაზათს, რადგანაც ასეთი ვარაუდები ნორჩ მკითხველს აქტიურ აზროვნებას აჩვევს, მარტო მზამზარეულ მასალას კი არ აწვდის, არამედ დასამუშავებლად სთავაზობს. ახალგაზრდა მკითხველთა შორის ულაპარაკოდ იქნება მომავალი მეცნიერი-ისტორიკოსიც. იგი უკვე ბავშვობიდანვე დაიწყებს ფიქრს იმ პრობლემებზე, რომელთა საბოლოო პასუხიც მეცნიერებას ჯერ ვერ უპოვნია. და, ვინ იცის, ამ ფიქრის შედეგი ის იყოს, რომ დღევანდელი ოცნებით გატაცებული ყმაწვილი ხვალინდელი მეცნიერული აღმოჩენის ავტორი გახდესო.

და კიდევ ერთი ღირსებაც უნდა აღნიშნულიყო საგანგებოდ — ავტორი რომ არ იფარგლებოდა მხოლოდ ისტორიული მოვლენების გადმოცემით და ცდილობდა ქართველი ხალხის წარსული ყოფის სრული სურათი აღედგინა.

და დაიმოწმებდა იმ პასაჟს, როდესაც ვახტანგ ჭელიძე ახალგაზრდა — და საერთოდაც — მკითხველს შეაგონებდა: ჩვენი უძველესობა რომ გვეამაყება, ამ შემთხვევაში მთავარი

ეს „უძველესობა“ კი არ არის, არამედ ის, რომ ხალხს შემოქმედებითი სული ჰქონდესო.

— შემოქმედებითი სული! ჩვენ ეს რაღაც მისტიკურ ფაქტორად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ. ეს უბრალო რამეში ვლინდება ხოლმე.

და ასე ძალდაუტანებლად უნდა შემოცურებულიყო მკითხველის წარმოსახვაში მშრომელი კაცის ნახელავი, თუნდ აგერ ბერლინის მუზეუმში დაცული ძველი წელთაღრიცხვით VI საუკუნის თიხის ჭურჭელი, ზედ აღბეჭდილი წარწერით — „კოლხმა გამაკეთა“.

რომ გაგვეშიფრა ეს ორი სიტყვა, ქვეტექსტი გვამცნობდა:

— შეიძინეთ! რაკი კოლხის გაკეთებულია, ესე იგი, კარგია — ლამაზი, მაგარი, გემოვნებით შესრულებული და მოსახმარად მარჯვე; ნუ ყოყმანობთ, იყიდეთ, თორემ მერე, ბევრიც რომ ეძიოთ, ვეღარ იშოვით.

თუ ისტორიკოსი, გნებავთ მწერალი, შეძლებს ამ შემოქმედებითი სულის გადმოცემას, იგი ჭეშმარიტად აღადგენს ხალხის ისტორიული ცხოვრების სურათსო, — აკაკი ბაქრაძე რომ აცხადებდა, თვალსაჩინოებისათვის ხელთ სწორედ ჩინებული ნიმუში ეპყრა: მართალია ვახტანგ ჭელიძეს ეს მთელი სისრულით არა აქვს გადმოცემული, მაგრამ არის ამის სერიოზული ცდა და ეს მაინც მნიშვნელოვანიაო.

ჩარლზ დიკენსი

თუ რაიმეზე ეთანაღრებოდა გული კრიტიკოსს, ყველაფერი ერთ წიგნში რომ ვერ ჩატეულიყო და მეორე და მესამე ტომებიც გამხდარიყო საჭირო:

— ჯერ ერთი, ერთი წიგნი ქვეყნის ცხოვრების სურათს უფრო კომპაქტურად და მკაფიოდ დახატავს. მეორეც, მკითხველ საზოგადოებაში მეტი პოპულარობით ისარგებლებს და ეფექტიც მეტი ექნება. ნაწილ-ნაწილ გამოცემული წიგნი მკითხველის ინტერესს ანელებს, ზოგჯერ აბნევს კიდეც.

დაკვირვებას აკაკი ბაქრაძე იმ შეხედულებამდე მიეყვანა, რომ არსებობდა საქართველოს ისტორიის ორგვარი ცოდნა. ერთი — მეცნიერული, პროფესიული, რომელსაც სპეციალისტთა ვიწრო წრე ფლობდა, და მეორე — თუ შეიძლება ასე თქმულიყო, თამადური, დიახ, ის ცოდნა, რომელსაც სუფრაზე აფრქვევდნენ თამადები და რომელშიც ჭორი და გამონაგონი ერთმანეთში არეულიყო. საწყალ თამადებსაც რა ექნათ, თავგამოდებული მტკიცება: ქართული სუფრა აკადემიაო, თამადებსაც ააკადემიკოსებდათ. და ასე გადიგამოდიოდა სუფრიდან სუფრაზე ზოგჯერ სასაცილო და ზოგჯერაც სატირალი „ცოდნა“ საქართველოს წარსულისა.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ ერთგვარ შუამავლად უნდა წარმომდგარიყო დიდ მეცნიერებასა და მასობრივ მკითხველს შორის, რათა ათასგვარი ჭორი და გამონაგონი ჩანაცვლებულიყო ნამდვილი და შეუფერადებელი ამბებით.

„უქარქაშო ხმლები“ კი იმ თამადური ერუდიციის უშუალო ნაყოფი აღმოჩნდებოდა, მისადაგებული დამდაბლებულ გემოვნებას — მასკულტურად დაქვეითებული და მორგებული სუფრის პატრიოტიზმს. კონსტანტინე გამსახურდიას სტილური მანერა გადმოეტანა თხრობის წარმმართველად, ოღონდ, როგორც ეპიგონიზმის ნიშანია, გამოეცლია მთავარი ძარღვი და რიტმიკა, და შინაგანი ექსპრესია გარეგნულ ეფექტებზე დაეხურდავებინა. მეტი არც შეეძლო და ოდნავადაც არ მოინდომებდა, რადგანაც მასკულტურას ყველა ქვეყანაში მეტი გასავალი აქვს, ვიდრე მხატვრულ-ესთეტიკურ სრულფასოვნებას, და რა უნდა თქმულიყო 70-80-იანი წლების მიჯნის საქართველოზე, სადაც ჰეროიზმის წყურვილს მკვეთრად უპირისპირდებოდა, ერთი მხრივ, სუფრის პატრიოტიზმი და, მეორე მხრივ, ეროვნული ნიჰილიზმი, ორივე ასე მიზანმიმართულად წაქეზებული ხელისუფლებისაგან.

* * *

თითქოს მართლაც ადვილი დასაწერი უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების ქრონიკების მაგვარი თხზულება — მზამზარეულ მასალაზე დაყრდნობილი, აბა, ისტორიას ხომ ვერ შექმნიდი...

და ამ გარემოებას რომ აღნიშნავდა, ჩაურთავდა: სულ სხვა საქმეა, როგორ მოიპოვებ რაც შეიძლება მეტ მასალასო.

თითქოს სხვათა შორისაა ჩაგდებული ეს ფრაზა, მაგრამ წიგნიერი საზოგადოებისათვის გამჭვირვალე გახლდათ მისი ქვეტექსტი: ლევან სანიკიძის „უქარქაშო ხმლები“ სხვათა ნაშრომებიდან გადმოწერილი გვერდებით რომ ივსებოდა და ივსებოდა, გამზადებული დაკვირვებებით, მიგნებებით, მარჯვედ აღდგენილი სურათებითა თუ ფსიქოლოგიური პორტრეტებით.

დიახ, მშრალი მასალა აურაცხელი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად ყოველთვის უძნელდებოდა ცალკეული თავების დაწყება, ლოგიკური გადასვლა ერთი თავიდან მეორეზე.

ეს იმიტომ, კომპოზიციურ აგებულებას დიდ ყურადღებას რომ აქცევდა — მთელი წიგნი მარჯვედ შეკრული ვერასოდეს იქნებოდა, თუ ცალკეულ თავებსა და მონაკვეთებს დააკლდებოდათ კომპოზიციური სიმწყობრე.

ზოგჯერ რამდენიმე კვირას ვერ დაეწყო მუშაობა, ვიდრე პირველ წინადადებას დაწერდა.

და ისევ ჩართული ფრაზა, ეს უკვე თვითკრიტიკული:

— თუმცა აქ ჩემი ჩვეული სიზარმაცეც მოქმედებს.

წუხდა, ძალიან განიცდიდა, რომ ყველაფერს ვერ ასდიოდა და აგერ თვით თავის ერთ მთავარ წიგნად ნავარაუდევ საქართველოს საყმაწვილო ისტორიას დასასრული ჯერაც არ უჩანდა. და წამოაგონდებოდა ლევ ტოლსტოის ბიოგრაფიიდან, თუ როგორ შესულა მწერალი თავისი უფროსი შვილის ოთახში, ყმაწვილი მოხუც ძალოს ალექსანდრ პუშკინის „ბელკინის მოთხრობებს“ რომ უკითხავდა. გამოართმევდა შვილს წიგნს და წაიკითხავდა ერთ-ერთი მოთხრობის დასაწყისს:

— სტუმრებმა თავი შეიყარეს აგარაკზე...

— აი, როგორ უნდა დაწყება, — იტყოდა, გამობრუნდებოდა თავის ოთახში და დაწერდა:

— ყველაფერი აირია ობლონსკების ოჯახში.

თავიდან ასე იწყებოდა „ანა კარენინა“, რომელსაც მერე წაემძღვარებოდა წინ რამდენიმე ფრაზა ბედნიერი და უბედური ოჯახების შესახებ.

ისე „ანა კარენინას“ რომ კითხულობ და ძალდაუტანებლად ამოგიტივტივდება გუსტავ ფლობერის „მადამ ბოვარი“, როგორც მოდელი ტოლსტოის ამ რომანის შექმნისა, ამ მოგონების გარეშე აზრად თუ მოგივა, რომ ერთგვარი შთაგონებისათვის, პირველი კამერტონისთვის პუშკინის „ბელკინის მოთხრობებიც“ გამოსდგომოდა მწერალს?..

თუმც ეს სულ სხვა თემა და სხვა სამსჯელოა, აქ კი, ინტერვიუსას ვახტანგ ჭელიძე ყოველი შემთხვევისათვის მაინც განაცხადებდა: ტოლსტოი რომ გამახსენდა, ამით თავს იმას კი არ ვადარებო.

გარდა ნამდვილი მკითხველისა, ჩასაფრებული მკითხველებიც არ აკლდა, ისედაც გამადიდებელი შუშით რომ უკირკიტებდნენ მის ნაწერებს და ზედმეტი საკბილო რატომღა მიეცა.

მისი მწერლური ლაბორატორიისათვის თვალის შევლებისას კი ძალზე საგულისხმოა ის აღიარება: ერთი თავიდან მეორეზე ლოგიკურ გადასვლას ასეთ დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებდა და ზოგჯერ რამდენიმე კვირაც მოუნდომებია ყოველი ახალი თავის დასაწყებად პირველი და ყველაზე შესაფერისი ფრაზის პოვნისათვის.

* * *

ჟამთა დინებაზე გადებული დიდი ხიდი, რომელიც ერთიმეორეს უკავშირებს წარსულსა და აწმყოსო, — ისტორიის, მისი არსისა და დანიშნულების ამ მოხდენილ დახასიათებას რომ გაიხსენებდა თამაზ ნატროშვილი, როგორც რეცენზიად ნაგულისხმევი ესეის სათაურის „ხიდი, გადებული ჟამთა დინებაზე“ განმარტებას, დასძენდა: ეს მეტაფორა შესაძლოა პოეტის ნახელავი იყოს, მაგრამ უკვე შეჭრილა მეცნიერთა ნაშრომებშიც და ჭეშმარიტი ისტორიკოსიც ალბათ ვერ გაექცევა პოეზიის სუნთქვასო.

და სავსებით ბუნებრივი ეჩვენებოდა, რომ ბერძნულ მითოლოგიაში კლიოს ერთდროულად ეპიკური პოეზიისა და ისტორიის მუზა ერქვა, და ქალი, რომელსაც ხელთ გრაგნილი ეჭირა, შთააგონებდა ჰომეროსსაც და პლუტარქესაც.

და არც ის უკვირდა, ტომას კარლაილი ასერიგად რომ აღტაცდებოდა ხოლმე წარსულის ყოველი ხსენებით და შეაგონებდა ყველას: დაუფიქრდით, რაოდენ პათეტიკური, წმიდათაწმინდა, ყოველმხრივ პოეტური მნიშვნელობაა მასში ჩაქსოვილიო. და სწორედ ისტორიას რომ უიგივებდა ჭეშმარიტ პოეზიას, ხოლო მართებულად განმარტებულ რეალობას გამონაგონზე გაცილებით მაღლა აყენებდა.

ეშხში რომ შევიდოდა, ტომას კარლაილი თვით ყველაზე უმნიშვნელო ფაქტსაც ადამიანის წარსულიდან, რისი გამოჩხრეკაც შეეძლო წიგნებში ჩაფლულ სწავლულს, უფრო პოეტურად აღიარებდა, ვიდრე ყველა პერსი ბიში შელის, და უფრო რომანტიკულად, ვიდრე ყველა უოლტერ სკოტს.

იოლად წამოკრავდა ხელს ერთსაც და მეორესაც, არადა, თანამოაზრენი უფრო აღმოჩნდებოდნენ, იმ თვალით რომ შეეხედა, რომ შელისთვისაც ჭეშმარიტი კვლევა და სინამდვილის სურათების აღდგენა პოეტური სულის ზეობის დასტური გახლდათ, ხოლო სკოტის რომანები საუკეთესო ნიმუშია, თუ რას ნიშნავს ერთი პიროვნების არსებაში ჰარმონიულად, იდეალურად შერწყმული მწერალი და ისტორიკოსი.

თუმც ჰიპერბოლიზების დროს მოსალოდნელია ამგვარი კაზუსები, ეს ორი შემოქმედი არაფრით არ გაიმეტება, და ტომას კარლაილს — ვახტანგ ჭელიძისთვისაც ფრიად დასაფასებელ ისტორიკოსსა და მწერალს — ამჯერად ვერ დაეთანხმებოდა ვერც თამაზ ნატროშვილი და ვერც მისი ესეის გმირი — „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ შემოქმედი, ვის ნაშრომ-ნაღვაწზეც საუბარი ძალდაუტანებლად მოიყოლებდა დიდებულ სახელებს.

ესეის ავტორს ქრონიკების მესამე წიგნი აერჩია განსახილველად, თუმც, ცხადია, გულისხმობდა სამივე წიგნს, პროექტის დასრულების მაუწყებელი რომ უნდა ყოფილიყო, არადა... ჩანაფიქრი ჯერ შუამდეც ვერ მისულიყო. იმისთანა საუკუნეები და ეპოქები უნდა მოჰყოლოდა, ამ სტილური მანერით სამი კი არა, მგონი ხუთი წიგნიც არა ყოფნოდა.

თვითონ თამაზ ნატროშვილისათვის ჩვეული გახლდათ წარსულის მკვდრეთით აღდგენა და მითუფრო დაუფასებდა ვახტანგ ჭელიძეს ნაბიჯ-ნაბიჯ და მისხალ-მისხალ შეგროვებას დეტალებისა, რათა „ქართლის ცხოვრების“ მემატიანეთა მონათხრობი შევსებულიყო გულმოდგინედ მოძიებული მრავლისმთქმელი ცნობებით არქეოლოგიიდან და ნუმიზმატიკიდან, ეპიგრაფიკიდან და დოკუმენტებიდან, ეთნოგრაფიიდან და ფოლკლორიდან, ჩვენი მწერლობის ძეგლებიდან. და მოძიებული და ნაპოვნი რომ მდიდრდებოდა მწერლური ფანტაზიითაც, რეალობიდან რომ აღმოცენებულიყო და იმავ რეალობასთან შედუღაბებულიყო.

ავტორი „საუკუნეთა მხილველ მანქანას“ რომ აჰყოლოდა, ამ მიგნებასა და სწრაფვას იმიტომაც გაემართლებინა (და აჰა, თამაზ ნატროშვილიც ადასტურებდა ამ გამართლებას), რომ ხელშესახები გაეხადა გარდასული ჟამის სურათები და გელათის აკადემიის ლექციაზეც ამოჰყოფდი თავს, მაშინდელი სტუდენტებით გაჭედილ დარბაზში, პაექრობა რომ გამართულიყო მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საკითხებზე; ფრესკებზე გამოსახულ წმინდანთა მოდელებსაც იხილავდი, გეგუთის სასახლის მობინადრეთა მკრთალ სილუეტებსაც მიადევნებდი მზერას და მათი ხმებიც ჩაგესმოდა, წვეულება იქნებოდა, აგიზგიზებულ ბუხართან ჩაფიქრება თუ სჯა-ბაასი სახელმწიფოებრივ საქმეებზე, იქ კიდევ სეფექალთა ჩურჩული, შორეული სახელმწიფოს ელჩის გამოჩენა, სავაზიროს სხდომა და პურობა, ქვეყნის დიადი პრობლემები და ადამიანთა წვრილმანი ვნებანი, ბრძოლა თანამდებობებისათვის და ინტრიგები.

და გაცოცხლებული წარსულის კალეიდოსკოპი უნდა გაგრძელებულიყო გზაზე მიმავალი სავაჭრო ქარავნითა და გზის პირას გამართული ფუნდუკებით, ხიდებითა და წყალსადენებით, საბრძოლო საჭურველითა და საქართველოს დროშით, ქართული მონეტითა და ქართული საექსპორტო საქონლით, გლეხის სახლითა და მსხვილი ფეოდალის სასახლით, შრომითა და ლხინით...

ესეიში საგანგებო ყურადღება მიექცეოდა იმ პასაჟს, მთხრობელი ომში მიმავალი მებრძოლის ხურჯინშიც რომ ჩაგვახედებდა და თონის პურების ქვეშ რაღაც მკვრივსაც შეგახებინებდა ცნობისმოყვარე ხელს:

— და როცა ამ საგანს შეიცნობ, საამურად გაგეღიმება. ჩურჩხელა ყოფილა, ჩვენებური ტკბილი ჩურჩხელა, ჩვენებური კაკლის და ვენახის ნაყოფი. სახალისო საჭმელიც არის, ყუათიანიც, დიდხანს გასძლებს, სატარებლადაც ადვილია. მართლაც დიდებული საგზალია მეომრისათვის.

თუ შეიძლებოდა წარმოდგენა, რომ ერის ბედისწერისა და თავგადასავლის თხრობისას უეცრად... ჩურჩხელის აპოლოგია შემოჭრილიყო? არადა, რა მოხდენილად ექსოვებოდა მონაყოლს, ვაზის ჯიშების აღწერისა არ იყოს, თავისებურ სიმფონიად რომ გადაგეშლებოდა თვალწინ და არამარტო შეგამეცნებინებდა, არამედ სრულფასოვნად განგაცდევინებდა სათავესაც და მიზეზსაც ამ მცენარის განუყოფლობისა ჩვენი ხალხის ცხოვრებასთან, ასერიგად რომ ჩაეწვნოდა ყოფასაც და კულტურასაც და სიმბოლიკაში გადასული წმინდა ნინოს ჯვარსაც განასახოვნებდა.

ვახტანგ ჭელიძე მკვეთრად გარიდებოდა იოლსა და მაცთუნებელ გზას და ამიტომაც მისი შემოქმედებითი მეთოდი გულისხმობდა არა ისტორიული წყაროების „თარგმნას“, არამედ:

— მათ შევსებას, ახლებურად ამეტყველებას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოშინაურებას. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა ჩვენი ნაცნობ-მეგობრების ამბავს ვისმენდეთ.

მთავარია, რომ ამით არც სიდიადე იკარგებოდა გარდასულ დროთა და არც ტრაგიზმი:

— ერთიცა და მეორეც მშვენივრად არის გამოხატული მკითხველისათვის საინტერესო თხრობის სადა და თავშეკავებული სტილით, რომელიც მკაცრად უკუაგდებს მაღალფარდოვან აფორიზმებსა და კონიუნქტურულ ზიზილ-პიპილებს.

„ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ არც სპეციალური გამოკვლევა გახლდათ, ერთობ ძნელი ასათვისებელი მკითხველთა ფართო წრისათვის, და არც ისტორიული რომანი, სადაც მწერლის ფანტაზია ხშირად სინამდვილეს შორდება ხოლმე. და მაშ როგორ უნდა განსაზღვრულიყო მისი თავისებურება?

— ისტორიული სიმართლე, ამეტყველებული მწერლის კალმით... ცოცხალი და საინტერესო ისტორია, რომელიც შეიცავს წყაროებსა და გამოკვლევებში დადასტურებულ-დადგენილ სინამდვილესაც და მასზე დამოკიდებული მხატვრული წარმოსახვით შექმნილ სურათებსაც.

და მაშ ესეი-რეცენზია შესაფერისადაც უნდა დაგვირგვინებულიყო იმ დაბეჯითებული დასკვნით, რომ ვახტანგ ჭელიძის წიგნში ჟამთა დინებაზე გადებული ხიდი ღირსეული ეკვივალენტი გახლდათ ძველ საქართველოში „მდინარეთა სასტიკთა ზედა“ აგებული ხიდებისა, რომელთა შესახებაც სიყვარულით მოგვითხრობდა მწერალი და რომელნიც, სპეციალისტთა აზრით, სავსებით აკმაყოფილებდნენ თანამედროვე ხიდმშენებლობის კანონებს.

ისტორიული ქრონიკები ისტორიულ ქრონიკებად და... სულ უფრო მძაფრად ეუფლებოდა წადილი, როგორმე გამოსცლოდა იმ სინამდვილეს და XIX საუკუნეში გადმოენაცვლებინა, მისთვის ასერიგად ახლობელში, XX საუკუნეზე მეტადაც რომ ემშობლიურებოდა... და შესჩიოდა ოთარ ჩხეიძეს, შენთვის უნდა დამეჯერებინა და ერთ წიგნში მომექცია თხრობა, თავიდან მეც კი ასე ვაპირებდი, მაგრამ რომ შევატყე, მასალები სულ უფრო და უფრო მეტი მიგროვდებოდა, მაინცდამაინც სამი წიგნიც არ მებევრა, გავყევი, გავყევი და... დასასრულს უკვე ვეღარც ვხედავ, ჩავიკარგე და ეგა�ო.

— რა კარგად გქონდა დასაწყისში დაჭერილი ზღაპრის ინტონაციაც და ფორმაც, ინტონაციას კვლავაც ინარჩუნებ, მაგრამ ფორმას ასცდი... რაც არის, ძალიან კარგია, რა ჩემი თქმა გინდა, მაგრამ აგერ, როგორ გაგიჭიანურდა, — დანანება ეტყობოდა ხმაში ოთარ ჩხეიძეს.

— ზღაპრის ინტონაციაც და ფორმაც შენც კარგად გქონდა მიგნებული „ვასილ ბარნოვში“, მის პირველ თავში, მეორეშიც რომ გადმოსდევს... მაინც როგორ ჩაატიე ჩვენი ისტორია ერთ წიგნში... ფრაგმენტულად, მაგრამ მაინც... ეს რომ წარმომედგინა, ვერა და ვეღარ გავიდოდი ბოლოში, მართლაც ზღაპარივით მოვყვებოდი ჩვენს თავგადასავალს, დიკენსურად და გოგებაშვილურად, და კვლევა ცალკე წამომეწყო, არსებითად იმ წიგნის შემავსებელი იქნებოდა, როგორც ვრცელი ექსკურსების ციკლი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი.

— „ივანე მაჩაბლის ცხოვრებაში“ რაც მოახერხე, დანარჩენი მასალები და მოსაზრებანი, რაც გიგროვდებოდა, სხვა ბიოგრაფიული რომანებისათვის რომ შემოინახე...

— ეჰ, ივანე მაჩაბელსა და იმ ეპოქას ნუღა გამახსენებ, დაგროვებით კი ბევრი რამ დამიგროვდა, მაგრამ რომ ვეღარ გამომიყენებია?!. მავიწყდება უკვე, რაც მაშინ გადაუდებელიც კი მეგონა, და ხელახლა მომიწევს აღდგენა... ალექსანდრე ორბელიანის ცხოვრების ქრონიკა მაინც როგორ უნდა დამრჩეს დაუწერელი... და კიდევ ეგნატესი, შენ რომ არ გიყვარს!..

— როგორ არ მიყვარს, უბრალოდ ვამბობ, რომ გიორგი წერეთლის ზურგზე ამოიზარდა და ახლა იმის ხარჯზე არ უნდა იყოს ზედმეტად დაფასებული...

— კარგი, კარგი... აი, დავწერ და!..

უბის წიგნაკში კი ეს ჩანაწერი გაჩნდებოდა:

— როგორმე ჩქარა უნდა დავამთავრო ქრონიკები და მე-19 საუკუნის ქრონიკაზე გადავიდე.

და მეტი დამაჯერებლობისათვის, როგორც საკუთარი თავისადმი მიცემულ დაპირებასა და ეგებ ფიცსაც კი, თარიღითაც აღბეჭდავდა: 1982 წლის 19 ივლისი.

როგორმე ჩქარა უნდა დავამთავროო...

ნეტა რას გულისხმობდა ეს „ჩქარა“?

ყოველ შემთხვევაში რამდენიმე წელზე მეტს ნამდვილად არ ივარაუდებდა... მაგრამ ბედისწერას ისე განესაზღვრა, რომ მისი ხანგრძლივი სიცოცხლე „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ წერაში უნდა ამოთავებულიყო.

თან აგრძელებდა, თან ადრინდელ წიგნებსაც მიუბრუნდებოდა, რედაქციულად გადაამუშავებდა და ხელახლა გამოაქვეყნებდა, ეგებ პარალელურად წამოწყებულ გამოცემას მაინც აეჩქარებინა ისერიგად, 1801 წლამდე დროულად მოეღწია, რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს გაუქმება დაედო საბოლოო მიჯნად და გადასულიყო ახალი ჟამის ქრონიკებზე, „ივანე მაჩაბლის ცხოვრება“ მარტოსულად რომ გრძნობდა თავს და გვერდში ამომდგომთ ითხოვდა ერთსა და ორს მაინც.

ჩემი მხრივ, „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ მეხუთე წიგნს რომ გამოვეხმაურებოდი ესეით „ეროვნული სულის ანაბეჭდები“, ზოგად შეფასებასაც შევეცდებოდი და მის ერთ მთავარ ღირსებად ფსიქოლოგიურ პორტრეტთა გალერეის შექმნას მივიჩნევდი, ისტორიული პერსონაჟები სულითა და ხორცით რომ აღივსებოდნენ და კოლორიტულ, შთამბეჭდავ სახეებად ჩამომწკრივდებოდნენ. საგულისხმო დაკვირვებანი და ახალ ნიუანსთა გამოვლენანი მომხიბლავი შტრიხებით კი ავსებდა ამ პორტრეტებს, მაგრამ ისტორიული გალერეა არსებითად უცვლელი რჩებოდა — ყველა პერსონაჟი იმ კუთხით წარმოგვიდგებოდა, აქამდე როგორც ვიცნობდით, ეგაა, უფრო რელიეფურად და მეტყველად წარმოსახულნი. მაგრამ ერთი გამონაკლისი რომ მაინც არსებობდა?!. უეცრად რომ უნდა ამოჭრილიყო ჩვენს თვალწინ ნერსე ერისთავის მონუმენტური ფიგურა და ვახტანგ ჭელიძის წყალობით დაეკავებინა თავისი კუთვნილი ადგილი ჩვენს ისტორიულ მეხსიერებაში.

ორიოდე ძუნწი და გაფანტული ცნობა, რომელნიც მიკარგულიყო იოვანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობის“, გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“, „მოქცევაი ქართლისას“ მატიანისა და სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ფურცლებზე, ღრმა დაკვირვებათა, იშვიათი ინტუიციისა და მწყობრი მსჯელობის წყალობით, პოეტური წარმოსახვაც მოხდენილად რომ შეავსებდა და შეჰკრავდა, გადაიქცეოდა დიდებული პიროვნების სახიერ პორტრეტად, იმ აღმოჩენად, „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ ერთ-ერთ თვალსაჩინო მონაპოვრადაც რომ უნდა ვიგულისხმოთ.

რასაკვირველია, ასეთი დაუცხრომლობით არ ჩაუღრმავდებოდა იმ კანტიკუნტ ცნობებს, ნერსე ერისთავის ზედწოდება რომ არა: დიდი, — რაც გულისხმობს პიროვნების რაღაც განსაკუთრებულ ღვაწლს.

არადა, რაღაც განსაკუთრებული კი არა, ბევრი არაფერი მოგვეძევებოდა ამ პიროვნებაზე და ისიც უსამართლო მივიწყებისათვის განწირულიყო, მეოცე საუკუნიდან გამოწვდილი ხელი რომ არა, ის ძლიერი მარჯვენა, ისედაც რომ დაეზვინა ლიტერატურული განძი და ახლა ნერსე ერისთავსაც მოეზიდებოდა სამზეოზე.

მე ჩემი მარჯვენა მიშველისო, — არაფერს შეეპუებოდა უოლტერ სკოტი.

და ვახტანგ ჭელიძეც, ყველაზე მძიმე თუ მწარე ფიქრში ჩაძირულ წუთებში, საკუთარ მარჯვენას რომ დახედავდა იმედით, სკოტის აჩრდილსაც უნდა გადაელვებინა მის თვალწინ და მისი რომანების ხელახლა გადაკითხვას კი გაემძაფრებინა ისტორიის შეგრძნებაც და ისტორიულ გმირთა გამოსარჩლებისა და მთელი თავიანთი მონუმენტურობით წარმოსახვის სურვილიც.

და უკეთესი გამოსასარჩლებელი თუ რომანტიკული მონუმენტურობით აღსადგენი ვისი ქანდაკება უნდა ყოფილიყო, თუ არა ნერსე ერისთავისა, სხვა უამრავ დამსახურებასთან ერთად, გრიგოლ ხანძთელს რომ ზრდიდა თავის ოჯახში და აგულიანებდა იმ დიად საქმეთათვის, დაშრეტაზე მიმდგარი საქართველოს ისტორიის ხელახალ დაწყებას რომ უნდა ჩადგომოდა სათავეში მეფე აშოტ კურაპალატის გვერდიგვერდ, იმასაც „დიდის“ ზედწოდებით რომ შემოგვინახავდა საისტორიო მატიანე.

ჩემი ესეის ქვაკუთხედად სწორედ ნერსე ერისთავის სახება იქცეოდა და იმ გზის წარმოსახვა, ვახტანგ ჭელიძეს რაოდენი ძალისხმევით გამოეკვეთა მიმოფანტული და ძუნწი ცნობები ბიოგრაფიულ ქრონიკად, ლიტერატურული დეტექტივის კლასიკურ ნიმუშად რომ წარმოგვიდგება.

უშუალოდ ეს სიტყვათშეთანხმება „ლიტერატურული დეტექტივი“ არ გამომიყენებია იმ გამოხმაურებაში, თუმც ანალიტიკური განსჯა თავისთავად ცხადყოფდა ამ მონაკვეთის სწორედ ამგვარ ჟანრულ თავისებურებას, ავტორი ცალკე ნარკვევადაც რომ გამოაქვეყნებდა ხოლმე, რათა უფრო მტკიცედ ჩაებეჭდა ეს სახელი და ღვაწლი ჩვენს საზოგადოებრივ ცნობიერებაში. ვისაც გმირი წყუროდა, დაე ამ და ამ ზნეობის პიროვნებათა შემყურეს მოეთქვა სულიც და მხნეობითაც აღვსილიყო, თორემ განა როდემდე უნდა შეფარებოდნენ კონდოტიერისა და რენეგატის სახელს, როდემდე უნდა მოეკლათ ჰეროიზმის მონატრების ჟინი გაორებულ, მოჩვენებით გმირთა თაყვანისცემით, როდესაც საქართველოს ისტორიას არ აკლდა ჭეშმარიტი გმირები და მოწამენი, რომელთა სულიც არასოდეს გაბზარულიყო არანაირი ცთუნებით და არასოდეს მონდომებოდათ ქართველ ხალხზე შურისძიება პირადი ჯავრის ამოსაყრელად.

მოსდგომოდა უკვე ამ ხანას „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ თხრობა, როდესაც XVII საუკუნის პირველი მეოთხედიც მთელი თავისი სისავსით უნდა გამოჩენილიყო და გიორგი სააკაძის ფიგურაც ხელშესახებად წარმომდგარიყო, და აუცილებლად ისეთი, როგორიც სინამდვილეში გახლდათ და არა საბჭოური მითოსის კვალობაზე სახეცვლილი და შელამაზებული, ოფიციალურ ხელისუფლებას გმირის იდეალად რომ დაედგინა და მის მეხოტბეობას მოითხოვდა ისტორიკოსთაგანაც, რათა კინოფილმით შეთხზული ამაღლებული და მიმზიდველი სახება ისტორიული დოკუმენტურობითაც განმტკიცებულიყო.

ძალიან გამომადგება როსტომის ძიებები გიორგი სააკაძის შეუფერადებელი პორტრეტის აღსადგენადო, — მამაჩემს რომ ეტყოდა, ერთდროულად დამეუფლებოდა მორიდებისა და სიამაყის ისეთი განცდა, კინაღამ სუნთქვას რომ შემიკრავდა!.. როგორ, თვით ვახტანგ ჭელიძეს შეიძლება გამოდგომოდა ჩემი ნარკვევებისა და პოლემიკური წერილების ციკლი დიდ მოურავზე?.. როგორ, თვით „ქართლის ცხოვრების ქრონიკების“ თხრობაში უნდა გადასულიყო ჩემი დაკვირვებანი და მოსაზრებანი?..

ამ ხანას მოღწევით კი მოაღწევდა, მაგრამ... იქ უნდა შემდგარიყო.

არ ეწერა დასრულება „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“.

ისე გრიგოლ ხანძთელისა და აკაკი შანიძის დღეგრძელობაც რომ ჰქონოდა, ანკი მაშინ როგორ დასვამდა ფინალურ წერტილს, როდესაც ჯერ მარტო XVII საუკუნის იმ პირველ მეოთხედს რამდენიმე წიგნი მოუნდებოდა ასეთი დეტალიზებული, ძირისძირობამდე ჩაღრმავებული კვლევა-ძიებითა და ისტორიულ პორტრეტთა და სურათთა აღდგენით. ზურაბ ერისთავიც კი ხანგრძლივ თხრობას დაისაჭიროებდა... არამცთუ გიორგი სააკაძე და ლუარსაბ მეორე თუ თეიმურაზ პირველი, რომელნიც იყვნენ ნამდვილი ნაციონალური გმირები და არა კონდოტიერი სააკაძე, კონსტანტინე გამსახურდიას ლაკონიური და ზუსტი განსაზღვრებისა არ იყოს.

ილია ჭავჭავაძის სტატიიდან ლუარსაბ წამებულზე ამოეწერა უბის წიგნაკში ის სიტყვები გიორგი სააკაძეზე:

— ...მისი მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება...

ეს, ეტყობა, როგორც ქვაკუთხედი და თავისებური კამერტონიც დიდ მოურავზე ნაგულისხმევი მონაკვეთისა, ავიცა და კარგიც მიუკერძოებლად რომ წარმოდგებოდა და... ეს კი ნიშნავდა, რომ მკვეთრად გაემიჯნებოდა გიორგი სააკაძის მეხოტბეებს.

ნამდვილად რომ ასე იქნებოდა, ჩანაწერების სხვა ფრაგმენტიდან კიდევ უფრო უტყუარად ცნაურდება.

აქ გახსენებულია გალაკტიონის წუხილი და საყვედური: რა უნდა ამ კაცს (სიმონიკას), რუსეთიდან რომ მიტევს, გიორგი სააკაძე ხომ არ არისო.

და მიდევნებულია:

— მომრავლდნენ სააკაძეები, შენ შენმა ხალხმა უნდა დაგიფაროს.

სააკაძეების მომრავლება, სააკაძური მორალის გაბატონება მწარე გულისტკივილს იწვევს მის არსებაში, რადგანაც ამ მორალის გაბატონება დიდად დამაზიანებელია საზოგადოებისათვის. ამ პიროვნების გაიდეალება კი ეროვნულ ცნობიერებას მძიმე ტვიფრად აჩნდება და დამაბნეველია ხალხისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის.

გალაკტიონის ამ ფრაზის შემონახვა ძალიან მნიშვნელოვანია — ჩვენს რჩეულ ლირიკოსს არსად აღუნიშნავს თავისი მოსაზრება დიდ მოურავზე — არც ლექსებსა თუ პოემებში, არც უბის წიგნაკთა აურაცხელ ჩანაწერში... ასე რომ, ვახტანგ ჭელიძის მეხსიერების გარეშე ეს ძვირფასი ცნობა დაგვეკარგებოდა და არ გვეცოდინებოდა, რომ გიორგი სააკაძის „ოპოზიციის“ წევრთა შორის ისიც უნდა გვეგულისხმა — გალაკტიონ ტაბიძე.

სხვათა შორის, ამ ფრაზას ბატონი ვახტანგი პირადი საუბრისასაც გამიზიარებდა: პოლემიკისას უთუოდ გამოგადგება, სულ არ არის აუცილებელი დაგაზუსტო, რომ უშუალოდ სიმონ ჩიქოვანის წინააღმდეგ ითქვა, ზოგადად შეგიძლია აღნიშნო, მთავარი ხომ ისაა, რომ გალაკტიონსაც არ ჰყვარებია სააკაძეო.

ასეც მოვიქცეოდი და „სამარის ლოდი ან სააკაძიანას ეპილოგის“ ფინალურ მონაკვეთს ამ ფრაზაზე ავაგებდი და გალაკტიონური აკორდით დავაგვირგვინებდი გიორგი სააკაძის ფსიქოლოგიური პორტრეტის პირუთვნელად გამოკვეთის პროცესს.

ეჰ, ეს პორტრეტი რამხელა შთამბეჭდაობით წარმოისახებოდა ვახტანგ ჭელიძის ხელით... და რაოდენ დასანანია, მითუმეტეს, რომ ჰადაჰა, ზედ იყო მიმდგარი იმის მოუსვენარსა და მღელვარებისაგან დაუცხრომელ ცხოვრებას.

ივანე ჯავახიშვილი როგორღაც მოატანდა XVII საუკუნემდე — „ქართველი ერის ისტორიის“ გაბმული თხრობა, ტომებად ჩამომწკრივებული, მოადგებოდა ამ მღელვარე საუკუნეს და... აღარ დასცალდებოდა გამოჩენილ ისტორიკოსს თავისი ხელოვნება ამ ეპოქის განსჯისა და შეფასების დროსაც სრულყოფილად გადმოეშალა. მასალები კი დაგვრჩებოდა მის მიერ შეგროვებული, მაგრამ ისტორიულ პორტრეტთა გალერეას ვეღარ შეავსებდა მისებური შთამბეჭდაობით.

რა საბედისწერო აღმოჩნდებოდა ეს საუკუნე ისტორიკოსისათვის.

და ასევე საბედისწერო მწერალი-ისტორიკოსისათვის.

„ქართველი ერის ისტორიას“ რომ ამოუყენებდა „ქართლის ცხოვრების ქრონიკებს“ გვერდით, თურმე ქრონოლოგიური ჩარჩოთიც მას უნდა დამსგავსებოდა.

გრძნობდა, ვეღარ მიატანდა ბოლომდე, არადა, აჩქარებასა და ერთბაშად მოთავებასაც არ მოინდომებდა.

დაე დარჩენილიყო „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ გზამკვლევად და გაკვეთილადაც „საქართველოს საყმაწვილო ისტორიის“ მომავალი შემქმნელისათვის, ამ აჩრდილთა შორის რომ უნდა ეტრიალა — ჩარლზ დიკენსის, იაკობ გოგებაშვილისა და ვახტანგ ჭელიძის, თუკი ენება ისეთი თხზულების დაწერა, ჩვენს დრამატულ და ჰეროიკულ თავგადასავალსა და ბედისწერას რომ შეჰფეროდა... და გაუნელებლად უნდა მიეგდო ყური ლადო ასათიანის ღაღადისისათვის: დაიწეროს რაც იყო და რაც მოხდა — შეულამაზებელ-შეუფერავად, უბრალო ენით ზღაპარივით საამოდ სასმენელადო...

ზღაპარივით სასმენელადო...

ზღაპარივით საამოდო...

ზღაპარივითო...

* * *

ერეკლე ტატიშვილმა ამასაც როგორ მიაგნო, რომ რელიგიათა ისტორია ზღაპარივით საკითხავად, ზღაპარივით საამოდ სასმენელად რომ უნდა ექციაო, — უკვირდა და აღარც უკვირდა ვახტანგ ჭელიძეს.

მიმდინარე წლის სექტემბერში 100 წელი სრულდება გაბრიელ ჯაბუშანურის დაბადებიდან. ცოტა მეტ ხანს იცოცხლა თავის მეგობრებზე — ლადო ასათიანზე, მირზა გელოვანზე, ალიოშა საჯაიაზე და მაინც ახალგაზრდა — 53 წლის წავიდა ამქვეყნიდან.

სიკვდილის წინ უთქვამს — „ვაჟამ 53 წელი იცოცხლა და მე რა უფლება მაქვს მასზე დიდხანს ვიცოცხლოო“.

თავის მეგობრებსაც მისტიროდა ერთ-ერთ ლექსში: „...ვახმე, თქვენი ჯგრო რუსთაველზე ვეღარ ჩაიარს ასათიანო, გელოვანო და საჯაია...“ თავის სიცოცხლეში ყურადღებით არ ყოფილა განებივრებული და თანდათან ჩნდება მისი დაუბეჭდავი წერილები, ლექსები.

წინამდებარე წერილი 1959 წლის 24 დეკემბერს მიუწერია კონსტანტინე გამსახურდიასთვის. ლექსიდანაც („სამება — ერთი“) და წერილიდანაც კარგად ჩანს გაბრიელ ჯაბუშანურის დამოკიდებულება დიდი მწერლის მიმართ.

ბატონი კონსტანტინეც ყურადღებით ადევნებდა თვალს გაბრიელ ჯაბუშანურის შემოქმედებასაც და ცხოვრებასაც კი. ეს ჩანს ერთ-ერთი ინტერვიუდან, სადაც ჟურნალისტის კითხვას, თუ რა აზრისაა თანამედროვე ქართულ პოეზიაზე, იგი პასუხობს:

— პატივს ვცემ გაბრიელ ჯაბუშანურს, როგორც კაცს და როგორც პოეტს.

თავისი მოუნესრიგებელი და ტრაგიკული ცხოვრების გამო, როგორც თანამედროვენი იხსენებენ, გაბრიელი ხშირად „მეგობრობდა“ სუფრასთან. როგორც გაბრიელ ჯაბუშანურის მოსწავლე გოგი წიკლაური იხსენებს, რუსთაველზე ნასვამი გაბრიელი შეხვედრია ბატონ კონსტანტინეს, რომელსაც შენიშვნა მიუცია — „გაბრიელ, შენ რაც შეიძლება ბევრს უნდა წერდე და დროს ქეიფში არ უნდა ხარჯავდე“. „სამება — ერთი“ დაბეჭდილია გაბრიელ ჯაბუშანურის კრებულებში, წერილი კი, რომლის ასლიც თითქმის ოთხი ათეული წლის წინაა ამოღებული მისი არქივიდან, ფართო მკითხველისთვის უცნობია.

გაგუა ალუდაური

ბარათი კონსტანტინე გამსახურდიას

ღრმად პატივცემულო ბატონო კონსტანტინე!

გაგიკვირდებათ ალბათ, იტყვით: მოსცლია ხევსურს თორემ ამხელა ლექსი რამ დააწერინაო. არ ვიცი, ბატონო კონსტანტინე, რა გითხრათ, მხოლოდ ეს კია: თქვენი ნაწერების ხელახლად კითხვისას ყოველთვის მებადებოდა სურვილი წერილობით გაგსაუბრებოდით, მაინც თავს ვიკავებდი, მერიდებოდა თქვენთვის (და მაშ, თქვენი მკითხველისთვისაც!) ძვირფასი დრო არ წამერთმია და არ მომეცდინეთ. სათქმელი კი ბევრი მქონდა; ჭეშმარიტი შემოქმედის ქმნილება ხომ ჩვენში ყოველთვის მრავალ ფიქრს აღძრავს, განცდას და გრძნობას გვიფარაგებს* და სურვილს ბადებს მაინც და მაინც ავტორს გაესაუბრო და შენი გრძნობები გაუზიარო, თუმცა, ბატონო კონსტანტინე, ესაც ცხადია: ამგვარი ხასიათის წერილებში, მკითხველი მწერალს უფრო ხშირად იმაზე ესაუბრება, რაც თვით მწერლისათვის დღესავით ნათელია. ეს მოსაზრებაც იყო ერთი მიზეზი იმისა, რომ აქამდე მე თქვენთვის არაფერი მომიწერია.

ამ ოთხი თვის წინათ „საბლიტგამისთვის“ საბავშვო პოემას ვწერდი, ხოლო ამ მუშაობის შუალედებში თან თქვენი რჩეული თხზულებების მეორე ტომს ვკითხულობდი. ერთ ღამით უცაბედად ამეკვიატა აზრი თქვენზე ლექსი დამეწერა და სამი დღის განმავლობაში ქართულ სიტყვას ვაწვალებდი. მერე ლექსი მივაგდე და ხანგამოშვებით ვკითხულობდი, მცირედ ვასწორებდი ალაგ-ალაგ. ვფიქრობდი, ვყოყმანობდი გამომეგზავნა თუ არა ლექსი თქვენთვის. აქ, ღილღოს (მას შემდეგ, რაც 1957 წელს აღადგინეს საჩეჩნო-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ჩვენ აქ ჩამოსახლებული არხოტელები აქვე დავრჩით, რადგან არხოტიდან ხალხი ბარში გადაასახლეს, ხოლო ჩვენ ბარში წასვლა არ ვისურვეთ) კი ისეთი არავინ მყავს, რომ ლექსზე მის აზრს ჩემთვის რაიმე საგრძნობი მნიშვნელობა ჰქონდეს, თანაც თქვენთვის ლექსით მომართვა სერიოზულად მოაზროვნე ადამიანისათვის ფრიად საძნელო რამედ უნდა ჩაითვალოს და შეიძლება ითქვას, ხშირ შემთხვევაში თავხედობასაც უდრიდეს.

მას შემდეგ, რაც ეს ლექსი უკვე დაწერილია, მე, როგორც ავტორს, შემიძლია შევაფასო იგი. ისიც მართალია, რომ თავის თავზე თვით ნაწარმოებმა უნდა ილაპარაკოს, მაგრამ თუ მაინც გწერთ ცოტა რამეს ჩემი ამ ლექსის თაობაზე, ეს იმიტომ, რომ არ მინდა რაიმე გაუგებრობა დარჩეს თქვენს თვალში აღნიშნული მიძღვნის მიმართ.

იქნებ პანეგირიკია ჩემი ლექსი? არა! თქვენ ბატონო კონსტანტინე, თავის გულში ხომ მაინც გრძნობთ, რომ ყოველივე აქ თქმული თქვენს მიმართ სრული ჭეშმარიტებაა, რომ გადაჭარბებას ადგილი არა აქვს. მაშ, რა არის ამ ლექსში საინტერესო? ასეთად შეიძლება ჩაითვალოს თქვენი, როგორც მწერლის გააზრება სამებად (ენა, თვალი, გული) და ამ სამების — ერთობა, მთლიანობა (ქრისტიანული სამება — ერთარსების ამბავი აქ მოსატანი არ არის!). ახალი რამე ვთქვი ამით? არც თუ იმდენად, ერთი რამ კი ცხადია: ქართულ კრიტიკას თქვენი შემოქმედების მიმართ ამდაგვარი მიდგომა არ უცდია, ხოლო მე მიმაჩნია, რომ, ჭეშმარიტი მწერლის ჭეშმარიტი შეცნობა შეუძლებელია თუ სათანადოდ გააზრებული და დაფასებული არ იქნა შემოქმედის ენა, ჭვრეტა და უშუალობა. ამის მიზეზი იქნება ისიც იყოს, რომ ჩვენ არა გვყვანან ისეთი კრიტიკოსები, რომელნიც აკმაყოფილებდნენ ოსკარ უაილდის უდავოდ ჭეშმარიტ მოთხოვნას — критик — как художник (უეჭველია გახსოვთ მისი წერილი ამავე სახელწოდებით) — მე, ბატონო კონსტანტინე, თუ გინდაც როგორც მკითხველს, მინდა ჩვენი კრიტიკისგან მოვისმინო თქვენი შემოქმედების ისეთივე ჭკვიანური, უშუალო და სრულყოფილი შეფასება, როგორც, მაგალითად, ბელინსკიმ დაგვიტოვა პუშკინისა და ლერმონტოვის ნაწარმოებთა გამო. იქნებ ნაადრევად მოვითხოვ ამას? რასაკვირველია მე მესმის, რომ თქვენი, როგორც მწერლის სრულყოფილად შეცნობა მომავლის საქმეა (ასეთია დიდოსტატთა უმრავლესობის ხვედრი — მაგალითად ვაჟასი!), მაგრამ ახლაც შეიძლებოდა ამის გაკეთება ნაწილობრივ მაინც (პუშკინი, ლერმონტოვი და ბელინსკი ხომ თანამედროვენი იყვნენ!). მაშ, იქნებ ჩემი ლექსი გარითმული ესეია? არ ვიცი, მხოლოდ ერთი კია: მე პოეტი ვარ და მხოლოდ პოეტურად აზროვნება შემიძლია. ლექსების ციკლს ვწერ საერთო სათაურით „ფილოსოფიური მონოლოგები“ (პრეტენზიული სათაურია ხომ ბატონო კონსტანტინე!) და „სამება-ერთიც“ ამ ციკლს განეკუთვნება (ამ ზაფხულში, ქალაქს რომ ვიყავი, „მნათობს“ დავუტოვე ორი ლექსი ამ ციკლიდან და ორივე თეთრ მელასავით დაიკარგა, ალბათ მიაგდეს სადღაც. აღარც მიმიკითხავს).

მგოსანს რომ გიწოდებთ ლექსში ხშირად, ამ შემთხვევაშიც მართალი ვარ. თქვენი ქმნილებანი ქართული პოეტური პროზის უბრწყინვალეს (იქნებ ერთადერთ) ნიმუშებად მიმაჩნია.

სიტყვა გამიგრძელდა, დროს გართმევთ. თუ ჩემი ლექსი დროის უქმ დაკარგვად მიიჩნიეთ, თბილისში როცა შევხვდებით, პირდაპირ, მოურიდებლად მამხილეთ, თქვენგან რა თქმა უნდა არ მეწყინება. შემრცხვება მხოლოდ.

ღრმა პატივისცემით

გაბრიელ ჯაბუშანური

24 დეკემბერი, 1959 წელი
საღამო მზისპირში

* ფარაგი — მოქარგული გულისპირი ქალის ან კაცის ტანსაცმლისა. გვიფარაგებს — გვილამაზებს, გვიქარგავს.

ჩემთვის სასიამოვნო სიახლე იყო, როცა გილბერტ კიტ ჩესტერტონის „დონ კიხოტის დაბრუნების“ ქართული თარგმანი გამოჩნდა წიგნის მაღაზიათა თაროებზე. არ დავაყოვნე და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური მოდერნიზმის კურსის სტუდენტებს ლექცია წავუკითხე ამ დიდებულ მწერალსა და მოაზროვნეზე. რა თქმა უნდა, წიგნის ყიდვა და წაკითხვა დავავალე. გამოხდა ხანი, დავალება მოვიკითხე და პასუხად მივიღე, თქვენი კი გვჯერა, რომ დიდი მწერალია, მაგრამ ძლივს წავიკითხეთ, მეტად მოსაწყენი რამააო. ჩესტერტონს რა ჩემი დაცვა სჭირდება და მაშინვე ინგლისურად წაკითხვა დავავალე. როგორც ასეთ დროს ხდება, უმრავლესობამ მომავლისათვის გადადო დავალების შესრულება, რაკი საგამოცდო საკითხი არ იყო. ორმა სტუდენტმა კი — ნათია ბუთხუზმა (მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის III კურსი) და თამარ ჩხიტუნიძემ (ანგლისტიკის IV კურსი) — თავი გამოიდო და ასე გაჩნდა ჯერ საკონფერენციო ნაშრომი და შემდეგ თქვენს სამსჯავროზე გამოტანილი საჟურნალო სტატია. როგორ გვაკლია ამ ყაიდის სტატიები ჩვენში ასე მომრავლებულ თარგმანებზე, მხატვრული ღირსებებით რომ ვერ დაიკვეხნიან, და მითუფრო დასაფასებელია ამ ორი ახალგაზრდას გარჯა, ამ უმადურ, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საქმეს რომ მოჰკიდეს ხელი.

პაატა ჩხეიძე

ნათია ბუთხუზი

თამარ ჩხიტუნიძე

რა უთხრა მეფემ ველმოჭას

(გ. კ. ჩესტერტონის რომანების ქართული თარგმანი)

გვასწავლიან, რომ ქართულად თარგმნილი ყოველი წიგნი ქართული ლიტერატურის ნაწილი ხდება, ამიტომ, აუცილებელია დიდ მწერალთა თხზულებების ადეკვატურად თარგმნა, რაც არცთუ ისე ადვილია, დიდი შრომაა საჭირო.

ახალ წიგნებს ყოველდღიურად ვხვდებით წიგნის ბაზარზე. ითარგმნება პოპულარული ლიტერატურა და მსოფლიო ლიტერატურის შედევრები. არსებობს მრავალი შესანიშნავი თარგმანი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად უხარისხოსაც ვხვდებით. ზოგიერთ თარგმანში იმდენად დაკარგულია შინაარსი და იმდენად ბევრია შეცდომა, რომ ამგვარი „ნაშრომის“ წაკითხვას სჯობს ორიგინალში წავიკითხოთ თხზულება. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელია, მაგრამ არავის ძალუძს იმდენი ენა შეისწავლოს, რამდენ ენაზეცაა დაწერილი მსოფლიო შედევრები, და თანაც ისე სიღრმისეულად, რომ ტექსტები ბოლომდე გაიაზროს. სწორედ ამიტომაა საჭირო მხატვრული თარგმანი და, ამავე დროს — თარგმნილ წიგნთა შეფასება და კრიტიკა. ყველას აბა ვინ გაწვდება, მაგრამ დიდ მწერალთა წიგნების თარგმანები უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს.

ჩვენს წინაშეა გილბერტ კიტ ჩესტერტონის ქართული თარგმანები.

სამწუხაროდ, „პარადოქსის პრინცი“, **გ. კ. ჩესტერტონი**, ქართველი მკითხველისათვის ნაკლებად ცნობილი მწერალია (ჩვენ მხოლოდ ორი ნოველა წაგვიკითხავს, **„ჩვენ მწერლობაში“**, **ლალი ჩხეიძის** მიერ თარგმნილი, და ორიოდე ესეის თარგმანიც — გასულ საუკუნეში რომ გამოქვეყნდა), რადგანაც მისი ნაშრომები, შინაარსისა და მსოფლმხედველობის გამო, საბჭოთა კავშირში ნაკლებად იბეჭდებოდა.

საგულისხმოა, რომ 2013-14 წლებში ჩესტერტონის ორი წიგნის თარგმანი გამოიცა.

პირველია, **„მამა ბრაუნი“**, თარგმნილი **ზაზა ჭილაძის** მიერ; ეს წიგნი მკითხველმა დადებითად შეაფასა, რასაც მრავალრიცხოვანი გამოხმაურებანი მოწმობს და ჩვენც ვეთანხმებით, რომ მშვენიერი თარგმანია.

მეორე წიგნი კი უცილობლად საჭიროებს კრიტიკულ განხილვას. ეს გახლავთ **„დონ კიხოტის დაბრუნება“** და **„გადამფრენი დუქანი“**, რომლებიც გამოსცა გამომცემლობამ **„ელფი“**. თარგმანი ეკუთვნის: **მ. გოჩაშვილს, თ. გრიგოლიას, მ. ქაშიბაძეს** (რედაქტორი), **ნ. ჭიპაშვილს** (სტილისტ-რედაქტორი).

არ ვიცით, ჩამოთვლილთაგან ვის ეკუთვნის წარმმართველი როლი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ თარგმანში დაკარგულია ჩესტერტონის სტილი და მისთვის დამახასიათებელი იუმორი. ამგვარი თარგმანის გამოქვეყნებით მკითხველს გაუჭირდება შეიყვაროს ჩესტერტონი, როგორც ჭეშმარიტად დიდებული მწერალი.

გილბერტ კიტ ჩესტერტონის „დონ კიხოტის დაბრუნება“, ისევე როგორც „გადამფრენი დუქანი“, განეკუთვნება ეგრეთწოდებულ „დონკიხოტურ თხზულებებს“, ერთგვარ ექსპერიმენტს, რომლის მიზანიცაა იხსნას XX საუკუნის დასაწყისში მცხოვრები ადამიანი. ჩესტერტონის მსოფლმხედველობა, მისი ეგრეთწოდებული დისტრიბუტიზმი, მტკიცედაა დაკავშირებული შუასაუკუნეთა აზროვნებასთან და მწერალი თანამედროვე დონ კიხოტის მეშვეობით განსჯის ინდუსტრიულ კაპიტალიზმს.

„დონ კიხოტის დაბრუნება“, ჩესტერტონის მეშვიდე რომანი, სერიებად გამოდიოდა ჟურნალში „გ.კ.-ს კვირეული“. შემდეგ წიგნადაც გამოიცა. ეს რომანი განიხილავს და გმობს ინდუსტრიალიზმს, სინდიკალიზმს, პროფკავშირიზმსა და მომხვეჭელობას. ამ რომანში მრავალი სხვადასხვა პრობლემაა ნაჩვენები და ეს ფაქტი ართულებს თანამედროვე დონ კიხოტის სურათს. ფაქტობრივად, ჩვენ ვხედავთ არაერთ დონ კიხოტსა და არაერთ სანჩო პანსას.

რომანი „გადამფრენი დუქანი“ პირველად 1914 წელს გამოქვეყნდა. ჩესტერტონი მასში მოგვითხრობს ინგლისის მომავალზე, სადაც აიკრძალება ალკოჰოლური სასმელების გაყიდვა-მოხმარება და მიმდინარეობს უცნაური პროპაგანდა „პროგრესული“ რელიგიის — ისლამისა, რომელიც ნელ-ნელა დომინანტურ ადგილს იკავებს ინგლისის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში; მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის აკრძალულია ვისკისა და ლუდის სმა, მაშინ, როდესაც მაღალი ფენის ნაღები საზოგადოება სიამოვნებით შეექცევა შამპანურს დიდებულ წვეულებებზე. მათთვის სასმელი ნებადართულია, რადგანაც ხელთ აქვთ საგანგებო სამედიცინო ცნობა. რომანში ჩესტერტონი უხვად იყენებს იუმორს, სარკაზმსა და მისთვის დამახასიათებელ მახვილგონიერებას.

ვნახოთ რამდენიმე მაგალითი, რაც, ვფიქრობთ, ცხადყოფს, რომ გ.კ. ჩესტერტონის რომანები, „დონ კიხოტის დაბრუნება“ და „გადამფრენი დუქანი“ არ არის ადეკვატურად თარგმნილი და მათი ლიტერატურული ღირებულება დაკარგულია.

— „დონ კიხოტის დაბრუნების“ პერსონაჟი, პიესის ავტორი ოლივია ეშლი, აღშფოთებულია მეორე პერსონაჟის, მარელის, მიერ პიესის გასაფორმებლად, შესრულებული ნახატით. რომანშია:

She really had some right of protest.

სიტყვა-სიტყვით: მას ნამდვილად ჰქონდა პროტესტის გამოთქმის უფლება.

თარგმანშია — ქალს გადარევის უფლება ნამდვილად ჰქონდა.

როგორც ვხედავთ, დედანში სხვა რამ წერია, თარგმანში კი — სხვა. ოლივიას პროტესტის გამოთქმის უფლება ჰქონდა და არა „გადარევის“. ამავდროულად, უნდა აღვნიშნოთ, რომ თარგმნის დროს „She“ და „He” ხშირად ითარგმნება, როგორც „ქალი“ და „კაცი“, რაც დაბნეულობას იწვევს და ამ შემთხვევაში სჯობდა ნაცვალსახელი „მას“ გამოეყენებინათ. ამ ხერხს სხვა ქართველი მთარგმნელებიც მიმართავენ, თითქოსდა ქართულ ენაში გრამატიკული სქესის არქონის კომპენსაციისათვის. ვფიქრობთ, თუ ნაცვალსახელი სწორად და თავის ადგილზეა გამოყენებული, აღარ საჭიროებს ზედმეტ დახმარებას; გარდა ამისა, მთარგმნელს შეუძლია მიმართოს პერსონაჟის სახელს, რაც გაუგებრობას გაფანტავს.

— რომანში „დონ კიხოტის დაბრუნება“ პერსონაჟები სპექტაკლის დადგმას აპირებენ და დარდობენ, რომ სპექტაკლის ერთ-ერთი მონაწილე არ ჰყავთ. არჩერი ამბობს:

I told Lord Seawood it was rot to have it at this time of the year when all his friends are away.

სიტყვა-სიტყვით: მე ვუთხარი ლორდ სივუდს, რომ წელიწადის ამ დროს ამის გაკეთება უგუნურება იქნებოდა, რადგან ყველა მისი მეგობარი წასულია.

თარგმანშია — სივუდს ვეუბნებოდი, რომ ახლა, როცა სისულელე იყო, ყველა წასულია.

როგორც ხედავთ, ქართულ თარგმანში სრულიად უაზრო წინადადებაა, და მკითხველისათვის მთელი სიტუაცია გაუგებარი რჩება.

— რომანში „დონ კიხოტის დაბრუნება“ მარელი (ერთ-ერთი პერსონაჟი) მოულოდნელად ბრაზდება გამყიდველი გოგონას უვიცობის გამო, რომელმაც არც კი იცოდა, რას ჰყიდდა საღებავებისა და სხვა — ხატვისათვის განკუთვნილი — ნივთების მაღაზიაში. მარელმა მალევე ინანა საკუთარი სიფიცხის გამომჟღავნება. ორიგინალში ვხვდებით:

His better feelings returned with a rush. A sudden sense of the pathos of this bewildered automaton overwhelmed his good-natured spirit with shame.

სიტყვა-სიტყვით: საღად აზროვნების უნარი მალევე დაუბრუნდა. დაბნეული ავტომატური მექანიზმისადმი თანაგრძნობამ მისი კეთილი გული სირცხვილით შეძრა.

თარგმანშია — მერე კეთილი გრძნობები დაუბრუნდა, შეშინებული ავტომატი შეეცოდა.

სიტყვა „automaton” ორიგინალში გამოყენებულია გამყიდველი გოგონას დასახასიათებლად. ქართულ თარგმანში კი მკითხველს შესაძლოა „ავტომატი“ იარაღი ეგონოს, რის გამოც შინაარსიც დამახინჯდება და ავტორის გონებამახვილური შედარებაც.

როდესაც ამგვარ თარგმანს წავაწყდით, გადავწყვიტეთ შეგვემოწმებინა, თუ როგორ იყო ეს მონაკვეთი თარგმნილი რუსულად და მივაგენით კიდეც — Его охватила жалость к жалобному, испуганному автомату, он остановился на полуслове, замялся и попробовал подойти иначе. — ალბათ ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ქართული თარგმანი რუსულიდან თარგმნილს უფრო ჰგავს, ვიდრე ინგლისურიდან.

— რომან „დონ კიხოტის დაბრუნების“, ინგლისურ ტექსტში ვხვდებით მარელის სიტყვებს:

„All the same,” grumbled Murrel. “We should be rather annoyed if our friends and relatives began disappearing quietly; and whenever we’d mislaid a mother or couldn’t put our hands on a favourite niece, we heard that our poor relation had been taken away and hanged with perfect delicacy.

სიტყვა-სიტყვით: ყველაფერი ისევ ისეა — დაიჩივლა მარელმა — ჩვენ უნდა ვბრაზდებოდეთ, თუკი ჩვენი მეგობრები და ნათესავები ჩუმად გაუჩინარებას დაიწყებენ; მაშინ, როდესაც დედას დავკარგავთ ან დისწულს სიყვარულით თავზე ხელს ვეღარ გადავუსვამთ, როცა გავიგებთ, რომ ჩვენი საბრალო ნათესავი წაუყვანიათ და სრულყოფილი თავაზიანობით ჩამოუკიდიათ.

თარგმანშია — საშინელებაა, — ბუზღუნებდა მარელი, — როცა შენი ახლობლები, ღმერთმა იცის სად ქრებიან.

როგორც ვხედავთ, წინადადების ნახევარზე მეტი დაკარგულია. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ აქამდე გამოთქმულ ვარაუდს, რომ წიგნი რუსულიდან ითარგმნა და არა ორიგინალიდან. რუსულშიც სწორედ ამ დანაკლისს ვხვდებით — Все ж неприятно, — ворчал Мэррел, — когда твои близкие исчезнут неизвестно куда. როგორც ვხედავთ, დაკარგულია ორიგინალის სიმძაფრე და ირონია,

— რომანში „დონ კიხოტის დაბრუნება“ ავტორი, გვაცნობს ტრუბადორ ბლონდელზე დაწერილი პიესის შინაარსს და მოიხსენიებს ინგლისის მეფეს — ჯონ უმიწაწყლოს:

He wished to bring the king back to restore order to his kingdom and defeat the intrigues of John.

სიტყვა-სიტყვით: სურდა დაებრუნებინა მეფე, რათა სამეფოში წესრიგი აღედგინა და ჯონის შეთქმულება ჩაეხშო.

თარგმანშია — ძილშიც კი ხედავდა, ეს მეფე თავის სამეფოში წესრიგს როგორ ამყარებდა და როგორ ამარცხებდა იოანეს.

John — იგულისხმება ჯონ უმიწაწყლო, ინგლისის მეფე. სახელი თარგმნილია, როგორც იოანე და არა როგორც ჯონი. სწორი ვერსიაა ჯონი. ეს კიდევ ერთი დასტურია, რომ წიგნი თარგმნილია რუსულიდან; ვნახოთ ამ მონაკვეთის რუსული თარგმანი — Он спал и видел, как король наведет в королевстве порядок и разоблачит козни Иоанна — როგორც ვხედავთ, სწორედ რუსულ ვარიანტშია მეფე ჯონ უმიწაწყლო იოანეს სახელით ნახსენები; „ძილშიც კი ხედავდა“-ც რუსულიდანაა გადმოსული.

— რომანში „დონ კიხოტის დაბრუნება“ მეფე მარელს უფლებას აძლევს მისი თანდასწრებით ქუდი ეხუროს, და მოჰყავს მაგალითი:

I seem to remember a King who said, very rightly, to such a privileged lord, ‘You have the right to wear your hat before me, but not before the ladies.

სიტყვა-სიტყვით: მახსოვს მეფე, რომელმაც ძალიან სამართლიანად უთხრა დიდად პრივილეგირებულ ლორდს: „შენ გაქვს უფლება, ჩემი თანდასწრებით გეხუროს ქუდი, მაგრამ არა მანდილოსნების წინაშე“.

თარგმანში — მახსოვს, ერთმა მეფემ ერთ-ერთ ველმოჟას უთხრა: „ჩემი თანდასწრებით შეგიძლია ქუდი გეხუროს, მაგრამ ქალებთან — არა“.

ეს მაგალითი ყველაზე მეტად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რომანი რუსულიდანაა თარგმნილი, რადგან გამოყენებულია რუსული სიტყვა „ველმოჟა“, და მეტი სიზუსტისათვის შეგვიძლია რუსული ტექსტის ვარიანტიც აქვე დავურთოთ — Помнится, один король сказал наделенному ею вельможе: «Вы вправе оставаться в шляпе при мне, но не при дамах».

რაც შეეხება „გადამფრენ დუქანს“, უნდა აღვნიშნოთ, რომ აქაც იმავე ნაკლოვანებებს, დაუდევრობას, უგემოვნობასა და

ნაჩქარეობას ვაწყდებით. სამაგიეროდ, რომანში ვერსად ნახავთ ქართულ სიტყვაკაზმულობას, არადა ჩესტერტონის პროზისათვის სწორედ სიტყვაკაზმულობა და მახვილგონივრულობაა დამახასიათებელი. განვიხილოთ „გადამფრენ დუქანში“ წარმოდგენილი ერთ-ერთი ლექსის თარგმანი.

სასიმღერო კუპლეტების თარგმნისას მთარგმნელმა უნდა შექმნას სასიმღერო კუპლეტები ახალ ენაზე და არა რაღაც გაუგებარი პროზა. ამიტომაა, რომ პროზის პროფესიონალი მთარგმნელები ხშირად პოეტებს უკვეთავენ ხოლმე რომანში ჩართული ლექსების თარგმნას.

როდესაც ვსაუბრობთ გ.კ. ჩესტერტონის ლექსებზე, უპირველეს ყოვლისა გვახსენდება მათი მელოდიურობა და რიტმის შეგრძნება, რაც, სამწუხაროდ, ქართულ თარგმანებში დაკარგულია; მეტიც, ხშირ შემთხვევაში გამოტოვებულია სიტყვები, ფრაზები, სტრიქონები, იკარგება შინაარსი და გვრჩება უშინაარსო, ურითმო და ურიტმო „ლექსი“.

— **Old Noah, he had an ostrich farm, and fowls**
on the greatest scale;
He ate his egg with a ladle in an egg-cup big as a pail,
And the soup he took was Elephant Soup and the fish
he took was Whale;
But they all were small to the cellar he took when he set
out to sail;
And Noah, he often said to his wife when he sat down
to dine,
‘I don’t care where the water goes if it doesn’t
get into the wine.

ნოეს უამრავი ქათამი, სირაქლემა და საქონელი ჰყავდა
ჭამდა კვერცხს სათლის ზომა ჩამჩით,
არც თევზსა და სპილოს სამყოფ სუპს იკლებდა.
კიდობანში, იყო ერთი სარდაფი,
სადაც, სადილობისას,
ცოლს ხშირად ეუბნებოდა:
არ მაღელვებს სად მიედინება წყალი,
ან საიდან მოდის, მთავარია არ ჩავიდეს ღვინოში.

ცხადია, რომ ამგვარ ტექსტს ლექსობის პრეტენზია ვერ ექნება. ამავდროულად, სრულიად დამახინჯებულია ერთი სტრიქონი, რაც თავისთავად გავლენას ახდენს ლექსის შინაარსზე.

And the soup he took was Elephant Soup and the fish he took was Whale.

სიტყვა-სიტყვით: და წვნიანი, რომელსაც მიირთმევდა, იყო სპილოსი და თევზი, რომელსაც მიირთმევდა, იყო ვეშაპი.

თარგმანშია — „არც თევზსა და სპილოს სამყოფ სუპს იკლებდა“ — როგორც ხედავთ, ყველაფერი დაკარგულია, შინაარსიც, აზრიც და ქვეტექსტიც.

გილბერტ კიტ ჩესტერტონის რომანების, „დონ კიხოტის დაბრუნება“ და „გადამფრენი დუქანი“, ქართული თარგმანების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ორივე რომანი თარგმნილია რუსული ენიდან და თანაც ნაჩქარევად. ზემოთმოყვანილი თითოეული მაგალითი ამ მოსაზრების დასტურია. ისიც უნდა აღინიშნოს, რუსულიდან თარგმნა დანაშაული სულაც არ არის, ოღონდ თუ სათანადო მხატვრულ დონეს შევინარჩუნებთ.

გილბერ კიტ ჩესტერტონის თაყვანისმცემლებს ისღა გვრჩება ნუგეშად, რომ ზაზა ჭილაძის მიერ თარგმნილმა „მამა ბრაუნმა“ მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. ეს ნამდვილი ჩესტერტონია და ამ წიგნით ქართველი მკითხველი შეიყვარებს დიდ ინგლისელ მწერალს.

თეიმურაზ ნადარეიშვილი

სულის ფოტოგრაფიები

მწერლობის ერთ-ერთი სირთულე იმაშიც მდგომარეობს, რომ უარყოფითი გმირის ქმედებების აღწერისას, თავად მწერალი არ მოექცეს მისი გავლენის ქვეშ! კერძოდ, მაგალითად, მართალია, მწერალი უმეტესწილად გადმოგვცემს ამა თუ იმ ტირანის შესახებ ნანახ, წაკითხულ თუ გაგონილ ფაქტებს, მაგრამ ხშირად, უფრო მეტი დამაჯერებლობისათვის, მას უხდება ტირანის მიერ ჩადენილი დანაშულებების, მოწყობილი ინტრიგების და ა.შ. შემზარავი დეტალების შეთხზვა და სწორედ ამ პროცესში იმალება ხიფათი!

P.S. თუმცა მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვს: დადებითი, კეთილშობილი გმირის დახასიათებისას, შესაძლოა მწერალი უკეთესი გახდეს (საკუთარ იდეალს დაემსგავსოს!)

* * *

წარსულში რამდენი ზრდასრული თუ არასრულწლოვანი ადამიანი გადაურჩებოდა სიკვდილს, სამეფო ტახტი მემკვიდრეობითი კი არა, არჩევითი რომ ყოფილიყო?!

* * *

მთელი წლის დამქანცველი ფიზიკური თუ გონებრივი შრომის შემდეგ აუცილებელია გარკვეული ხნით დასვენება ანუ შვებულების აღება, მაგრამ „ზედმეტმა“ დასვენებამ (უსაქმურობაში გადასულმა მოცალეობამ!) შესაძლოა კვლავ დაღლა გამოიწვიოს!

* * *

თბილისის აეროპორტის გზაზე მოულოდნელად აფრიკული სავანის (პრერიების) მსგავსი სურათი გადაიშალა — მწვანე ხეები ოაზისებად გამოიყურებოდნენ ზაფხულის სიცხისაგან გაყვითლებულ (გადამხმარ!) მინდორზე. ასეა, ბალახის პატარა და სუსტმა ფესვებმა ვერ შეძლეს „პატრონის“ წყლით უზრუნველყოფა ზაფხულის პაპანაქებაში, ხოლო ხეების მძლავრმა და ღრმა ფესვებმა კი ეს „მელიორაციული პრობლემა“ წარმატებით გადაჭრეს! სამაგიეროდ, ზამთრის სუსხს ხეები ვერ უძლებენ და ფოთლები სცვივათ, ხოლო თოვლში ამოსულ მწვანე ბალახს კი ხშირად აღტაცებაში მოვუყვანივართ! ასე რომ, რაღაც „შენახვის კანონი“ მოქმედებს აქ, რომლის თანახმადაც ზაფხულის უწყლობით გამოწვეულ დანაკლისს, ზამთარში ბალახი სრულად ინაზღაურებს!

* * *

ყოველი ხელფასის „უთაუროდ“ დახარჯვის შემდეგ ახალი ხელფასის აღებისას შანსი გვეძლევა გამოვასწოროთ წინა თვის „უთაურობა“!

* * *

ჭკვიანი ადამიანი ყველას დაეთანხმება, მაგრამ მარტო თავს დაუჯერებს. ყველას მოუსმინე, მაგრამ ნურავის აჰყვები.
მიხეილ ჯავახიშვილი
უბის წიგნაკიდან. 1924 წელი

მართლაც ჭკვიანი ადამიანი ყველას იმიტომ ეთანხმება, რომ ყოველ ადამიანს საკუთარი სიმართლე აქვს (ხედვა სინამდვილისა!) და საინტერესოა ამ სიმართლის მოსმენა. მაგრამ ჭკვიანი ადამიანი სწორედ იმიტომ არის ჭკვიანი, რომ სხვის სიმართლეს თავის სიმართლეზე „დაამყნობს“(გაამდიდრებს სხვისი გამოცდილებით, ღირებულს აიღებს სხვების ნააზრევიდან!) და საკუთარ გადაწყვეტილებას მიიღებს

*** დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №15**

(„მარტო თავს დაუჯერებს“). ასე რომ, ეს დათანხმება უნებისყოფობის, სისუსტის ნიშანი კი არ არის, არამედ პირიქით, საბოლოო შედეგით, სიძლიერის გამოხატულებაა!

P.S. სულელ ადამიანს კი სხვა ადამიანის სიმართლე საერთოდ არ აინტერესებს. ამიტომ, ბუნებრივია, იგი არავის ეთანხმება (ეს კი მხოლოდ მოჩვენებითი სიძლიერის გამოხატულებაა!), რის გამოც ვერ მდიდრდება სხვისი სიბრძნით და იგი საკუთარ „ეულ“ სიმართლესთან რჩება, რაც მის სისულელეს კიდევ უფრო აძლიერებს!

* * *

უკანასკნელ ხანს გადასასვლელებზე ე.წ. „კუნძულები“ შეიქმნა, რომლებმაც შეზღუდეს მანქანების სავალი ნაწილი, მაგრამ ამ შეზღუდვებმა (რამდენადაც უცნაურად არ უნდა გვეჩვენებოდეს!) ხელი შეუწყვეს მოძრაობის მოწესრიგებას! საქმე ის არის, რომ „კუნძულებმა“ ის „ზედმეტი“ სივრცე „ამოავსეს“, რომელშიც უწესრიგოდ შედიოდნენ მანქანები, რის გამოც ფერხდებოდა მოძრაობა. ასევე რკინის მოაჯირები სალაროებთან, კვლავ „ზედმეტ“ სივრცეს ზღუდავენ, რის გამოც წესრიგდება ადამიანთა რიგები. თუ ამ „მარტივ“ მაგალითებს განვაზოგადებთ, შეიძლება ითქვას, რომ უნდა ვიცოდეთ რა არის არასასურველი, „ზედმეტი“ ჩვენს ყოფაში და ისშევზღუდოთ ან თუ შევძლებთ, საერთოდ მოვიშოროთ!

* * *

ანკას დაბადების დღეს, მე და ჩემი მეუღლე კიდევ ორ „დამატებით“ ღირსშესანიშნავ დღეს აღვნიშნავთ ხოლმე — მეზუსტად იმდენი წლის მამა ვხდები, ხოლო ლანა იმდენი წლის დედა, რამდენიც წლისაც ანკა ხდება. მგონი, კარგი, „უწყინარი“ თამაშის წესი მოვიგონეთ! მახსოვს ამ წესმა დასაბამი აიღო იმ დღიდან, როდესაც ანკას დაბადების მეორე დღეს სამშობიაროში, ფურცლის უქონლობის გამო, ექიმის დანიშნულებაზე შემდეგი ჩანაწერი გავაკეთე: „ერთი დღის მამა ვარ!“

* * *

ყოველი ადამიანის პირადი, ლოკალური უბედურება, მთელმა სამყარომ უნდა გაიზიაროს! წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ეს „უყურადღებობა“, სამყაროს გლობალურ უბედურებად ექცეს!

* * *

კოსმონავტები ხანგრძლივი „მოგზაურობისას“ ილუმინატორებიდან დედამიწაზე მიმდინარე ცვლილებების ყურებით მოწყენილობას იქარვებენ და ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ რაიმე ცვლილება მოწყენილობის დამარცხების საუკეთესო საშუალებაა!

* * *

სხვადასხვა „შემთხვევითი“ მანქანები „აუცილებელ“, უწყვეტ მანქანათა ნაკადს ქმნიან დიდი ქალაქების მთავარ მაგისტრალებზე ანუ მრავალი შემთხვევითი ერთ აუცილებელს ქმნის! (შეიძლება კიდევ მრავალი სხვა მაგალითის მოტანაც)

* * *

რილკე, თავის ჩანაწერებში, ერთგან შენიშნავს: „ვერ ვიტან უზუსტობას პოეზიაში!“ შესაძლოა ნაწილობრივ დავეთანხმოთ ამ შენიშვნას (თუ ლაპარაკია, მაგალითად, პოეტური ტექნიკის უზუსტობებზე), მაგრამ, ჩემი აზრით, პირიქით, პოეზია სწორედ სიზუსტიდან გაქცევის მცდელობაა! ჩვენ ხომ პოეზიის „სამეფოში“ ყველაფერი შეგვიძლია: დროში მოგზაურობა, მთვარის მოწყვეტა, მთების გადადგმა და ა.შ; ფოთოლს, ცხოველს, ქარს მეტყველება შეუძლია (ამაზე მეტი „უზუსტობა“ რა შეიძლება იყოს?!). მაგრამ საქმე ისაა, რომ პოეზია პროტესტია ჩვენი შესაძლებლობების შეზღუდულობისადმი, „მიჯაჭვულობისადმი“ სინამდვილესთან; სურვილია, რომ სხვა სულიერი არსებები, უსულო საგნები, ბუნების მოვლენებიც კი ადამიანურ ვნებებს „ემორჩილებოდნენ“! განა ეს ცუდი მისწრაფებაა?! შეიძლება ადამიანს უსაყვედურო ამ „ახირებული უზუსტობების“ გამო?! მე მგონი, ამ „აბეზარ“ კითხვებზე ერთადერთი მართებული პასუხი არსებობს: არა და კიდევ არა!!!

P.S. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ზუსტი, მეცნიერული თვალსაზრისით ვაფასებთ, მაგალითად, რომეოს შემდეგ სიტყვებს ჯულიეტასადმი:

მე გადმოვფრინდი სიყვარულის მსუბუქი ფრთებით,
ნამდვილ სიყვარულს ქვის ჯებირი რას შეაკავებს!

(თარგმანი ვახტანგ ჭელიძის)

რა არის ეს?! პირდაპირი გაგებით ეს სრული უაზრობაა, სრული უზუსტობაა, მაგრამ სწორედ ეს ქმნის ამაღლებულ, შექსპირულ პოეზიას: დიახ სიყვარულს ძალუძს შეუძლებელი — მიჯნურს ფრენა „ასწავლოს“!

* * *

ძალზე დამაინტერესა ქართული წარმოშობის ცნობილი ამერიკელი ბალეტმაისტერის ჯორჯ ბალანჩინის (ბალანჩივაძის) შემდეგმა გამონათქვამმა: „მაყურებელი უნდა გაიზარდოს. არ არის აუცილებელი მას ყველაფერი მოსწონდეს!“

მართლაც, თუ ყველაფერი მოგწონს, ახალს, შენთვის გაუგებარ უფრო მაღალი დონის ცოდნას ვერასოდეს შეიმეცნებ! პირიქით, უნდა მოგვწონდეს, რომ რაღაც არ მოგვწონს, ვერ ვიგებთ და უნდა დავუსვათ საკუთარ თავს შეკითხვა, თუ რა არის ამის მიზეზი. მაშინ ამ „არასასურველ“ კითხვაზე პასუხის გაცემისას აუცილებლად ახალ ცოდნას შევიძენთ ანუ უფრო მაღალ დონეზე ავალთ! შემდგომ შესაძლოა კვლავ რაღაც არ მოგვეწონოს, „უცხო“ აღმოჩნდეს ჩვენთვის, მაგრამ თუ კვლავ „ძალას დავატანთ“ ჩვენს თავს, ისევ ახალ ცოდნას შევიძენთ და ა.შ. შემეცნების ეს პროცესი კი დაუსრულებელია და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი ხიბლი!

ლოკოკინას სინდრომი
(შენობებისთვის „ომი“)

უმეტესწილად მხოლოდ ლოკოკინას ნიჟარა გვაინტერესებს და მის ბინადარს უმაწყალოდ ვაგდებთ სახლიდან (უკეთეს შემთხვევაში!) ან სულაც ვკლავთ! (უფრო გონიერები კი ლოკოკინას უნიკალურ თვისებებს იყენებენ — მისგან ხომ მეჭეჭების, ნაწიბურების და ა.შ. მოსაშორებელი მალამო მზადდება!). ასევე ხშირად მთავრობას მხოლოდ ესა თუ ის „პრესტიჟული“ შენობა აინტერესებს და იწყება მობინადრეთა ჯერ ე.წ. ოპტიმიზაციის (შემცირების!) და მოგვიანებით „ლიკვიდაციის“ დაუნდობელი პროცესი ანუ სინამდვილეში მიმდინარეობს შენობებისთვის „ომი“!

* * *

საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა ხელი მოწერილი ტყვეების უფლებების დაცვის საერთაშორისო კონვენციაზე და ამიტომ საბჭოთა ტყვეებს განსაკუთრებულად ცუდად ექცეოდნენ გერმანელები (თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უნდა ოდნავ მაინც გავამართლოთ მათ მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი საყოველთაოდ ცნობილი დანაშაულობანი!). ასეა, თუ რომელიმე სახელმწიფო გარკვეული მიზეზების გამო უგულებელყოფს საყოველთაოდ მიღებულ ქცევის ნორმებს ანუ უფლებას იტოვებს საკუთარი შეხედულებისამებრ მოექცეს სხვის ტყვეს (ფაქტიურად კი არღვევს მის უფლებებს, რაღაცას უმალავს საერთაშორისო საზოგადოებას!), მაშინ ამ სახელმწიფოს ტყვესაც სათანადოდ მკაცრად ექცევიან! (ალბათ ამიტომაც საბჭოთა მეომრებს კატეგორიულად ეკრძალებოდათ ტყვედ ჩავარდნა და გადარჩენის შემთხვევაში კი მათ უკვე საბჭოური ციხეები ან გადასახლება ელოდათ!). მართლაც, ქმედება უდრის უკუქმედებას!

* * *

თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოფრინდება.

მახსოვს, თბილისში აივანზე „იზაბელას“ ჯიშის ყურძნის პირველი რთველი მქონდა. როდესაც ჭირნახულის პირველი პარტია დავაბინავე და ხელმეორედ აივანზე გავედი, ყურძნის ნარჩენებს უამრავი სხვადასხვა სახეობის მწერი შესეოდა, რომლებიც ალბათ მართლაც „ბაღდადიდან მოფრინდნენ“! ამ მოულოდნელმა, სიურრეალისტურმა სურათმა ქვემოთ მოყვანილ განზოგადოებებამდე მიმიყვანა.

ზოგჯერ რეალობა იმდენად აუცილებელი, რეალური ხდება, რომ ყველაფერს მას არგებ ან თავად ერგები! მაგალითად, „მაღალი“ სავარძელი უამრავ მსურველს იზიდავს ან კიდევ მეცნიერებაში თეორეტიკოსი ცდილობს საკუთარი თეორია ცდას (რეალობას!) შეუსაბამოს და ამისი სათანადო ტერმინოლოგიაც კი არსებობს — „თეორიის პარამეტრების მისადაგება ცდისადმი“ და რაც მაინცდამაინც კარგ პრაქტიკად არ ითვლება მეცნიერებს შორის!

P.S. ზემოთ აღწერილი მოვლენის საპირისპირო მოვლენაა ის, რომ პირიქით, ჩვენ დიდ სურვილს მოვარგოთ რეალობა! შეიძლება მოვიტანოთ ამ მოვლენის ამსახველი „კარგი“ და „ცუდი“ მაგალითები.

კარგი მაგალითია ადამიანის თვითდარწმუნების უნარი (დიდი სურვილი!), რომ იგი დაძლევს ამა თუ იმ ავადმყოფობას (რეალობას!) და არსებობს უამრავი სამედიცინო შემთხვევა, როდესაც სნეულება მართლაც უკან იხევს!

ცუდ მაგალითად კი შეიძლება მოვიყვანოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის დიდი სახელმწიფო საკუთარი „სასიცოცხლო ინტერესების“ ტერიტორიად გამოაცხადებს ხოლმე რომელიმე პატარა ქვეყნის ტერიტორიას და იქ საომარ მოქმედებებს იწყებს!

* * *

მამაჩემის მოსწავლე, დედაჩემის სტუდენტი გახდა და შეგვხვდა ლესელიძისკენ (მაშინ შეგვეძლო იქ ჩასვლა!) მიმავალ მატარებელში: „პავლე მასწ! ეთერი მასწავლებელო“! ასეთი იყო ამ ადამიანის პირველი სიხარულის წამოძახილი! როგორც შემდგომ გავარკვიე კიდევ მრავალი მსგავსი შემთხვევა ყოფილა — მამაჩემის დაწყებულ საქმეს, დედაჩემი „აგვირგვინებდა“ ხოლმე და მე ახლაც ვამაყობ იმით, რომ მთელი ოჯახი ემსახურებოდა ახალგაზრდის სულიერი აღზრდის რთულ საქმეს!

* * *

ძალიან მომწონს ტერმინი „საქმიანი ეზო“, რომელიც უსულო ობიექტს ეზოს ადამიანისათვის დამახასიათებელ ერთ — ერთ ძირითად აქტივობას — საქმიანობას ანიჭებს!

* * *

ფასანაურში ყოფნისას კვლავ „შევეჩეხე“ რუსული „ჩექმის“ ეთნოგრაფიულ კვალს. კერძოდ ორ ადგილს იქაურები ახლაც კი ეძახიან „ზასტავას“ და „ოშპიტელს“. მათგან პირველი აღნიშნავს ყოფილ საგუშაგოს, ხოლო მეორე ჰოსპიტალის დამახინჯებული ადგილობრივი ვარიანტია (ახლაც იქ დგას საკმაოდ დიდი შენობა უმოქმედო საავადმყოფოსი). თუმცა ჩვენც ხომ იგივეს ვაკეთებთ, როდესაც, მაგალითად, თბილისის ცალკეულ ადგილებს ვუწოდებთ „ვორონცოვს“ „გალავინსკს“, „ხლებნი პლოშადს“ და ა.შ. მე მგონი დროა ჩვენი მეტყველებიდან საბოლოოდ „ამოიშანთოს“, ამოიძირკვოს ეს უკანასკნელი გადმონაშთები რუსული ანექსიისა!

* * *

კარგი მასწავლებელი, ლექტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ერთი და იმავე ფენომენის (“დამრიგებლის“ ნიჭიერების!) გამოხატულებაა სხვადასხვა დონეზე!

შურისძიების „ბედნიერება“

დავსვათ ერთი შეხედვით ბანალური შეკითხვა: შეიძლება თუ არა ადამიანი შურისძიების აქტის აღსრულების შემდგომ ბედნიერი იყოს ?! მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებით ადამიანი გარკვეულწილად ოჯახის, გვარის და ა.შ. ღირსებას იცავს ხოლმე, ჩემი აზრით, იგი საბოლოო ანგარიშით არ შეიძლება იყოს ბედნიერი, რადგანაც მას დასჭირდა (იძულებული გახდა!) შურისძიება ანუ მაინც ძალადობის აქტი! (შურისძიებას ხალისით არავინ აღასრულებს!)

* * *

ადამიანის დაუოკებელი მისწრაფებაა თავის გარშემო ყველაფერი მოაწესრიგოს, თვით დრო და სივრცეც კი... ამიტომ შექმნა მან საათი, სახაზავი!

* * *

ადამიანის გაზარმაცების ერთ — ერთი გამომწვევი მიზეზი მისი ფუნქციის (ამოცანის!) შესუსტება ან სულაც დაკარგვაა!

* * *

არაბული მოწესრიგებული, „მათემატიკური“ ენაა (ალბათ ამიტომაც „აჩუქეს“ არაბებმა მსოფლიოს არაბული ციფრები და უამრავი უდიდესი მათემატიკოსი!) და ამით გამოირჩევა აღმოსავლური უხვსიტვაობისაგან!

* * *

ზოგჯერ ადამიანის ცხოვრებაში რთულ, მისთვის გაუგებარ მოვლენებს აქვს ადგილი და საჭიროა მომხდარის გარკვეული მანძილიდან დანახვა (დროის გასვლა!), რომ ჯერ გაგებული იქნას და შემდგომ კი სწორად შეფასდეს ეს „კერკეტი“ მოვლენები!

* * *

ზოგიერთი ადამიანი მხოლოდ სხვა ადამიანის ფონზე არსებობს და ამიტომ ამ „სხვისი“ დაკარგვის შემთხვევაში უმალ ახალ „პატრონს“ დაეძებს! ასეთ ადამიანებს გამანადგურებელ, მაგრამ სამართლიან შეფასებას აძლევს კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცებაში“ გვანჯი აფაქიძე: „კაცის კაცი რა კაცია?!“

* * *

ორი არაგვი, თეთრი და შავი, ფასანაურის შესასვლელთან ერთმანეთს უერთდება, მაგრამ გარკვეულ მანძილზე ორივე „დამოუკიდებლობას“ ინარჩუნებს — ერთმანეთს არ ერევიან და ეს ძალზედ შთამბეჭდავი სანახაობაა: აშკარად გრძნობ თუ რა დიდი განსხვავებაა ამ „სუფთა“ და „დასვრილ“ მდინარეებს შორის! (აბა ამ ხელსაყრელ ბუნების „საჩუქარს“ ხელიდან ვინ გაუშვებდა — მდინარეების შეერთების ადგილს ზემოდან „დარაჯობს“ რესტორანი „ორი არაგვი“, რომელიც არ უჩივის მოქეიფეების სიმცირეს!)

თავად მოვლენა მდინარეების ამგვარი „ქცევისა“, ფიზიკურად მარტივად შეიძლება აიხსნას: დიდი სიჩქარის გამო ამ ორი არაგვის ნაწილები ვერ ასწრებენ ერთმანეთში შერევას, თუმცა უფრო ქვემოთ, ისინი მაინც ერთმანეთში „იზილებიან“ იმის გამო, რომ მათი სიჩქარეები კლებულობს და როგორც შედეგი, უკვე ნამდვილად ერთი მდინარე მოდის თეთრი და შავის „შეჯვარებული“ ფერით!

თუ ამ მარტივ მაგალითს განვაზოგადებთ შეიძლება ითქვას, რომ იმისათვის, რომ არ „შეერიო“ არასასურველ პროცესებს, შენი გამოკვეთილი „მე“ უნდა გაგაჩნდეს (არაგვისეული დიდი „საკუთარი სიჩქარე“!). მაგალითად, იმისათვის რომ არ „დავიკარგოთ“ ამჟამად მიმდინარე მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში რაც შეიძლება ძლიერად უნდა წარმოვაჩინოთ ეროვნული, მარტო ჩვენი ხალხისათვის დამახასიათებელი თვისებები! სხვათაშორის, ეს თვით გლობალიზაციისათვის

მომგებიანი ტენდენცია იქნება, რადგანაც ამით თავად ეს პროცესი გამდიდრდება განსხვავებული კულტურებით — ყოველი მათგანისგან „შეისრუტავს“ რაციონალურ, ღირებულ „მარცვლებს“ და ამით უფრო მრავალფეროვანი იქნება, ნაცვლად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესმა ერთი და იგივე „გაღარიბებული“ სტანდარტები (ძირითადად რომელიმე დიდი ქვეყნის მიერ შემუშავებული!) მოახვიოს მთელს მსოფლიოს!

P.S. მინი გლობალიზაციის პროცესი ჩვენ ერთხელ უკვე გადავიტანეთ, როდესაც ლეონიდ ბრეჟნევმა „განვითარებული“ სოციალიზმის ეპოქაში ერთ-ერთ პარტიულ ყრილობაზე მთელ მსოფლიოს სიამაყით აუწყა: „კომუნისტური პარტიის მეთაურობით წარმართული აღმშენებლობითი მუშაობის შედეგად, ჩვენს ქვეყანაში ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენას აქვს ადგილი: შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა ხალხებისა — საბჭოთა ხალხი!“ ამ განცხადებით ხაზი ესმებოდა იმას, რომ მთელს საბჭოთა კავშირში დაახლოებით ერთი და იგივე სტანდარტები იყო ცხოვრებისა. რა მოგვიტანა ამ საყოველთაო ნიველირებამ, ყველას კარგად გვახსოვს და სწორედ ესეც იყო ერთ — ერთი ძირითადი მიზეზი თითქოსდა უძლეველი იმპერიის დაშლისა!

რატომ გაანადგურა კაფკამ საკუთარი ნაწერები?!

ამა თუ იმ ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებებში ძალიან ხშირად გადმოცემულია ავტორის პირადი ემოციები. მაგალითად, ზოგიერთ ლექსში პირდაპირ „გამოჟონავს“ ხოლმე პოეტის სევდა, წუხილი, დარდი და ა.შ. რა „აიძულებს“ პოეტს ამგვარად მოიქცეს?! რა მოვლენასთან გვაქვს საქმე? ჩემი აზრით, ერთ-ერთი შესაძლო ახსნა ამ რთული ფენომენისა შესაძლოა ის იყოს, რომ შემოქმედ ადამიანში გარკვეულ მომენტამდე საკუთარი განცდები მის „შიგნითაა“ და მას სურვილი უჩნდება სხვასაც აუწყოს მათ შესახებ („ლექსო, ამოგთქომ, ოხერო!“) და მართლაც შემოქმედი ამა თუ იმ ფორმით (სიტყვით, ფუნჯით თუ მუსიკით!) გადმოსცემს მათ. მაგრამ „ამოთქმის“ შემდგომ გარკვეული „მონანიების“ პერიოდი დგება! მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს განცდები განზოგადებული სახით არის გადმოცემული, მაინც შესაძლოა შემოქმედისათვის უხერხული იყოს საკუთარი გრძნობების ამგვარი „გაშიშვლებული“ სახით საჯაროდ წარმოჩენა! ალბათ სწორედ ამიტომაც, მაგალითად, ზოგიერთი მწერალი (კაფკა, გოგოლი და ა.შ) ანადგურებენ ხოლმე საკუთარ გამოუქვეყნებელ ნაწერებს! ვინ იცის, რამდენი შედევრი დაიკარგა ამ „მორცხვობის“ გამო!

* * *

ყოველთვის ამბივალენტური შეგრძნება მიჩნდება ხოლმე „მრისხანე“ ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო შტაბის გვერდით გავლისას (ამ რუსეთის მთავარ ბასტიონს კავკასიაში ხომ გულმოდგინედ იცავდნენ კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცები; ყველას გვახსოვს საინჟინრო საშუალებებით გამაგრებული შენობა და გამაფრთხილებელი წარწერები შტაბის ირგვლივ მავთულის ღობეებზე: „სდექ! გესვრით!“). კერძოდ, ერთი მხრივ, მახარებს პირდაპირ შტაბის შესასვლელთან გავერანებული ტერიტორია — იქ ამოსული ბალახი და ხეებიც, რადგანაც ეს მცენარეები იმის უტყუარი დასტურია, რომ რუსებმა უკვე დიდი ხანია დატოვეს ეს შენობა, მაგრამ მეორე მხრივ, ამდენი ხნის გავლის შემდეგ ჩვენ ვერ ვიყენებთ ამხელა ნაგებობას და მის მიმდებარე უპატრონოდ მიტოვებულ უზარმაზარ ტერიტორიას!

* * *

შედეგის უცოდინრობა ან არასათანადოდ გააზრება იმას იწვევს, რომ ცუდ შედეგს ვღებულობთ! მაგალითად, ბავშვმა არ იცის, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს ასანთთან ან წამალთან „თამაშმა“! ასევე, მოსწავლემ არ იცის (პედაგოგის თუ მშობლის ბევრი შეგონების მიუხედავად!), თუ რას მოუტანს მას სიზარმაცე სწავლის პერიოდში და ა.შ. ამიტომ მოწიფულ ასაკში მაინც უნდა გავიცნობიეროთ, „გამოვთვალოთ“ ის შედეგები, რომელებსაც „დავიმსახურებთ“ ჩვენი გაუაზრებელი აქტიურობის თუ პასიურობის საპასუხოდ და მის შეაბამისად დავგეგმოთ საკუთარი საქმიანობა!

* * *

ზოგჯერ ფიზიკოსი რთული მათემატიკური განტოლების ამოსახნელად თუ ინტეგრალის დასათვლელად გარკვეულ მიახლოებას აკეთებს და ამ „არამართლზომიერ“ ქმედებას მიღებული შედეგებით ამართლებს! ეს, რა თქმა უნდა, „კარგი ცხოვრებით“ გამწვეული მოვლენა არ არის (მართლაც მეცნიერს რომ შეძლებოდა ამოცანის ზუსტი ამოხსნა, მაშინ იგი აღარ მიმართავდა „ეშმაკობას“ ანუ არ გააკეთებდა მიახლოებებს!), რადგანაც ამ პროცესში შესაძლოა მნიშვნელოვანი ინფორმაცია დავკარგოთ ფიზიკური მოვლენის შესახებ. მაგრამ თუ მაინც გაგვიმართლა და „გავარტყით“ კარგი შედეგი, ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ის, რაც ჩვენ „გადავაგდეთ“ მიახლოებების გაკეთებისას, არ ყოფილა მნიშვნელოვანი. ასე რომ, ზოგჯერ ბუნება შეიძლება „დაემორჩილოს“ ჩვენს სურვილს შედარებით მარტივი იყოს, რის გამოც შეგვიძლია გარკვეული „აზრიანი“ შედეგები მივიღოთ!

* * *

რომაელ ბავშვებს ძიძები კართაგენის დანგრევიდან 50 წლის შემდეგაც კი ჰანიბალით აშინებდნენ! ეს ფაქტი ირიბი („ოჯახური“!) აღიარებაა რომის დამპყრობელი ცნობილი მხედარმთავრის ძლევამოსილებისა!

* * *

მოშურნეები გალაკტიონს „კუხარკების“ პოეტს ეძახდნენ, ხოლო მის „ლურჯა ცხენებს“ პროვინციულ რომანსად ნათლავდნენ! უკეთეს „ობიექტურ“ შეფასებას ვერც კი მოიფიქრებს მავანი! (აი როგორ „აბრმავებს“ ხოლმე ადამიანს შურის გრძნობა!)

* * *

ცნობილი ფაქტია, რომ ბამბის პლანტაციებიდან გაქცეული ზანგები თანასწორუფლებიანობას მეკობრეების ხომალდზე აღწევდნენ. ასე რომ, მეკობრეების (ზღვის ყაჩაღების!) თავშესაფარი თავისუფლების ერთადერთი „კუნძული“ იყო ამ დაჩაგრული ადამიანებისათვის! არსენას ლექსისა არ იყოს („მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა?!“), მეკობრეები უმეტესწილად მდიდართა გემებს აყაჩაღებდნენ, ხოლო წართმეულს უპოვარ ზანგებს უწილადებდნენ. მეკობრეების ეს ქმედება, გარდა ქონების მოხვეჭის „უბრალო“ სურვილისა, შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული პროტესტიც კი დიდ მიწაზე არსებული „წესრიგისადმი“ და მათ ამ პროტესტის რეალიზებაში ბუნებრივი დამცავი გარემო, ზღვა თუ ოკეანე („დიდი წყალი“) ეხმარებოდათ!

P.S. ზემოთ აღწერილ ფაქტს შესაძლოა კიდევ შემდეგი ინტერპრეტაცია მივცეთ: ადამიანს ზოგჯერ მხოლოდ ყაჩაღობით შეუძლია თანასწორობის უფლების მოპოვება და ეს იძულება, რა თქმა უნდა, არანორმალური მოვლენაა!

* * *

ისააკ ნიუტონს საკუთარ ბეჭედში ძვირფასი ქვის ნაცვლად მაგნიტი ჰქონდა ჩასმული! მართლაც ფიზიკისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველია ეს ყოფითი, „საიუველირო“ ფაქტი! (ალბათ ეს „ძვირფასი“ მაგნიტი მეცნიერს „აიძულებდა“ სულ ფიზიკაზე ეფიქრა და „ნიუტონის ვაშლთან“ ერთად მანაც ხელი შეუწყო მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენას!)

* * *

ველურ ბუნებაში ბეჰემოთებთან მუშაობისას მეცნიერები იშვიათად იყენებენ ტრანკვილიზატორებს, რადგანაც საძილე წამლით გატენილი იარაღის სროლის შედეგად ცხოველმა შესაძლოა წყალს შეაფაროს თავი, იქ ჩაეძინოს და დაიხრჩოს! ეს ფაქტი აშკარა, „გამძაფრებული“ შეხსენებაა იმ „უბრალო“ ჭეშ-

მარიტებისა, რომ დაკვირვებამ (ადამიანის სურვილმა ახლის შემეცნებისა!) რაც შეიძლება ნაკლებად შეაშფოთოს, „შეაწუხოს“ დაკვირვების ობიექტი ანუ არ უნდა შეექმნას საფრთხე მის არსებობას! რაც უფრო ნაკლები იქნება შეშფოთება, მით უფრო უკეთ მივუახლოვდებით გერმანელი ფილოსოფოსის იმანუელ კანტის იდეალს ანუ გავიგებთ, როგორია „საგანი თავისთავად“!

* * *

იმპერატორი ტიბერიუსი იშვიათად ცვლიდა საკუთარ მოხელეებს, რადგანაც თვლიდა, რომ „მაძღარი ბუზები მშიერზე ნაკლებად იკბინებიან!“ მართლაც, ხანმოკლე ვადით მსახურობისას ადამიანი ვერ ასწრებს „გაძღომას“ და უჩნდება მანკიერი სურვილი, თანამდებობა გაიხადოს „დოვლათის დაგროვების“ სარბიელად!

* * *

როდესაც ისააკ ნიუტონი ლორდთა პალატის წევრი გახდა, მთელი თვის განმავლობაში ხმა არ ამოუღია კანონპროექტების ირგვლივ მიმდინარე ცხარე დისკუსიების მსვლელობის განმავლობაში. ბოლოს და ბოლოს ერთ-ერთ სხდომაზე მან ხელი ასწია სიტყვის სათქმელად. ყველა სულგანაბული მოემზადა მეცნიერის მოსასმენად (ხუმრობა ხომ არ იყო — სიტყვას თავად ნიუტონი ითხოვდა!), მან კი დაბალი ხმით ითხოვა ფანჯრის დაკეტვა, რადგან გაციების შეეშინდა! ნიუტონის ეს მოულოდნელი სიტყვები „მომაკვდინებელი“ შეფასება იყო ლორდთა პალატის მუშაობისა, რადგანაც ცნობისმოყვარეობით გამორჩეულმა დიდმა მეცნიერმა, ვერაფერი საინტერესო და საგულისხმო ვერ „დაიჭირა“ ლორდთა „წყალწყალა“ და თითქოსდა საქმიან გამოსვლებში! ამგვარი ობიექტური შემფასებლები („ცივი წყლის გადამსხმელი“!) ახლაც არ „აწყენდა“ მრავალი პარლამენტის მუშაობას!

* * *

ლონდონის საფოსტო განყოფილებები დღესაც კი იღებენ წერილებს, რომლებიც ბეიკერ-სტრიტ 221-ში მცხოვრები ცნობილი დეტექტივის შერლოკ ჰოლმსისთვისაა განკუთვნილი. მართლაც, ლეგენდარული მეხსიერებაა, პატივისცემაა მკითხველისა გამოგონილი ლიტერატურული პერსონაჟისადმი! მე მგონი, ეს უფრო ორგინალური „გარეგნული“ გამოხატვაა მკითხველის „შინაგანი დუღილისა“, ვიდრე „უბრალოდ“ ძეგლის დადგმა დონ-კიხოტისათვის!

* * *

უმეცარი არიან მხოლოდ ისინი,
რომელთაც სურთ ასეთნი იყვნენ!
პლატონი

ადამიანს არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ იგი უმეცარია (მხოლოდ სულიერად შეშლილი ვერ აფასებს საკუთარ მდგომარეობას!) და ამიტომ თუ მას სურვილი აქვს, შეეცდება „ამობობღდეს“ ამ წყეული „უმეცრების ჭაობიდან“!

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური ძლიერება იმ „უბრალო“ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ამ ქვეყნის ზოოპარკებში კარგად მოვლილი უფრო მეტი ვეფხვი ბინადრობს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიოს ველურ ბუნებაში!

* * *

თამბაქოს ბუჩქი ნიკოტინს იმიტომ გამოიმუშავებს, რომ მწერები დააფრთხოს, ადამიანი კი ნიკოტინს საკუთარი ჯანმრთელობის „დასაფრთხობად“ და მოსასპობადაც კი იყენებს!

* * *

ბავშვთა სახლში აღზრდილი ადამიანის ხვედრი იმითაც არის დამძიმებული, რომ ახალგაზრდას არ აქვს საშუალება თავისი რჩეული ოჯახს წარუდგინოს, რის გამოც მას „ზედმეტი“ თავისუფლება აქვს მინიჭებული ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღების პროცესში! (არ არსებობენ მისი არჩევანის ყველაზე გულმოდგინე და გულშემატკივარი შემფასებლები — მშობლები!)

* * *

ხშირად ამა თუ იმ საქმეს რთულად ვაკეთებთ მხოლოდ იმიტომ, რომ „გვეთაკილება“ მისი მარტივად გადაწყვეტა!

* * *

ზოგიერთ დაწესებულებაში მომუშავე პერსონალი ორ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: პირველი, რომელიც მართლა აკეთებს საქმეს, მეორე კი ის, ვინც თითქმის არაფერს არ თუ ვერ აკეთებს, მაგრამ ეს უცნაური სიმბიოზი ხშირად დაწესებულების ხელმძღვანელს „აწყობს“კიდევაც, რადგანაც საქმის მკეთებლები მას სჭირდება, ხოლო უსაქმურებს კი იგი სჭირდებათ!

* * *

დამარცხება იმით არის „კარგი“, რომ გამარჯვებისას ადამიანი უკეთ „უგებს“ სხვა დამარცხებულს!

* * *

ცხოვრებაში „ლექსი“ საკუთარი თავისთვის მხოლოდ ერთხელ „გავიმეტე“:

შენც გაიხარე, დაღლილო სულო,
კმარა, რაც გთელა ცხოვრების კალომ!

ეს ალალი სიტყვები კი, მაშინ „წამომცდა“, როდესაც ჩემი ერთადერთი ქალიშვილი ანკა დაბადებიდან ორი საათის შემდეგ მაჩვენეს!

* * *

სანადიროდ („სასადილოდ“!) გამოსული მტაცებელი ფრთხილობს, რათა თავად სხვა, მასზე უფრო ძლიერი მტაცებლის „სადილი“ არ გახდეს! მაგალითად, პინგვინი, თევზზე ნადირობისას, სელაპისაგან თავდასხმას ელის, თავად სელაპი კი ზვიგენის მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს და ეს „დაუნდობელი ჯაჭვი“ თანაარსებობისა, დედამიწაზე სიცოცხლის შენარჩუნების ერთადერთი ფორმაა!

* * *

ლექტორს საშუალება აქვს რამდენჯერმე „დაამთავროს“ უნივერსიტეტი ანუ ის „თეთრი ლაქები“, რაც მას თავად გააჩნდა სწავლისას, უკვე სხვისი სწავლებისას „ამოავსოს“!

* * *

შვილი საკუთარი შეცდომების გამოსწორების „ირიბი საშუალებაა“, თუ მას ისე აღზრდი, რომ იგი არ გაიმეორებს შენ მიერ დაშვებულ შეცდომებს!

შემთხვევის ხიბლი
(„პატივისცემა“)

მახსოვს — ერთ-ერთი სოლიდური დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელს საკმარისად დიდი ხნის განმავლობაში ველოდებოდი, რომელიც უცბად გამოჩნდა, თავაზიანად შემიპატიჟა საკუთარ კაბინეტში და მთხოვა, ცოტა ხნით კვლავ დავლოდებოდი უფრო კომფორტულ პირობებში. კაბინეტში ჩემი ყურადღება მიიპყრო დაფაზე დაწერილმა შემდეგმა ბრძნულმა გამონათქვამმა: „იყავი ბედნიერი იმითი, რაც გაქვს და უბედური ნუ იქნები იმითი, რაც არ გაქვს“! ამ გამონათვამმა ლოდინით გამოწვეული ყოველგვარი დაღლა მომენტალურად „მომიხსნა“, რადგანაც კიდევ ერთხელ „სიბრძნით დაიჭერი“! ასე რომ, ზოგჯერ შემთხვევა „პატივს გვცემს“, „გვაჯილდოებს“ (ჩემს განცხადებებზე ადმინისტრა-

ციის ხელმძღვანელს „ადვილად“, ლოდინის გარეშე რომ მოეწერა ხელი, მაშინ მე ვერც კი შევამჩნევდი დაფაზე დაწერილ ამ გამონათქვამს), და ასე ივსება ხოლმე მოულოდნელი სასიამოვნო შთაბეჭდილებებით მეხსიერების „სკივრი“!

* * *

თბილისში ზანგებს ზანგი მანეკენებიც „შემოჰყვნენ“! მე მგონი, აქ მაღაზიების მესვეურთა მარტივ გათვლასთან გვაქვს საქმე — ალბათ ასე უფრო გაუადვილდებათ „თბილისელ“ შავკანიანებს ტანსაცმლის არჩევა!

სოკრატეს საიდუმლო

დამწვარს ვერ დაწვავ!
სერგეი ესენინი

რატომ თქვა უარი სოკრატემ გაქცევაზე და შესვა საწამლავით სავსე ფიალა?! მე მგონი, ეს საიდუმლო იმით შეიძლება აიხსნას, რომ სოკრატესათვის აღარ იყო საინტერესო საზოგადოებაში ყოფნა, რადგანაც მიხვდა, რომ ადამიანები „გაჯერდნენ“ მისი სიბრძნით და მეტის აღქმას უკვე ვეღარ შეძლებდნენ (მიხვდა, რომ მან „გადაწვა“ ადამიანები საკუთარი სიბრძნით!); გარდა ამისა, ფილოსოფოსი თვლიდა, რომ ყველას „მოაბეზრა“ თავი საკუთარი სოფიზმებით და „გადაიღალა“ ათენის მოედნებზე, სიტყვიერ პაექრობებში, მუდმივი დაუმარცხებლობით!

* * *

ნეტავ ეს მოსვლა, წასვლა ვის მოუგონია?!
ომარ ხაიამი

ამქვეყნიდან ალბათ იმიტომ მივდივართ, რომ შეუძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ბუნებასთან ჭიდილი!

* * *

როგორც მეცნიერი, სამხედროების მიმართ ზოგჯერ „თეთრი“ შურის გრძნობით ვიმსჭვალები, რადგანაც მათ ზუსტად იციან ესა თუ ის საბრძოლო თუ საწვრთვნელი ამოცანა, მეცნიერებაში კი ხშირად ყველაზე რთული ამოცანა სწორედ ახალი ამოცანის (პრობლემის) პოვნაა!

ადამიანის ლეკვი

ნუთუ ეს ადამიანის ლეკვია? — იკითხა დედა მგელმა
რადიარდ კიპლინგი. „მაუგლი“

პატარა მაუგლის ზუსტი სახელი მოუძებნა კიპლინგმა — ადამიანის ლეკვი. მართლაც ეს არსება ბიოლოგიურად ციცქნა ადამიანია, მაგრამ იმის გამო, რომ იგი მგლის ლეკვებთან ერთად იზრდება, არ შეიძლება „მთლიანად“ ადამიანის შვილად (ბავშვად!) ჩაითვალოს! (მაუგლის არ შეუძლია მეტყველება, უმი ხორცით იკვებება და კიდევ ლეკვისათვის დამახასიათებელი სხვა თვისებები აქვს)

* * *

ბალეტსა და „ჩვეულებრივ“ ცეკვას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორიც სიმფონიურ და საესტრადო მუსიკას შორის!

* * *

ანდაზები, მაქსიმები და სხვა ამ „ჯურის“ გამონათქვამები უმეტესწილად იმით გვხიბლავს, რომ მათში ესა თუ ის ცხოვრებისეული კონკრეტული მოვლენა ზოგადდება და მოგვიანებით ამ ზოგადის მართებულობა სხვა კონკრეტულ მოვლენაში „გამოჟონავს“ ხოლმე!

* * *

ტერენტი გრანელი ერთადერთი პოეტია, ვისაც ხარკი არ მოუხდია წითელი რეჟიმისადმი — ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია მის სადიდებლად! ამიტომ ბუნებრივად იბადება შემდეგი „ახირებული“ კითხვა: ვინ იქნებოდა ტერენტი, „ბოლშევიკური ჭირი“ რომ არ შეგვყროდა ანუ მისი „კლინიკური შეურაცხადობა“ მხოლოდ და მხოლოდ პროტესტია ამ კონკრეტული რეჟიმისადმი თუ უფრო ღრმა ფესვები აქვს მას?! კერძოდ ხომ არ არის ეს გლობალური ბუნტი საერთოდ სამყაროს მოუწყობლობისადმი?! (“დამძიმებული“ ნაირსახეობა, „შორს წასული ფორმა“ ბაირონისეული „მსოფლიო სევდისა“)

* * *

მე მეგონა, რომ ცხოვრებისეულ ფსკერს მივაღწიე,
მაგრამ ვიღაცამ ქვემოდან დამიკაკუნა!
სტანისლავ ლემი

ესპანეთის მეფე ფილიპე IV წარმატებული მმართველობის შემდგომ, ქვეყნისათვის დამდგარ ძნელბედობის ჟამს, უმეტესწილად მადრიდიდან მოშორებით „სამონადირეო“ სასახლეში ატარებდა. მას განსაკუთრებით უყვარდა ე.წ. „ფილოსოფიური ოთახი“, რომელშიც საათობით უყურებდა ველასკესის მიერ დახატულ „შავი“ მასხარების პორტრეტებს (დაცინვით ასე მოიხსენიებდნენ მახინჯ, საპყარ მასხარებს). მკვლევარების აზრით, ამ „უცნაური“ საქციელის ერთ-ერთი ახსნა შესაძლოა ის იყოს, რომ მონარქი საკუთარ დეპრესიას „მკურნალობდა“: დიდი წარუმატებლობის შემდეგ, მასზე უფრო უბედური ადამიანების ყურებით, ფილიპე გარკვეულ შვებას გრძნობდა!

მართლაც, რომ ყველაფერი ფარდობითია და ჩვენც უბრალო მოკვდავთაც, არ გვაწყენს ხოლმე ჩავიტაროთ „ფილიპესეული თერაპიული კურსები“, ოღონდ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ „კურსებს“ მხოლოდ დროებითი „ამოსუნთქვის“ ფუნქცია გააჩნიათ და ამიტომ ისინი დიდხანს არ უნდა გაგრძელდნენ, რადგანაც შესაძლოა დავკარგოთ რეალობის აღქმის უნარი და კიდევ უფრო დავიმძიმოთ მდგომარეობა!

* * *

მშობლისათვის გვიანი შვილი, გვიანი დაბერების („იძულებით“ ფორმაში ყოფნის!) საუკეთესო ელექსირია!

* * *

როგორც კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი!

დაბადებისთანავე ჩვენი ყოფა სიკვდილმისჯილთა საკანში მოთავსებული ადამიანის მდგომარეობაა, რადგანაც არ ვიცით, თუ ცხოვრება როდის „მოიყვანს სისრულეში“ განაჩენს! ამ საკნიდან კი ჩვენი დახსნა არავის ხელეწიფება, მაგრამ გვინდა კი ეს თავად ჩვენ?! აქვს კი აზრი უკვდავებას?! მართლაც, შემთხვევით კი არ „წამოსცდა“ ვაჟას შემდეგი გენიალური „პასუხი“ ამ მარადიულ შეკითხვაზე: „შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე შვენობს შენითა!“ ანდა გავიხსენოთ როგორი შემზარავი დეტალებით აქვს აღწერილი კარელ ჩაპეკს 300 (!) წელს მიღწეული ადამიანის ყოფა თავის გახმაურებულ ფანტასმაგორულ რომანში „მაკროპულოსის საშუალება“.

* * *

მახსოვს, თბილისში ყოფნისას, მაშინდელი ოფიცერთა სახლის დარბაზში, ცნობილ რუს რეჟისორს ანდრეი ტარკოვსკის უამრავ კითხვასთან ერთად, ერთი „ჩამჭრელი“ კითხვაც დაუსვეს: „თქვენ მატერიალისტი ხართ თუ იდეალისტი?“ ანდრეიმ დაუფიქრებლად, მყისვე გასცა პასუხი ამ „იდეოლოგი-

ურ“ შეკითხვას (ლაპარაკია 1979 წელზე, ე.წ. „განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქაზე!): „მე რეჟისორი ვარ!“ და ამ სხარტმა, „ჯიქურმა“ პასუხმა დარბაზში დიდი ოვაცია გამოიწვია! მართლაც, ნამდვილი შემოქმედი, თავისი საქმის პროფესიონალი, არ „ჯდება“ არც ერთ „იზმში“ და მას საკუთარი, განუმეორებელი, „რეჟისორული“ ხელწერა აქვს!

* * *

ადამიანისათვის სახიფათოა ბევრი პრობლემის დაგროვება, რადგანაც იგი თავად ხდება პრობლემა სხვა ადამიანებისათვის!

* * *

ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელოსათვის მხოლოდ ფუნჯი ან მოქანდაკის საჭრეთელი საკმარისი არ იყო ამ ტიტანების შინაგანი „დუღილის“ გადმოსაცემად და ისინი სიტყვას შეაშველებდნენ ხოლმე საკუთარ სათქმელს და მერე როგორ შეაშველებდნენ: კაცობრიობა გამდიდრდა ლეონარდოს ბრძნული იგავებით და მიქელანჯელოს შესანიშნავი ლირიკით!

* * *

უნდა გეყოს გამბედაობა მთელში იარსებო!
გოეთე

მართლაც დიდი გამბედაობა უნდა ექვს მილიარდ ადამიანში არსებობას, რადგანაც თითოეული ადამიანი ცალკე სამყაროა, თავისი განუმეორებელი ხასიათით, ჩვევებით, მსოფლმხედველობით და საჭიროა „გაუძლო“ ამდენ ინტერესთა თანაკვეთას! მომავალში კი, მოსახლეობის რაოდენობის მატებასთან ერთად, კიდევ უფრო გაიზრდება გოეთეს ამ შეგონების მნიშვნელობა. ამიტომ კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს გამბედაობის „სიმტკიცის კოეფიციენტი!“

* * *

„როდის შეიქმნა „გალობანი სინანულისანი“ — დიდგორამდე თუ დიდგორის შემდეგ“? — კითხულობს ჯარჯი ფხოველი თავის ჩანაწერებში „ხელის გულის ანაბეჭდები“. ჩემი აზრით დავით აღმაშენებელმა ეს ნაწარმოები მაინც დიდგორის გამარჯვების (და მერე როგორი გამარჯვების — „ძლევაი საკვირველი“!) შემდეგ დაწერა, რადგანაც როგორც ლაო ძი გვასწავლის, გამარჯვებულს მუდამ მჭმუნვარება მართებს!

* * *

შემოქმედებით (ახლის შექმნით!) დაღლა საუკეთესო „მარკის“ დაღლაა და მხოლოდ რჩეულთა ხელეწიფებათ ამგვარი „თამაში“!

* * *

სიტყვიერ (და არა ფიზიკურ!) დაპირისპირებას ის „ხიბლი“ აქვს, რომ დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი აუცილებელი სათქმელი, მოკლე დროში ამოითქმება ხოლმე!

* * *

არაგვს ანანურის ციხემდე შეიძლება ეწოდოს მდინარე, რადგანაც შემდეგ ხელოვნურ წყალსაცავად იქცევა და მხოლოდ ჟინვალჰესის შემდეგ „გადის თავისუფლებაზე“, მაგრამ ამ „ტყვეობისას“ ის სინათლისა და სასმელი წყლის მიცემას „ასწრებს“ ადამიანებისათვის!

* * *

ჩემი ფანჯარა ანანურში ყოფნისას ქუჩას გადაჰყურებდა, მაგრამ ქუჩაზე თითქმის არავინ დადიოდა! ამიტომ ქუჩის პირას თითქმის არ ვცხოვრობდი!

* * *

თავყრილობებზე სულელის დუმილი „სიბრძნედ“ შეიძლება აღვიქვათ, რადგანაც იგი იმას მაინც ხვდება, რომ საკუთარი გონებანაკლულობა არ გამოამჟღავნოს, ბრძენის დუმილი კი სისულელედ უნდა შევრაცხოთ, რადგანაც იგი სიბრძნეს არ ავლენს!

* * *

ვფიქრობ და დღესაც ვერ გამიგია, თუ რას ნიშნავდა წარწერა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის შესასვლელთან: „შრომა ათავისუფლებს!“ („Arbeit macht frei!“) რა არის ეს?! რა შრომაზეა ლაპარაკი ან რისგან გათავისუფლება იგულისხმება? მე მგონი ეს მაინც არაადამიანური დაცინვაა გაზის კამერების „მობინადრეებზე“ ან იაფფასიანი შენიღბვაა „სიკვდილის“ ამ ბანაკისა?!

* * *

ფლორენციაში მთელი ასი (!) წელი ხელუხლებლად იდო მოქანდაკე დიკუჩოს მიერ დაზიანებული მარმარილოს უზარმაზარი ლოდი. მხატვართა საბჭომ, რომელსაც ლეონარდო და ვინჩი მეთაურობდა იგი უვარგისად ჩათვალა. ლოდის გამოყენება კი მხოლოდ მიქელანჯელომ შეძლო და მისგან შეუდარებელი დავითის ქანდაკება შექმნა! ამ „უცნაურ“ ისტორიაში ყველაზე უფრო გასაკვირი ის არის, თუ როგორ ვერ შეაფასა ლეონარდომ ამ ლოდის ღირსებები (როგორ ვერ „დაინახა“ მასში მომავალი დავითი!) და ეს ფაქტიც ხომ არ იყო ორი გენიოსის დაპირისპირების ერთ-ერთი მიზეზი?!

* * *

გაკვირვებას იწვევს, მაგრამ ისტორიული ფაქტია, რომ ჩინგის — ყაენის მიერ შემოღებული კანონით, მონღოლებს ეკრძალებოდათ მონღოლი მონის ყოლა! ალბათ, ეს მაინც პატრიოტიზმის „უცნაური“ გამოხატვაა მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი დამპყრობელისა და ტირანის მხრიდან!

* * *

ბერლინის დაცემისას ქართველმა ჯარისკაცებმა გადაარჩინეს გერმანელი ქალი, რომლის ბინის კედლები ნატო ვაჩნაძის ფოტოებით იყო გადაჭედილი. ასე რომ, „აბსტრაქტულმა“ სიყვარულმაც კი უცხო ადამიანის მიმართ, შესაძლოა სიცოცხლე შეგინარჩუნოს ექსტრემალურ ვითარებაში!

* * *

თავდაპირველად საბჭოთა კონსტრუქტორებს ავტომობილ „ პობედასათვის“ „როდინა“ უნდოდათ დაერქმიათ, მაგრამ მათ განზრახვას სტალინმა „ცივი წყალი“ გადაასხა შემდეგი მოსწრებული კითხვის დასმით: „Ну сколько же будет стоить наша Родина?“ და მანქანას დაუყოვნებლივ შეუცვალეს სახელი. მართლაც, შეუძლებელია „შეაფასო“ სამშობლო და სწორედ ამაზე „ითამაშა“ ბელადმა, მაგრამ რომელ სამშობლოს გულისხმობდა იგი? რა იყო მისთვის „Наша Родина“ —“ბიოლოგიური“ სამშობლო „ცეროდენა“ საქართველო, თუ მის მიერვე შექმნილი უზარმაზარი იმპერია?!

* * *

უმეტესწილად სიმართლის თქმა სხვა ადამიანს ტკივილს აყენებს, რადგანაც სიმართლეს იმიტომ ამბობ, რომ ამ „სხვამ“ მოგაყენა თავად შენ ტკივილი. ამიტომ ბედნიერებაა, თუ საშუალება გაქვს ისეთი „ნეიტრალური“ სიმართლე თქვა, რომელიც არავისთვის არ იქნება „მწარე“! მაგალითად, ასეთ სიმართლეთა კატეგორიას განეკუთვნება მეცნიერის მიერ მიგნებული ესა თუ ის კანონი (ბუნების „სიმართლე“!)

ელგუჯა თავბერიძე

ძველებური ქუდი ახალი ფერებით

სევარიონ ნადირაძის ლექსების ახალ პუბლიკაციას („ჩვენი მწერლობა“, 2014, №13) მრავლისთქმელი ანოტაცია (აზროვნების სტილითა და ხელწერით ივანე ამირხანაშვილისა უნდა იყოს) აქვს წამძღვარებული, ისეთი, სულ რამდენიმე სტრიქონში ბევრი რამ, უფრო კონკრეტულად, უმთავრესი ნიშან-თვისება რომაა გამხელილი ავტორის ლექსებისა. ამის დაწერას ზოგადად პოეზიის და კონკრეტულად სევარიონ ნადირაძის პოეტური საგონ-საფიქრალის ღრმა ცოდნა სჭირდებოდა (ივანე ამირხანაშვილს, თუ რა თქმა უნდა მისი დაწერილია, ამაში ძნელად აჯობებს ვინმე). ჰოდა, ამის მერე გამოხმაურება სულაც აღარ იყო საჭირო, — მაგრამ, მგონია, რაც მეტი ვინმე დაწერს და იტყვის ამ პოეტზე, მითუფრო მალე დარწმუნდებიან, რომ იგი ჩვეულებრივი ლექსების მთხზველი არაა.

ფსიქოლოგიური მეტაფორა, თუ არსებობს ნეტავ ასეთიო, კითხულობს ანოტაციის ავტორი, თვითონვე პასუხობს დადებითად და იმაშიც გვარწმუნებს, სევარიონ ნადირაძის ლექსები ამითაც რომ გამოირჩევა სხვათაგან.

„შემოდგომა დაიღალა“ ჰქვია ერთ ლექსს. სათაურის წაკითხვისთანავე გონებაში ზამთრისპირის, უფრო სწორად, ნამლევა შემოდგომის განწყობილება გიჩნდება, როცა ყველაზე მეტად იგრძნობა, რომ წელიწადის ეს დრო ზამთარს უთმობს ასპარეზს, მაგრამ ლექსის პირველი სტროფის მერე უფრო სხვა რამ გაკრთება გონებაში, კერძოდ რა, ამას ლექსით უკეთესად ვიტყვით:

ზღვა დილიდან აფერადებს აფრებს ლილით,
ბავშვობიდან ჰყვარებია როდენს ბია,
და ფოთლები ტოტებიდან აფრენილნი,
ჩიტებივით მინდორ-მინდორ გროვდებიან.

ხომ პოეტურია და კარგია, ზღვა დილიდან ლილისფრად რომ აფერადებს აფრებს და ხიდან ჩამოცვენილი ფოთლები გადამფრენი ფრინველებივით მინდორ-მინდორ რომ გროვდებიან, მაგრამ ძალიან მოულოდნელია, რაღაც ქვეცნობიერიდან ამოზიდულია და საშემოდგომო განცდასაა თანწყობილი — როდენს ბია ბავშვობიდან ჰყვარებია.

მომდევნო სტროფებში გამჟღავნებული განწყობილება უფრო ტრადიციული გააზრებიდანაა ამოზრდილი — ტრადიციულისა და უცხოს ნაზავი კი ჰქმნის სევარიონის ლექსს გამორჩეულს, საინტერესოსა და განუმეორებელს:

ასავსავებს მეძებარი „გადა“ ენას,
სიცივესაც მოეძალა აპათია,
თბილ ქვეყნებში უნდათ ფოთლებს გადაფრენა,
ზამთარი კი თოფს უმიზნებს საფანტიანს...
კვლავ თოვლიან ამინდებზე გვაფრთხილებენ,
სველ ტოტებზე გადაკიდებს ქარი ფრაზებს,
წეროებმაც ოქროსფერი მარხილებით
შემოდგომა თბილ ქვეყნებში გაიტაცეს.

„სოსო ნადირაძის ლექსები ფსიქოლოგიური მეტაფორისაგან არის შექმნილი. ჩნდება სულიერი მდგომარეობა, წამოიმართება ფსიქოლოგიური ხატი და იბადება მისი სიტყვიერი გამოხატულება, იწერება ლექსი“.

ეს სიტყვები პუბლიკაციას წამძღვარებული ანოტაციიდანაა და ისინი ავტორის უმრავლეს პოეტურ ნააზრევს შეიძლება მიუსადაგო.

ქარის ფსიქოლოგიური პორტრეტია ეს სტრიქონები.

ისევ დაუცველს ვგავარ სამიზნეს,
წონასწორობას ვიჭერ ხერხემლით,
ქარს შეუძლია სულშიც ჩამიძვრეს,
მე თითებითაც კი ვერ ვეხები...

ამის მერე უკვე ადვილად აღსაქმელი ხდება მკითხველისათვის, რომ „ქარის გამჭოლი მზერით სავსეა თოფის ლულის წინ მდგარი სხეული“ და კიდევ — „და ვზვერავ ფოთლებს — მფრინავ ხალიჩებს, სადაც ქარია წამოწოლილი“ და მისთანანი.

ხორცშესხმული და სულჩასახლებული ქარი ამ ლექსში მრავალნაირად გაიაზრება, ქარი, როგორც უხილავი უჩინმაჩინური ძალა, რომლის საჭვრეტად სარკმელს ავირჩევო ამბობს ლირიკული გმირი და ამას ღრმა ქვეტექსტის შემცველ, პოეტურად უცნაურ, გააზრებას მოადევნებს: „საჭვრეტად ისევ სარკმელს ავირჩევ, სივრცეს სარკეა, მე კი ცდომილიო“. სივრცე რომ სარკეა და ადამიანი ცდომილი ამას დანახვა სჭირდება, დამნახავი, მერწმუნეთ, არაჩვეულებრივი პოეტურობით მხედველი პოეტია.

ქარს, ფოთლებს აქეთ-იქით რომ დააქროლებს, არ ემონება ლირიკული გმირი:

ვერ გამიგია, ეს რა შფოთია,
ანდა რა ქვია ასეთ არსებას,
ასე მგონია, ქარი ფოთლიდან
ჩემს ქვაფენილზე დაენარცხება.
ეს მირაჟია, ვგრძნობ, მალე მოთოვს
გადაარქმევენ ქუჩებს სახელებს
მე ხელს მოვკიდებ დაცემულ ფოთოლს
და ფრთხილად ფეხზე წამოვაყენებ.

ქუჩებისათვის სახელის გადარქმევა სხვა მიმართულებით წაიყვანს ფიქრს, ქარი, როგორც სტიქიონი, რევოლუციასავით წამლეკავი ძალა წამოტივტივდება გონებაში და ყოველივე ამის ფონზე იკვეთება ლირიკული გმირის სურვილი — წამოაყენოს დაცემული.

იქნებ ვინმემ მუჰაჯირი და მოაჯირი რითმისთვის მოხმობილად მიიჩნიოს, მაგრამ ამ სტროფში საინტერესოდ რომ წყვილდებიან, დიდი დაფიქრება არ ჭირდება.

თვლემენ ვარსკვლავები სიზმრით გართულები,
მთვარე ხიზანია, როგორც მუჰაჯირი,
ისევ მინათებენ ლექსის ნათურები,
ლექსის კიბეებს და ლექსის მოაჯირებს...

იდილიური სურათიც ნაღდად გამორჩეული შთამბეჭდავობით იხატება სევარიონ ნადირაძის ლექსებში — ბრჭყვიალებითა და რებუსული აზროვნებით კი არ კოკეტობს, მართალი სახეებით გვამახსოვრებს ყოველივეს:

თეთრი ეჟვანი აათრთოლა უკვე ენძელამ,
სოფლის დედალმა მამალს სამჯერ უთხრა — არაო.
მზე ამოვიდა და გვირილამ ჭრელი პეპელა
თითებში ისე დაიჭირა, როგორც მარაო.

ვიმეორებ, ამ ლექსებს მართლაც და, რა გამოხმაურება სჭირდებოდა.

სევარიონ ნადირაძეს, ეტყობა, ეს ლექსები რაღაც ციკლად აქვს ჩაფიქრებული, რომელშიც საშემოდგომო განწყობილება იმძლავრებს, ხატოვნად — ძველებური ქუდი ახალი ფერებით.

გივი გამრეკელი

როცა მსოფლიო ჩემპიონატმა გადიგრიალა...

...და თითქოს არდადეგები დადგა, მაინც არ დაგვავიწყდეს, რომ ფეხბურთში შესვენება არასოდეს არის... სულ გუშინ დასახელდა ბრაზილიური თავგადასავლების გმირები, მაგრამ გულშემატკივრები უკვე წარმოიდგენენ ევროპის მომავალი პირველობის პროტაგონისტებს, ასახელებენ იმ ფეხბურთელებს, რომელთა უპირველესი იმედი თავგამოდებულ ქომაგებს აქვთ. ასეთი კი ყველა ნაკრებს ჰყავს. თუ დიდად არ გვეშლება, ასეთი საქართველოს ნაკრებისათვის უნდა გახდეს ჯანო ანანიძე.

ჯანო ანანიძე

უკვე რამდენი წელია გვესმის ჯანო ანანიძის სახელი. საქართველოს ნაკრებშიც 25-ჯერ ითამაშა. 3 გოლი. რაიმე განსაკუთრებული თითქოს არ გაუკეთებია, მაგრამ იმედს არც თვითონ კარგავს და არც მისი გულშემატკივრები. ქობულეთელი ფეხბურთელის ხანმოკლე ბიოგრაფიის გადახედვაც, ვფიქრობთ, იმედმოკლებული არ უნდა იყოს. შეიძლება იმიტომაც ამბობენ, ყველაფერი წინა აქვსო. ღმერთმა ქნას და საქართველოს ნაკრებმაც პირველად, მაგრამ დიდად ისახელოს თავი.

ჯანო (რომელსაც მოსკოვის „სპარტაკში“ შეცდომით თუ გაუგებრობით ჟანოს ეძახდნენ, რაც თვითონვე გამოასწორებინა) ანანიძე დაიბადა 1992 წლის 10 ოქტომბერს, ქობულეთში, ფეხბურთელის ოჯახში. სათამაშო ამპლუით ნახევარმცველია, შეიძლება ასეც ვთქვათ, უკანდახეული თავდამსხმელი, ისე კი მაინცადამაინც უკან დახევა მისთვის არავის ურჩევია, პირიქით... სიმაღლე 170 სმ, წონა 60 კგ.

დაიწყო თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში (2004-5), შემდეგ კიევის „დინამოს“ ახალგაზრდებში გამოდიოდა (2005-7). შემდეგ 4 სეზონი გაატარა მოსკოვის „სპარტაკში“ (2009-13). 2013 წლის ზაფხულიდან „როსტოვს“ ათხოვეს, ახლა კი ისევ „სპარტაკს“ დაუბრუნდა. თუ მოსკოვის „სპარტაკში“ ორჯერ (2009, 2011-12) მოიპოვა რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლის მედალი, „როსტოვში“ რუსეთის თასსაც დაეუფლა. მოსკოვში კი დაბრუნდა, მაგრამ მიზნად მაინც ევროპის რომელიმე წამყვან კლუბში გადასვლა ესახება. თუ აქამდე „პატარა პირლოს“ უწოდებდნენ (თამაშის მანერით მაინც ბევრი რამ აქვს იტალიელთან საერთო), ახლა, ბრაზილიის მსოფლიო პირველობის შემდეგ, შეიძლება სულ სხვა ვინმეს შეადარონ. საინტერესოა, რომ „სპარტაკში“ თამაშის დროს იგი თითქმის არაფერს ლაპარაკობდა საკუთარ თავზე (თურმე ამას კლუბის ხელმძღვანელობა, უბრალოდ, უკრძალავდა), ახლა ყადაღა მოეხსნა. ილაპარაკოს, რამდენიც უნდა თუ, რა თქმა უნდა, სალაპარაკო ექნება. ჩვენც, თანდათანობით, ბევრი რამ გავიგეთ...

* * *

— როგორ მოხდა, რომ „სპარტაკში“ ამდენ ხანს თამაშობდით, მაგრამ თავი მაინცდამაინც არ გამოგიჩენიათ...

— როგორ გითხრათ. შეიძლება ითქვას, რომ თავგამოდებით ვვარჯიშობდი, მაგრამ მინდორზე 20 წუთზე მეტი არ გამოვყავდით. სათამაშო რიტმი არ მყოფნიდა, ფსიქოლოგიურადაც მძიმე მდგომარეობაში ვიყავი. იყო ასეთი შემთხვევებიც: ვერაფერს ვაკეთებდი, ფრთაზე თამაშს ვერ ვამწვავებდი, ჩემი გადაცემები არაფერს ჰგავდა, მაყურებლები სტვენას არ მაკლებდნენ. ეს „სპარტაკში“ თამაშს ეხება. „როსტოვის“ სერბი მწვრთნელი ბოჟიდარ ბოჟოვიჩი სხვანაირად, გულთბილად მომექცა, სულ მამხნევებდა, ერთხანს სათადარიგო ვიყავი, მამზადებდა, მე არც მესი ვარ და არც რონალდო, ვიცოდი, ადრე თუ გვიან ჩემი დროც დადგებოდა (და აი, რუსეთის თასიც მოიპოვა).

— არ გენანებოდათ, რომ „სპარტაკი“ დატოვეთ და მეორეხარისხოვან კლუბში გადახვედით?

— რახან ცოტას ვთამაშობდი, ადრეც დამდგარა სხვა კლუბში გადასვლის საკითხი. „როსტოვი“ ადრეც მიწვევდა, მაგრამ ვყოყმანობდი, კარგად მოვიფიქრებ-მეთქი. მე თვით მივმართავდი გუნდის ხელმძღვანელობას, თამაში ძალიან მინდოდა. ახლა, როდესაც ჩემი მზადყოფნა სულ სხვანაირია, უფრო გამიადვილდება ყველასთან ურთიერთობა. ადრინდელ კონტრაქტში კი მეწერა, რომ 18 წლის ასაკამდე ინტერვიუს მიცემის უფლება არა მქონდა.

* * *

ჯანომ თქვა, რომ „ბარსელონას“ გულშემატკივარი იყო, მაგრამ შემდეგ „ბაიერნი“ არჩია. მას რუსეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებთან მეგობრობა აკავშირებს. განსაკუთრებით ხშირად ესაუბრება სოლომონ კვირკველიას, რომელიც ბოლო სეზონის განმავლობაში ძლივს დაწინაურდა ყაზანის „რუბინში“. კვირკველიას თამაშს ყურადღება მიაქცია რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ, რომელსაც კვირკველიას მიწვევა თავისთან უნდოდა, მაგრამ უარი მიიღო. „მე მხოლოდ საქართველოს ნაკრებში თამაში მინდა“. ჯანომ თქვა, რომ ადრე მსგავსი წინადადებით მასაც მიმართავდნენ, მაგრამ ყოველთვის ცივი უარით ისტუმრებდა და თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშობს.

* * *

— შენ 21 წლისა ხარ. დაოჯახება უკვე მოასწარი.

— 6 წელია მიყვარდა ერთი ქალიშვილი, რომელსაც სულმოუთქმელად ვხვდებოდი, როცა საქართველოში ვბრუნდებოდი. ერთხანს ჩემთან იყო როსტოვში, მაგრამ მალე საქართველოში დაბრუნდა, რადგან შვილს ველოდებოდით.

— ყველა გოლს მართლა მამას უძღვნი?

— დიახ. სწორედ მან აღმზარდა, ფეხბურთის თამაში დამაწყებინა. ყველაფრისათვის დიდი მადლობალი ვარ.

— რაზე ოცნებობთ?

— მინდა მოგვიანებით ჩემი ძალები ევროპაში გამოვცადო. ვფიქრობ, ესპანეთის ჩემპიონატში გამოვდგებოდი. პერსპექტივაში „ოქროს ბურთისათვის“ ბრძოლასაც შევძლებდი.

— მიოდრაგ ბოჟოვიჩმა (რომელიც ჯანოს შესანიშნავ მწვრთნელად მიაჩნია, საუკეთესო გუნდებს რომ უნდა ედგას სათავეში) მართლაც თქვა, რომ გოლები და საგოლე გადაცემები ერთი ფასისანი არიან? ეთანხმებით მას ამაში თუ არა?

— ჩემი აზრით, საგოლე გადაცემა უფრო ღირებულია, ვიდრე ბურთის გატანა. მინდორზე სულაც არა ვძუნწობ, ვცდილობ პარტნიორს კარგი შესაძლებლობა შევუქმნა. თუმცა გოლის გატანაც ძალიან სასიამოვნოა. ადრე ცოტა გამქონდა, მაგრამ როსტოვში ეს ნაკლი რამდენადმე გამოვასწორე. ეს ასეა, მაგრამ ახლა საქართველოს ნაკრებში უკეთ თამაშის დრო დგება!

პალესტინელი მწერალი და ჟურნალისტი, რაშად აბუ შავარი 1942 წელს დაიბადა. 1970 წლიდან გამოქვეყნებული აქვს მოთხრობების 7 კრებული, 6 რომანი, ესეების 4 კრებული, 2 საბავშვო წიგნი და ერთიც პიესა. მისი ერთ-ერთი რომანი, „შეყვარებულები", რომელიც ლტოლვილთა ბანაკში პალესტინელების მძიმე ყოფას ასახავს, 100 საუკეთესო არაბული წიგნის სიაში შევიდა, რომელიც არაბ მწერალთა კავშირმა შეადგინა.

რაშად აბუ შავარი

ორი ნოველა

აქა და იმპერატორი

ეძღვნება ღასან ქანაფანის [1]

ეს აქაა,[2] ციხე-სიმაგრით გარშემორტყმული პატარა ქალაქი, რომლის ძირშიც დგაფუნებს და ბობოქრობს ზღვა...

ზღვა თითქოს უზარმაზარი მხეცია, იზმორება, ამაყად დააბიჯებს და მძვინვარედ ბრდღვინავს. აქა კი დგას თავისთვის, ნაცრისფერი კედლებით გარემოცული, უზარმაზარ ქვებზე, რომლებზეც მარილია დალექილი და რომლებიც ძველებურად მაგარი და ურყევია. აქას ციხე-სიმაგრის კედლები გიგანტურ გვირგვინს ჰგავს, სადაც ზღვა მალულად ცდილობს შეღწევას, ხან მხიარულობს, ხანაც ბორგავს.

იმპერატორი უნაგირიდან წამოდგა, მზერა შორს, ციხესიმაგრის კედლების ზემოთ, ცისკენ მიაპყრო და ერთ-ერთ მრჩეველს ჰკითხა:

— მითხარი, რა ჰქვია ამ ქალაქს? — და აქას მხარეს მათრახი აიქნია. პასუხს არ დაელოდა, შემობრუნდა, რომ სადღესასწაულო მუნდირებში გამოწყობილი უძლეველი არმიისა და ქვემეხებისთვის შეეხედა, ყველაზე ამაყ ქალაქებსა და ქვეყნებს რომ აიძულებდნენ მუხლი მოეყარათ მის ფეხებთან. იმპერატორმა ჩაიცინა. რომ არა მისი საიმპერატორო ღირსება, რომელიმე ჯარისკაცს გაგზავნიდა ქალაქში იქ მცხოვრები ყველა მამაკაცის მოსაყვანად, თაყვანი რომ ეცათ ერთგულებისა და მორჩილების ნიშნად... მრჩეველის პასუხმა ფიქრი შეაწყვეტინა:

— აქა, ჩემო ბატონო!

იმპერატომა ნელა წარმოთქვა:

— აჰ... აქა... რას ნიშნავს ეს სახელი?

მას მოსწონდა პეიზაჟი: ქალაქი, ზღვა, ლურჯი ცა. გენერლებს ნიშანი მისცა. მათ მხედრობა მოაბრუნეს, არმიამ საზეიმო სვლა განაგრძო, იმპერატორის ცხენი კი მსუბუქი, ამაყი ჩორთით დაიძრა.

იმპერატორი ფიქრობდა:

— პოეტი რომ ვყოფილიყავი, ამ ქალაქის მომხიბლველობას ვერ გავუძლებდი. როგორი თვალისმომჭრელი, ცხელი მზეა, როგორი უნაპირო სივრცე, მაგრამ — ამოიოხრა თავისთვის, — რა საჭიროა ეს კედლები? ჰოი, უგუნურო ქალაქო, მსოფლიოში ვერცერთი კედელი ვერ აღუდგება წინ იმპერატორს.

ნაპოლეონმა ხელი წაიღო ხმლის ვადისაკენ, ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეშიშვლა, არ შეეძახა ქალაქისთვის და არ შეემუსრა ყველაფერი, რაც გზაზე შეხვდებოდა.

— ჰეი, შენ, გააღე კარი და ფეხებში ჩამივარდი, ეს მე ვარ, დიადი ნაპოლეონი, სამყაროს დამპყრობი, დედამიწაზე საზღვრების, ქალაქებისა და მიუწვდომელ ციხე-სიმაგრეთა პირისაგან მიწისა აღმგველი.

თანდათან ქალაქს უახლოვდებოდა ფიქრებში ჩაფლული, არაფერი ესმოდა და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა... თუმცა მალე მასთან ზღვის ტალღების ხმაურმა მიაღწია, როცა თავთან ისარმა ჩაუქროლა და ცხენმა თავი წაართვა, შიშმა, გაოცებამ და მძვინვარებამ ერთდროულად მოიცვა. სადავე მოზიდა და შეტევა სწრაფად განაახლა. დაიფიცა, რომ ქალაქს ძვირად დაუსვამდა ასეთ თავდაჯერებულობას და უგუნურებას. მასთან არმიის გენერლები მივიდნენ, მოუთმენლად ელოდნენ, როდის მიიღებდნენ ბრძანებას:



— ცეცხლი... ცეცხლი... ცეცხლი...

გაისმა თუ არა ბრძანება, მაშინვე გავარდა ყუმბარები ქვემეხებიდან, ზოგი ზღვაში ჩაცვივდა, რომელმაც ჩაყლაპა და ჩააქრო ისინი, ზოგმა მიზანს მიაღწია და დაანგრია ქალაქის კედლები, სახლები, ქალაქის მოედნები.

იმპერატორმა ჭოგრიტით გახედა ქალაქის კარიბჭეს, ელოდა, გამოჩნდებოდნენ ქალაქის მცხოვრებნი, ეგონა, თეთრ დროშას აღმართავდნენ და დანდობას სთხოვდნენ. კვამლის ღრუბელი ავარდა, რომელმაც ცა გაავსო, ქალაქის კედლები და ზღვის ზედაპირი დაბურა.

იმპერატორმა თქვა:

— აქა, რასაკვირველია, მოკვდა.

საბოლოოდ რომ დარწმუნებულიყო ქალაქის განადგურებაში, იმპერატორმა დაიყვირა:

— ცეცხლი... ესროლეთ!

ცოტა ხანში ოფიცრებს უთხრა:

— საკმარისია... მებრძოლი აღარავინ დარჩა... დაე, ბოლომდე დაიწვას.

ეს რომ თქვა, იმპერატორს მოულოდნელად ხარხარი აუტყდა.

— როცა ეს წყეული ქალაქი ფერფლად იქცევა, მის ნარჩენებს ზღვა ჩაყლაპავს... სხვა ქალაქებს ჭკუისასწავლად გამოადგებათ, რომ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ გაბედონ.

ნაპოლეონმა თვალებთან ჭოგრიტი მიიტანა და შორს დაიწყო ყურება. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხელი ისე უღონოდ დაუშვა, ჭოგრიტი კინაღამ მიწაზე დაუვარდა. თავისი მრისხანე არმიის ოფიცრებს უთხრა:

— ხანძარი უკვე ჩაქრა. მე ვაიძულებ ამ ქალაქს დადუმდეს, დავანგრევ და სერიოზულ საქმეს შევუდგები, ეს გრუხუნი კიდევ დიდხანს არ ჩაცხრება..

ამ სიტყვებით ხმალი იშიშვლა, გააფთრებით აპობდა წინ ჰაერს და ქალაქის მიმართულებით შესძახა:

— აი, შენ... მიიღე!

ქალაქი კი ძველებურად უზრუნველი და მშვიდი ჩანდა იმ დრომდე, ვიდრე ჯარისკაცების კოლონა მიადგებოდა მის კედლებს, მაშინ კი ცეცხლის გრიგალი, შუბი და ისრები დაატყდათ თავს. ჯარისკაცები ცვიოდნენ, ცხენებს კრუნჩხვა ემართებოდათ, ცხენოსნები უნაგირიდან ვარდებოდნენ. მოერიშეებმა იმწამსვე დაიხიეს უკან. მაგრამ შორიდან ისევ გაისმა ზალპი და ისევ გაჩნდა ხანძარი, რომელიც მალევე ჩაქრა. იმპერატორი ისევ და ისევ იმეორებდა მკაცრ ბრძანებას:

— ცეცხლი... ცეცხლი...

...იმპერატორმა ხელი ასწია, ცეცხლის შეწყვეტა ბრძანა და ოფიცრები სათათბიროდ იხმო. არმია სამი მიმართულებით განაწილდა. პირდაპირ ქალაქის კედლებზე ცხენოსნები და

---

1. ღასან ქანაფანი (1936-1972) — პალესტინელი მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე, "პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტის" აქტიური წევრი, რომელიც აქაში დაიბადა. 1972 წელს საკუთარ მანქანაში ბომბის აფეთქებას ემსხვერპლა.

2. ქალაქი ისრაელში, დასავლეთ გალილეაში.

ქვეითები წავიდნენ, რომლებსაც დამხმარე დანაყოფები ქვემეხებით იცავდნენ. ყუმბარები ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდა. აქამდე აქას მსგავსი არაფერი უნახავს. მაგრამ ქალაქმა ერთი რამ ზუსტად იცოდა, — ის არასოდეს გაუღებს კარიბჭეს უცხოტომელ დამპყრობლებს.

აჰმად ფაშამ შესძახა:

— ჰეი, ქალაქელებო, არ უნდა დავნებდეთ!.. მეც თქვენთან ერთად დავიღუპები, ცეცხლით ვართ გარშემორტყმულნი.

აჰმად ფაშა ციხესიმაგრის კედლიდან ჩამოვიდა, ბადია ჩამოიტანა და ქალებისა და ბავშვებისთვის წყლის მიწოდება დაიწყო. ისინი ხანძრის ჩასაქრობად შრომობდნენ მაშინ, როცა ქალაქის მცველები ციხის კედლების სიმაღლიდან ებრძოდნენ იმპერატორის არმიას. ერთ-ერთმა ქალმა აჰმად ფაშას უთხრა:

— ნახე, ძმაო აჰმად, ზღვა თევზს გვჩუქნის გამოსაკვებად, ახლა კი წყალს გვაძლევს, რომ ცეცხლის ჩაქრობა შევძლოთ.

აჰმად ფაშამ უპასუხა:

— არა მგონია, იმპერატორმა ჩვენი დაპყრობა შეძლოს, მაგრამ თუ ასე მოხდა, ყველანი თევზებად გადავიქცევით და მთელ ზღვაში გავიფანტებით, შემდეგ დავბრუნდებით, რომ ისევ ავაშენოთ ჩვენი ქალაქი და ადრინდელზე უფრო მაღალი და მტკიცე კოშკი აღვმართოთ.

იმპერატორი ჭოგრიტით ხედავდა, როგორ ეცემოდნენ მისი ჯარისკაცები ერთიმეორის მიყოლებით და ცხენთა გვამები როგორ დაცვივდა, კლდეთა გროვასავით, რამაც ძალიან შეაშფოთა. თუმცა ჯარისკაცები მაინც გმირულად და შემართებით განაგრძობდნენ შეტევას. რამდენიმე გენერალი იმპერატორს ეახლა, მის წინაშე პირქვე დაემხო და შეევედრა, ალყა მოეხსნა, რომ მისი სიცოცხლე შეენარჩუნებინა მომავალი გამარჯვებებისთვის. ერთმა იმპერატორს უთხრა:

— ეტყობა, ეს ქალაქი დიდებისკენ ისწრაფის, სურს იმპერატორისთვის წინააღმდეგობის გაწევით ისტორიაში შევიდეს.

იმპერატორი, მისი არმია და გენერლები დაიღალნენ ამ დაუსრულებელი ბრძოლით, შეშფოთებულნი იყვნენ, რომ ბრძოლები ქალაქისთვის ჯერ კიდევ უშედეგოდ გრძელდებოდა. ერთ-ერთმა გენერალმა იმპერატორს ურჩია:

— სირ, მეზობელი ქალაქები ხომ არ დავიპყროთ, მაშინ ეს ქალაქიც განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე დაეცემა. შემდეგ ეს უბადრუკი ქალაქი იმის ღირსიც კი არ იქნება, თუნდაც წამი დავკარგოთ მისი კარიბჭის დასანგრევად.

ამ სიტყვებმა იმპერატორი გაახარა და ქალაქს ზიზღიანი მზერა ესროლა. მოგვიანებით, როცა მოსაღამოვდა, იმპერატორი ცხენით გაემართა ქალაქის კედლებისაკენ. იქ იმპერატორის სამკუთხა ქუდი მოიხადა და კედლის იქით გადააგდო, სადაც ცეცხლი ჯერ კიდევ არ ჩამქრალიყო. იმპერატორმა კედლის ქვების ხელით მოსინჯვა დაიწყო და იგრძნო, რომ ისინი ადამიანის სხეულივით რბილი იყო, გაუკვირდა. მთვარის შუქზე დაიწყო ქვების თვალიერება, რომლებიც ადამიანის სახეს მიამსგავსა, მოეჩვენა, რომ იქიდან ვიღაცის თვალები უყურებდა. იმპერატორი შეკრთა, სადავე მოზიდა და ცხენი გააჭენა. ქალაქის კედლებს შორდებოდა, მაგრამ სულ ეჩვენებოდა, თითქოს ადამიანთა ეს სახეები უთვალთვალებენ და მისი შეპყრობა სურდათ, ვიღაც ბიჭმა კი უკვე დაიჭირა მისი სამკუთხა ქუდი ბასრი კუთხეებით, ზღვისკენ გაიქცა, წყლით გაავსო, დაბრუნდა და ცეცხლზე დასხმა დაიწყო, რომელიც თანდათან ჩაქრა.

იმპერატორი ქალაქს უფრო და უფრო შორდებოდა.

ეს აქაა. ხანძარი უკვე ჩაქრა. ზღვაც ძველებურად ბობოქრობს მის კედლებთან, ქალაქიც ძველებურად ცხოვრობს ჩვეული ცხოვრებით, მისი კარიბჭე კი თვალს ადევნებს, იმპერატორის არმია როგორ მიემართება ახალი ქალაქებისა და ქვეყნების დასაპყრობად.

ხეები ქაღალდზე არ იზრდება

ეძღვნება მაჰმუდ აბუ შავარს, ჩემს მამასა და მეგობარს

1.

მასწავლებელმა მოსწავლეებს უთხრა:

— ბავშვებო, დღეს გაკვეთილზე ფორთოხლის ხეს დავხატავთ.

ფაჰდმა ხელი აწია და მასწავლებელს მიმართა:

— უსთაზ,[1] არასოდეს მინახავს როგორ იზრდება ფორთოხლის ხეები.

მასწავლებელმა უთხრა:

— მე დაგიხატავთ, — და დაფაზე ფერადი ცარცით მწვანე ფოთლებითა და შესანიშნავი ნაყოფით დახუნძლული ფორთოხლის ხის ხატვას შეუდგა.

— აი, ბავშვებო, მაგრამ ფორთოხლის ხეს მაინც განსაკუთრებული ნიადაგი სჭირდება...

ზარი დაირეკა. მოსწავლეებმა ალბომები შეაგროვეს და წასვლას აპირებდნენ, როცა მასწავლებელმა ცოტა ხნით დარჩენა სთხოვათ.

— შემდეგი გაკვეთილისთვის მოემზადეთ. დღეს ფორთოხლის ხე და მისი შესანიშნავი ნაყოფი დავხატეთ, შინ მისი გაფერადებაღა გრჩებათ.

2.

სახლში ფაჰდი ნახატის გაფერადებას შეუდგა. ვიდრე დაამთავრებდა, მამას ჰკითხა:

— მამა, რითი განსხვავდება ზეთისხილის ხე ფორთოხლის ხისგან?

მამამ უპასუხა:

— ზეთისხილი, შვილო, მთებში იზრდება, ფოთლები ვიწრო და ბასრი აქვს, როგორც ჩიტებს — ენა, ფორთოხლის ხე კი ქვიშიან ნიადაგზე იზრდება და ფოთლები უფრო ფართო, ნაყოფი კი უფრო დიდი აქვს, ვიდრე ზეთისხილს.

ფაჰდი დაფიქრდა და თქვა:

— ცხოვრებაში ბევრჯერ მინახავს ზეთისხილი, მაგრამ ფორთოხლის ხე – არასოდეს.

მაშინ მამამ უთხრა:

— ჩვენს სამშობლოში ბევრი ფორთოხლის ხეა, მაგრამ...

ფაჰდმა ჰკითხა:

— მამა, არ შეგიძლია, აქ რომ დარგო?

მან უპასუხა:

— არა, შვილო, ფორთოხლის ხე ყველა მიწაზე არ ხარობს. ხეები ავად ხდებიან, თუ მათ სხვა მიწაზე გადარგავენ, ზოგჯერ კი საერთოდ კვდებიან.

ფაჰდმა ალბომში დახატულ ხეს ჰკითხა:

— შენ რატომ არ იზრდები?

ხემ არაფერი უპასუხა. ფაჰდმა ხმამაღლა დაიყვირა. ხე ისევ დუმდა.

მაშინ ფაჰდი ატირდა, ცრემლები ცხვირის წვერზე გროვდებოდა და იქიდან პირდაპირ დახატულ ხეს ეცემოდა, ცრემლებით დასველებული საღებავი იშლებოდა, რაზეც ფაჰდი უფრო გაბრაზდა, მაგრამ უცებ მტკიცედ მოიწმინდა ცრემლები. სწორედ ახლა მიხვდა, რომ ალბომში დახატული ხეები ნამდვილი არ არის. ფურცელი დახია და თავს უთხრა:

— მე დავბრუნდები იმ მიწაზე, სადაც ფორთოხლის ხეები იზრდება. სახლს ავაშენებ ძველი სახლის ადგილას, რომელსაც ჯერ კიდე ბაბუა აშენებდა და რომელიც იმათ დაანგრიეს.

ფაჰდმა თავი მაგიდაზე ჩამოდო და ჩაეძინა. დაესიზმრა, ვრცელ მინდორში დადიოდა, ირგვლივ ფორთოხლის ხეების ბაღი პირდაპირ ლურჯი ზღვის სანაპიროზე იზრდებოდა. ბაბუა მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოუთათუნა და უთხრა:

— ყოჩაღ, ფაჰდ! ყოჩაღ, ჩემო ბიჭო! ხეები მიწაზე იზრდება და არასოდეს გაიზრდება ქაღალდზე.

არაბულიდან თარგმნა
ირმა მახარაძემ

1. თავაზიანი მიმართვა მასწავლებლისადმი

ერიკ ემანუელ შმიტი

სასტუმრო ორი სამყაროს გასაყარზე

მოქმედი პირები:
ჟულიენ პორტალი
მაგი რაჯაპური
დოქტორი შ...
პრეზიდენტი დელბეკი
ლორა
მარი
ახალგაზრდა თეთრად მოსილი მამაკაცი (მუნჯი როლი)
ახალგაზრდა თეთრად მოსილი ქალი (მუნჯი როლი)

წარმოდგენის მსვლელობისას დეკორაცია უცვლელია.

დასაწყისში გაისმის უცნაური ხმაური, რომელმაც შესაძლოა გამჭოლ ქარზე გაფიქრებინოთ.

ეს ქარი ისეთი ძლიერია, ისეთი ძლიერი, გეგონებათ კიდევ ცოტაც და ყველაფერს შეისრუტავს, რაც გზად შემოხვდებაო. შიშობთ, რომ შეისუნთქავს ადამიანებსაც, გემებსაც, ხეებსაც, სახლებსაც... მას ვერაფერი შეაჩერებს.

ღმუილი მატულობს, ძლიერდება, იბერება... ქარიშხალი გრგვინავს, ყმუის, ხროტინებს, მძვინვარებს, გაუსაძლისი ხდება, მაგრამ რამდენიმე წამში ყველაფერი წყდება. წარღვნისგან მინავლებული ჩურჩულიღა თუ დარჩა. ამ ფონზე გაისმის ჩამომავალი ლიფტის ტკაცანი, რომელიც რამდენიმე წამში გაჩერდება.

ნათდება სცენა.

სასტუმროს ჰოლი.

მოკრძალებული კომფორტი.

ხელოვნური განათების ფონზე ჩანს დაბალი მაგიდები, გარშემო შემოწყობილი არც ისე ურიგო სავარძლებით. მისაღების მოაჯირთან, ჯერჯერობით, სიცარიელეა. შესაძლო კლიენტები აქედან ორ დერეფანში ჩამწკრივებული ნომრებისკენ იგზავნებიან.

პირველი დერეფნის თავზე ჩანს წარწერა „დერეფანი V", მეორის თავზე კი ვკითხულობთ „დერეფანი ".

ლიფტის თავზე ციმციმებენ ნათურები. ვხვდებით, რომ ვიღაც მოდის. სიგნალი. იღება კარები. ჩნდება ჟულიენი, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა მამაკაცი. თეთრი ლაბადა ჩაუცვამს. დაბნეულია, გეგონება შოკშიაო. ერთი ხელით შუბლს ისრესს, მეორით ლიფტის კაბინის კედელს ეყრდნობა. შუბლის სრესას წყვეტს, იკრებს ძალებს და ნელ-ნელა ლიფტიდან გამოდის. ლამის ბორძიკით გადაადგილდება, გეგონება, ეს-ესაა საშინელ ავარიას რაღაც ეშმაკის მანქანით გადაურჩაო.

ჟულიენი რამდენიმე წამის განმავლობაში ადგილმდებარეობის გარკვევას ლამობს, შემდეგ კი გეზს მიმღებისკენ აიღებს, იქ თვალის დახამხამებაში უსაშველოდ მაღალი, თეთრებში ჩაცმული თანამშრომელი გაჩნდება, რომელიც თავაზიანად იღიმის.

ჟულიენი მისაღების მოაჯირს ეყრდნობა.

ჟულიენი: სად ვარ?

პასუხის ნაცვლად მას მოსამსახურე აუჩქარებლად, თითქმის ზანტად გადააწოდებს გასაღებს. ჟულიენი გასაღებს სწრაფად გამოგლეჯს ხელიდან.

ჟულიენი: მართალი ბრძანდებით. წავალ დავისვენებ.

კაცი ხელით ანიშნებს. გამოჩნდება თეთრად მოსილი ქალი; მსუბუქი და მარჯვე ჩანს. ხმას არ იღებს. უახლოვდება ჟულიენს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოსდა ჟულიენს ესაუბრებაო. ჟულიენი პასუხობს.

ჟულიენი: დიახ, ბარგით ვარ ჩამოსული. მანქანაში დავტოვე *(ლაბადის ჯიბეში გასაღებს ეძებს, მაგრამ ვერ პოულობს. სასოწარკვეთილი ამბობს)*, შეეშვით, ამას მოგვიანებით მივხედოთ...

ქალი ხელკავს გამოსდებს და დერეფნისკენ მიჰყავს. ჟულიენი მოულოდნელად ჩერდება და უკან იხედება.

ჟულიენი: თქვენ შესაძლოა ჩემი გვარი დაგჭირდეთ. იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ დამირეკა ან...

სასტუმროს ახალგაზრდა თანამშრომელი მას სარეგისტრაციო ჟურნალზე მიუთითებს.

ჟულიენი: აა, გასაგებია... თქვენ უკვე ჩაინიშნეთ... კეთილი... *(საკმაოდ დაბნეული ჩანს)* დიახ, მართალი ბრძანდებით, წავალ დავისვენებ.

ქალი მყარადაა ჟულიენის მკლავს ჩაფრენილი. ისინი დერეფან „V"-ში გაუჩინარდებიან.

დერეფანში „A" ორი პერსონაჟი გამოჩნდება. აბრეშუმის ხალათში ჩაცმული მაგი რაჯაპური ჰოლში იცქირება.

მაგი: გეუბნებით, ახალია, ჩამოსული!

მას ფეხდაფეხ პრეზიდენტი მიჰყვება, ხმელი და ცერემონიების მოყვარული, აცვია იმ მამაკაცების სიმკაცრით, რომლებიც საკუთარ თავს, უწინარეს ყოვლისა, რესპექტაბელურ ადამიანებად მიიჩნევენ.

პრეზიდენტი: არა-მეთქი. მე არაფერი გამიგია.

მაგი: ბუნებრივია, თქვენ ისეთივე ყრუ ბრძანდებით, როგორც ღამის ქოთანი.

პრეზიდენტი *(განაწყენებული)*: უკაცრავად?

მაგი: აბა, მე რას ვამბობდი? *(მოაჯირთან მდგომ მოსამსახურეს. შეტრიალდება)* რაფაელ, ახლა ხომ ნამდვილად ჩამოვიდა ვიღაც. ასე არ არის?

ახალგაზრდა მამაკაცი იღიმება.

მაგი *(ღიმილს თანხმობად აღქვამს)*: მე ნამდვილად ასე მომეჩვენა.

პრეზიდენტი *(გაკვირვებულია)*: თქვენ მას რაფაელი დაუძახეთ, მე კიდევ გაბრიელით მივმართავ.

მაგი: და გპასუხობთ?

პრეზიდენტი: რასაკვირველია.

მაგი: გამოდის, რომ ორივენი მართლები ვართ.

პრეზიდენტი: ეჭვი მეპარება. *(მისკენ შეტრიალდება)* გაბრიელ, თქვენ გაბრიელი გქვიათ თუ რაფაელი?

ახალგაზრდა მამაკაცი უსიტყვოდ გაუჩინარდება.

მაგი *(ჯდება)*: რატომ არ გინდათ დაუშვათ, რომ ორივენი მართლები ვართ?

პრეზიდენტი: იმიტომ, რომ მე ერთს ვამბობ, თქვენ კიდევ — მეორეს.

მაგი: და რა დაშავდა ამით?

პრეზიდენტი: სიმართლე მხოლოდ ერთადერთი შეიძლება იყოს. ან ერთი, ან მეორე. ორივე ერთად გამორიცხულია. ან... ან... ან თქვენ ხართ მართალი, მე კიდევ — მტყუანი, ან პირიქით — მე ვარ მართალი, თქვენ კი — მტყუანი.

მაგი: თქვენი სიმართლე ვერ იტანს ჩემსას.

პრეზიდენტი: რა თქმა უნდა.

მაგი: გასაგებია... როგორც გათხოვილი ქალი — მას ვერავის გაუზიარებ.

პრეზიდენტი: საზიარო მეუღლე არასდროს მყოლია.

მაგი: მჯერა თქვენი. მითუმეტეს მას შემდეგ, რაც გუშინ მისი ფოტო მაჩვენეთ.

პრეზიდენტი *(წყენით)*: უკაცრავად?

მაგი *(იმეორებს თითქოსდა ყრუს ელაპარაკება)*: თქვენ მისი ფოტო მაჩვენეთ გუშინ.

მაგი შლის გაზეთს და იწყებს კითხვას. პრეზიდენტს საუბრის გაგრძელებაში ეს სულაც არ უშლის ხელს.

პრეზიდენტი: დღეს თუ ნახეთ დოქტორი შ...? *(მაგი პასუხის გაცემას აპირებს)* მე, ჯერჯერობით, თვალი არ მომიკრავს. და-

ჟინებით მოვითხოვე მასთან საგანგებო შეხვედრა ამ დილით, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, პასუხი ამ წუთამდე არავინ მაღირსა. განა შეიძლება ადამიანებს ასე მოექცე?! ***(მაგი შეპასუხებას აპირებს)*** ეს ყოვლად დაუშვებელია. ყოველ ჩვენგანზე ზუსტი და ამომწურავი დოსიე შეიქმნა; დოქტორმა S-მა წესით, უნდა იცოდეს, ვისთან აქვს საქმე. თქვენ როგორ მიიჩნევთ, ეს დოქტორი საერთოდ არის კი კომპეტენტური ვინმე? ***(მაგი პასუხის გაცემას შეეცდება)*** იძულებული ვარ, ჩემი დაკვირვების შედეგი გაგიზიაროთ; დღეს ექიმების ფორმირება საღი აზრის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს. მათ ტენიან თეორიული ცოდნით, როგორც საშობაო ინდაურებს, მაგრამ მთავარს კი არ ასწავლიან. პრაქტიკაზე არავინ ფიქრობს. დღეს თანამედროვე მედიცინაში საქმე გვაქვს არა განათლებულ ადამიანებთან, არამედ ინფორმაციით გაძეძგილ ბარბაროსებთან. იქნებ არ მეთანხმებით? ***(მაგი პირს აღებს და შეპასუხებას ცდილობს)*** საქმე ისაა, რომ ეს გახლავთ დამპალი თაობა. წარმოდგენა არ აქვთ, რას ნიშნავს შიმშილი, წყურვილი, სიცივე. ომი ხომ მათ არ გადაუტანიათ, უკეთეს შემთხვევაში მის შესახებ მხოლოდ თუ სმენიათ. დაბადებიდანვე ერბოში ცურავენ. განა ასე არ არის?

მაგი: რას იტყვით პასუხებზე, თქვენს შეკითხვებს რომ გავეცი?

პრეზიდენტი: უკაცრავად?

მაგი ***(მიმართავს როგორც ყრუს)***: მოგეწონათ ჩემი პასუხები?

პრეზიდენტი: რაებს როშავთ? მე ძალიან ვაფასებ თქვენთან საუბარს, მაგრამ ხმა ჩაიკმინდეთ, როცა მე ვლაპარაკობ.

მაგი ამოიოხრებს და ისევ გაზეთს მიუბრუნდება.

მაგი: შემთხვევით გაზეთის შრიალი ხომ არ გაწუხებთ?

პრეზიდენტი: უკაცრავად?

ამ დროს შემოდის მარი.

მარი: ოთხჯერ ავშალე და გავასწორე ლოგინი, ხუთჯერ გავხეხე ნიჟარა, ჩამოვხსენი და გავფერთხე ფარდები. ახლა უკვე აღარ ვიცი, რომელ კედელს მივარტყა თავი. როგორმე დამასაქმეთ რა. იქნებ ვინმეს ფოლაქი აქვს მისაკერებელი, ან შარვალი დასაკემსი?

პრეზიდენტი ***(ცდილობს ურთიერთობების დარეგულირებას)***: მადამ, დოქტორმა S...-მა მიგიღოთ?

მარი: არა. არა და როგორ ვითხოვდიი.

პრეზიდენტი: ეს ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ გვეპყრობიან როგორც დამლაგებლებს!

მაგი ***(შოკირებულია)***: პრეზიდენტო!

მარი ***(აღფრთოვანებული)***: ბატონი არ შემცდარა. მე მართლა დამლაგებელი ვარ.

პრეზიდენტი: აჰ!

მაგი: აქ სარეკომენდაციო წერილი არავის გააჩნია.

პრეზიდენტი: ვვარაუდობ, რომ თქვენ თანასწორუფლებიანობაზე მიანიშნებთ. რესპუბლიკურმა კეთრმა ყველგან შეაღწია. უკვე სავსებით გაუგებარია, ვინ ვინ არის. ადამიანის ღირებულებას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა.

მაგი: ჩემთვის ადამიანი ღირებულია იმიტომ, რომ ის ადამიანია. ესაა მისი მთავარი ღირებულება. მორჩა!

პრეზიდენტი: სისულელეა, საშიში სისულელე.

მარი ***(მაგის)***: ბატონი მართალს ბრძანებს; მაინც წარმოუდგენელია პრეზიდენტის დამლაგებელთან შედარება.

პრეზიდენტი: აი, ხომ ხედავთ. ესეც კი აღიარებს. ძვირფასო ქალბატონო, თქვენი აზრით, რა განსხვავებაა?

მარი: მმმ...

პრეზიდენტი: დიახ, დიახ. მიპასუხეთ. მე დაჟინებით მოვითხოვ თქვენგან პასუხს. იმისთვის, რომ ჩვენი მეგობარი ***(უფრო ხმამაღლა)*** და დოქტორი S..., რა თქმა უნდა, თუ ესმის ჩვენი, განათლდნენ, ბრძანეთ, რა განსხვავებაა პრეზიდენტსა და დამლაგებელს შორის?

მარი: ჩემი აზრით? კეთილი, ბატონო, უწინარეს ყოვლისა, განსხვავება კაბინეტებშია...

პრეზიდენტი ***(ამხნევებს მარის)***: დიახ, დიახ, ბრძანეთ!

მარი: პრეზიდენტი აბინძურებს კაბინეტს, დამლაგებელი კი ასუფთავებს.

მაგი ***(ხალისიანი)***: განაგრძეთ.

მარი: რასაკვირველია განსხვავება მათ სამეტყველო ენაშიცაა. პრეზიდენტი ყველას ელაპარაკება, როგორც აყროლებულ ნაგავს. დამლაგებელი კი მეტყველებს ისე, თითქოს თვითონ იყოს ნაგავი.

მაგი: მერე, მერე, განაგრძეთ. კიდევ რა?

მარი: პრეზიდენტი ათასი ჯურის ტიტულების გროვას ფლობს, რომელიც ხან მისი გვარის წინ მოიხსენიება, ხანაც — უკან. მაგალითად, პრეზიდენტი ესა და ეს, უძრავ-მოძრავი ქონების სააგენტოს დირექტორი ესა და ის, ადმინისტრაციული საბჭოს წევრი ჯანდაბა, საპატიო ლეგიონის ოფიცრის ორდენოსანი დოზანა. გავაგრძელო? საწყალ დამლაგებელს, საკუთარი გვარის გარდა, არაფერი გააჩნია. იმასაც ორ დღეში კარგავს და რჩება სახელის ამარა. და კიდევ... ჰო კარგია, თუ თავიდანვე მარი მქვია, თორემ თუ პატრონს ცუდი მახსოვრობა აღმოაჩნდა, ძალიან მალე მაინც ასე მოგნათლავენ.

მაგი ***(პრეზიდენტისკენ შეტრიალდება)***: მართლაც, მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, დოქტორმა შ...-მა მაინც არ მიგიღოთ.

შემოდის ჟულიენი, ჩანს რომ თავს უკეთესად გრძნობს.

ჟულიენი: გამარჯობა.

დანარჩენები მისასალმებლად წამოდგებიან.

ჟულიენი: მე ჟულიენ პორტალი ვარ.

მაგი: ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ პრეზიდენტი დელბეკი, ქალბატონი მარტენი.

მარი: ...მარი მარტენი. უბრალოდ მარი საგანგებო შემთხვევებში.

მაგი: და თქვენი მონა-მორჩილი მაგი რაჯაპური.

ჟულიენი: გთხოვთ, მომიტევოთ. შეიძლება სულელი მოგეჩვენოთ, მაგრამ მე მაინც და მაინც ვერ გამირკვევია, რას ვაკეთებ აქ. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამ სასტუმროში ნომერი არ დამიჯავშნია, თუმცა, როცა ჩამოვედი, ჩემი გვარი უკვე ფიგურირებდა სარეგისტრაციო ჟურნალში. ვინ არის აქ პასუხისმგებელი პირი? იქნებ მითხრათ, სად ვიმყოფებით კონკრეტულად?

მაგი: რას გულისხმობთ სიტყვაში „კონკრეტულად"?

ჟულიენი: რომელ ქალაქში ვართ? რომელ ქუჩაზე?

მაგი: ვერაფერს გეტყვით, აზრზე არა ვარ.

ჟულიენი: როგორ, თქვენც ახლახან ჩამოხვედით?

მაგი: ოოო, არა, რა თქმა უნდა. მე ამ სასტუმროს ყველაზე მხცოვანი ბინადარი გახლავართ. ჩემი აქ ჩამოსვლის დღიდან უკვე ექვსი თვე გავიდა.

ჟულიენი: ბოდიშს მოვითხოვ. დილიდან თავს მაინც და მაინც ყოჩაღად ვერ ვგრძნობ. ყველაფერი ამერ-დამერია და ვერაფერი გამირკვევია. რა ბრძანეთ, რომელ სასტუმროში ვართ?

სასტუმროს დანარჩენი სამი კლიენტი მდუმარებამ მოიცვა. ჟულიენი მათ სათითაოდ ათვალიერებს. იფხანს თავს. მარი ჟულიენს მხარზე ხელს ადებს.

მარი: ავტოკატასტროფაში მოყევით?

ჟულიენი: დიახ... არა. ***(ფიქრობს დაძაბულად)*** არ ვიცი. დიახ, ავტომაგისტრალზე მივქროდი... დიახ, საღამო ჟამი იყო... ვახშმად კი დავლიე, მაგრამ მშვენივრად ვაკონტროლებდი თავს. არც ტარება გამჭირვებია. „პაროდეო" მყავს, ბოლო მოდელი. იცით ალბათ...

მაგი: ჩემთვის მანქანების მხოლოდ ორი კატეგორია არსებობს. პირველში მოვიაზრებ იმათ, სახურავზე რომ აწერიათ „ტაქსი", მეორეში კი — ყველა დანარჩენს.

ჯულიენი: სწრაფად მივქროდი, მაგრამ მანქანის კონტროლი არ დამიკარგავს. შინ ვბრუნდებოდი.

მარი: ვინმე გელოდათ?

ჟულიენი ***(თავჩაღუნული)***: არა.

მარი: კარგია, როცა ვინმე გელოდებათ. ეს ავარიების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა.

ჟულიენი ***(აღშფოთებული)***: მე არ მოვყოლილვარ ავარიაში.

მობინადრეები ჟულიენს თავაზიანად შესცქერიან, მაგრამ მათ მზერაში აშკარად იკითხება სკეპსისიც.

ჟულიენი *(პროტესტის ნიშნად)*: მე არ მოვყოლილვარ ავარიაში. მე არ მოვყოლილვარ ავარიაში.

კლიენტები დუმან. ჟულიენი ისევ ჯდება.

ჟულიენი: მივხვდი, რომ როცა ამ მოტელში დასასვენებლად შემოვედი, ერთგვარ ძილბურანში ვიყავი.

მაგი: მოტელი! რა სასაცილოა ეს კაცი! მოტელი?!

მარი და მაგი სიცილს ვერ იკავებენ. პრეზიდენტი ცდილობს მათ მხიარულებას შეუერთდეს. ამ დროს გვერდით თეთრებში ჩაცმული ახალგაზრდა ჩაუვლით. კლიენტებს თბილ მზერას შეავლებს. მობინადრეები მყისიერად წყვეტენ ქირქილს.

მარი *(ცოტა დარცხვენილი)*: მართალი ბრძანდებით, ემანუელ. დაცინვა ნამდვილად არ არის თავაზიანი საქციელი.

პრეზიდენტი: თქვენ მას ემანუელი დაუძახეთ.

ახალგაზრდა მამაკაცი გადის.

ჟულიენი: შეგიძლიათ დამეხმაროთ?

მაგი *(ჟულიენს)*: სინამდვილეში ერთი რამ შემიძლია გირჩიოთ. ენდეთ ჩემს გამოცდილებას. იმის დასადგენად, თუ როგორ აღმოჩნდით აქ, თქვენ მხოლოდ ერთი საშუალება გაქვთ. ჰკითხეთ თითოეულ ჩვენგანს, რა საქმიანობას ეწეოდა აქ მოხვედრამდე.

მარი თანხმობის ნიშნად თავს აკანტურებს. რამდენიმე წამში პრეზიდენტიც მას მიბაძავს.

პრეზიდენტი: თუ ეს რამეში დაგეხმარებათ...

ჟულიენი: ეს სრული აბსურდია.

მაგი: სხვა გამოსავალი არ არსებობს.

მარი: ის მართალია. ***(ჟულიენს)*** მკითხეთ მე! ***(ჟულიენი არ რეაგირებს)***. მე მაინც მკითხეთ, ეშმაკმაც დაწყევლოს. ***(ჟულიენი თავგზააბნეული ჩანს, მაგრამ მარი ამას თანხმობად აღიქვამს)*** მე მან მკითხა! ***(შვებით ამოისუნთქავს და თხრობას იწყებს)*** მე მარი ვარ. ასე დამარქვეს მშობლებმა: მა-რი. გენიალური იდეა კი მოუვიდათ თავში, ვერაფერს უსაყვედურებ. მთელი ცხოვრება წმენდისა და ხეხვის მეტი არაფერი მიკეთებია. მოკლედ, ადგნენ და ეს სახელი პირდაპირ შუბლზე მომაწებეს. ეტყობა გრძნობდნენ, რომ ცოცხი, ჩვარი, ღრუბელი და აქანდაზი ჩემი მწარე ხვედრი იქნებოდა. მამაჩემი მინათმოქმედი გახლდათ, ძალიან სიმპათიური მამაკაცი, შავგვრემანი და ბალნიანი. დილით პირწმინდად გაპარსულს, შუადღეზე ისევ შეუმუქდებოდა ლოყები, გაგიჟდებით, ისე სწრაფად ამოსდიოდა თმა, და იცით, ეს რას ნიშნავს? როცა მამაკაცს ყველგან ასე ძალუმად ამოსდის ჯაგარი? ეს მისი მამაკაცური სიძლიერის მაჩვენებელია. დიახ, ეს კიდევ იმის დასტურია, რომ გატენილია სპერმით და ოცდაოთხი საათი ქალის გაჟიმვაზე ფიქრობს. ყოველ გაზაფხულზე ერთი ძამიკო ან ერთი დაიკო მქონდა გამოწერილი. სულ თორმეტნი ვიყავით. მე ყველაზე უფროსი გახლდით. ეს კიდევ იმას ნიშნავდა, რომ უბედური დედაჩემი წელში წყდებოდა და უნდა დავხმარებოდი. საბედნიეროდ, ნაბოლარა — მეცამეტე! — მთლად ნორმალური ვერ გამოუვიდათ, სიფათი მზესუმზირის ყვავილივით ჰქონდა გადაბრტყელებული. არც გონიერი გამოდგა მაინც და მაინც. მოკლედ, ჩამორჩენილი ბავშვი იყო და ვერაფერს აკეთებდა ისე, როგორც დანარჩენები. ჩემი მშობლები ყველგან ყვებოდნენ, შაქრის ჭარხლით დატვირთული ურმიდან გადმოგვივარდა და ამიტომ გახდა ასეთიო. ჰოდა, იმ დროიდან მოყოლებული, მამაჩემმა პრეზერვატივის ხმარება დაიწყო. მგონი დედაჩემს ამის გამო იქ, შიგნით რაღაც დაუზიანდა.

პრეზიდენტი *(შეძრწუნებული)*: არ შეგიძლიათ მოკლედ მოჭრათ? ღვთის გულისთვის, მოკლედ რა, მეტი აღარ შემიძლია.

მარი: მოკლედ ვერ ვყვები და რა ვქნა? ისე, საერთოდ, მე ვინ მაძლევს ლაპარაკის საშუალებას? თუ შემთხვევით ბედმა გამიღიმა და პირის დაღების საშუალება მომეცა, მერე ძალიან მიჭირს დახურვა. მოკლედ, მამლის პირველ დაყივლებაზე ვდგებოდი და გვიან ღამემდე ცხრა პირი ოფლი გამდიოდა. სად მქონდა დრო, დავმჯდარიყავი და ცოტა წამეოცნება. ასე რომ, თვრამეტი წლის ასაკში, როცა საცეკვაო მოედნებზე ერთი ყმაწვილკაცი გამეფარცქვალა და საცვალში ხელი ჩამიყო, დიდხანს არც მიფიქრია, იქვე მივეცი, თავის დაფეხვილ მანქანაში. სახლიდანაც წამოვედი და ბავშვთან ერთად საცხოვრებლად მასთან გადავბარგდი. ჩემი არჩევანი იმ კაცზე იმიტომ შევაჩერე, რომ მამაჩემს ჰგავდა ძალიან, ანუ მასავით ბუჩქებად ამოსდიოდა ყველგან თმა. მამაჩემს მუშაობა კი არ ეზარებოდა, დღე და ღამეს ასწორებდა და ოჯახში ლუკმაპური შემოჰქონდა. ჩემი კაცი კი უქნარა და არაფრის მაქნისი გამოდგა. თითის განძრევაც კი არ უნდოდა. ამიტომაც აუბიბინდა ბალანი ლამის ხელისგულებზეც კი. შიმშილით კუჭი გვიხმებოდა და ისევ მე მომინია ერთი ადგილის განძრევა — დამლაგებლად დავიწყე მუშაობა. უნდა მერჩინა უსაქმური ქმარი და ორი ქალიშვილი. ჩვენს ფაბრიკას მხოლოდ გოგონები გამოსდიოდა. და რა მივიღე სამაგიეროდ იმ ვაჟბატონისგან? თქვენ წარმოიდგინეთ, არც არაფერი. განა მომეფერებოდა ან გამკუზავდა კვირაში ერთხელ მაინც. არა, რას ამბობთ. უკვე ამასაც იზარებდა. არადა, კაცმა ქალი თუ არ გაჟიმა, ნაჩქარევად მაინც, როგორ გინდა ქალმა თავი ქალად იგრძნოს?

პრეზიდენტი: გემუდარებით, მოკლედ რა!

მარი: არ ვიცი მე შემოკლება. ხომ აგიხსენით?

პრეზიდენტი: ჩვენ დასასრული გვაინტერესებს და არა დასაწყისი.

მარი: ჩემს ცხოვრებაში ისეთი არაფერი მომხდარა, რომ მოყოლად ღირდეს. ამიტომ პირი თუ დავაღე, ვყვები ყველაფერს. თხოვნა არც იყო საჭირო. მოკლედ ვაგრძელებ. ერთ დღესაც ჩემმა ბედოვლათმა მითხრა, მაღაზიაში გავალ, სიგარეტს ვიყიდიო. წავიდა და წავიდააა, ის დღე იყო და მას მერე მისთვის თვალი არ მომიკრავს. სინამდვილეში, შეიძლება, ჩემთვის ასე ბევრად ჯობდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, ამის გამო პირმშვენიერი და ცისფერთვალება გავხდი-მეთქი. გადიოდა დრო. ქალიშვილები წამომეზარდნენ. არ ვიცი, ვის დაემსგავსნენ. ავხორცობაში, ალბათ, უფრო ბაბუას. ისეთი ახურებულები იყვნენ, მტრისას! სულ ცეცხლი ეკიდათ ერთ ადგილას. კაცებს უფრო ხშირად იცვლიდნენ, ვიდრე საცვლებს. მოკლედ, ძალიან კი გავწამდი, ვიდრე შიბლა ხელიდან არ გავაგდებინე ორივეს და პატრონს არ ჩავაბარე. მეც სულ ერთი თვეა, დაჩქარებული წესით პენსიაზე გავედი. მთელი ცხოვრება ვპირდებოდი საკუთარ თავს, რომ ბოლო დღეს პატრონს პირში მივახლიდი, რა მძღნერიც იყო. სულ სხვა რამ კი მოხდა. ბოლო დღეა. ვაგროვებ ჩემს ბარგი-ბარხანას, ცოცხებსა და აქანდაზებს და უეცრად ვიგრძენი, რომ მთელი სხეული დამიმძიმდა, ამივარდა კანკალი, დამასხა ცივმა ოფლმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ უცხო სახლში — ჩემთან მაინც მომსვლოდა! — პირდაპირ სალონში, ხალიჩაზე მოვადინე ზღართანი. საავადმყოფოში ჩემდამი ყველა გასაოცარ თავაზიანობასა და გულისხმიერებას იჩენდა. ვერც კი წარმომედგინა, ამ დაწესებულებაში ასე კარგად თუ ვიგრძნობდი თავს. ნამდვილი სამოთხე იყო რა! ყველაფერი პრიალებდა და კრიალებდა. ყველაფერი თეთრად ქათქათებდა და, რაც მთავარია, მე კი არ მიხდებოდა რეცხვა და ხეხვა, არამედ სხვებს. გეახლებოდით დღეში სამჯერ. ახალგაზრდა ექიმები თვალებში შემომციცინებდნენ და მიღიმოდნენ. ვფიქრობ, ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები საავადმყოფოში გავატარე. მითხრეს, თქვენი ასაკის ქალისთვის ნამეტანი დაღლილი და გაცვეთილი გული გაქვთო. აქედან რომ გაგწერთ, თქვენთვის სანატორიუმში დასვენება უპრიანი იქნებაო. მოკლედ, ფერონიერის ძველ, შუაგულ პარკში წამოჭიმულ ციხე-კოშკში გამამწესეს. ვერც კი წარმოიდგენთ, რა თავაზიანად მეპყრობოდნენ. სულ კუდში დამდევდნენ. ქალბატონოთი მომმართავდნენ. მეკითხებოდნენ, რა გნებავთ, რითი გასიამოვნოთო. თავი ნამდვილი პრინცესა მეგონა. მებაღეს ყოველ ცისმარე დილას ჩემთვის ერთი ულამაზესი ვარდი მოჰქონდა. თან ისეთი რევერანსი იცოდა, ვერ გადარჩებოდით. ისე აიზნიქავდა საჯდომს, უხერხულობისგან სახეზე სულ ალმური გადამდიოდა. გუშინ მთავარ კიბეზე ჩავდიოდი. მარჯვენა ხელით სახელურს ვიყავი ჩაფრენილი. ჩემს თავს ვეუბნებო-

დი, რა კარგად ვგრძნობ აქ თავს-მეთქი. ბოლოს და ბოლოს დამიდგა დრო ვიფიქრო იმაზე, რისი დროც ადრე არ მომეცა მეთქი — ცხოვრებაზე, სიკვდილზე, ღმერთზე, მოკლედ, მსგავს რაღაცეებზე. უეცრად ისეთი განცდა დამეუფლა, რომ თვალები ამეხილა, ფილტვები გამეწმინდა და გამებერა, რომ ახალი ცხოვრება დაიწყო. ჩემს გარშემო ყველაფერი ძაგძაგებდა, თითქოს მესმოდა, თუ როგორ სუნთქავდა ირგვლივ ყველაფერი. მაშინ თავში გამიელვა: ალბათ ეს არის ის, რასაც ბედნიერებას უწოდებენ, და ბრახ!

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ბრახ?

ᲛᲐᲠᲘ: შეტევა განმეორდა.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მერე რა მოხდა?

ᲛᲐᲠᲘ: აგერ აღმოვჩნდი.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ეს რა კლინიკაა? ეს სასტუმრო არ არის?

ᲛᲐᲒᲘ: მოითმინეთ, მოითმინეთ! ახლა თქვენი რიგია, პრეზიდენტო.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: გპირდებით, სიტყვა არ გამიგრძელდება. ძალიან ვეცდები მოკლედ მოვჭრა. ჩემი ბოლო მოგონება აქ წამოსვლამდე გუშინწინდელით თარიღდება. როგორც ყოველთვის, სახლიდან გავდიოდი, ზუსტად რვა საათზე კარიბჭე შევაღე და დავინახე ველოსიპედისტი, რომელიც ტროტუარზე მიქროდა. რა თქმა უნდა, სრულიად ყრმა გახლდათ, თავის სასაცილო ზარს დააჭირა. ჩემთვის გავიფიქრე: „ეს პატარა კრეტინი უნდა გაჩერდეს. არა აქვს ტროტუარზე ველოსიპედის ტარების უფლება.” კიდევ ორი ნაბიჯი გადავდგი. ავყირავდი, გრძელ სკამზე დავეხეთქე და ვიგრძენი, რომ თავი ქვის კუთხეს მივარტყი. აი ასე!

ᲛᲐᲒᲘ: მარცხენა მხრიდან მოქროდა?

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: რა თქმა უნდა.

ᲛᲐᲒᲘ: გამოდის, რომ თქვენ საგზაო წესების მსხვერპლი ხართ?

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: მე კანონმორჩილი ვარ. ყველა კანონს ყოველთვის პატიოსნად ვიცავდი. აი, ის პედლებიანი დეგენერატი კი გადავიდა კანონს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ *(ᲛᲐᲒᲘᲡ)*: და თქვენ?

ᲛᲐᲒᲘ: დიაბეტური კომა.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: სად არიან ექიმები? სად არიან მედდები? რატომ არ არის ჩვენი ნომრები სამედიცინო-სამკურნალო დანადგარებით აღჭურვილი?

ᲛᲐᲒᲘ: ჩვენ საავადმყოფოში კი არ ვიმყოფებით.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ნუ გადამრევთ ახლა. ჩვენ რა, სასწრაფო დახმარების განყოფილებაში არ ვართ?

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: არა, ბატონო.

ᲛᲐᲒᲘ: დაფიქრდით.

ᲛᲐᲠᲘ: თქვენ რომელ დერეფანში მოხვდით, „A”-ში თუ „V”-ში?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: იმაში.

ᲛᲐᲒᲘ: დერეფან „V”-ში? მაშინ თქვენ ავარიაში არ მოყოლილხართ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: რა თქმა უნდა. რა ავარია, რის ავარია. თავიდანვე არ გითხარით, ავარიაში არ მოვყოლილვარ მეთქი? *(ᲩᲐᲤᲘᲥᲠᲓᲔᲑᲐ)* რას ნიშნავს დერეფანი „V”? და რატომ დერეფანი „V” და არა „C”?

ᲛᲐᲒᲘ: თქვენ უეჭველად შეხვდებით დოქტორ S...-ს...

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: თქვენ მეუბნებით, რომ ეს საავადმყოფო არ არის, მაგრამ რამდენადაც ვხვდები, აქ არის დოქტორი.

ᲛᲐᲠᲘ: S... დოქტორი S...

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მე ახლავე მინდა მისი ნახვა.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ: ოოო, ჩემო ძვირფასო, დოქტორ S...-თან შეხვედრა, აი, ასე უბრალოდ და მარტივად, შეუძლებელია.

ᲛᲐᲒᲘ: ის კი არა, საკმარისია ისურვოთ, რომ ვეღარ შეძლოთ.

ᲛᲐᲠᲘ: დარწმუნებული ხართ, რომ განგებ არ დაეჯახეთ იმ ჭადარს?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: რა ჭადარს? ვერ გამიგია, რაზე ლაპარაკობთ.

ᲛᲐᲒᲘ: მართლა არ გესმით? მას შემდეგ, რაც იმდენი მოგიყევით, მაინც არ გესმით? კომა... გულის შეტევა... ავარია... ჩვენს ბოლო მოგონებებს ვერანაირად უკავშირებთ ერთმანეთს?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ *(ᲓᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲘᲗ ᲘᲧᲣᲠᲔᲑᲐ)*: თქვენ გინდათ მითხრათ, რომ...

ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲐᲜᲢᲣᲠᲘᲗ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲛᲐᲒᲘ: ჩვენი ბოლო მოგონებები, სამწუხაროდ... ბოლო მოგონებებია.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ *(ᲕᲔᲠ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲐᲕᲡ ᲮᲛᲐᲛᲐᲦᲚᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ)*: ეს აქ მოხდა? ჩვენ რა, ყველანი... მკვდრები ვართ?

ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘ ᲘᲪᲘᲜᲘᲐᲜ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ *(ᲧᲕᲘᲠᲘᲡ)*: მკვდარი! მე მკვდარი ვარ! ***(ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ. ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲛᲮᲠᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲐᲤᲠᲘᲜᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲯᲦᲠᲔᲕᲡ)*** მიპასუხეთ, ღმერთმაც დაწყევლოს, მე მკვდარი ვარ და თქვენ ეს გაცინებთ?

ᲛᲐᲒᲘ: შევნიშნავ, რომ თუ თქვენ მკვდარი ხართ, არც ჩვენ მოვიაზრებით ცოცხლებს შორის.

ᲡᲐᲛᲜᲘ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲘᲤᲮᲠᲘᲬᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მე გიჟებთან აღმოვჩნდი. ერთი ზედმეტი წამიც კი არ დავრჩები აქ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲝᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲘᲪᲘᲜᲘᲡ. ᲒᲐᲪᲝᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲚᲘᲤᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ.

ᲛᲐᲠᲘ: ახლა ყველაფერს მუსრს გაავლებს, ქვას ქვაზე აღარ დატოვებს.

ᲪᲘᲔᲑ-ᲪᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲚᲘᲤᲢᲘᲡ ᲦᲘᲚᲐᲙᲡ ᲔᲫᲔᲑᲡ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მინდა აქედან გავიდე.

ᲛᲐᲒᲘ: ამ ლიფტს ვერ გამოიძახებთ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ *(ᲒᲐᲪᲝᲤᲔᲑᲣᲚᲘ)*: მშვენიერია, სათადარიგო კიბით ვისარგებლებ.

ᲛᲐᲒᲘ: შენობას მსგავსი კიბე უბრალოდ არ გააჩნია.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: თქვენ დასაბმელი გიჟები ხართ. უნდა გამოგკეტოთ კაცმა. აი, მაშინ ნახავდით, რა დღეც დაგადგებოდათ.

ᲛᲐᲒᲘ *(ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ)*: ამაზე უკვე იზრუნეს.

ᲛᲝᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔᲔᲑᲡ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲛᲐ ᲢᲐᲚᲦᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲣᲐᲠᲐ. ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲥᲐᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲠᲘ: გასვენებაზე, არ ვიცი, რა მეტაკება ხოლმე, ვერაფრით ვიკავებ სიცილს.

ᲓᲣᲟᲛᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲩᲐᲘᲠᲑᲔᲜᲡ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მე ვიპოვი გასასვლელს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲘ *(ᲛᲮᲠᲔᲑᲡ ᲘᲩᲔᲩᲐᲕᲡ)*: სინჯოს, რა გენაღვლებათ.

ᲛᲐᲠᲘ: ბუნებრივია, რომ ვერ იჯერებს. მას არ უნახავს თავისი წასვლა...

ᲛᲐᲒᲘ: პირველ ღამეს ჩემი ოთახის ქვემოთ გვირაბის გათხრაც კი ვცადე.

ᲝᲤᲚᲘᲐᲜᲘ ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲥᲚᲝᲨᲘᲜᲘᲗ ᲰᲝᲚᲨᲘ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ეს ნამდვილი უმსგავსობაა. შენობას ერთი გასასვლელიც კი არ გააჩნია. ფანჯრებში ყველგან გაუმჭვირვალე მინები ჩაუსვამთ. აბა, თუ კარგი ბიჭები ხართ, სცადეთ და გააღეთ! თუ ახლავე არ მაჩვენებთ გასასვლელს, ჩავამტვრევ მინას და გადავხტები.

ᲛᲐᲒᲘ *(ᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲢᲠᲘᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲡ)*: რა თქმა უნდა.

ᲛᲐᲠᲘ: ხომ გაგაფრთხილეთ, ყველაფერს დალეწავს-მეთქი.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲐᲜᲨᲘ ᲥᲠᲔᲑᲐ. ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ. ᲘᲡᲛᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲮᲔᲗᲥᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲔᲯᲘᲡ ᲮᲛᲐ.

ᲛᲐᲠᲘ: ვერ ვიტან, როცა რაღაცას ამსხვრევენ. პირდაპირ გული მიკვდება. საწყალი ავეჯი, რომელსაც არაფერი დაუშავებია.

ᲛᲐᲒᲘ: რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას?

ᲛᲐᲠᲘ: ეს, ალბათ, ჩემი პროფესიული გადახრების ბრალია. ჩემი პროფესიის ადამიანები ისე ეჩვევიან შინ მარტო დარჩენას, იმდენ დროს უთმობენ საგნებს, რომ ხშირად ელაპარაკებიან კიდევაც მათ. როცა ვერცხლეულს ვაპრიალებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მისი დილის ტუალეტით ვარ დაკავებული და გამოპრანჭვაში ვეხმარები. როცა მაგიდას ვსანთლავ, თითქოსდა ხელიდან ვაჭმევ, როცა რამე შემომატყდე-

ბა ხელში, ისეთი განცდა მეუფლება, რომ ადამიანს მივაყენე ტკივილი და ბოდიშის მოხდის სურვილი მიჩნდება. ვკრეფ ნამსხვრევებს და ვიდრე ნაგვის ყუთში გადავუძახებ, რაღაც გაურკვეველს ვდუდღუნებ, თავი დამნაშავე მგონია.

შემოიჭრება დაღლილ-დაქანცული, თმაგაბურძგნული ჟულიენი. მაგი მისკენ გარბის, რათა სოლიდარობა გამოუცხადოს.

ჟულიენი: სრული უაზრობაა. წარმოუდგენელი რამ ხდება. რამდენი ვურახუნე ფანჯრებს. წარმოიდგინეთ, მინა არ ჩაიმტვრა. გამაგებინეთ, ციხეში ამოვყავი თავი თუ სად? ადგილი არარეალურია!

მაგი: აქ თქვენი ნებით არ მოსულხართ და თქვენი ნებითვე, ცხადია, ვერც გახვალთ აქედან.

ჟულიენი მოულოდნელად საშინელ სისუსტეს იგრძნობს. მაგი მისკენ გაქანდება, რათა მხარი შეაშველოს.

მაგი: წამობრძანდით...

ჟულიენი ***(გაფითრებული)***: ეს შეუძლებელია. ეს არ არის სიმართლე. მე არ ვარ მკვდარი. მე არ ვარ მკვდარი...

მარი: მგონი გონება გაეხსნა და რეალობის აღქმას იწყებს, ნელ-ნელა ხვდება ყველაფერს.

ისინი ჟულიენს შუაში ჩაისვამენ.

ჟულიენი ***(კანკალებს)***: მე ხომ ცოცხალი ვარ? მე ხომ ნამდვილად ცოცხალი ვარ?

მაგი: ოო, თქვენ ბევრად უცნაური რამეები გადაგხდომიათ თავს. სიზმრებშიც ხომ ცოცხალი ხართ, არა? გრძნობთ საკუთარ სხეულს, ბანაობთ ლაჟვარდოვან წყალში, ამ დროს კი სრულიად შიშველი წევხართ საკუთარ ლოგინში.

ჟულიენი ***(სხეულს ხელით ისინჯავს)***: მე ვცოცხლობ...

მაგი: იმის დასამტკიცებლად, რომ ნამდვილად ცოცხალი ხართ, ჯერ თქვენი მოკვლა გახდება აუცილებელი. დიახ, დიახ, თუ ამას მოახერხებთ, მაშინ გამოდის, რომ მანამდე ცოცხლობდით. თუ არაფერი გამოგივიდათ, მაშინ ეს შეიძლება ორ რამეს ნიშნავდეს! — ან უკვე მკვდარი ხართ, ან უკვდავი ბრძანდებით.

ჟულიენი: ახლა გავგიჟდები.

მაგი: ესეც ერთგვარი გამოსავალია.

პრეზიდენტი ***(ირონიულად)***: ეს გამოსავალია.

მოულოდნელად თეთრებში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი და კაცი ოთახში შემოდიან. იქმნება შთაბეჭდილება, რომ უკან მეტად მნიშვნელოვანი პიროვნება მოჰყვებათ.

მაგი: აჰ, დოქტორი შ... სულ მალე გამოგვეცხადება.

პრეზიდენტი ***(წელში იმართება)***: მე შეხვედრა მაქვს დანიშნული.

ახალგაზრდები დაჟინებული მზერით ათვალიერებენ მაგის, მარისა და პრეზიდენტს. მათ ეჩვენებათ, რომ რაღაც ესმით.

მარი ***(ასევე იმედგაცრუებული)***: კეთილი.

პრეზიდენტი ***(შეშფოთებული)***: ვიდრე ეს ბატონი გამოცხადდებოდა, მე უკვე აქ ვიყავი! ***(აგრესიულად შეტრიალდება ჟულიენისკენ)*** და თქვენ საერთოდ რითი ხართ ცხოვრებაში დაკავებული?

ჟულიენი ***(უემოციოდ)***: სპორტული გაზეთის მთავარი რედაქტორი ვარ.

პრეზიდენტი: დიდი ვინმეც ყოფილხართ. ნუთუ არ გესმით, რომ სამი ფირმის პრეზიდენტი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პიროვნებაა, ვიდრე ერთი გაზეთის მთავარი რედაქტორი? არა, მართლა არ გესმით?

თეთრებში ჩაცმული მოსამსახურეები იხტიბარს არ იტეხენ. სასტუმროს სამი ხანდაზმული ბინადარი ფეხზე დგება. მაგი თავაზიანად ჟულიენისკენ გადაიხრება.

მაგი: დოქტორ S...-ს სწორედ რომ თქვენთან სურს გასაუბრება.

ჟულიენი: ვინ გითხრათ?

მაგი: რაფაელმა!

პრეზიდენტი: გაბრიელმა.

მარი: ემანუელმა.

ისინი ოთახს ტოვებენ. ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი მათ მიჰყვებიან. ჟულიენი ელოდება. შემოდის ქალი, მკაცრი გამომეტყველებით, მაგრამ ელეგანტური. იღლიაში საქაღალდეები ამოუჩრია, როგორც ექიმს განყოფილების შემოვლის შემდეგ.



მხატვარი აივენგო ჭელიძე

დოქტორი S...: ჟულიენ პორტალი?

ჟულიენი: ვინ?

დოქტორი S...: გამარჯობა, მე დოქტორი შ... გახლავართ.

ჟულიენი აშკარად გაკვირვებული ჩანს. დოქტორი შ... ისე შეჰღიმის, რომ ჟულიენი სიმშვიდეს დაიბრუნებს. დოქტორი ხელით მიანიშნებს, რომ შეუძლია დაჯდეს.

დოქტორი S... ***(თბილი ხმით)***: გეშინიათ?

ჟულიენი: ცოტა.

დოქტორი S...: მიხვდით, სად იმყოფებით?

ჟულიენი: მითხარით, რომ ეს მართალი არ არის!

დოქტორი S...: საათში ორასი კილომეტრი სიჩქარით მიქროდით, გზის სავალი ნაწილიდან გადახვედით და პირდაპირ ხეს შეასკდით.

ჟულიენი ***(უნდობლად)***: არაფერი მახსოვს.

დოქტორი S...: ბუნებრივია, თქვენ გეძინათ... ***(ქაღალდებში იქექება)*** მოითმინეთ, ახლავე ჩავიხედავ თქვენს დოსიეში.

ჟულიენი ***(თავისთვის)***: ხე... ესე იგი, ხეს შევასკდი და ამით ჩემი სიცოცხლე დასრულდა. მე მკვდარი ვარ... კიდევ კარგი, მარტო ვიყავი.

დოქტორი S... ***(მექანიკურად)***: ერთი ქულა თქვენს სასარგებლოდ.

ჟულიენი თითქოსდა პროსტრაციიდან გამოდის, ყურადღებით აკვირდება დოქტორ S-ს. თვალები აუციმციმდება, მასში ქალისადმი მამაკაცური ინტერესი გაიღვიძებს.

ჟულიენი: ასეთი ვერ წარმომედგინეთ.

დოქტორი S...: როგორი ასეთი?

ჟულიენი: ლამაზი.

ქალი გაიღიმებს და მერე ისევ დოსიეში ჩარგავს თავს.

დოქტორი S...: ორმოცი წლის. დაიბადა შეძლებულ ოჯახში. სწავლობდა კარგად. მძიმე ქირურგიული ოპერაციები არ გადაუტანია. არც მძიმე ავადმყოფობები.

ჟულიენი ***(ცინიკურად)***: მე ვარ ჯანმრთელი მიცვალებული.

დოქტორი S...: მოსინჯა ძალები სხვადასხვა პროფესიულ სარბიელზე. ცვლილებებისადმი მიდრეკილი. წელიწადში ერთი-ორჯერ მაინც იცვლის სამუშაო ადგილს. უცოლო.

ჟულიენი: და მაინც მღებულობთ?

დოქტორი S...: მე თქვენ არ განგსჯით. უბრალოდ, ჩემთვის ერთგვარი დასკვნა გამოვიტანე.

ქალი ფეხს ფეხზე გადაიდებს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(გაკვირვებული. მის მზერაში წადილი იკითხება)***: ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ჩემს სიკვდილს ასეთი ლამაზი ფეხები ექნებოდა.

დოქტორი S...: თქვენ რა, ჩემს მოჯადოებას ცდილობთ?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: და რას ვკარგავთ? ან რას ვიგებთ?

დოქტორი S...: ჩემთან ეს ნომერი არ გამოგივათ. მირჩევნია წინასწარ გაგაფრთხილოთ. ამას გარდა, თქვენს დოსიეში აღნიშნულია, რომ გიჟივით დასდევთ ქალებს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ნამდვილად. ძალიან სწრაფად დარბიან ეს ოხრები.

დოქტორი S...: თქვენ კიდევ ტოლს არ უდებდით. ჯერ უკან მისდევდით, მერე კი მათგან გარბოდით, როცა საწადელს ეწეოდით. თქვენ ყველას მიანებეთ თავი.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: განა დამნაშავე ხარ იმაში, თუ ძალიან სწრაფად ხვდები, რომ მოცემულ წყვილს მომავალი არ უწერია?

დოქტორი S... ***(ირონიულად)***: თქვენ ყველაფერში სწრაფი ხართ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: არასდროს შემხვედრია ქალი, რომელიც ერთგულს გამხდიდა.

დოქტორი S...: თითქოს ეს მხოლოდ ქალზე იყოს დამოკიდებული.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(გაღიზიანებული)***: მე ბევრს ვაჩუქე სიხარული და ბედნიერება, ბევრსაც ცხარე ცრემლები ვაღვრევინე, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. ქალების უმრავლესობას, რომელთაც მე ვხვდებოდი, სულაც არ სურდა სიყვარული, ისინი მხოლოდ სასიყვარულო თავგადასავლებს ეძებდნენ. ***(მოულოდნელად გაცოფებული დგება)*** და საერთოდ, რაზე ვსაუბრობთ ჩვენ ახლა? თქვენ ხომ არ დაიწყებთ ჩემს შეფასებას? ხომ არ ეცდებით დამარწმუნოთ, რომ ის ძველთაძველი ლეგენდა სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ ნამდვილად არსებობს? რომ სულები საშინელი სამსჯავროს წინაშე წარდგებიან და დამსახურებისამებრ განიკითხებიან? მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ განმსაჯოთ. მე მკვდარი ვარ! განა ეს საკმარისი არ არის?

დოქტორი S...: თქვენ ცდებით, ***(მშვიდად)*** ჯერ ერთი, მე დოქტორი S... ვარ. მეორეც — თქვენ არ ხართ მკვდარი.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(შეძრული)***: რა?

დოქტორი Ш...: რა თქმა უნდა.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(მოზეიმე იერით)***: არც ვიცოდი! ო ღმერთო! ***(უხილავ მტრებს მუშტებს ურტყამს, გეგონება რინგ ზეაო)*** მე ცოცხალი ვარ! ცოცხალი! ***(უეცრად თითქოსდა ოცი წლით გაახალგაზრდავდა)***.

დოქტორი S... ***(ინტერესით ადევნებს თვალყურს)***: მე ეს არ მითქვამს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: რა არ გითქვამთ?

დოქტორი S...: რომ თქვენ ცოცხალი ხართ.

(ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲩᲐᲘᲙᲔᲢᲔᲑᲐ, ᲐᲠᲐᲤᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲡᲣᲠᲡ.)

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ყური მიგდეთ. მე არც კი ვეცდები გავიგო, რასაც ყვებით. რახან ფეხზე ვდგავარ, შემიძლია წავიდე ?

დოქტორი S...: ეს თქვენზე არ არის დამოკიდებული.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: თქვენ განზრახული გაქვთ, ხელი შემიშალოთ?

დოქტორი S... ***(მშვიდად)***: და არც ჩემზე.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მომისმინეთ, დოქტორო Ш... თუ ვინც ხართ. მე არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი თქვენს კლინიკაში. შესაძლოა მე დამეძინა საჭესთან, შევეჯახე ხეს, ვიყავი უგონოდ, ვიდრე აქ მოგიყვანდნენ. ახლა სრულ წესრიგში ვარ, შესანიშნავად ვგრძნობ თავს და თქვენ კი საერთოდ აღარ მჭირდებით. ქედს ვიხრი თქვენს წინაშე. გმადლობთ. ნახვამდის. ***(ნერვიულად აჭერს თითს ლიფტის ღილაკს)*** და უთხარით ამ ლიფტს, ჩამოვიდეს.

დოქტორი S...: გნებავთ, ისევ თავიდან დაიწყოთ წრიალი? ლიფტი? კიბე, რომელიც ბუნებაში არ არსებობს? მინა, რომელიც არ იმსხვრევა?

დოქტორი S...-ის ხელის აქნევაზე ჩნდება ორი თანაშემწე. დგებიან დერეფნის თავში, რათა ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘᲡ გზა გადაუღობონ. დოქტორი S... ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘᲡ ხელით დამშვიდებისკენ მოუწოდებს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: სრული უაზრობაა! ვერაფერი გამიგია! ციხეში ვარ?

დოქტორი S...: თქვენ საფრთხე გემუქრებათ, ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ, თანაც ძალიან სერიოზული. ჩვენ უნდა დავილაპარაკოთ. თქვენ ყველაფერს გაიგებთ.

დოქტორი S...-ის ნიშანზე ასისტენტები ოთახის სიღრმისკენ გადაიწევენ. ისინი გაასრიალებენ კედლის ნაწილს და გამოჩნდება ერთგვარი საბორტო, მოციმციმე ტაბლო, რომელსაც პუბლიკა ვერ ხედავს.

დოქტორი S...: ერთი საათი ჯერ არც გასულა, რაც თქვენი მანქანა საათში ორასი კილომეტრი სიჩქარით ხეს შეასკდა. ამჯერად თავს შევიკავებ მანქანის კორპუსის დაწვრილებითი აღწერისგან, რომლითაც თქვენ ასე ამაყობდით. არც თქვენი ფიზიკური მდგომარეობის აღწერას ვისურვებდი.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: რას ამბობთ?

დოქტორი S... ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘᲡ ხელკავს გამოსდებს და მოციმციმე ტაბლოსკენ წაიყვანს.

დოქტორი S...: სასწრაფო დახმარების მანქანამ ახლახან მოგიყვანათ უგონო მდგომარეობაში დევარტის სახელობის საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებაში. სახე გასიებული გქონდათ, მუხლები და რამდენიმე ნეკნი — დამსხვრეული. მაღალკვალიფიცირებული ექიმების გუნდი ამ წუთებშიც ძალ-ღონეს არ იშურებს თქვენი სიცოცხლის გადასარჩენად. ვერ ვიტყვი, რომ დიდი ოპტიმიზმით გამოირჩევიან. ცდილობენ, ლამის აღარ ისუნთქონ. აკეთებენ, რაც კი შეუძლიათ.

დოქტორი S... ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘᲡ მოციმციმე ნათურებზე მიუთითებს. ინდიკატორები ხან მაღლა მიიწევენ, ხანაც დაბლა ეშვებიან.

დოქტორი S...: აქ მყოფ ყველა ქალსა და მამაკაცს იქ, დედამიწაზე, თავიანთი ცხოვრების გადამწყვეტი წუთები დაუდგათ. ექიმები, მედდები და ოჯახის წევრები თავს ერთი წამითაც კი არ აძლევენ მოდუნების საშუალებას. მათ ჭყიპავენ წამლებით, უკვე დაუყენეს ელექტროდები და წვეთოვანები. მათ მდგომარეობას თქვენ იქ კომას უწოდებთ, ანუ ისინი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფებიან, ანუ აქ.

დოქტორ S...-ს ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ სავარძლისკენ მიჰყავს. ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ მთვარეულს ემსგავსება.

დოქტორი S...: თქვენ აქ უნდა დაელოდოთ, ორი სამყაროს სასტუმროში; აქ თავისუფალი ხართ იმ ტკივილებისაგან, რომლისგანაც თქვენი სხეული იქ იტანჯება.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(თითქმის დარწმუნებული)***: მე თქვენი არ მჯერა, თქვენ გინდათ დამაბოლოთ, რომ ჩემი სხეული სადღაც სხვაგანაა?

დოქტორი S...: კოჭებში ტკივილებს გრძნობთ? ორი დღის წინ ფეხი გადაგიბრუნდათ, ისე დაგისივდათ კოჭები, სიარულიც აღარ შეგეძლოთ. ახლა გტკივათ?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ზედმეტი ძალისხმევის გარეშე ამოძრავებს ფეხებს.

დოქტორი Ш...: თვითონ ხედავთ. თქვენი ხორცისა და ნერვებისგან შემდგარი მოწყვლადი სხეული ამჟამად სარეანიმაციო განყოფილებაშია. აქ თქვენ უბრალოდ ელოდებით. ჩათვალეთ, რომ მოსაცდელში იმყოფებით.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: და რას ველოდები?

დოქტორი S...: აქ იცდით, ვიდრე თქვენი ბედი გადაწყდება. გიხსნიან, ლიფტი ისევ ჩაგიყვანთ ქვემოთ, დედამიწაზე, თუ რეანიმაცია წარუმატებელი აღმოჩნდება, ლიფტი ზემოთ აგიყვანთ.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ამ აღმოჩენას აღიქვამს, როგორც დარტყმას. დარეტიანებული ნელ-ნელა აქეთ-იქით ყურებას იწყებს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მაღლა?

დოქტორი S...: ვფიქრობ, დღეისთვის კმარა ინფორმაციები.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: სიკვდილი?

დოქტორი S...: რასაც თქვენ სიკვდილს ეძახით.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: მეტს არაფერს?

დოქტორი S...: ამ სიცოცხლის დასასრულს ***(პაუზა)*** ჩემი სამუშაო ისაა, რომ აუცილებელი ინფორმაცია მოგაწოდოთ, რათა დაუბრკოლებლად გადახვიდეთ.

ჟულიენი: ვინ არის თქვენი დამქირავებელი?

დოქტორი S... ხედავს, რომ „A" დერეფანში სიგნალი აციმციმდა. ემზადება გასასვლელად.

ჟულიენი: რას ნიშნავს დერეფანი „A", დერეფანი „V"?

დოქტორი S...: როგორ? თქვენ რა, ვერ მიხვდით? დერეფანი „A" იმათთვისაა, ვინც შემთხვევით იტანჯება ან ავარიაში მოყვა. დერეფანი „V" კი მოხალისეთათვის, ანუ თვითმკვლელებისთვის.

ჟულიენი: თქვენ ცდებით. თქვენ მე „V" დერეფანში გამამწესეთ. მე არ ვარ თვითმკვლელი. მე ავარია შემემთხვა!

დოქტორი S...: რას ბრძანებთ, მართლა?

ჟულიენი: მე განგებ კი არ შევასკდი ხეს!

დოქტორი S...: მართლა? ***(დაჟინებით)*** მესიე პორტალ, თქვენ ეს-ესაა ალკოჰოლი აღმოგაჩნდათ სისხლში. ამას გარდა დადგინდა, რომ უკვე წლებია, რაც სასმელს ეტანებით. თქვენ ასევე მოსინჯეთ სხვა ნარკოტიკებიც. თავიდან დაიწყეთ მსუბუქით, მოგვიანებით ძლიერებს მიეძალეთ, თანაც იშვიათებს, მაგრამ ალკოჰოლი ყველას ამჯობინეთ. მიიჩნევთ, რომ ის საკუთარი თავისგან გაქცევის საუკეთესო საშუალებაა. საქმეები ბოლო დროს ძალიან ცუდად წაგივიდათ, თქვენი გაზეთი სულს ღაფავდა, მაგრამ ყველაფერს მიაფურთხეთ. თქვენი საქციელი თანამშრომლების თვალში უკიდურესად გამომწვევი ჩანდა. რჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ ბოლო თვეების მანძილზე საბოლოოდ აიწყვიტეთ და უკანმოუხედავად მიექანებოდით დაღუპვისკენ. გაიგეთ, როცა დილით ხეს შემსკდარი გიპოვეს, უკვე გვარიანად გამობრუჟული იყავით. თან მანქანა ორასი კილომეტრი სიჩქარით ატარეთ. ექიმებმა დაასკვნეს, რომ ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა დიდი ხნის წინათ დაგეგმილი, კარგად მოფიქრებული თვითმკვლელობა.

ჟულიენი ***(მოსმენილისგან პირს დააფჩენს)***: დიდი ხნის წინათ დაგეგმილი თვითმკვლელობა? ეს ჩემზეა ლაპარაკი?

დოქტორი S...: დიახ. ალკოჰოლი მშიშარა ადამიანების თვითმკვლელობაა. ***(წყვეტს საუბარს)*** ახლა გთხოვთ, მომიტევოთ, თქვენ გარდა, უამრავი სხვა პაციენტი მყავს.

დოქტორი S... გადის.

ჟულიენი ჯდება. გაგონილისგან ენა მუცელში აქვს ჩავარდნილი. სრულ შოკშია.

მაგი ოთახში შემოიხედავს, თავზე აღმოსავლური დოლბანდი (ჩალმა) შემოუხვევია და ზედ მთვარის ქვა მიუმაგრებია. დარწმუნდა რა, რომ ჟულიენი მარტოა, უახლოვდება მას და თავის ბარათს გაუწოდებს.

მაგი: „მაგი რაჯაპური — ნათელმხილველი ყველა სფეროში; წინასწარმეტყველება დაკვეთით; ასტროლოგია; ურთიერთობა წინაპრებთან; მბრუნავი მაგიდები; მკითხაობა ქათმის ნაწლავებზე; ტრანსცენდენტური მედიტაცია", მაგი რაჯაპური — ახლო და შუა აღმოსავლეთის უძველესი მეცნიერებანი. ***(პაუზა)*** ისე ჩემი ნამდვილი სახელი მარსელია, მარსელ პელუსა. დავიბადე პარიზში, რესპუბლიკის მოედნის მახლობლად ფიიდუ-კალვერის ქუჩაზე. როგორ ცდებიან ხოლმე ზოგჯერ ქრომოსომები და ჩანასახის უჯრედები, ის პაწაწინა ჭკვიანი უჯრედები. ***(პაუზა)*** გნებავთ მომავალი გიწინასწარმეტყველოთ?

ჟულიენი მალე გამოდის დათრგუნული მდგომარეობიდან. აგრესიულია.

ჟულიენი: თქვენ რა, დამცინით?

მაგი: ცოტას კი, მაგრამ მავანსა და მავანს ამის მეტი არაფერი უნდა. და თქვენ წარმოიდგინეთ, ამაში მიხდიან კიდევაც.

ჟულიენი: აქ უეჭველი არა!

მაგი: აქაც კი! ვერ წარმოიდგენთ, რამხელა თანხა მოვაქუჩე ნახევარი წლის განმავლობაში. ერთი პრობლემა მაქვს მხოლოდ, აღარ ვიცი ეს ფული რა თავში ვიხალო. მომავალი კი ისეთი ბუნდოვანი და გაურკვეველია. ყოველ შემთხვევაში მშვენივრად ვიქცევ თავს.

ჟულიენი კედელს მუშტებს ურტყამს.

ჟულიენი: ეს აღმაშფოთებელია.

მაგი ***(ფიქრობს, რომ ეს მისი მისამართით წარმოთქვა)***: კარგით რა, ექვსთვიანი კომა, წარმოგიდგენიათ, ეს რა არის? ყველაფერი მეპატიება!

ჟულიენი: ამ ადგილს ვგულისხმობდი! ეს მოლოდინი!

მაგი: დიდი ამბავი, ერთ ციხეს მეორე ჩაენაცვლა. აქ იქნება თუ სხვაგან, სიკვდილს ვერსაიდან გაექცევი. ვერც ფანჯრიდან ისკუპებ. არ იცი, საით გადის.

ჟულიენი ვერ ისვენებს. წრიალებს. გალიაში გამომწყვდეულ ცხოველს ემსგავსება.

მაგი: იქ, ქვემოთ ვიცოდით, რომ ერთ დღესაც მოვკვდებოდით, მაგრამ ლიანდაგებს ზურგს ვაქცევდით, აღარ გვსურდა მოახლოებული მატარებლის დანახვა, ვფიქრობდით, რომ არც მორიგი ჩამოივლიდა ჩვენს წასაყვანად. აქ კიდევ მკაცრი განრიგია ***(ჟულიენს ზურგზე წაუტყაპუნებს)*** და თქვენ წარმოიდგინეთ, მიმაჩნია, რომ აქ ბევრად უფრო სასიამოვნოა. დიახ, დიახ. დამიჯერეთ, ჩვენ გურმანები ვხდებით. ვსარგებლობთ მდგომარეობით. ახლა ყოველ წუთს, ყოველ წამს გემოს ვატან, როგორც კანფეტს. ვფცქვნი და პირს ვიტკბარუნებ.

ჟულიენი: როგორ შეიძლება აქ ადამიანი გაერთოს?

მაგი: საქმეც ეგაა. აქ კი არ ერთობიან, არამედ დრო გაჰყავთ; ჯერ ერთი, აქ აუარება ადამიანს ხვდები. თუ ბედმა გაგიღიმა და სარეანიმაციო განყოფილებაში უფრო დიდხანს მოგიწია დარჩენა ***(ჟულიენი შოკშია)***, აუცილებლად შეამჩნევ, რა მისვლა-მოსვლაა აქ გაჩაღებული. ყოველ ცისმარე დღეს მოდიან და მიდიან. მერე შეიძლება ცოტა ენა მოიქავო, როგორც ახლა ჩვენ, მაგალითად. მნიშვნელოვანს არაფერს ვამბობ, არც ჭკვიანურს. არც თქვენ, მაგრამ ყბედობთ რა. ეს იმას ნიშნავს, რომ ვარსებობ. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენც არსებობთ და ეს კიდევ იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შორის ადამიანური ურთიერთობები მყარდება. ეს ხომ არაჩვეულებრივია, არა?

ჟულიენი: და რისთვის? რაში გადგიათ ურთიერთობები იმ ადამიანებთან, რომლებსაც შესაძლოა ვერც ვერასდროს შეხვდეთ.

მაგი ***(თამაშობს განაწყენებულს)***: თუ მხოლოდ მარადიულთან გსურთ ურთიერთობა, მაშინ მიბრძანდით და მხოლოდ ქვებს, კლდეებსა და მთებს ელაპარაკეთ. ისე, ვეჭვობ, ისინი ისეთივე პრინციპული და პირუთვნელი იყვნენ, როგორიც თქვენ ხართ. მიდით და სცადეთ, აბა, თუ გაგცემენ ხმას.

ჟულიენი ***(ღიმილიანი)***: შეძრული ვარ.

მაგი ***(ბრუნდება)***: თვითონ ნახეთ, რაოდენ სახალისოა ზოგჯერ ცხოვრება... ოო მაპატიეთ! ***(ნათქვამს ასწორებს)*** რაოდენ სახალისოა ზოგჯერ კომა!

ჟულიენი ***(ამოიხვნეშს)***: დეპრესიაში ვარ. მუდამ დეპრესიაში ვარ.

მაგი: თქვენ უეჭველად განებივრებული ბავშვი იქნებოდით.

ჟულიენი: და რატომ ამბობთ ასე?

მაგი: იმიტომ ვამბობ, რომ ნამდვილად არ ხართ მახინჯი, არც ღარიბი ჩანხართ. თქვენ იმ ბავშვს მაგონებთ, რომელმაც სათამაშოების მთის წინ მოიწყინა.

ჟულიენი: გეზიზღებით?

მაგი: სულაც არა. სასიამოვნოა იმის შეტყობა, რომ მდიდრებსაც უჩნდებათ პრობლემები.

ჟულიენი: არც მიფიქრია, რომ თქვენთვის თავი შემეცოდებინა.

მაგი ***(თბილი ხმით)***: უმადობა, ჩემი აზრით, ყველაზე საშინელი სენია, დაიბადო მაძღარი, უკვე პირსავსე, სანამ დედის საშოდან გამოხვალ, გკოცნონ და გპროშტნონ ისე, რომ არც გითხოვია, ხარჯო ფული, რომელიც არ გიშოვია, ეს ყველაფერი ადამიანს მედეგსა და ბრძოლისუნარიანს ნამდვილად ვერ გახდის. ჩვენ, ანუ ვინც ნულიდან დავიწყეთ, ცხოვრების გემოს გვიჩენს იმის შეგრძნება, რომ სამყარო სავსეა მრავალ-

ფეროვანი საგნებით, რომელიც ჩვენ არასდროს გვქონია. ცხოვრებაც იმიტომ გვეჩვენება მშვენიერი და საამური, რომ ის ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება...

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(გაკვირვებული იღიმება)***: თქვენ მე გამიგეთ.

ᲛᲐᲒᲘ: სამაგიეროდ, ვერ მიხვდით, რომ თქვენთვისაც და ჩვენთვისაც, მაძღრებისთვისაც და მშივრებისთვისაც ცხოვრება შესაძლებლობებს სცილდება.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ვერ გავიგე.

ᲛᲐᲒᲘ: იმიტომ, რომ ეს ცხოვრება ჩვენ არ გვეკუთვნის.

მიუთითებს ზემოთა ლიფტზე.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(ნელა)***: ცხოვრება რომ დამსახურებისამებრ შემეფასებინა, საჭირო გახდა, ის ჩემთვის წაერთმიათ.

ᲛᲐᲒᲘ: სამოთხის პრობლემაც სწორედ ესაა. აბრა წარწერით „სამოთხე" ჩნდება იმ აბრის შემდეგ, რომელზეც აწერია „გასასვლელი".

ამ დროს ქარბუქივით შემოვარდება მარი.

ᲛᲐᲠᲘ ***(სასოწარკვეთილი)***: არა, ეს შეუძლებელია. თავში ტვინის მაგივრად ფუჩეჩი მიყრია. გუშინდელი დღიდან მოყოლებული საკუთარ თავს ვუჩიჩინებ, რომ დროა სერიოზულ და მნიშვნელოვან რამეებზე ვიფიქრო. ამის მაგივრად ჩემი ოთახის კედელზე ლაქას მივშტერებივარ. ვეცადე გამექრო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. არაფერი გამომდის. ნუთუ აქ ყველა ჩემსავით იდიოტია?

ᲛᲐᲒᲘ: სადავო საკითხია.

ᲛᲐᲠᲘ: მე მშვენივრად მომეხსენება, ჩემი თავის ქალა მეტისმეტად ვიწროა იმისთვის, რომ დიდი აზრები დაიტიოს. მაგრამ მაინც მერჩივნა, მთლად შტერი ვყოფილიყავი, თავის მაგივრად გოგრა მქონოდა და ამის შესახებ არაფერი მცოდნოდა. და მყავს ასეთი. ისეთი ცალტვინაა, ისეთი ცალტვინა, ვერც წარმოიდგენთ. ასეთები ვერც მეტყველებენ ხოლმე, მხოლოდ ჩალას ღეჭავენ, მაგრამ ის ბედოვლათი ლაპარაკობს, თან იმდენს, ვერ გააჩერებ. მერე ვერაფრით გააკვირვებ, ვერც დააოკებ.. ოჰ, ნეტავი მეც მაგისთანა ვიყო. მე ტვინი ზუსტად იმდენი მაქვს, რამდენიც საჭიროა, რომ თავი უხერხულად იგრძნო.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ისევ წრიალს იწყებს, გეგონება, გალიაში გამომწყვდეული მტაცებელი ცხოველიაო.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ყველანი ასეთები ვართ.

ᲛᲐᲠᲘ: არა მგონია, ყოველ შემთხვევაში, არა ისინი, ვისაც უსწავლია, ან ვინც ფიქრობს და აზროვნებს.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: თქვენი აზრით, მათ რამე განსაკუთრებული იციან?

ᲛᲐᲠᲘ: არ ვიცი, მაგრამ თუ რამე იციან, ნამდვილად იციან, და როცა არ იციან, იციან, რომ არ იციან. ჩემსავით კი არ ბორძიკობენ. ამქვეყნად ხელმეორედ მოსვლის შანსი რომ მომეცეს, ვიცი, ვინც ვიქნებოდი — ფილოსოფოსი. ***(ნოსტალგიით)*** „მარი მარტენი, პირველი კლასის ფილოსოფოსი".

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(აგრესიულად)***: ფილოსოფოსები არ კვდებიან თუ?

ᲛᲐᲠᲘ: კვდებიან, როგორ არ კვდებიან, მაგრამ ფილოსოფია ადამიანს ცხოვრებაში ეხმარება. ***(უახლოვდება ლიფტს)*** თქვენი აზრით, რა უნდა იყოს იქ, ზემოთ?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: არც არაფერი.

ᲛᲐᲠᲘ: ნამყოფი ხართ?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: არა.

ᲛᲐᲠᲘ: მაშინ რა იცით, რომ იქ არაფერია?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: იქ სიკვდილია. ასეთი ინფორმაცია თქვენთვის საკმარისი არ არის?

ᲛᲐᲠᲘ: არა. მე ჯერ არასდროს მოვმკვდარვარ. სიკვდილი ისეთი რამაა, რომლის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ყურით მოთრეულ რაღაცებს ყვებიან ხოლმე და ეს გასაგებიცაა. იქიდან ხომ ჯერ არავინ მობრუნებულა. ***(მაგს)*** აი, მაგალითად, თქვენ სულებს რომ იძახებდით და მაგიდებს ატრიალებდით, უეჭველად უნდა იცოდეთ საინტერესო რამეები. ისე, მართლა თუ გიყვებოდნენ რაღაც-რაღაცებს?

ᲛᲐᲒᲘ: რა თქმა უნდა.

ᲛᲐᲠᲘ: მაგალითად, რას?

ᲛᲐᲒᲘ ***(მოყირჭებული ადამიანის ხმით)***: ყვებოდნენ, რომ ვერ იტანდნენ თავიანთ დედამთილებს, რომ უყვარდათ საკუთარი მდივნები. წუწუნებდნენ, რომ ცხოვრება ვერ გამოუვიდათ. გამოთქვამდნენ სურვილს, რომ სიამოვნებით დაუბრუნდებოდნენ ისევ მუსიკის გაკვეთილებს და დაუკრავდნენ ფორტეპიანოზე. ზოგს ქსოვა მოენატრა. მოკლედ ყვებოდნენ ათასგვარ სისულელეს.

ᲛᲐᲠᲘ: სხვას არაფერს? სულ ეს იყო?

ᲛᲐᲒᲘ: სიკვდილისგან ადამიანი ბრძენი კი არ ხდება.

ᲛᲐᲠᲘ: მე კიდევ დარწმუნებული ვიყავი. ***(პაუზა)*** იმის შესახებ თუ ყვებოდნენ, რაც ზემოთ ხდება?

ᲛᲐᲒᲘ: არა.

ᲛᲐᲠᲘ: ბოლოს და ბოლოს ხომ გესაუბრებოდნენ? ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობდნენ. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ, რაღაც გაგებით, ისინი ცოცხლები იყვნენ, ანუ არ მომკვდარან.

ᲛᲐᲒᲘ: შესაძლოა...

ᲛᲐᲠᲘ: როგორ თუ შესაძლოა? გელაპარაკებოდნენ თუ არა?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ ***(უხეშად)***: მხოლოდ წარმოსახვაში.

ᲛᲐᲠᲘ: რასაკვირველია! მკვდრები მხოლოდ წარმოსახვაში მეტყველებენ.

ᲛᲐᲒᲘ: ჩემს წარმოსახვაში ზოგჯერ მართლა მესმოდა მათი ხმები. მათი ხმები მესმოდა სიზმრებშიც, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ამით ვერაფერს დავამტკიცებთ.

ᲛᲐᲠᲘ: ეეე... მაშინ გამოდის, რომ ნამდვილი მაგი არ ყოფილხართ.

ᲛᲐᲒᲘ ***(ღიმილით)***: ვინ იცის?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ გადაწყვეტს საუბარში ჩართვას, რათა შეწყვიტოს წრიალი.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: შეწყვიტეთ ხუმრობა. ყველამ გადასარევად ვიცით, როგორ მოხდება ყველაფერი. მარი, თქვენს მეხსიერებას თუ შემორჩა დაბადებამდელი მოგონებები?

ᲛᲐᲠᲘ: არა.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: თქვენი გარდაცვალების შემდეგაც იგივე მოხდება.

ᲛᲐᲠᲘ: ესე იგი, ჩემი მეხსიერება ცარიელი იქნება?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: სრულიად ცარიელი. არაფერი! აბსოლუტურად არაფერი. ეს იქნება სრული არარა.

ᲛᲐᲠᲘ: ერთი წუთით. ჩემს დაბადებასა და სიკვდილს შორის რაღაც მოხდა და ეს რაღაც ვიყავი მე. მე ვარსებობდი!

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: დიახ. შედგა მატჩი. მატჩი, რომელიც, წესით, არ უნდა შემდგარიყო, მაგრამ მაინც შედგა. ჩატარდა სრულიად იდიოტური, ფუჭი, უგვანო და უშედეგო მატჩი. ეს მატჩი შეცდომით ჩატარდა.

ᲛᲐᲠᲘ ***(უნდობლად)***: ამას ჩემი გულისთვის ამბობთ, თუ საერთოდ ასე ფიქრობთ?

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: ამას თქვენს გასაგონად ვამბობ. ვამბობ ჩემთვისაც. ეს ეხება მაგისაც და საერთოდ ყველას. კაცობრიობა — ეს ის პარტიაა, რომელიც ყოველთვის ცუდად მთავრდება. მე მასში მონაწილეობის უფლება არ მითხოვია.

ᲛᲐᲠᲘ: რა თქმა უნდა. თქვენ უკმაყოფილო ბრძანდებით, რადგან ფიქრობთ, რომ ზემოთ არაფერია.

ᲟᲣᲚᲘᲔᲜᲘ: რასაკვირველია, არარას იდეა რომ არ მაფრთხობდეს, შესაძლოა უფრო ჩავბღაუჭებოდი საგნებს... და ადამიანებს. როცა რომელიმე პროექტს ვიწყებდი, უმალ გამიელვებდა თავში: „რისთვის, რატომ ვფლანგავ საკუთარ დროს, იმისთვის, რომ მერე ყველაფერი ფერფლად გარდაიქმნას?" და როცა ქალი გაჰყვიროდა: „ყოველთვის მეყვარები", მე ისევ ფერფლზე მეფიქრებოდა.

ᲛᲐᲠᲘ: მაშინაც, როცა ჟიმავდით?

ᲛᲐᲒᲘ ***(შოკში)***: კარგით რა, მარი! როგორ შეიძლება!

ᲛᲐᲠᲘ: ოოჰ, კარგით ახლა. რა ვთქვი ამისთანა?! თქვენ რა, არ გაქვთ შეკითხვების დასმის სურვილი?

მაგი: როგორ არა, მაგრამ...

მარი ***(ჟულიენს)***: უპასუხეთ კითხვას, რომლის დასმა მაგის ვერ გაუბედავს, რამეთუ ზრდილი ადამიანია და როდესაც თქვენ...

მაგი: უუუ!

მარი: როდესაც თქვენ უუუუ, მაშინაც არა?

ჟულიენი ***(სიცილით)***: არა. სრულიადაც არა. ქალებთან თუ რამე გამომდიოდა, ეს — ყველაზე უკეთ.

მარი: რა თქმა უნდა. ეს ისეთი ხანმოკლეა, ეს უუუ.

მაგი: მარი ისევ?

მარი ***(ჟულიენს ზურგზე მიუტყაპუნებს)***: თქვენდა და მათდა საბედნიეროდ, კარგია, რომ არარა გავიწყდებოდათ.

ჟულიენი: მაშინაც კი, როცა ქუჩაში ჩემთვის მივაბიჯებდი, მე არ მჯეროდა რეალობის. ვხედავდი, თუ როგორ ჩამივლიდნენ პალტოები, შლიაპები, ფეხსაცმელები... ჩემს წარმოსახვაში ადამიანებს ვატყავებდი, ვაგლეჯდი ხორცს და ვხედავდი მათ ჩონჩხს. ვფიქრობდი, რომ ერთ დღესაც ყველაფერი გაქრებოდა. ჩემში ვგრძნობდი რაღაცას, ხელსა თუ რაღაც ამდაგვარს, რომელიც მაკავებდა და უკან მექაჩებოდა, ცხოვრებაში შესვლას მიშლიდა; სინამდვილეში ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ფიქრი სიკვდილზე. რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების გარანტია რომ მქონოდა, რა თქმა უნდა, შევიცვლებოდი...

მაგი: რა უცნაურია, იმის გაფიქრება, რომ სიცოცხლე ერთ მშვენიერ დღესაც დასრულდებოდა, ხელს გიშლიდათ მის შეფასებაში?

ჟულიენი ***(ორჭოფობს)***: დიახ.

მარი ***(თანაგრძნობით ჟულიენისადმი)***: ოოო, საწყალო, მესიო. სევდისმომგვრელია, როცა ყველგან ცდები. თქვენ მცდარი შეხედულება შეგექმნათ ცხოვრებაზე, რომელიც ასე თუ ისე იცოდით, სწორედ რომ სიკვდილის გამო, რომლისაც არაფერი გაგეგებოდათ. ასეა, ხომ?

მაგი ***(ეშმაკურად)***: ჩრდილმა მოიცვა სინათლე.

მარი ***(ასკვნის, თან ჟულიენს მხარზე უტყაპუნებს)***: ყველაფერი გასაგებია. თქვენ ყველგან იყავით, ყველაფერი ნახეთ ისე, რომ ადგილიდან არც დაძრულხართ. ერთგვარი გაგებით, თქვენც ისეთივე იდიოტი ხართ, როგორიც მე, იქნებ იქ, ზემოთ, როგორც ბავშვობაში გვასწავლიდნენ, მართლა ბაღია გაშენებული, სავსე ყვავილებითა და ნაირნაირი ხეებით. მე ძალიან მინდა, რომ იქ ბაღი იყოს... ყოველ შემთხვევაში, იქ მაინც არ მომიწევდა ცოცხითა და აქანდაზით სირბილი. ამაში დარწმუნებული ვარ!

ჟულიენი: გეყოფათ რა! იქ არაფერია! არაფერი! ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სიკვდილი — ეს დასასრულია.

მარი: მართლა? მაშინ, ჭკუის კოლოფო, ერთ შეკითხვაზე გამეცი პასუხი. ოდესმე თუ მოგსვლიათ თავში, რომ ერთ მშვენიერ დღეს აქ აღმოჩნდებოდით? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამის გაგებას ლამის საუკუნე მოანდომეთ, თქვენ ამის შესახებ დაგავიწყდათ ან თავი მოიკატუნეთ, რომ მეხსიერებიდან ამოგივარდათ.

ჟულიენი გარკვეული დროით დაბნეული ჩანს.

პრეზიდენტი ყვირილით შემოდის.

პრეზიდენტი: დარწმუნებული ვარ, რომ დოქტორმა შ...-მა ჩემს გარდა ყველა მიიღო.

მაგი: ძვირფასო პრეზიდენტო, ახალმოსულის გარდა, დოქტორ შ...-ს არავინ დალაპარაკებია. განა ასე არ იყო ყველასთვის? თანასწორობა, ბატონო პრეზიდენტო, თანასწორობა! ეს ნიშნავს, რომ აქ ყველას ერთნაირად ეპყრობიან. ნუ ფიქრობთ, რომ თქვენს წინააღმდეგ შეთქმულება მზადდება.

პრეზიდენტი მხრებს აიჩეჩავს და დაჯდება.

პრეზიდენტი: იძულებული გავხდი, ოთახი დამეტოვებინა. მე მათი საუბრების მოსმენა არ შემიძლია.

ჟულიენი: ვინ მათი?

პრეზიდენტი: ჩემი მეუღლისა და ვაჟების.

ჟულიენი ***(ძალიან გაკვირვებული)***: რა ბრძანეთ? ისინი აქ არიან? თქვენთან ერთად?

მაგი ***(უხსნის ჟულიენს)***: როცა პანსიონატის მობინადრეები თავიანთ ოთახებში ბრუნდებიან, მათ შეუძლიათ მოისმინონ, რასაც იქ, ქვემოთ, საავადმყოფოში, მათი საწოლების გარშემო ამბობენ. ამისთვის საკმარისია ყურზე ხელი მიიდოთ და მიაყურადოთ.

მარი: ძალიან გაგიმართლათ, რომ მთელი ოჯახი თქვენს გარშემო შეგროვდა.

პრეზიდენტი: კი, პირდაპირ გამიმართლა. ნეტავი გესმოდეთ, რასაც ჩემი ყური ისმენს.

მარი: რა ესმის ამისთანა თქვენს ყურებს?

პრეზიდენტი ***(ამბობს, როგორც წინასწარ მოცემულობას)***: ისინი მხოლოდ ფულზე ყბედობენ, სხვა სასაუბრო თემა არა აქვთ. ყველაფრის გაყიდვა უნდათ.

მარი: თქვენ მათ ქონებას უტოვებთ?

პრეზიდენტი ***(განაწყენებული)***: რა თქმა უნდა! მე თქვენ ვინ გგონივართ?

მარი ***(სიცილით)***: მე სასაფლაოზე ყველაზე მდიდართა შორის ნამდვილად არ მომიაზრებენ.

მაგი ***(ასევე სიცილით)***: არც მე.

მარი: წირვა გამოვუყვანე ყველაფერს.

მაგი: მე ყველაფერი ხახაში ჩავისხი. ***(იცინის)*** სავსე ქისის მშვიდად ყურება არასდროს შემეძლო. აუცილებლად. ***(უყურებს პრეზიდენტს)*** გამდიდრებისკენ მიდრეკილი არასდროს ვყოფილვარ. არც ბრჭყალები მქონია ბასრი.

პრეზიდენტი ***(აგრესიულად)***: და მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ არ ხართ პატიოსანი ადამიანი! ჩვეულებისამებრ უსინდისო ადამიანები მდიდრდებიან!

მაგი ***(ღიმილით)***: თქვენ ამის შესახებ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

პრეზიდენტი ***(განაწყენებული სახით)***: უკაცრავად?

მაგი: მე ვკითხულობ პრესას, ბატონო პრეზიდენტო დელბეკ. მე არ დამვიწყებია ის ცნობილი სკანდალი, ყალბ ფაქტურებთან და დელბეკის ანგარიშებთან დაკავშირებით.

პრეზიდენტი: ეს წმინდა წყლის ცილისწამებაა.

მაგი: მახსოვს ასევე დელბეკის მიერ გასაღების ბაზრების მიტაცებაც.

პრეზიდენტი: ეს პოლიტიკური ჭორებია. არავითარი სურვილი არ მაქვს, ბალაგანის ჯადოქრისგან ნოტაციები ვისმინო.

მაგი: რაც შემეხება მე, ჩემი უსინდისობა პირდაპირ აბრაზეა ამოტვიფრული; ჩემი პროფესია კანონიერი და უნაკლოა და, რაც მთავარია, სიკეთის მომტანი. ერთი წამით წარმოიდგინეთ, რომ მე დავაღე პირი და პირდაპირ სიმართლე გადმოვაფრქვიე: „არა, ქალბატონო, ვერ გიმკითხავებთ, იმიტომ, რომ კარტები თქვენს მომავალსა და ბედ-იღბალს არ მიჩვენებენ. ერთი რამ კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ: ასეთი სიფათით, თქვენ რომ გაქვთ, და იმ აგრესიულობით, რომლითაც ნებისმიერ ორ ფეხზე მოსიარულე მამაკაცს მიმართავთ, სიყვარულს, რომ გასკდეთ ნაკერავზე, ვერ ეღირსებით.” ახლა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა რეაქცია შეიძლება მსგავს გამოსვლას მოჰყვეს. კი ბატონო, კლიენტები მიხდიან, მაგრამ თუ იცით, რისთვის იცარიელებენ ქისას? იმისთვის, რომ მათ სიამოვნება მივანიჭო; მიხდიან იმისთვის, რომ ჩემი სალონის დატოვების შემდეგაც ჰქონდეთ სიცოცხლის გაგრძელების სურვილი; საღამოს შეხვდნენ იმედიანად, ხვალინდელ დღეს კი ენთუზიაზმით შეეგებონ. თუ ჩემზეა ლაპარაკი, ნამდვილად პატიოსანი და ალალმართალი ვარ, ბატონო პრეზიდენტო. და თუ შემთხვევით შემიპყრობდა წინათგრძნობა — და ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა, — რომ კლიენტს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა, მე ვდუმდი, საერთოდ აღარაფერს ვამბობდი. მე ვარ ნამუსიანობისა და კეთილსინდისიერების განსახიერება. ჩემგან განსხვავებით, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, რესპექტაბელურობის ნიღაბს ამოფარებული, ღმერთმა უწყის, რა ბინძურ საქმეებს ატრიალებთ და სხვის ხარჯზე მდიდრდებით.

პრეზიდენტი: წავედი ჩემს ოთახში. მირჩევნია, მივაყურადო და გავიგო, როგორ აპირებენ ჩემი ტვინგამორეცხილი ბიჭები ჩემი სიმწრით ნაშოვნი ფულების დახარჯვას.

პრეზიდენტი გადის.

ჟულიენი: რისი პრეზიდენტია ეს კაცი?

მაგი: ის პრეზიდენტი დაიბადა. ჯერ კიდევ ბავშვთა ბაგაში ატარებდა ბლეიზერს, მუქ ჰალსტუხსა და სათვალეს. ჯერ კიდევ ჩვილს თავზე თმა ორად ჰქონდა გაყოფილი, და თუ პირში მატყუარა არ ჰქონდა გაჩრილი, ჩხაოდა, პრეზიდენტი ვარ, პრეზიდენტი ვარო. თქვენ წარმოიდგინეთ, გადასარევად გამოსდიოდა ნომერი.

შემოდის დოქტორი S... თანაშემწეებთან ერთად. მარი მკლავში ჩააფრინდება და ემუდარება.

მარი: დოქტორო, მითხარით, ჩემზე რა ისმის ახალი?

დოქტორი S...: როცა გავიგებ, აუცილებლად შეგატყობინებთ, ქალბატონო მარტენ. ამ დროისთვის თქვენი მდგომარეობა... სტაბილურია. ცვლილებები არ აღბეჭდილა. ***(გადაჭრის ოთახს და მეორე დერეფნისკენ მიემართება)***. მაპატიეთ.

მარი: სტაბილურია და ცვლილებები არ აღბეჭდილა... ***(სასოება წართმეული სავარძელში ჩაეშვება)*** გამოდის, რომ ერთ ადგილას გავიჭედე და არც იქით მივდივარ და არც აქეთ. ფიცარი ვარ რა, დახუნძლული მილებითა და ხელსაწყოებით, ნელ ცეცხლზე ვიწვი, მოკლედ, სტაბილურად ცუდად ვარ.

მაგი ***(მხარზე ნაზად მოუთათუნებს)***: კარგი, გამხნევდით! შემომხედეთ, მე ექვსი თვეა აქ ვარ.

მარი ***(გულწრფელად)***: ამ მდგომარეობაში ნახევარი წელი ვერ გავძლებ. მირჩევნია გამომრთონ. ***(ბოდიშს უხდის მაგის უხეშობისთვის)***. ფუჭია ამდენხანს ლოდინი. მე ხომ საერთოდ არ შემიძლია ფიქრი და აზროვნება. თუ ხელები დაკავებული არ მაქვს, ვიღუპები. ხელი დაკავებულია, თავიც, ასე თუ ისე, დაკავებულია. როცა უსაქმურად ვარ, საშინელი შიში მიპყრობს.

ჟულიენი მარის მიუახლოვდება და, თითქმის მოფერებით, მის გვერდით ჯდება.

ჟულიენი: რატომ?

მარი: აბა რა ვიცი. დანაშაულის გრძნობა მეუფლება, საკუთარ თავს ვეკითხები: „განა მაქვს უფლება, ასე გულხელდაკრეფილი ვიჯდე?"

ჟულიენი: თქვენ არ გიყვართ საკუთარი თავი.

მარი: თქვენ იცნობთ ვინმეს, ვისაც საკუთარი თავი უყვარს?

ჟულიენი და მაგი პასუხის გაცემამდე გულწრფელად უსვამენ საკუთარ თავს იმავე კითხვას.

ჟულიენი: არა.

მაგი: არა.

ჟულიენი ***(პაუზა)***: დარწმუნებული ვარ, დიდი სიყვარული აჩუქეთ თქვენს ქალიშვილებს.

მარი: რასაკვირველია. ბუნებაა ჩვენი ასეთი. ისე თავისუფლად შევძლებდი მეტი სიყვარულის გაცემას, რა თქმა უნდა, ვინმეს რომ სჭირდებოდეს. ***(პაუზა)*** ასეთი ვარ საერთოდ. პატარებთან უფრო ადვილად ვპოულობ საერთო ენას, ვიდრე მოზრდილებთან. წარმოიდგინეთ, ეს პაწაწუნა ვარდისფერი ხორცის ნაჭერი, სულ რომ შემოგლიმის და თვალებში შემოგციცინებს, ლამის გადაყლაპო სიყვარულით... მე ყოველთვის ვიცი, რა უნდა ვუთხრა მათ, ვიცი, როგორ გავახარო ისინი, როგორ ვასიამოვნო და მოვეფერო, როგორ დავბურჯგნო და დავახრჩო კოცნით. დიდებთან კი არ ვიცი, რა ვაკეთო, ვიბნევი — ქვა ვარ, ქვა! მგონი ისინიც წამში ხვდებიან ამას...

ჟულიენი: რას?

მარი: მე რომ საინტერესო ქალი არ ვარ.

ცხვირსახოცით ცრემლებს შეიმშრალებს. მაგი და ჟულიენი თანაუგრძნობენ მის უბედურებას.

ჟულიენი ***(თბილი ხმით)***: და ვინ გითხრათ, რომ უინტერესო ქალი ბრძანდებით?

მარი: აბა რა ვიცი? არავინ! მაგრამ არც საწინააღმდეგო უთქვამს ვინმეს. მე ეს მაკლდა ყოველთვის — პატარა სითბო ვინმესგან. ვერ ვიტყვი, რომ კომპლიმენტებისთვის განვაწყობდი ადამიანებს.

ბრუნდება პრეზიდენტი. ხელში ტელეფონის წიგნაკი უჭირავს.

პრეზიდენტი: არა, არა და არა. აუცილებლად უნდა შევაჩერო ეს უმსგავსობა. მათ ყველაფრის გაყიდვა უნდათ.

ჟულიენი: რა მოხდა მერე?

პრეზიდენტი: ახლა არ არის გაყიდვებისთვის შესაფერისი მომენტი. ბაზარზე ძალიან დაბალი ფასებია. ბირჟაზე სრული სტაგნაციაა. მათ გამო უზარმაზარ ფულს დავკარგავ. ბანკს უნდა დავუკავშირდე. ***(მისაღების ღილაკს აჭერს)*** მე მოვითხოვ დოქტორ S...-თან დალაპარაკებას. გესმით ჩემი? კატეგორიულად მოვითხოვ.

ჟულიენი ***(მარის)***: ასეთი ამაღლებული ფიქრები, გსურდათ, თქვენც გქონოდათ?

მარი სიცილისგან ჩაბჟირდა.

პრეზიდენტი ***(აჭერს ღილაკს)***: მე არ მივცემ იმ პრეტენზიულ კრეტინებსა და სნობებს ჩემი კაპიტალის განიავების უფლებას მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქეფს. ამას გარდა, ვინ დამიმტკიცებს, რომ ისინი ნამდვილად ჩემი ვაჟიშვილები არიან?

მაგი: ისინი ძალიან, ძალიან იდიოტები არიან?

პრეზიდენტი: დიახ, ძალიან.

მაგი: მაშინ გარწმუნებთ, რომ ისინი თქვენი ჩასახულები არიან!

პრეზიდენტი ***(ნაწყენი)***: ვერ გავიგე?

პრეზიდენტს ცოფისგან სუნთქვა ეკვრის, საპასუხოს ვერაფერს პოულობს. ჯავრს ღილაკზე იყრის. აჭერს და აჭერს ისტერიულად.

შემოდის დოქტორი S... ასისტენტების თანხლებით. გადაჭრის ჰოლს. მობინადრეებს ზედაც არ შეხედავს.

პრეზიდენტი: აჰ, დოქტორი S...! ***(დოქტორი S... მის ცხვირწინ ჩაივლის)***. დოქტორო S... აი, ამ წუთას გიძახებდით.

დოქტორი S... ***(არც კი შემობრუნდება)***: მე არ მიძახებენ, ბატონო.

პრეზიდენტი: მაგრამ მე მოვითხოვ...

დოქტორი S... ***(მისი ტონი შეპასუხებას გამორიცხავს)***: თქვენ ვერაფერსაც ვერ მოითხოვთ. დაგელაპარაკებით, როცა ამის საჭიროება დღის წესრიგში დადგება.

პრეზიდენტი, რომელსაც ეს-ესაა ხმა ჩააკმენდინეს, გაირინდება. დოქტორი S... ოთახიდან გადის.

მობინადრეებს უხარიათ, რომ პრეზიდენტი ადგილზე მოსვეს.

მაგი ხმადაბლა გადაულაპარაკებს ჟულიენს. მათ შორის ერთგვარი თანამოაზრეობა იბადება.

მაგი: მე თქვენს ადგილას პრეზიდენტს გამოვკითხავდი. ყველაფერს აგიხსნით, თანაც არგუმენტირებულად. სხვანაირად რომ ვთქვათ, მაგარი კრეტინია, მაგრამ ამომწურავი პასუხის გაცემა შეუძლია.

ჟულიენი: პრეზიდენტო, ხომ არ შემოგვიერთდებოდით? ***(პრეზიდენტი ზრდილობის გულისთვის მათ შეუერთდება)***. იქნებ თქვენ გაგვარკვიოთ რაღაც-რაღაცებში. აი, მაგალითად, ტვინს ვიჭყლეტთ რა გადაგვხვდება თავს სიკვდილის შემდეგ. ***(ჩანს, რომ ჟულიენსა და მაგის თავშესაქცევად პრეზიდენტის გაპამპულავება გადაუწყვეტიათ)***

პრეზიდენტი: თქვენ რა, რელიგიური აღზრდა-განათლება არ მიგიღიათ? გამოდის, რომ არც არაფერი გისწავლიათ?

ჟულიენი: არაფერი დედამიწის ზურგზე.

პრეზიდენტი: თქვენ ზეცაში ამაღლდებით და იქ დამსახურებისდა მიხედვით განისჯებით. ამას პატარა ბავშვიც კი გეტყვით. ყოველ შემთხვევაში, ჩემმა შვილიშვილებმა ეს იციან.

ჟულიენი: თქვენ არ გეშინიათ ამ მომენტის?

პრეზიდენტი: მე უკვე მოვემზადე ამისთვის.

ჟულიენი: თქვენი სინდის-ნამუსი შეუბღალავია?

პრეზიდენტი: რასაკვირველია.

მაგი: ბატონო პრეზიდენტო, ნუთუ გავიწყდებათ, რომ განკითხვის დღეც დადგება და თქვენს ფინანსურ მაქინაციებზე აუცილებლად მოგიწევთ თავისმართლება?

პრეზიდენტი: რომ მომეკითხოს, ჯერ უნდა დამიმტკიცდეს.

მაგი: ყური მიგდეთ, ვეჭვობ, რომ იქ, მაღლა, შვეიცარიისა და ლუქსემბურგის ბანკებში გადარიცხული თანხები გაუმჟღავნებული დარჩეს. ჰა, რას იტყვით? ორმოცწლიანი კონტრაბანდისა და ყალბი ანგარიშების შესახებ?

პრეზიდენტი: პატარ-პატარა ცოდვები არ ითვლება.

ჟულიენი *(ირონიულად)*: თვითონვე მიუტევეთ, არა, საკუთარ თავს?

მაგი *(ირონიულად)*: სინდისი დაუშლის თუ რა? რა თქმა უნდა, მიუტევებს.

პრეზიდენტი *(მაღლა აიხედავს)*: ის მომიტევებს.

მაგი: ეს წარმოუდგენელია. მე დიდხანს მჯეროდა, რომ ადამიანები, რომლებიც ეკლესიაში აღსარებაზე დარბიან, მაღალი შეგნებითა და მორალური პრინციპებით გამოირჩევიან. თურმე როგორ მწარედ ვცდებოდი. ბევრისთვის მონანიება გულისრევის ტოლფასია. ამოარწყევ და თავისუფალი ხარ. წავიდა თავიდან!

გაისმის მჭახე ზარი. ჟულიენის გარდა ყველა დაფრთხება.

ჟულიენი: რა ხდება?

შემოვარდება დოქტორი S..., გადაჭრის ჰოლს და შეამჩნევს, რომ უხილავ ტაბლოზე წითელი სიგნალი ციმციმებს.

მაგი: ერთ-ერთს მალე მოუწევს აქედან წასვლა.

ჟულიენი: საკითხავია საით, ზემოთ თუ ქვემოთ?

მაგი: ამას მხოლოდ ბოლო მომენტში გავიგებთ, ლიფტში.

დოქტორი S... მობინადრეებისკენ შემოტრიალდება.

დოქტორი S...: შეგიძლიათ მარტო დამტოვოთ?

ყველა შვებით ამოისუნთქავს. ზარი ძლიერდება და უფრო და უფრო საგანგაშო ხდება.

ბოლო წუთას დერეფან „"-ს შესასვლელთან დოქტორი შ... მარის შეაყოვნებს.

დოქტორი S...: ქალბატონო მარტენ, გთხოვთ, დარჩეთ.

გაოცებული მობინადრეები ერთმანეთს გადახედავენ. შემოდიან თეთრებში მოსილი ასისტენტები. თავიანთი მუნჯური ენით ისინი დანარჩენებს მიანიშნებენ, დაუყოვნებლივ დატოვონ ჰოლი.

დოქტორი S... უახლოვდება მარის. მარი შიშისგან კანკალებს, მაგრამ გაიმეებას მაინც ახერხებს.

მარი: ჩემი რიგია?

დოქტორი S...: დიახ.

მარი: ვიმედოვნებ, რომ კარგი ამბავი მომიტანეთ.

დოქტორი S...: ამის თქმის უფლება არ მაქვს.

მარი *(კანკალებს)*: არა ამბავი უკვე კარგი ამბავია!

დოქტორი S...: ლიფტამდე მიგაცილებთ.

დოქტორი S... მარის ხელკავს გამოსდებს და კაბინაში შესვლაში ეხმარება.

მარი: დიახ, უნდა დამეხმაროთ, იმიტომ, რომ სუსტი გული მაქვს. *(პაუზა)* რა უცნაურია, ასეთი დაღლილი და გაცვეთილი გული ჰქონდეს ადამიანს. არადა, ეს ის ორგანოა, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ვიყენებდი.

დოქტორი S...: წამობრძანდით, ნურაფრის შეგეშინდებათ.

მარი: წეღან სწორად კი ვერ ვთქვი. ჩემი გული კი არ დაიღალა და გაცვდა, არამედ ჟანგი მოეკიდა.

დოქტორი S...: მშვიდობით, ქალბატონო მარტენ.

მარი: მშვიდობით, დოქტორო! ყველას მშვიდობიან დასასრულს გისურვებთ.

ლიფტის კარი იკეტება. მობინადრეები თავს შემოყოფენ, აინტერესებთ, რა ბედი ეწევა მარის. რამდენიმე წამში ზედა მიმართულების ისარი აინთება. ლიფტი აღმასვლას იწყებს, ზარი წყდება. ჩამოვარდება მძიმე და დამთრგუნველი სიჩუმე. მაგი, პრეზიდენტი და ჟულიენი ერთიმეორის მიყოლებით შემოდიან მისაღებში და ლიფტის კარს შესცქერიან.

ჟულიენს შოკისგან ხმა ვერ დაუძრავს.

მაგი: საწყალი ქალი.

პრეზიდენტი *(აღელვებული, ღრმად შეწუხებული ხმით მიმართავს მაგის)*: თქვენ დიდი ხანია, რაც აქ ბრძანდებით და უთუოდ გეცოდინებათ: როცა დღე ასე იწყება, ნიშნავს თუ არა იმას, რომ ყველანი ზემოთ ავბარგდებით.

მაგი: არა.

პრეზიდენტი: მით უკეთესი.

მაგი: ამ სიტუაციაში მხოლოდ ეს გადარდებთ?

პრეზიდენტი *(დაფიქრებული)*: მეფიქრება, რომ რახან ერთი კლიენტი ზემოთ ავიდა, მეორე ქვემოთ უნდა დაეშვას. ეს სულაც არ არის გამოსარიცხი.

მაგი: თქვენ იცით, ვის მაგონებთ? დეიდაჩემ ზოეს, რომელიც წარმოუდგენელი განცხრომით კითხულობდა გაზეთში ნეკროლოგებს. როგორც კი თავისი თაობიდან ვინმეს გვარს ამოიკითხავდა, სიხარულისგან პირდაპირ კიოდა. „აჰა, კიდევ ერთი!" გეგონება, თვითონ გაუხანგრძლივდებოდა ცხოვრება.

პრეზიდენტი *(უმიზეზოდ, თავისდაუნებურად კარგ გუნებაზე)*: ძალიან სახალისოა, რაც ახლა მოყევით. სხვების სიკვდილზე მეც ზუსტად ასევე ვრეაგირებ.

მაგი: თქვენ მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობთ.

პრეზიდენტი *(მხრებს იჩეჩავს)*: რასაკვირველია. აბა ვისზე უნდა ვიფიქრო, თუ არა საკუთარ თავზე?

მაგი *(ჟულიენს პრეზიდენტზე მიუთითებს)*: ძვირფასო მეგობარო, მე ვიპოვე ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავი უყვარს.

ჟულიენი, ისევ დამფრთხალი, ციებ-ცხელებიანივით ეძებს გასასვლელს.

ჟულიენი: მე აქ ვერ გავძლებ.

დოქტორი S... კვლავ ტაბლოსკენ გაიხედავს, რომელიც აციმციმდება და საშველად ასისტენტებს უხმობს.

დოქტორი S...: ვიღაც მოდის.

მაგი: ო, ახალბედა. როგორ გაუმართლა.

დოქტორი S... *(ასისტენტებს)*: აქ დარჩით. წავალ მის დოსიეს მოვიტანა.

დოქტორი S... გადის. სიახლით გაკვირვებული ჟულიენი წრიალს წყვეტს და ლიფტს მიაშტერდება. მაგი და პრეზიდენტი სავარძლებში ჩაეფლობიან , გეგონება თეატრში არიანო.

ისინი ელოდებიან.

ისმის საშინელი ხმა, რომელიც ძალიან ჰგავს ქარიშხლის იმ ყმუილს, რომელიც ჟულიენის გამოჩენამდე გაისმოდა. ეს არის ნამდვილი ციკლონი, რომელიც მძლავრდება. როცა ხმაური თითქმის გაუსაძლისი ხდება, ყველაფერი მოულოდნელად წყდება.

წკარუნებს ზარი.

იღება კარი.

კაბინაში ქერათმიანი ლამაზმანი დგას. გაკვირვებული სულაც არ ჩანს. სახეზე ღიმილი დასთამაშებს.

მისი გამოცხადება რაღაცით ბოტიჩელის ვენერას გადმოსვლას წააგავს მარგალიტთა წყლებიდან.

ჟულიენი მოხიბლული ჩანს.

ქალიშვილი მსუბუქი ნაბიჯებით ნელა გამოდის ლიფტიდან. მოსამსახურე პერსონალსა და მობინადრეებს გაუღიმებს.

ლორა: გამარჯობა.

მაგი მისასალმებლად ფეხზე წამოდგება.

მაგი: გამარჯობა. ნუ გეშინიათ.

ლორა *(ხმამაღლა იცინის)*: რისი უნდა მეშინოდეს?

მაგი: გაიცანით, ეს ჟულიენია...

ლორა ჟულიენს ინტერესით ათვალიერებს. მოულოდნელად ჟულიენი გვერდზე გაიხედავს, ახალმოსულს თვალს არიდებს, თითქოსდა განგებ ცდილობს მონუსხვის გაწყვეტას.

მაგი: ბატონო პრეზიდენტო, მმმ *(თითქოსდა სახელს იხსენებს)* პრეზიდენტო...

პრეზიდენტი: პრეზიდენტი დელბეკი!

მაგი *(ყრუდ მოიკატუნებს თავს)*: უკაცრავად?

პრეზიდენტი *(ყვირის)*: დელბეკი!

მაგი: მე კიდევ მაგი რაჯაპური გახლავართ.

ლორა: ძალიან მიხარია, რომ აქ მოვხვდი.

ყველა გაიკვირვებს.

პრეზიდენტი: თუ იცით მაინც, სად ამოყავით თავი, უბედურო?

ლორა *(ჩაიცინებს)*: თუნდაც იმის გააზრება, რომ შემიძლია ნორმალურად და უაპარატოდ გავიარო, რომ აღარ მაქვს კრუნჩხვები, საკმარისია მივხვდე, სად ვიმყოფები. ღმერთო რა ბედნიერებაა გათავისუფლდე ყველა იმ მილისგან, ზონდისა და კათეტერისგან. *(გამოჰყავს ერთგვარი პა)* როგორ მინდა ვიცეკვო.

მაგი *(ორ დანარჩენს)*: საწყალი ბავშვი. ვშიშობ, ფიქრობს, რომ მკვდარია.

დოქტორ S... შემოდის და, როგორც კი ახალმოსულს დაინახავს, გაუღიმებს.

დოქტორ S...: გამარჯობა, ლორა.

ლორა: გამარჯობა, დოქტორო შ...

მობინადრეთა გაკვირვება. ჟულიენი მისკენ ნაბიჯს გადადგამს.

ჟულიენი: როგორ? თქვენ ერთმანეთს იცნობთ?

დოქტორი S...: ლორა ერთხელ უკვე იყო აქ.

ლორა: ვიდრე მეორედაც მოვხვდი. პირველად მაშინ გახლდით, როცა გონება დავკარგე, დავტოვე სხეული და ხვეულ დერეფანში აღმოვჩნდი. ისეთი მსუბუქი ვიყავი, ისეთი მსუბუქი, წონას საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ავუყევი სპირალს, თითქოსდა რაღაც მისრუტავდა და სინათლისკენ გავყავდი, რომელსაც ძლივს ვარჩევდი. თვალისმომჭრელად განათებულ მოედანს ვერც მივაღწიე.

დოქტორ S...: დიახ, ეს იყო ღრმა გონდაკარგულობა ***(ცნობამიხდილობა).***

ლორა: მეორე ვიზიტისას აქ სამი დღე შევჩერდი. ამჯერად...

დოქტორ S...: ვნახავთ.

ჟულიენი ცნობისმოყვარეობას ვერ მალავს.

ჟულიენი: თქვენ სერიოზულად ხართ ავად?

ლორა *(უპათოსოდ)*: ძლიერი ჯანმრთელობით ნამდვილად ვერ დავიკვეხნი.

ლორა და ჟულიენი ერთმანეთს შესქერიან. ჟულიენი ისევ გვერდზე გაიხედავს.

დოქტორ S...: ლორა, შეიძლება თქვენს ოთახში წავიდეთ?

ლორა: არა!

დოქტორ S...: რაღაც კონფიდენციალური მაქვს თქვენთვის სათქმელი.

ლორა: ჩემს ჯანმრთელობას არაფერი აქვს კონფიდენციალური. ბავშვობდან მივეჩვიე მის შესახებ გამუდმებით ბჭობას. ჩემი საწოლისა და სავარძლის გარშემო ჩატარებულ კონსილიუმებს. მივეჩვიე, ასევე, გამოქვეყნებულ ბიულეტენებს. უკვე არ მაღიზიანებს, რომ ყველა, ვისაც არ ეზარება, ჩემი ჯანმრთელობითაა დაკავებული. შეიძლება ამიტომაც გამიქრა პირადად მე მის მიმართ ინტერესი. საუბრით ხომ საერთოდ არ ვსაუბრობ ამის შესახებ...

დოქტორ S... *(დაყინებით)*: ლორა, გთხოვთ, დაბრუნდეთ თქვენს ოთახში.

ლორა *(რბილად, მაგრამ მტკიცედ)*: არა, რა უნდა მითხრათ ახალი? რომ გული თითქმის აღარ მიცემს? რომ კიდევ ცოტაც და საერთოდ გაჩერდება, თუ გადანერგვა არ მოხერხდა? ამის შესახებ უკვე ვიცი. გსურთ მითხრათ, რომ მე მთლიანად შემთხვევაზე ვარ დამოკიდებული, რომ ვიღაცა უნდა მოკვდეს სწრაფად, მოულოდნელად და თან აკურატულად, გული რომ მოვპარო. მე ესეც ვიცი.

დოქტორ S *(ღიმილით)*: თქვენ საერთოდ არ შეცვლილხართ. ისეთივე დარჩით, როგორიც იყავით.

ლორა: რატომ უნდა ვითვალთმაქცო, რატომ უნდა მოვირგო სერიოზული ადამიანის ნიღაბი, როცა საკუთარ ჯანმრთელობაზე მელაპარაკებიან? ეს აუტანელი იქნებოდა. მოსახდენი მოხდეს!

დოქტორ S..: შეხვედრამდე, ჩემო პატარა ლორა.

პრეზიდენტი *(დგება)*: დოქტორო, შეიძლება...

დოქტორ S...: არ შეიძლება.

დოქტორ S... ასისტენტების თანხლებით გადის.

მაგი: თანასწორობა, ჩემო ძვირფასო, თანასწორობა.

პრეზიდენტი: ასეთი შეურაცხყოფილი ცხოვრებაში არ ვყოფილვარ.

ლორა *(ჟულიენისკენ შეტრიალდება)*: რისი გაკეთება გხიბლავთ ცხოვრებაში?

ჟულიენი *(გაკვირვებული)*: მმმ... კი არ ვიცი, რა გითხრათ... თქვენ?

ლორა: თქვენი პასუხი იმედგამაცრუებელია.

ჟულიენი *(საკუთარ თავში ჩაიკეტება)*: მე ვარ იმედგამაცრუებელი მამაკაცი.

ჟულიენი ჰოლის ერთ-ერთ კუთხეში განმარტოვდება.

ლორა ოდნავ მაგისა და პრეზიდენტისკენ შეტრიალდება.

ლორა: რას საქმიანობდით ჩემს მოსვლამდე?

მაგი: როგორც ხდება ხოლმე, საშინელ რაღაცებს ვყვებოდით ერთმანეთზე. ვკბენდით ერთმანეთს და ვიღრინებოდით.

ლორა: ერთი აზრი მომივიდა თავში.

მაგი: ბრძანეთ.

ლორა: დაიშოკებით.

მაგი: თქვით მაინც.

ლორა: მინდა, რომ ერთ-ერთი თქვენთაგანი გამეფარცქვალოს.

პრეზიდენტი: სასაცილოა!

ლორა: არ გინდათ? კარგით რა, ცოტას გავხალისდებით... ჩემი ჯანმრთელობის გამო ყმაწვილკაცები დიდი ყურადღებით მაინც და მაინც არ მანებივრებდნენ. აქ კიდევ... ყველაფერი ირეალურია... ყველაფერი წარმავალია. იქნებ შეძლოთ თავი მოიკატუნოთ?

ჟულიენი: თავს რა ვუყოთ?

ლორა: მე თავს ვიკატუნებ, რომ ნორმალური ვარ. მიყურეთ, შემიძლია ვიმოძრაო, დავტრიალდე, ვცეკვავ კიდეც. თქვენ? ***(მაგის)***, თქვენ? ***(პრეზიდენტს)*** და თქვენ? ***(ჟულიენს)***, შეგიძლიათ თავი მოიკატუნოთ, რომ მეარშიყებით? ძალიან გთხოვთ, თქვით რომ თანახმა ხართ!

პრეზიდენტი: არავითარ შემთხვევაში!

ლორა: მხოლოდ სახალისოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ გავერთოთ.

მაგი: თანახმა ვარ, ერთი წვეთი წაგეკურკუროთ.

ლორა: მხოლოდ ერთი წვეთი?

მაგი: კეთილი, ჯანი გავარდეს, ნუ იქნება წვეთი, იყოს მთელი წყალსაცავი.

აღფრთოვანებული ლორა ჯდება, მაგი მიუახლოვდება ჟულიენს და ხმადაბლა, სწრაფად ყურში ჩასჩურჩულებს.

მაგი: მოდით რა, თქვენ. ვხედავ, რომ ჩემს წყალსაცავს თქვენი ერთი წვეთი ურჩევნია.

ჟულიენი: ჩემი იმედი ნუ გექნება.

მაგი: ლორას აქვს შენი იმედი, მე რა შუაში ვარ.

ჟულიენი: არ მინდა.

მაგი: რატომ? არ იცი?

ჟულიენი: ყველა ეს სიტყვა ზეპირად ვიცი. ასიათასჯერ გადმომინთხევია ეს ტექსტები. მილიონჯერ გული ამრევია. ვაი, გაფიქრებაზეც კი შეიძლება გულ-ღვიძლი ამომიტრიალდეს.

მაგი: სცადე, მიანიჭე ქალს სიამოვნება.

ჟულიენი: რატომ?

მაგი: აბა რა გამოვიდა ახლა, როცა ქალს საკუთარი სიამოვნების გულისთვის ეკურკურები, მშვენივრად პოულობ სიტყვებს, როცა სიამოვნება სხვას უნდა მიანიჭო, სათქმელი აღარაფერი გაქვს? სიტყვები გავიწყდება და ვეღარ იხსენებ?

ჟულიენი საკუთარ თავში ჩაიკეტება. დუმს. მაგი მიუახლოვდება ლორას და მის გვერდით ჩამოჯდება.

მაგი: მითხარი, ჩემო პატარავ, საიდან დავიწყოთ, მთვარიდან, ვარსკვლავებიდან, ცხოველებიდან თუ ფრინველებიდან? იქნებ აჯობებდა, პირდაპირ თქვენგან რომ დაგვეწყო.

ლორა: ცხადია, დაიწყეთ პირდაპირ ჩემგან.

მაგი: კეთილი.

მაგი ჩახველებით ყელს ჩაიწმენდს. ეძებს სიტყვებს, მაგრამ ვერ პოულობს. უხერხულად გრძნობს თავს. ისევ ჩაიწმენდს ყელს. ჩანს, რომ რამე ლირიკული სურს წარმოთქვას, მაგრამ არ გამოსდის. იცვლის პოზას. ხან მარჯვენა ფეხს გადაიდებს მარცხენაზე, ხანაც მარცხენას მარჯვენაზე. პრეზიდენტი მას დამცინავი იერით შესცქერის.

ჟულიენი მხრებს იჩეჩავს. მაგი მესამეჯერ ცდის, მაგრამ, როგორც ჩანს, შთაგონებამ საბოლოოდ შეაქცია ზურგი.

ფრანგულიდან თარგმნა
მერაბ ფიფიამ

დასასრული შემდეგ ნომერში

ანდრეას გრიფიუსი და კლოდ მალენგრი

გამოჩენილი გერმანელი დრამატურგის ანდრეას გრიფიუსის (1616-1664) ტრაგედიის „ქეთევან ქართველის“ არსებობა კარგა ხანია ცნობილი იყო ჩვენში. 1975 წელს გამოქვეყნდა მისი ქართული თარგმანიც (აკაკი გელოვანისა), რაზედაც თურმე ოცნებობდა ივანე ჯავახიშვილი.

გრიფიუსის ტრაგედია, თავისი მაღალმხატვრულობითა და, იმავდროულად, ისტორიულ სინამდვილესთან სიახლოვით, აშკარად გამოირჩევა ქართულ თემატიკაზე დასავლეთ ევროპაში შექმნილ ნაწარმოებთაგან. „ქეთევან ქართველი“ რომ შევუდაროთ, მაგალითად, XVIII ს. ფრანგულ რომანებს, სადაც ეგზოტიკური საქართველოს ფონზე თამაშდება სამიჯნურო თავგადასავალნი და რაინდული ფათერაკები, განსხვავება მართლაც ისეთი იქნება, როგორიც ცასა და დედამიწას შორის.

ვკითხულობთ გრიფიუსის საუცხოო ქმნილებას, რომლის მთავარი პერსონაჟი გახლავთ ჩვენი წარსულის უბადლო გმირი და მოღვაწე ქეთევან დედოფალი, ვკითხულობთ და გვიკვირს, რაოდენ ღრმად ჩასწვდა გერმანელი მწერალი მისთვის შორეული საქართველოს ტკივილებსა და ტრაგიკულ ხვედრს. ვკითხულობთ და უნებურად წამოგვცდება შექსპირის უკვდავი ფრაზა: „მერე, რა არის ჰეკუბა მისთვის...“

ზოგადსაკაცობრიო ჰუმანისტურ იდეებს თავი რომ დავანებოთ, გერმანელ მწერალს მაინც ააღელვებდა ბედი „სისხლის წვიმებით“ მორწყული საქართველოსი, იმხანად ძალზე რომ წააგავდა მისივე სამშობლოს ბედს.

სონეტში „ცრემლები მამულისა“ გრიფიუსი მოთქვამდა: „ციხე-კოშკები ცეცხლში გახვეულა, ეკლესიები გაპარტახებულა, რატუშა ნანგრევებად ქცეულა, მამაცნი გაუჟლეტიათ, ქალწულნი წაუბილწავთ... საითაც არ გაიხედავ — ყველგან ხანძრებია, ჟამი და სიკვდილი, სულსა და გულს რომ გითრგუნავს“.

გრიფიუსის შემოქმედების მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ მისი თანადროული გერმანიის ტრაგიკული სინამდვილე, ოცდაათწლიანი ომის საშინელებანი, გახდა საფუძველი პესიმისტური მსოფლმხედველობის გასაბატონებლად გერმანელი მწერლის ნაწერებში. გრიფიუსს ამაოებად და ცდუნებად ეჩვენება ცხოვრების შვებანი. მწარედ შენიშნავს, რომ სიამეს გვერდით დასდევს ვაება; სილამაზე, ბედნიერება, ღირსება და სახელი ქრება წუთიერი სიზმარივით, დნება გუშინდელი თოვლივით; ყველგან სუფევს სიკვდილი და ნგრევა-ოხრება, ყოვლის შთანმთქმელი წყვდიადი და უსაშველო სასოწარკვეთა.

რაც შეეხება „ქეთევან ქართველს“, მკვლევართა აზრით, გრიფიუსი, გვიხატავდა რა ქართველი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას ბარბაროს დამპყრობელთა წინააღმდეგ და გმირი დედოფლის თავგანწირვას, ამავე დროს უშუალოდ ეხმაურებოდა პატრიოტულ იდეას, მისი სამშობლოს ანალოგიური უბედურებით რომ იყო შობილი.

მაგრამ ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ, საერთო აღიარებით, თვით ესოდენ მნიშვნელოვან პოლიტიკურ თემას უმთავრესი ადგილი როდი უჭირავს გრიფიუსის ზემოხსენებულ ტრაგედიაში. წინა პლანზე აქ გამოყენებულია სრულიად სხვა მოტივი — ამაღლებული სულიერი საწყისი, რომელსაც განასახიერებს შირაზში უმწეო ტყვედ მყოფი ქეთევან დედოფალი, მკვეთრად უპირისპირდება აღვირახსნილ სასტიკესა და ეროტიზმს, რის ხორცშესხმასაც წარმოადგენს ძლევამოსილი იმპერიის ხელმწიფე შაჰ-აბასი.

ქეთევან დედოფალი გამუდმებით ფიქრობს მშობელი ქვეყნის ბედზე, ელანდება სისხლიანი სურათები შაჰ-აბასისეული გენოციდისა. ტყვეობაში მყოფი, უჯაროდ და უიმედოდ დარჩენილი, მაინც დარწმუნებით წარმოთქვამს, რომ უფლის შემწეობით არასოდეს უღალატებს თავის სამშობლოსა და რჯულს, რომ მის შებორკილ სხეულში სუფევს თავისუფალი სული — ნიშანი ადამიანის ღირსებისა, სრულყოფილებისა და უძლეველობისა. თავისი ზნეობრივი სიმტკიცით დედოფალი ამარცხებს უსამართლობასა და ძალმომრეობას.

გრიფიუსის ქმნილებათა მხატვრულ ღირებულებაზე ორი აზრი არ უნდა არსებობდეს. შემთხვევითი როდია, რომ გერმანელმა რომანტიკოსებმა თავიანთ წინაპარს შეარქვეს „გერმანელი შექსპირი“. სხვათა შორის, „ბრიტანეთის ენციკლოპედიის“ მიხედვით, XX საუკუნეში შეიმჩნევა გრიფიუსის რეპუტაციის „უზარმაზარი ზრდა“.

როდესაც ვკითხულობთ „ქეთევან ქართველს“, მხატვრულ ღირსებებთან ერთად, თვალში გვხვდება ისიც, რომ გერმანელი დრამატურგი საკმაოდ კარგად იცნობს ჩვენი წარსულის ცნობილსა თუ შედარებით უცნობ მოვლენებს. ზოგიერთი საისტორიო წყაროც კი, ალბათ, არ დაიწუნებდა ამ ნაწარმოებში მოცემულ მდიდარ მასალას. გრიფიუსის თხრობა, მეტწილად, ემთხვევა საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს, ხოლო განსხვავებანი, ხშირ შემთხვევაში, ნაკარნახევია ისტორიის პოეტური გარდასახვის პრინციპით.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩნდება სურვილი კვლევისა — სახელდობრ რომელი წყაროებით სარგებლობდა გერმანელი დრამატურგი და რომელი ფაქტები თუ კოლიზიები უნდა მივაკუთვნოთ მის შემოქმედებით ფანტაზიას.

აღძრული საკითხი ქართველ მკვლევართაგან განიხილეს ისტორიკოსმა ზურაბ ავალიშვილმა თავის გამოკვლევაში „თეიმურაზ I და მისი პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ (1938) და გერმანისტმა არსენ ბიბიჩაძემ თავის გამოუქვეყნებელ სადისერტაციო ნაშრომში „ანდრეას გრიფიუსი და მისი ტრაგედია „საქართველოს დედოფალი კათარინა“ (1950; ინახება თსუ ბიბლიოთეკაში).

ზ. ავალიშვილი წერდა: „იმის გამორკვევა, თუ საიდან ამოიღო გრიფიუსმა ის საკმაოდ ვრცელი ისტორიული მასალა, რომელიც გამოყენებულია ამ ნაწარმოებში, სჩანს, არც ისე აწუხებდა გერმანელ მკვლევარებს, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის, ალბათ, უფრო ესაა საინტერესო, ტრაგედიის ეს შინაარსი, საქართველოს ისტორიიდან ნასესხები, და არა იმდენად მისი მნიშვნელობა გერმანული „ბაროკოს“ მწერლობაში“.

ა. ბიბიჩაძეც შენიშნავდა, რომ გრიფიუსის შემოქმედების მკვლევართაგან, ერთეულების გამოკლებით, არავინ დაინტერესებულა „ქეთევან ქართველის“ წყაროთა ძიებით, ხოლო ჩვენთვის სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს განსაკუთრებული ინტერესის საგანს.

1923 წელს გერმანელმა მეცნიერმა იოჰან ლიბემ თავის გამოუქვეყნებელ დისერტაციაში, პირველმა მიუთითა, რომ გრიფიუსის ზემოხსენებული ტრაგედიის ძირითად წყაროს წარმოადგენს XVII ს. ფრანგი მწერლის კლოდ მალენგრის კრებული „ჩვენი დროის ტრაგიკული ისტორიები“ (პარიზი, 1635), სადაც, დასავლეთ ევროპაში გახმაურებულ ამბებთან ერთად, მოთხრობილია ქეთევან დედოფლის ცხოვრებისა და წამების ისტორია. ამ წიგნის ფურცლებზე დიდებული ქართველი წმინდანი დამკვიდრებულა ანრი IV-ის, ვალენშტაინის, ცრუ-დიმიტრის, ოსმან სულთნისა და სხვა პოპულარულ ფიგურათა მეზობლად.

1932 წელს პოლონელმა ზდისლავ ციგულსკიმ (ი. ლიბესგან დამოუკიდებლად) მიაკვლია კლოდ მალენგრის ქრონი-

კას, როგორც „ქეთევან ქართველის“ წყაროს. შემდგომში ეს მოსაზრება გაიზიარა ზ. ავალიშვილმა.

საყურადღებო გარემოებაა, რომ გრიფიუსის ტრაგედიასა და მალენგრის ქრონიკაში ქართველ ისტორიულ პერსონაჟთა სახელები იდენტურად არის დამახინჯებული. გრიფიუსი, ისევე როგორც მალენგრი, წერს: „ალოვას“ (ლუარსაბი), „თამარას“ (თეიმურაზი), „მევრაბ“ (მოურავი). გრიფიუსის მიხედვით, თვით ქეთევანი არის „კათარინა“, ხოლო მალენგრის ქრონიკაში: „კათრინ“.

ზ. ავალიშვილი შენიშნავდა, რომ პიეტრო დელა ვალე დაუმახინჯებლად იმოწმებს ზემოთ ჩამოთვლილ პირთა სახელებს. ქართველი მკვლევარის აზრით, გერმანელ დრამატურგს „შეეძლო სულ ცოტა და ზოგადი რამ ამოელო“ იტალიელი მოგზაურის ნაწერებიდან და ამასაც საეჭვოდ მიიჩნევდა. მაგრამ იქვე დასძენდა, რომ გრიფიუსს, მალენგრის ქრონიკის გარდა, სხვა წყაროებიც უნდა ჰქონდეს გამოყენებული. ამასთან ერთად, ზ. ავალიშვილი, გრიფიუსის ტრაგედიის შესწავლის საფუძველზე, მიუთითებდა, რომ „მისი შემოქმედება საკმაოდ თავისუფალია და ძლიერი“. ზემოთქმულის მჭევრმეტყველ ნიმუშად მკვლევარმა დაიმოწმა ფრანგული წყაროს ერთი ფრაგმენტი, რომელიც მოსდევს დიდი მოურავის წინამძღოლობით ყიზილბაშთა ამოწყვეტას (იგულისხმება მარტყოფის აჯანყება) და შესაბამისად — მისი პოეტური გადამუშავება გრიფიუსის მიერ.

კლოდ მალენგრი მოგვითხრობს: „რაც შეეხება მოურავს, სპარსეთის არმიაზე გამარჯვებულმა, მან მოატანინა მოკლულ ჰერცოგთა (ხანების) თავები, უბრძანა, რომ მოებათ შუბის წვერს და როდესაც სადილს შეექცეოდა, მოართმევინებდა თავისთვის ვითარცა მისთვის სასიამოვნო კერძსა. და ღვინოს რომ სვამდა, სადღეგრძელოს იტყოდა ჯერ ერთისა, მერე სხვის, და ყოველს ამ მკვდარ ჰერცოგს ათასის ლანძღვით საყვედურობდა მათ ავაზაკურ საქმეს, რაც კი მათზედ იცოდა“.

ზემოთ მოთხრობილ ამბავს გრიფიუსის ტრაგედიაში ქეთევან დედოფალს აუწყებს ქართველი მაცნე დემეტრე. ახლა დავიმოწმოთ ზ. ავალიშვილის მიერ შესრულებული პწკარედი: „ვინც ჩვენი სისხლი დაღვარა, ის ამ სისხლში ჩაიხრჩო. შურით აღგზნებულ რისხვამ, როგორც ცეცხლის ალმა იცის, მთელ ივერიიდან ღვარძლი გაჰგავა. თავადმა მოურავმა, სიძულვილით ბრმამ, და ამდენი ჭირით შეწუხებულმან, იმ მოკლულთა გუნდს მკრთალი თავები გააგდებინა, და დაალაგებინა რა მათი თავების წყობა, ვისგანაც ამდენი შეურაცხყოფა ენახა, თავის სუფრაზედ თითქოს საზეიმო ნობათი, ხელთ იპყრო, წრეს გადასულმა, მისთვის მირთმეული ჭიქა და შესძახა: ესაა ფიალა, რომელსაც ჩემების შურისმაძიებელი ვსვამ, აწ უკვე არა მონა! ჰოი, ჩემო დაჩაგრულო მეუღლევ! ჰოი, ჩემო ნამუსახდილო ასულო! თქვენც, ვინცა ხანგრძლივი ტანჯვა ცრემლებით მორწყეთ! ვინც მწუხარებაში და მიწაში ლპებით! თქვენ, ვინც დაუხურავ საფლავსაც არ ეღირსენით! ჩემო მეფევ, ლუარსაბ! ტყვე დედოფალო! განდევნილო თეიმურაზ! ჩემო სამშობლო! ალავერდი!“

მართლაც რომ ჩინებული ნიმუშია მწერლის მიერ საისტორიო წყაროში ამოკითხული ინფორმაციის მხატვრული ხორცშესხმისა...

ზ. ავალიშვილი აღნიშნავდა, რომ გრიფიუსის ტრაგედიის მთავარ კვანძს წარმოადგენს შაჰ-აბასის სიყვარული ქეთევან დედოფლისადმი. იგი აქაც მალენგრის ქრონიკას ეყრდნობა (დელა ვალეს არაფერი ამის მსგავსი არ დაუწერია).

ასეთი იყო ზ. ავალიშვილის კვლევის შედეგები.

თორმეტი წლის შემდეგ ა. ბიბიჩაძემ სცადა დაემტკიცებინა, რომ გრიფიუსის ტრაგედიის ძირითადი წყარო არის პიეტრო დელა ვალეს თხზულებანი.

მაგრამ მკვლევარს თავისი ვარაუდის შესამაგრებლად რაიმე მნიშვნელოვანი და ხელმოსაჭიდი ფაქტი არ მოუტანია. მის ნაშრომში აღნიშნული დამთხვევანი გრიფიუსისა და დელა ვალეს ტექსტებში, უმეტესწილად, ზოგადი ხასიათისაა და სხვა წყაროებშიც შეიძლება წავაწყდეთ.

ა. ბიბიჩაძე ნაწილობრივ იზიარებდა კიდეც მოსაზრებას გრიფიუსის დამოკიდებულებაზე მალენგრისგან. კერძოდ, მანაც დაიმოწმა ორივე ავტორის თხზულებაში ქართული სახელების იდენტური დამახინჯების ფაქტი.

ა. ბიბიჩაძე წერდა: „მალენგრის შრომის და გრიფიუსის დრამის ურთიერთობის საკითხი, აგრეთვე ის წყაროები, რომლის საფუძველზე მალენგრს ეს ისტორია აღუწერია, ჩვენს მიერ გამოკვლეულ იქნება ცალკე“.

როგორც ჩანს, ამ განზრახვის განხორციელება აღარ დასცალდა.

გამოხდა ხანი და ორი ქართველი მკვლევარის დაუსწრებელ პაექრობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, არბიტრად მოევლინა ავსტრალიელი მეცნიერი კ. ლეოპოლდი და ქუინსლენდის უნივერსიტეტის შრომებში (1967 წ.) გამოაქვეყნა კლოდ მალენგრის ნაშრომის სრული ტექსტი (ინგლისური თარგმანი) და თავისი გამოკვლევა.

კ. ლეოპოლდი ასკვნის, რომ გრიფიუსი ძალზე ერთგულად მისდევს მალენგრის თხზულებას და დრამატურგიის ისტორიაში ერთობ მცირეა ამგვარი შემთხვევები, როდესაც ავტორი ასე სრულად იყენებდეს თავის წყაროს. გერმანელმა დრამატურგმა აამეტყველა თითქმის ყველა საინტერესო პასაჟი, რომელსაც შეიცავდა მალენგრის ქრონიკა, ხოლო მისი ბოლო ნაწილი (ქეთევან დედოფლის წამება) აქცია ტრაგედიის მთავარ ღერძად, გავრცობილი და დრამატიზებული ფორმა მისცა. გრიფიუსის მიერ შეტანილი ცვლილებანი, ძირითადად, ეხება პერსონაჟთა ხასიათებს, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებში, რასაკვირველია, უფრო სისხლსავსე უნდა იყოს.

P.S. მალენგრის მიხედვით, მარტყოფის აჯანყება წინ უსწრებს ქეთევან დედოფლის წამებას. სინამდვილეში დედოფალი აწამეს 1624 წლის 12 სექტემბერს, ხოლო აჯანყება მოხდა 1625 წლის 25 მარტს.

მალენგრისა და, შესაბამისად, გრიფიუსის მიერ მოვლენათა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დარღვევა არ უნდა გვეუცხოვოს, თუკი გავიხსენებთ, რომ დიდებული ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი, ასევე, ჯერ მოგვითხრობს მარტყოფის აჯანყების ამბავს და მერე — ქეთევან დედოფლის წამებას.

ვახუშტი ხსენებული მოვლენებიდან ერთი საუკუნის შემდეგ წერდა თავის საისტორიო თხზულებას და ეგებ ვაპატიოთ კიდეც შეცდომა, მაგრამ განა გასაკვირი არ არის, რომ იმავე მოვლენათა თანამედროვე და მოწმე ნიკიფორე ირბახი ვატიკანში წარდგენილ თავის რელაციაში ამტკიცებს, რომ მარტყოფის აჯანყება და მარაბდის ომი წინ უსწრებდა შირაზში ქართველი დედოფლის წამებას და სწორედ მარტყოფ-მარაბდა გახდა მიზეზი შაჰ-აბასის ულმობელი განაჩენისა.

მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ მალენგრი შეაცდინა იმ ინფორმაციამ, რომელიც დასავლეთ ევროპაში გავრცელდებოდა, ვთქვათ, იმავე ნიკიფორე ირბახის წყალობით.

მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ მალენგრს შეგნებულად გადაესხვაფერებინა ისტორიული სინამდვილე. ამგვარ ვარაუდს თითქოსდა მხარს უჭერს გრიფიუსის ტრაგედია, სადაც ქეთევან დედოფალს პირველ მოქმედებაში ამცნობენ ქართველი ხალხის გამარჯვებას და ხანგრძლივი უნუგეშობის შემდეგ ფრთებშესხმული ქალი კიდევ უფრო ამაყად და შეუპოვრად ეგებება უმძიმეს განსაცდელს.

P.P.S. ვინ იცის, ეგებ სინამდვილეში მართლაც ასე იყო და ქეთევან დედოფლის წამების აღიარებული თარიღი მცდარია?!